დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ASAVALI.GE ASDAS.GE

# ასავალ დასავალი

2020 წლის
30 მარტი-5 აპრილი

N14 (1322)

ფასი 2 ლარი
და 50 თეთრი

# პროფესორ თავართქილაძის სენსაციური აღიარება!

„ყველას, ვინც მობილურზე დღე-ღამეში ჯამურად 4 საათზე მეტს საუბრობს, სისხლში მელატონინის კონცენტრაცია საჭირო ნორმაზე 4-ჯერ დაბალი აქვს!“



3



7

# პანდორას ყუთიდან პანდემიის ყუთამდე

ასტროლოგ ცაგარელის
## მიმართვა
პრემიერ გახარიას

29



## მართლაც სინ-ქრო-ნულია!

28

15

„მოსახლეობა მასიურად დაიხოცა ე.წ. კორონავირუსით მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც 5G ინტერნეტის დაფარვის ზონაა!“




ლელა კაკულია:

## ვხედავ, ვირუსი უკან იხევს!

6



ახდენილი წინასწარმეტყველების კვალდაკვალ

# სამყარო იცვლება!

# სამყარო იცვლება!

***ეს უპრეცედენტო ამბავი, რომელიც მთელმა მსოფლიომ გააშუქა (ანტიქართული და ქართველთმოძულე ტელევიზიების გარდა!), კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ ამერიკაშიც და მთელ მსოფლიოშიც! კორონავირუსის გავრცელების მთავარ ეპიცენტრად გადაქცეული ამერიკის კონგრესში, კაპიტოლიუმის ბორცვზე, 24 მარტს გაიმართა ამერიკელი კანონმდებლების თავყრილობა, რომელზეც ტეხასელმა კონგრესმენმა რესპუბლიკური პარტიიდან რენდი ვებერმა, არც მეტი, არც ნაკლები, ტირილით ილოცა და უფალს ამერიკის შეწყალება სთხოვა!***




## ამერიკელი კონგრესმენი ტირილით ლოცულობს და ღმერთს ამერიკის ცოდვების გამო შენდობას სთხოვს!

კონგრესმენმა **ვებერმა,** როგორც კი მიკროფონთან მივიდა, არც ის უთქვამს, რა მძიმე მდგომარეობაა კორონავირუსის პანდემიის გამო, არც ამომრჩევლების ეკონომიკური დახმარების პროგრამაზე ულაპარაკია, პირდაპირ ლოცვის მოწოდებით დაიწყო და გამოსვლის ბოლომდე ილოცა!

სიტყვასიტყვით გთავაზობთ ამ ისტორიულ გამოსვლას:

**„მოდით, ვილოცოთ:**

**„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა...** და აქ, კონგრესის კედლებში, ჩვენი ქვეყნის ცენტრში!

უფალო, იყავნ ნება შენი! მამაო, შენ გვითხარი, რომ, თუ ჩვენს ცოდვებს მოვინანიებთ, მოგვიტევებ და შეგვიწყალებ! და განგვწმენდ ყოველგვარი სიცრუისაგან!

**უფალო, შენ ასევე გვითხარი, რომ ზეცაში შეისმენ ჩვენს ხმას და განკურნავ ჩვენს დედამიწას!**

**ღმერთო, აღსარებას გაბარებთ იმ ცოდვების გამო, რომლებიც ჩვენმა ნაციამ გაბედა და ჩაიდინა, მამაო ჩვენო!**

შენ გვითხარი, რომ ვინც შენს სწავლებას მიჰყვება, იქნება უძველესი მძლავრი ხესავით! მადლითაა სავსე, ვინც მისდევს შენს სიტყვას, მაგრამ, უფალო, ჩვენ გავბედეთ და ღვთის სწავლება გავაგდეთ სკოლებიდან!

**მამაო, ჩვენ ბიბლია გავაგდეთ კლასებიდან!**

ოჰ, ღმერთო, მოგვიტევე!

**მამაო, ჩვენ გვეგონა, რომ ძალიან ჭკვიანები ვიყავით და შენი სწავლება და აღთქმები სკოლებში შევცვალეთ ძაღლებით, რომლებიც ნარკოტიკებს ყნოსავენ, მეტალოდეტექტორებითა და პოლიციელებით!** მამაო, გვაპატიე!

**უფალო, ჩვენ ფეხქვეშ გავთელეთ შენი დაწესებული ქორწინების უწმინდესი ინსტიტუტი და მისი შეცვლა „ალტერნატიული ცხოვრების წესით“ გადავწყვიტეთ!**

ოჰ, მამაო, გვაპატიე, გვაპატიე **(ტირის — გ.გ.)!**

**უფალო, ჩვენ ვკლავდით ჩვენ შორის ყველაზე უმანკოებს, არადა, შენ გვასწავლიდი, რომ ყველას ერთად, ჩვენს შვილებთან ერთად უნდა გვეცოცხლა!**

**მამაო, ჩვენს შვილებს ვკლავთ და ამას „არჩევანს“ ვუწოდებთ!**

ოჰ, ზეციურო მამაო, მოგვიტევე **(კვლავ ტირის — გ.გ.)!**

**ღმერთო, ჩვენ უარვყავით სოლომონ მეფის სიბრძნე მევალისა და მოვალის შესახებ: 20 ტრილიონი დოლარის ვალი გვაქვს, მსოფლიოს დასაცინები ვართ, მამაო!**

მამაო, ჩვენ დავივიწყეთ აბრაამ ლინკოლნის შეგონება: **„ვილოცოთ მასზე, ვინც შეგვქმნა თავის ხატად!“** მოგვიტევე ცოდვები!

**მამაო, დაგვეხმარე, დაგვაბრუნე შენს სწავლებასთან, შენს გზაზე და მიგვიყვანე იმ ჭეშმარიტების გააზრებამდე, რომ დალოცვილია ის, ვისთვისაც უფალი ღმერთია!** უფალო, მოგვეცი წყალობა ვიყოთ ასეთები! ნუ მოგვაკლებ შენს მფარველობას, მამაო!

**უფალო, შეგვინდე ჩვენი უამრავი ცოდვა და უსაზღვრო მოწყალებით, გულმოწყალედ მიგვიღე შენი წმინდა კალთის მფარველობის ქვეშ!**

მამაო, გემუდარები! იესო ქრისტეს სახელით **(ტირის — გ.გ.)!**

ამინ!“

ვისაც ჰგონია, რომ ეს ერთი აჟიტირებული კონგრესმენის ემოციური გამოსვლაა, ძალიან ცდება!

იქ, იმ დარბაზში მსხდომთაგან ყველა ტიროდა და მზერას







ზეცისკენ აღავლენდა ან თვალდახუჭული საკუთარ გულში ინანიებდა თავის თუ საქვეყნო ცოდვებს და უფალს შეწყალებას სთხოვდა!

და ეს ტრამპის ამერიკის რეალური, არათეატრალური განცდაა!

ამიტომაც ვამბობ: **სამყარო იცვლება! სამყარო იცვლება ჩვენ თვალწინ! და სამყარო იცვლება ამ უდიდესი გამოწვევის — „კორონავირუსი“ რომ ჰქვია — გააზრებით და საწყისთან** — უფალ მამასთან „უძღები შვილის“ დაბრუნებით!

ეს არამხოლოდ ამერიკის, არამედ მსოფლიო ტენდენციაა! იმ მსოფლიოსი, რომელმაც თვალნათლივ დაინახა, რომ რამდენი მილიარდი და ტრილიონიც არ უნდა გქონდეს, რამდენი ათასი ატომური ბომბიც არ უნდა გქონდეს მზადყოფნაში, უხილავი, მიკროსკოპული ვირუსის წინაშე აბსოლუტური არარაობა ხარ!

ცოდვების ჭაობში და უფლის გარეშე!

**აი, ამიტომაც, იცვლება სამყარო — მონანიებითა და უფალთან დაბრუნებით!**

და დროა, ჩვენი ქვეყნის „მამებმაც“ და „დედებმაც“ მოინანიონ და თვალცრემლიანებმა საჯაროდ წარმოთქვან:



**„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა. პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. ამინ!“**

*გიორგი გიგაური*

## კვირგვინოსნები

**ალექსანდრე ლუკაშენკო**
*ბელარუსის პრეზიდენტი*



**ამ კორონავირუსს ვუწოდებ ფსიქოზს.**

„ახალი თაობა“

**გიორგი გახარია**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**თუ ვინმეს რაიმეს თავი აქვს და შეუძლია, ჩვენს ქვეყანას და მოქალაქეებს მიეხმაროს, მივიდეს იქ, სადაც მოქალაქეებს დახმარება სჭირდებათ, განსაკუთრებით 60 წელს გადაცილებულ და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებს და იქ დაგვეხმარონ, ტელევიზორიდან პოლიტიკური კეკლუცობის ნაცვლად.**

„ინტერპრესნიუსი“

**ილია მეორე**
*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი*



**განსაცდელშია მსოფლიო, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ღვთის წყალობა აღემატება ყოველ განსაცდელს, მწუხარება სიხარულით შეიცვლება.**

„ინტერპრესნიუსი“

**ვახტანგ გომელაური**
*შინაგან საქმეთა მინისტრი*



**მარნეული იქნება, თბილისი, თელავი, ზუგდიდი თუ ბათუმი, თუ ვინმე შეურაცხყოფას მიაყენებს ექიმს, პატრულს, მაშველს და მნიშვნელობა არა აქვს, კიდევ ვის, ყველა დაისჯება უმკაცრესად!**

„რეზონანსი“

**დავით ქოჩიაშვილი**
*[illegible]*



დღეს ასეულობით მედპერსონალი: ექიმები, ექთნები, სანიტრები დგანან ბრძოლის წინა ხაზზე, ჩადიან გმირობის ტოლფას საქმეს რუდუნებით, დაუმადლებლად მთელი საქართველოს მასშტაბით!

მათი ფინანსური უზრუნველყოფისა და პრემიერ გიორგი გახარიას უბადლო და შესაშური საქმიანობის, ორგანიზებულობის მხარდაჭერის მიზნით, **სამთავრობო ანგარიშზე ვრიცხავ 10 000 ლარს პირადი დანაზოგიდან, რომელიც ჩემი შრომის შედეგია.** ვინ იქნება შემდეგი?!

„პრაიმტაიმი“

# პროფესორ თავართქილაძის სენსაციური აღიარება!



***მას შემდეგ, რაც მსოფლიო ახალი კორონავირუსის პანდემიამ მოიცვა, მეცნიერები დედამიწის ყველა კუთხეში აქტიურად მუშაობენ ვაქცინისა და ანტივირუსული მედიკამენტის შექმნაზე, თუმცა, ჯერჯერობით რეალური შედეგები მიღებული არ არის. სამაგიეროდ, ფრანგმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ჰორმონ მელატონინის როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია COVID 19-ის წინააღმდეგ ბრძოლისა და ვირუსით გამოწვეული გართულებების თავიდან აცილების საქმეში. კლინიკური ონკოლოგი, გენეტიკოსი, პროფესორი ალექსანდრე თავართქილაძე სწორედ მელატონინის განსაკუთრებულ ფუნქციებზე და COVID 19-ის მკურნალობაში მის პრიორიტეტებზე გვესაუბრება.***

## *ალექსანდრე თავართქილაძე:*

# ყველას, ვინც მობილურზე დღე-ღამეში ჯამურად 4 საათზე მეტს საუბრობს, სისხლში მელატონინის კონცენტრაცია საჭირო ნორმაზე 4-ჯერ დაბალი აქვს!

**— ბატონო ალექსანდრე, როგორც ცნობილია, ჰორმონ მელატონინის როლი ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარებასა და მკურნალობაში უკიდურესად მნიშვნელოვანია. უახლესი კვლევებით კი დადგინდა მისი მნიშვნელობა ახალ კორონავირუსთან მიმართებაში. რა ინფორმაციას ფლობთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით?**

— გასულ თვეში პარიზში ახალი კორონავირუსით დაინფიცირებულ ონკოლოგიურ პაციენტებთან უახლესი კვლევა ჩატარდა. საფრანგეთის სტანდარტით, გარდა სხვა კვლევებისა, იმუნური სტატუსის შემოწმების დროს, აუცილებლად ისაზღვრება პაციენტის სისხლში **მელატონინის** დონე. აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, ონკოლოგიური პაციენტების სისხლში მელატონინის კონცენტრაცია მკვეთრად დაბალია, თუმცა, კვლევებით დადგინდა, რომ COVID 19-ით ინფიცირებულ პაციენტებში მელატონინის დონე **კრიტიკულად შემცირებული იყო.** კვლევის შედეგები დაიბეჭდა კანადაში ჟურნალ „მეცნიერებაში“. ონკოლოგიურ პაციენტებში კორონავირუსის აბსოლუტურად ყველა შემთხვევა უკიდურესად გართულდა! მნიშვნელობა არ ჰქონდა სიმსივნის სტადიას, ისე დამძიმდა მათი მდგომარეობა, რომ ბევრი შემთხვევა ლეტალურად დასრულდა. **კორონავირუსის ფონზე შეუძლებელი გახდა ანტისიმსივნური მკურნალობის გაგრძელება.** პარიზის სენტ ანტონისა და სორბონის უნივერსიტეტის ჰოსპიტალი, ასევე მათი სამეცნიერო ბაზა დღეისათვის ინფიცირებული პაციენტების მკურნალობაზე მუშაობს, რომელთაც ძილის წინ **მელატონინის** მათთვის საჭირო დოზას აძლევენ. შედეგები თვალსაჩინოდ დადებითია!

**— გარდა სიმსივნით დაავადებული პაციენტებისა, დანარჩენ ინფიცირებულებსაც მელატონინის ნაკლოვანება აღენიშნებათ და მათთანაც იგივეა მკურნალობის მექანიზმი?**

— მელატონინის დოზის შევსებას მოყვება იმუნური სტატუსის ამაღლება. შესაბამისად, ვირუსი აგრესიულად და გართულებებით მიმდინარეობს ყველა ინფიცირებულის ორგანიზმში. როგორც წესი, ყველა შემთხვევაში **მელატონინის** დონე უჩვეულოდ დაბალია. საფრანგეთმა მელატონინით მკურნალობა კორონავირუსის დროს ნაციონალურ პროტოკოლად დაამტკიცა, რაც ამ ეტაპზე არ გაიზიარეს სხვა ქვეყნებმა. ჯანდაცვის სხდომაზე აღნიშნული ინფორმაცია პირადად გავახმოვანე და ჩვენს ინფექციონისტებს მივაწოდე. დღეისათვის, რამდენადაც ვიცი, მელატონინს უკვე ჩვენთანაც იყენებენ ინფიცირებულთა სამკურნალოდ.

**— იქნებ განუმარტოთ მკითხველს, რა არის ჰორმონი მელატონინი?**

— **მელატონინი** გახლავთ ჰორმონი, რომელიც ძირითადად სიბნელეში ძილის დროს გამოიყოფა ჯალღუზისებრი სხეულის, ანუ ეპიფიზის მიერ. ის არის ბიოლოგიური საათის და იმუნური სისტემის ნორმალური ფუნქციონირების მთავარი ბიოლოგიური მამოძრავებელი ძალა. მელატონინი აკონტროლებს დღის დროს, მაგრამ ამავდროულად არის „ბიოლოგიური კალენდარი“ წელიწადის სხვადასხვა დროისათვის — ამბობს რენდი ნელსონი, დასავლეთ ვირჯინიის უნივერსიტეტის ენდოკრინოლოგი. **როდესაც ღამე არის გრძელი, უფრო მეტი მელატონინი გამოიყოფა.** ნელსონმა და მისმა თანამშრომლებმა ციმბირული ზაზუნების კვლევებში აჩვენეს, რომ ორგანიზმში შეყვანილი მელატონინი ახდენდა იმუნური აქტივობის მატებას 40 პროცენტით და მეტად.

**ფიზიოლოგიური ძილი (სიბნელეში) არის ორგანიზმის მელატონინით ბუნებრივად გამდიდრების გზა იმ ადამიანებში, ვისი ეპიფიზიც ნორმალურად ფუნქციონირებს.**

ფრანგი მკვლევარების მიერ შესწავლილი COVID 19-ით ინფიცირებული პაციენტების 96.7 პროცენტში მელატონინის კრიტიკულად დაბალი დონე აღინიშნებოდა.

**— რა იწვევს ჩვენს ორგანიზმში მელატონინის დონის დაქვეითებას?**

— სხვათაშორის, ამავე ფრანგი მკვლევარების მიერ დადგენილია მობილური ტელეფონების მავნე გავლენა მელატონინის სეკრეციაზე. ყველას, ვინც მობილურზე დღე-ღამეში ჯამურად 4 საათზე მეტს საუბრობს, სისხლში მელატონინის კონცენტრაცია ნორმაზე 4-ჯერ დაბალი აქვს. ამრიგად, ორგანიზმის ბიოლოგიური რიტმების ნორმალური ფუნქციონირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა იმუნური სისტემის ადეკვატური ფუნქციონირებისათვის ნებისმიერ ასაკში და **სანამ COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა გვექნება, აუცილებელია, ვიცხოვროთ ცხოვრების ჯანსაღი წესით, რაც უპირველესად, ძილის მოწესრიგებას გულისხმობს!**

რაც შეეხება ვაქცინის შექმნას, ეს ძალიან რთული პროცესი იქნება და მეეჭვება, რომ მოკლე დროში მოხერხდეს, ვინაიდან ამ ვირუსის პირველი სახეობის აღმოჩენიდან (1968 წ.) დღემდე ვერ შეიქმნა ვაქცინა. უფრო უნდა ველოდოთ ანტივირუსული პრეპარატის შექმნას კორონავირუსის წინააღმდეგ. **გაითვალისწინეთ, რომ ნორმალური ძილ-ღვიძილის ციკლი იმუნური სისტემის გაჯანსაღებაში მნიშვნელოვნად გვეხმარება!**

**— მსოფლიოში საუბრობენ იმ ფაქტზე, რომ ბავშვებს არ ურთულდებათ კორონავირუსი და ხშირ შემთხვევაში ინფექცია უსიმპტომოდ მიმდინარეობს. შეიძლება, ამისი მიზეზი ბავშვის ორგანიზმში მელატონინის მაღალი მაჩვენებლით იყოს გამოწვეული?**

— ბავშვის სისხლში რომ მელატონინის მაღალი კონცენტრაციაა, ამიტომაც არის პატარების იმუნური სისტემა ასეთი მედეგი. არსებობს იშვიათი გენეტიკური პათოლოგიები ბავშვებში, როცა დარღვეულია ძვლის ტვინის ფუნქცია და ლიმფოციტების მომწიფება ვერ ხერხდება. აქ მკურნალობის პირდაპირი მეთოდი გახლავთ ინტრავენურად **მელატონინის** საჭირო დოზით გადასხმა. შედეგად მელატონინის ინფუზიების ფონზე მათი იმუნიტეტი სრულფასოვნად ფორმირდება.

**— დაბოლოს, როგორ მივხვდეთ, რომ ჰორმონი მელატონინი გვაკლია და როგორ გამოვიმუშაოთ ის?**

— მელატონინის გამოსამუშავებლად ყველაზე კარგი მეთოდია ღამის ძილი სიბნელეში. თუმცა, ჩვენნაირ განვითარებად ქვეყნებში, სადაც ქრონიკული სტრესი მეფობს სხვადასხვა ეკონომიკური პრობლემების გამო, ეპიფიზს უკვე აღარ შეუძლია მელატონინის გამომუშავება. **სტრესი ეპიფიზის უჯრედებზე, ანუ ტვინის იმ ნაწილზე, სადაც მელატონინი წარმოიქმნება, მომაკვდინებელ ეფექტს ახდენს.** სტრესის გამო მკვეთრად ქვეითდება მელატონინის გამომუშავება.

**ორგანიზმში ამ ჰორმონის ნაკლებობას ახასიათებს შემდეგი სიმპტომები: ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება, ყურადღების გაფანტვა, კონცენტრაციის უნარის დაქვეითება, სტრესის დროს ნევის მომატება, კრუნჩხვითი მოვლენები ან ღებინების შეგრძნება.**

**ძალიან მნიშვნელოვანი სიმპტომია და მელატონინის ნაკლოვანებაზე მიუთითებს, როდესაც ადამიანს უმიზეზოდ ეღვიძება ღამის 2-დან 4 საათამდე ერთსა და იმავე დროს.** თუკი ეს სიმპტომები გეცნობათ, ივარაუდეთ, რომ თქვენს ორგანიზმს შველა სჭირდება. აუცილებლად უნდა გაიკეთოთ ანალიზი, განსაზღვროთ მელატონინის დონე და თუ ის დაბალია, აუცილებელია, მოხდეს მედიკამენტოზურად მისი დეფიციტის შევსება. წინააღმდეგ შემთხვევაში, **საბოლოოდ მელატონინის ნაკლებობა იმუნიტეტის დაქვეითებას იწვევს და შესაძლოა, ამან მიგვიყვანოს ისეთ სერიოზულ დაავადებებამდე, როგორიცაა სიმსივნე, ფსიქიკური აშლილობა, შაქრიანი დიაბეტი და არტერიული ჰიპერტენზია!**

*ესაუბრა*
***მეგი საჯაია***




## კვირგვინოსნები

**სვერბეკ ქობულია**
*გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი*



ზუგდიდის რაიონის ისტორიულ სოფელ რუხში, სადაც ჟიული შარტავა ზედიზედ 10 წელიწადი ქართველთა და აფხაზთა მეგობრობის დაუვიწყარ დღეებს ატარებდა, შაბათს, 28 მარტს ქვეყნის პრემიერმა გიორგი გახარიამ უნიკალური სამედიცინო ცენტრი ყოველგვარი ზარ-ზეიმის გარეშე გახსნა. **ეს სამედიცინო ცენტრი არამხოლოდ ქართველებს, არამედ აფხაზეთიდან გადმოსულ ჩვენს დებსა და ძმებსაც მოემსახურება.**

კორონავირუსით გათანგულ მსოფლიოში ენგურის პირას ამოზრდილი ეს ჰოსპიტალი საერთაშორისო მნიშვნელობის დიპლომატიური ნაბიჯია, რომლის მსგავსი აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას არ გადაუდგამს.

**ყოჩაღ, პრემიერო!**

**გიგლა ბარამიძე**
*„დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალური მდივანი*



**ბრწყინვალე აღდგომა მთავრობის სხდომა არ არის, გადადო ან კორექტირება მოახდინო! როგორც წმინდა სამების თვლა არ შეიძლება, გამორიცხულია ღმერთთან მისული ადამიანების გადათვლა!**

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**ნაციონალურმა მოძრაობამ და მისმა ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა მავნებლობას თავი დაანებოს, რაც ყველაზე დიდი დახმარება იქნება დღევანდელ მდგომარეობაში.**

„ინტერპრესნიუსი“



# უკრაინის მოქალაქე სააკაშვილი და ამერიკის მოქალაქე პუშოუ საქართველოს მოქალაქეთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს ემუქრებიან!



ზუგდიდში სააკაშვილის პირბადეების დარიგების ორგანიზატორი კრისტინა პუშოუ პატრულმა 15 ათასი ლარით დააჯარიმა



კელი დეგნანი

***მაშინ, როცა საქართველოში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული და შეკრება-მანიფესტაციის უფლება სპეციალური დეკრეტით არის შეზღუდული, ნაციონალურმა მოძრაობამ ზუგდიდის ცენტრალურ ბულვარში ხალხმრავლობა მოაწყო.***

საერთოდ, სააკაშვილის სექტას ბევრი ხალხის შეკრების თავი არცა აქვს და „გრანდიოზულ“ მიტინგებზე მთელი საქართველოს მასშტაბით 5 ათას კაცს ძლივს აგროვებს, მაგრამ ახლა, როცა კორონავირუსის ეპიდემიის პრევენციისათვის ერთ სივრცეში ათზე მეტი ადამიანის შეკრება აკრძალულია, ზუგდიდის ცენტრში გამართული ორასკაციანი თავყრილობა მაინც ხალხმრავლობად ითვლება.

თავყრილობა კი იმან გამოიწვია, რომ ნაცები, სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის ეგიდით, ერთჯერად პირბადეებსა და სადეზინფექციო ხსნარებს არიგებდნენ, აქაოდა, მოსახლეობას კორონავირუსისაგან თავის დაცვაში ვეხმარებითო.

თუმცა, **რომელ დახმარებაზეა საუბარი, როცა ნაცსექტანტებმა არამარტო საგანგებო მდგომარეობით დაწესებული სამართლებრივი ნორმები დაარღვიეს, არამედ ვირუსის ეპიდემიური აფეთქების პირდაპირი საფრთხე შექმნეს, რადგან ზუგდიდის ბულვარში სააკაშვილის იაფფასიან ძღვენს ბუზებივით მისეული ადამიანები ყველა იმ რეკომენდაციას არღვევდნენ, რომელსაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და ქართველი ექიმები პანდემიის პირობებში იძლევიან.**

ან კი როდის იყო სააკაშვილსა და მის სექტას ხალხის ბედი ადარდებდათ?

ერთადერთი, რაც ნაცებს ახლა, ამ ძნელბედობის ჟამს აინტერესებთ, ისევ და ისევ პოლიტიკური ქულების ჩაწერაა. **ხედავენ, რომ ხელისუფლება ეფექტიანად უმკლავდება მსოფლიო თავსატეხად ქცეულ კორონავირუსს, გრძნობენ, რომ საქართველოს მოსახლეობა კრიტიკულ მომენტში მთავრობას ნდობას უცხადებს და მის გარშემოა კონსოლიდირებული, გიჟდებიან, რომ საინფორმაციო ველიდან გაქრნენ და ამიტომაც მოიფიქრეს ეს იაფფასიანი ცირკი, ეს ნამდვილი საცოდაობა — „სააკაშვილი ზრუნავს ქართველ ხალხზე!“ იქნებ როგორმე დაბრუნდნენ პოლიტიკურ დღის წესრიგში, იქნებ როგორმე დაიკავონ საინფორმაციო ველი და ხალხს თავიანთი არსებობა შეახსენონ.**

ამ მავნებლურ სტრატეგიას **უკრაინის მოქალაქე სააკაშვილი,** სხვა შიკრიკებთან ერთად, ამერიკის მოქალაქე **კრისტინა პუშოუს** ხელითაც ახორციელებს. **შეხედეთ, როგორი ამბავია: უკრაინის მოქალაქე ამერიკის მოქალაქეს იყენებს იმისათვის, რომ საქართველოს დედა უტიროს.**

# პატივისცემით მივმართავთ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს, ქალბატონ კელი დეგნანს: აიძულეთ თქვენი მოქალაქე კრისტინა პუშოუ, პატივი სცეს საქართველოს კანონებს და თავი შეიკავოს ქართველი საზოგადოების დამაზიანებელი პროვოკაციებისაგან!

პუშოუს შესახებ ჩვენ არაერთხელ ვწერდით. იგი **სააკაშვილის არღნის ჩიტია,** რომელიც საქართველოში ბინადრობის უფლებით სარგებლობს და ნაციონალურ მოძრაობას ახალი ტიპის „კმარელების“ დატრენინგებაში ეხმარება. არასამთავრობო ორგანიზაციაც აქვს, რომელსაც „ახალი ლიდერების ინიციატივა“ ჰქვია და სწორედ ეს კანტორა იყო 26 მარტს ზუგდიდის ბულვარში მოწყობილი ბაკქანალიის ფორმალური ორგანიზატორი.

**პუშოუს ორგანიზაცია, რომელმაც საგანგებო მდგომარეობით დაწესებული დეკრეტი დაარღვია და ზუგდიდში 10 კაცზე მეტი შეკრიბა, სამართალდამცავებმა 15 ათასი ლარით დააჯარიმეს, საჯარიმო ქვითარი კი საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა პირადად სააკაშვილის პუშოუს გადასცეს, თუმცა, გონივრული ეჭვი გვაქვს, ეს სანქცია სულაც არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ ნაცპუშოუებმა პროვოკაციული შოუები კიდევ არ მოაწყონ.**

წესით, **ამერიკის მოქალაქე პუშოუს,** რომელმაც საგანგებო მდგომარეობით დადგენილი ნორმები თავხედურად დაარღვია და ქვეყანაში კორონავირუსის ეპიდაფეთქების პირდაპირი საფრთხე შექმნა, ხელისუფლებამ საქართველოში ბინადრობის უფლება უნდა ჩამოართვას!

აქვე გვსურს, პატივისცემით მივმართოთ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს, **ქალბატონ კელი დეგნანს: აიძულეთ თქვენი მოქალაქე კრისტინა პუშოუ, პატივი სცეს საქართველოს კანონებს და თავი შეიკავოს ქართველი საზოგადოების დამაზიანებელი პროვოკაციებისაგან!**

**და კიდევ:** ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის დროს მოქმედი დეკრეტის შესაბამისად, სახელმწიფოს 3-3 ათასი ლარით უნდა დაეჯარიმებინა ყველა ის ფიზიკური პირი, რომელმაც დაწესებული შეზღუდვა დაარღვია და ზუგდიდის ბულვარში სააკაშვილის ძღვენს დაესია, თუმცა, საქართველოს ხელისუფლებამ, ამ ისედაც მძიმე დროს მოქალაქეების დაჯარიმებისაგან თავი შეიკავა.

**როგორც ჩემი ზუგდიდელი მეგობრებისაგან ვიცი, სააკაშვილის 20-თეთრიან პირბადეებს დახარბებულ ორასიოდე მოქალაქეს შორის დიდი უმრავლესობა ნაცმოძრაობის პარტიული აქტივისტი და კოორდინატორი იყო, თუმცა, მათმა საქციელმა ჩირქი მთელ ზუგდიდსა და სამეგრელოს მოსცხო.**

# ამერიკის მოქალაქე პუშოუს, რომელმაც საგანგებო მდგომარეობით დადგენილი ნორმები თავხედურად დაარღვია და ქვეყანაში კორონავირუსის ეპიდაფეთქების პირდაპირი საფრთხე შექმნა, ხელისუფლებამ საქართველოში ბინადრობის უფლება უნდა ჩამოართვას!

## კვირგვინოსნები

**გიორგი გაჩეჩილაძე**
*პარლამენტარი*



ვაშაძე ასწავლის იმ ადამიანებს, როგორ უნდა მოიქცნენ, რომლებიც ამ ქვეყანაზე გადაგებული არიან, ცდილობენ, როგორმე შეაჩერონ პროცესი. **ვაშაძე, რომელიც რამდენიმე თვის წინათ აცხადებდა, მომაკვდავ და ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანებს სახელმწიფო რომ აფინანსებს, შავ ხვრელში გადაყრილი ფულიაო. ე. ი. ისინი არ უნდა დავაფინანსოთ, დაიხოცონო.**

„ახალი თაობა“

**გიორგი ვაშაძე**
*„ახალი საქართველოს“ ლიდერი*



**ხელისუფლებამ ცელი გამოუსვა სამუშაო ადგილებს და ხალხი დატოვა, ფაქტობრივად, მშიერი. აგრესიული ტესტირება არის სამხრეთ კორეის გზა, თუმცა, არსებობს იტალიის გზაც და ღმერთმა დაგვიფაროს იტალიის გზისგან. სამწუხაროდ, იტალიის გზას უფრო ვადგავართ.**

„ახალი თაობა“

**მაიკლ გარფორდი**
*ბრიტანელი ექსპერტი*



**ბრავო საქართველოს მთავრობას კორონავირუსთან ბრძოლაში! ჩემში, როგორც საქართველოში მცხოვრებ ბრიტანელში, დიდ აღტაცებას იწვევს ის, თუ როგორ უმკლავდებიან საქართველოს მთავრობა და სამედიცინო უწყებები კორონავირუსის საფრთხეს.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ვახტანგ მაისაია**
*ანალიტიკოსი*



სააკაშვილი და მერაბიშვილი, ფაქტობრივად, თამაშობენ ერთსა და იმავე თამაშს, ისინი არიან კრემლის ფავორიტები. **ის, რომ მერაბიშვილი ბელარუსის ჩეკისტების მეშვეობით გადიოდა რუსულ ძალოვან ფიგურებზე, დამტკიცებული ფაქტია.** სააკაშვილი ახლა გავიდა კრემლის ლიბერალურ ფრთაზე და მიშუსტინის დაჯგუფების მფარველობის ქვეშაა.

„საქართველოს რესპუბლიკა“



2020 წლის 26 მარტი – ნაციონალური მოძრაობა სააკაშვილის სახელით ზუგდიდის ბულვარში პირბადეებს არიგებს

# ვინ ვართ ჩვენ – ცოტნე დადიანის ხალხი ვართ თუ ჯოლორია დგებიას ხალხი ვართ?

სოციალურ ქსელში უამრავი ადამიანი წერს, რომ ზუგდიდელებს შეგნება და კულტურა არ ეყოთ, მთელი ქვეყანა კორონავირუსის ეპიდაფეთქების საფრთხის წინაშე არ დაეყენებინათ, რომ სამეგრელოს არაფერი ეშველა და ისევ ნაცების ბუდედ რჩება, რომ მეგრელები სააკაშვილის დაბრუნებაზე ოცნებობენ და ა.შ.

ზოგი ამას გულისტკივილით წერს, ზოგიც — ნიშნისმოგებით და ზოგსაც სამეგრელოსა და მეგრელების მიმართ არაკეთილგანწყობა ეტყობა. რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილგანწყობა.

**სწორედ ამიტომ მე, როგორც ზუგდიდელი, როგორც ჩემს ქალაქსა და მშობლიურ კუთხეზე უზომოდ შეყვარებული ერთი ქართველი, თავს უფლებას მივცემ და აუცილებლადაც ვთვლი, რომ მივმართო იმ ადამიანებს, რომლებიც 26 მარტს ზუგდიდში ნაცების მდაბიო შოუს აჰყვნენ და, ნებსით თუ უნებლიეთ, საფრთხის წინაშე დააყენეს არამხოლოდ თავიანთი, არამედ მთელი საზოგადოების ჯანმრთელობა და სიცოცხლე.**

ჰო, განურჩევლად იმისა, არიან თუ არა ნაცმოძრაობის აქტივისტები და სააკაშვილის სექტის წევრები, **მე, ზუგდიდელი, სამეგრელოს შვილი, მათი თვისტომი,** ქრისტესმიერი სიყვარულით მივმართავ, ვეკითხები და ვეუბნები ამ ადამიანებს:

**ჩვენ, როგორც ყველა ხალხს, ყველა კუთხესა და ყველა ქალაქს დედამიწის ზურგზე, ჩვენი ნათელი და ბნელი მხარეები გვაქვს.**

ჩვენი ისტორია საამაყო და სამარცხვინო ფურცლებისაგან შედგება.

საამაყო ფურცლები უფრო მეტი რომ არ გვქონდეს, აქამდე ვერც მოვატანდით, მაგრამ სამარცხვინო ფურცლებიც ურევია ჩვენს ისტორიულ ავტობიოგრაფიას.

**ცოტნე დადიანიც გვყავდა და ჯოლორია დგებიაც ჩვენი იყო.**

## თვისტომის გულისათვის საჯალათე კუნძზე თავის დამდები ხალხიც ვიყავით, ტანზე თაფლის წამსმელი და თაკარა მზეზე ხელებშეკრულ თანამოძმეთა შორის დამჯდომი ხალხი, მაგრამ თანამოძმისათვის, მეზობლისათვის, ნათესავისათვის მცირეწლოვანი შვილების მომპარავი და ოსმალოზე გამყიდველი ხალხიც ჩვენ ვიყავით.

კი, **ცოტნე დადიანი** ანისში მონღოლთა ნოინთან რომ საკუთარი ფეხით ჩადიოდა და მოძმეთა გამოსახსნელად საკუთარ სიცოცხლეს სასწორზე აგდებდა, **ჯოლორია დგებია,** ის მართლა ძაღლის გაგდებული, პატარა მეგრელ გოგო-ბიჭებს იპარავდა და ოსმალებზე ყიდდა. თავადი იყო და საკუთარი ყმების შვილებიც ბევრი გაუყიდია.

**ჰოდა, ვინ ვართ ჩვენ — ცოტნე დადიანის ხალხი ვართ თუ ჯოლორია დგებიას ხალხი ვართ?**

**გმირ დადიანს ვემემკვიდრებით თუ ძაღლთაპირ დგებიას?**

**ვინ ვართ ჩვენ — საქართველოს პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას ბოლომდე რომ ვუერთგულეთ და ამის გამო ჯვარს რომ ვეცვით, ის ხალხი ვართ?**

იმ სამეგრელოს მკვიდრი შვილები ვართ, სადაც ოჯახი არ დარჩენილა, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას შეწირული ვაჟკაცის კუბო არ მდგარიყო და აივნების ბოძებზე შავი სატინის სამგლოვიარო არშიებს არ ეფრიალა?

**თუ ის ხალხი ვართ, რომელმაც სააკაშვილის რეჟიმის მიერ ღირსების აყრა და სულში ჩაფურთხება მოითმინა, ჩვენს მიწაზე საწამებელი ბუნაგების მოწყობა და ქართველი კაცების, მეგრელი ბიჭების გაუპატიურება აიტანა?**

## რომელი ხალხი ვართ ჩვენ – ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ხალხი თუ მეგის ქარდავასა და კოხტა კოდუას ხალხი ვართ?

კარგად დავფიქრდეთ ამაზე. საკუთარ სულში ჩავიხედოთ და საკუთარ სინდისს ვკითხოთ, რომელიც აუცილებლად მართალ პასუხს გაგვცემს.

*ჯაბა ხუბუა*



# გიორგი გურგულია: რაღაც მიზანი რომ ამოძრავებთ, ცხადია!

***„ვირუსის გადადების შიშს შიმშილის შიშიც თუ დაემატა, უმართავი პროცესები დაიწყება“, — ამბობს მსახიობი გიორგი გურგულია და საკუთარ მოსაზრებას გვთავაზობს:***



— გადამდები ვირუსის შიში გასაგებია, მაგრამ **საკითხავი ის არის, ხალხი რამდენ ხანს უნდა იყოს იზოლირებული.** სახლში თუ ჩაიკეტე და უმუშევარი დარჩი, არც შემოსავალი გექნება და, შესაბამისად, დაიწყება ფინანსური კრიზისი. მიუხედავად იმისა, რომ მექსიკა და ბრიტანეთი ღარიბი ქვეყნები არ არიან, ხალხს სახლში საკვები რომ გამოელია, გარეთ გამოვიდა, მაღაზიების დარბევა და ძარცვა დაიწყო. და რადგან ამ ქვეყნებში ეს გაბედეს, ცხადია, საქართველო გამონაკლისი არ იქნება.

**— ჯერჯერობით სიტუაცია სტაბილურია...**

— ხალხი როდემდე გაძლებს უხელფასოდ და უმუშევრად?! ხვალ და ზეგ, როცა პროდუქტი გაუთავდებათ, რას იზამენ? უმუშევრების ტალღას ვინ შეაჩერებს? კრიზისი აუცილებლად გამოიწვევს მღელვარებას, ხოლო მღელვარება — არეულობას. პანიკის მსუბუქი ტალღის შემოტევა უკვე ვნახეთ, ვისაც ფული ჰქონდა, დაიწყეს ტუალეტის ქაღალდებისა და პროდუქტების დატაცება — ზოგმა ოჯახისათვის მოიმარაგა, ზოგმა — შემდგომი რეალიზაციის მიზნით. საერთო ჯამში კი, ხალხი დაბნეულია. მეც გაჩერებული ვარ — კინო გაჩერდა, სპექტაკლებიც, ხალხის თავშეყრა აიკრძალა, მაღაზიებსა და ბანკებში რიგებია. დოლარები გაიტანეს, ლარი გაუფასურდა, დღეს თუ დოლარი 3 ლარი და 50 თეთრი ღირს, ხვალ შეიძლება, 5 ლარი გახდეს.

**— თვლით, რომ 90-იანი წლების კრიზისი ბრუნდება?**

— 90-იანი წლებისა რა გითხრათ, მაგრამ, თუ არ გადავიხადეთ, არც დენი გვექნება, არც გაზი და ისევ უშუქობაში დავბრუნდებით. **არ ვიცი, ეს კრიზისი სპეციალურად შექმნეს მსოფლიოში, თუ რა ხდება, მაგრამ ვიღაც რომ გვაკვირდება, კარგად ჩანს.** მაგალითად, გაამართლებს თუ არა ონლაინ სწავლება და სკოლების უგულებელყოფა... დაიწყეს ადამიანების დაჩიპვაც — აქაოდა, ხელს შეუწყობს დაავადებაზე სწრაფ რეაგირებასო... ესე იგი, გამძაფრდება ხალხის კონტროლი. ისე კი, დრო გვაჩვენებს, ყოველივე ამის უკან რა იმალება. რაღაც მიზანი რომ ამოძრავებთ, ცხადია!

**— ჩინეთმა უკვე გადალახა კრიზისი, იმედია, მალე დასრულდება ამ საშინელებით გამოწვეული არეულობა...**

— როგორც აღმოჩნდა, ვირუსმა ჩინეთის საქმე ბევრად უფრო წინ წასწია, ფინანსური პრობლემები მოუგვარა. კარგად მახსოვს, როგორ ნადგურდებოდა მსოფლიო ბაზარზე მათი აქციები და ახლა საკმაოდ დაბალ ფასში დაიბრუნეს. **ნუთუ სპეციალურად გამოყვანილი ვირუსია, რომლითაც მსოფლიო სპეცოპერაცია ჩაატარეს?** ისე, ჩვენნაირ გაჭირვებულ ქვეყანას რა ეშველება, არ ვიცი...

**— საარჩევნო წელია არა მარტო ჩვენთვის, არამედ ჩვენი პარტნიორი ამერიკისთვისაც...**

— იქ გლობალისტები დონალდ ტრამპს ებრძვიან. ებრძვიან ინდივიდებს, ასაკში შესულ ადამიანებს, ტაძს უკრავენ ერთნაირსქესიანთა ქორწინებას და ამას ითხოვენ ჩვენგანაც. სამყაროს უყურებენ როგორც მატერიალურ ქმნილებას და საერთოდ გამორიცხავენ ღვთაებრივ საწყისს. ფიქრობენ, მედიცინა თუ წინ წავიდა, ხალხიც გამრავლდება და საკვების დეფიციტი შეიქმნება. ამიტომაც ურჩევნიათ მოსახლეობის დახოცვა. ხომ ხედავთ, როგორ უტევენ მართლმადიდებლობასაც.

**— დიახ, ეკლესიის დახურვას მოითხოვენ...**

— პირდაპირ მართლმადიდებლობას ებრძვიან. ამერიკელ კონგრესმენს **რენდი ვებერს** მაინც მოუსმინონ, რომელმაც ღმერთს მიმართა: **„ღმერთო, გვაპატიე ცოდვები, დაგვეხმარე, დავბრუნდეთ შენს წიაღში და კვლავ შენს გზას დავადგეთ. კურთხეულია ერი, რომელსაც ღმერთი ჰყავს“.** ამ კაცმა ბოდიში მოიხადა, ეკლესიიდან და სკოლებიდან ღმერთს ვდევნიდითო. ამათი მიბაძვით ჩვენთანაც ხომ ამოიღეს სკოლებიდან რელიგიის ისტორიის სწავლება, სააკაშვილის დროს სკოლებს მიმაგრებული საეკლესიო პირები მანდატურებით შეცვალეს, ღმერთს ებრძოდნენ და ახლაც უნდათ ეკლესიებში წირვა-ლოცვის მოშლა. არ გამოუვათ. შავმა ჭირმა მსოფლიოში 180 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ ეკლესიებში მსახურება არ შეწყვეტილა. სწორედ გაჭირვების დროს უნდა ილოცოს ადამიანმა.

**— აღდგომის დღესასწაულზე იერუსალიმში მთავარი ტაძრის კარი არ დაიკეტება...**

— გლობალისტებს ოცნება არ შეუსრულდებათ. როგორც ჩანს, რაღაც ეტაპი მოდის, სამყარო იცვლება.... ერთი რამ რეალურია, მსოფლიო ფინანსურ კრიზისს შეიძლება, მოჰყვეს ომები. კიდევ კარგი, ბავშვებს ვერ ერევა ეს ვირუსი...

**— ნაციონალურმა მოძრაობამ ზუგდიდში ნიღბები დაარიგა და ყველა წესის დარღვევით, ხალხი შეაქუჩა...**

— ეს საარჩევნო ხრიკია და მეტი არაფერი. რეალურად კი საქმეს ექიმები აკეთებენ, მადლობა მათ, რომ ძალისხმევას არ აკლებენ ვირუსთან ბრძოლას და მთავრობას, რომ თანხებს არ იშურებს და ძალების მობილიზებას ახდენს!

*ესაუბრა* ***ქეთევან ხამიცაშვილი***



**თენგიზ ცერცვაძე**
*ინფექციური საავადმყოფოს გენერალური დირექტორი*



**„რემდესივირი“** ებოლას სამკურნალოდ შექმნეს, მაგრამ ეს ვირუსი ვერ დაამარცხა. ახლა მას კორონავირუსის სამკურნალოდ ცდიან.

**„რემდესივირი“ თუ არ განკურნავს, ხელს უწყობს კორონავირუსული ინფექციის შერბილებასა და ლეტალობის შემცირებას.**

ჩვენმა სამინისტრომ და მთავრობამ მიმართა კომპანია „გილიადს“ თხოვნით, რომ გაითვალისწინოს განსაკუთრებული ურთიერთობა საქართველოსა და „გილიადს“ შორის და როცა ამ პრეპარატს აშშ ვინმეს მისცემს, მათ შორის საქართველო ერთ-ერთი პირველი იყოს.

„კვირის პალიტრა“

**ტარიელ ხარხელაური**
*პოეტი*



მადლიერების გრძნობით გიორგი გახარიას:

**ყოველი ნერვით საქართველო უნდა გტკიოდეს, თავი გადადო, მსახურება თუ დაივალე... გვირგვინი მეფის თავზე ედგა თორმეტ გიორგის, იმათთაგანაც ერთი იყო მხოლოდ ბრწყინვალე.**

**გია გაბრიჭიძე**
*ჟურნალისტი*



**შეგიძლია,** ბიუჯეტიდან მოიპარო 50 მილიონი და შენ არა თაღლითად, არამედ პოლიტპატიმრად შეგრაცხავენ.

**შეგიძლია,** ჩაიდინო უამრავი სისხლის სამართლის დანაშაული, გაიქცე ქვეყნიდან და შენ ისევ პოლიტიკური ლიდერი იქნები.

**შეგიძლია,** განაცხადო, რომ „დაზარალებული ეკონომიკა ოპოზიციას გვაწყობს“ და შენ არა საბოტაჟის და დივერსიის მომწყობი, არამედ ოპოზიციური სპექტრის მაღალი ეშელონის წარმომადგენლად დარჩები.

**უკაცრავად, მაგრამ ამ ყველაფრის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას სახელმწიფობრივი ნება სჭირდება. მე ჩემი კლავიატურით ამას ვერ მოვახერხებ.**

„ალია“

***2020 წლის 24 თებერვალს, ორი დღით ადრე, ვიდრე საქართველოში ახალი კორონავირუსით ინფიცირების პირველი შემთხვევა დაფიქსირდებოდა, ცნობილმა ქართველმა წინასწარმეტყველმა ლელა კაკულიამ ინტერნეტში გავრცელებულ ვიდეოში განაცხადა:***



# ლელა კაკულია:

# ვხედავ, ვირუსი უკან იხევს!

*„ეს ვირუსი საქართველოსთვის საშიში არ არის და ვერც იქნება. მომავალშიც მოსალოდნელია ვირუსების მთელი სერიალი, მაგრამ სასიკვდილო დარტყმები საქართველოს გვერდს აუვლის და ამ ვირუსებიდან ისე, როგორც პოლიტიკური სირთულეებიდან, გამოძვრებით“.*

***აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით ყველაფერი ისე მიმდინარეობს, როგორც ამა წლის 24 თებერვალს ლელა კაკულიამ თქვა*** *— საქართველო კორონავირუსის პანდემიას ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებზე უკეთ უმკლავდება და უჩინარი სენი, რომელმაც მთელი მსოფლიო დააჩოქა, ჩვენს ქვეყანაში ფრთებს ფართოდ ვერ შლის. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ სახელმწიფოებს შორის, სადაც კორონავირუსია გავრცელებული, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ჯერ COVID-19-ით ინფიცირებული არცერთი პაციენტი არ გარდაცვლილა, გამოჯანმრთელებულთა რიცხვი კი ყოველდღიურად მატულობს.*

*იმედია, ამ პოზიტიურ ტენდენციას ბოლომდე შევინარჩუნებთ და დედამიწის თავსატეხად ქცეულ ვირუსს რაც შეიძლება ნაკლები ადამიანური დანაკარგით დავაღწევთ თავს, ქალბატონი ლელა კაკულია კი* ***ჯერ კიდევ 1992 წლის 22 მარტს*** *წინასწარმეტყველებდა:*

***„მსოფლიოში შემოდის ავადმყოფობის რთული ბაცილა. ინფექციური. წამალი არ არსებობს. გაწყვეტით ემუქრება ნახევარზე მეტს პლანეტაზე. კოსმოსში ფრენები შეწყდება ერთი დიდი პერიოდი“.***

*როგორც ვხედავთ, დღეს სწორედ ასე ხდება: მსოფლიოში ახალი კორონავირუსის ბაცილა გავრცელდა, რომლის წამალიც ჯერ არ არსებობს. ჩინეთში, იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველდღიურად ასობით ადამიანი იხოცება. საზღვრები ჩაკეტილია, ფრენები შეწყვეტილია და დედამიწის მოსახლეობის დიდი ნაწილი კარანტინისა თუ თვითიზოლაციის რეჟიმში ცხოვრობს.*

***2010 წელს გამოცემულ ლელა კაკულიას წიგნში „ახალი სიტყვა“ შესულია მისი წინასწარმეტყველება, რომელიც 2009 წლის 5 ნოემბრით თარიღდება და რომელშიც ვკითხულობთ:***

*„ვხედავთ, მსოფლიო ძალიან აფორიაქდება იმ ქიმიური მოწამვლებით, რასაც არქმევენ ღორის გრიპს, ქათმის გრიპს და ასე შემდეგ. ვხედავთ, ეს არის ბაქტერიული — ქიმიური ომი! დიახ, ეს ასეა. მალე ყველა ამაზე კი არ ალაპარაკდება, არამედ აყვირდება, იმიტომ, რომ ეს ვირუსები ყველგან ვრცელდება, ყველგან შეაღწევს და ამას ვერავინ შეაჩერებს. გასულ საუკუნეებში ადამიანებს „შავი ჭირისა“ ეშინოდათ და ბევრიც დაიღუპა. ახლაც იგივე მეორდება, ოღონდ, სხვა სახით გვევლინება ეს შავი ჭირი, რომელსაც თვითონ ადამიანები ქმნიან ლაბორატორიებში! ჰოდა, საკუთარი ხელით შექმნილ ჭირს კოსმოსი საკუთარ სახლსა და ქვეყანაში შეუბრუნებს შემქმნელებს. ეს ასეა ასი პროცენტით. საქართველოს ამ ქიმიური ნივთიერებებით ვერ გაწყვეტს მტერი. პირიქით, ჩემი საქართველო გადარჩება. კოსმოსი ნიღაბს ჩამოხსნის იმ ქვეყანას, რომელიც აწარმოებს ქიმიურ ომს. ვხედავთ, აქ რუსეთისა და ირანის სახელმწიფო დასახელდება მომავალში.*

*ჩინეთი აღმოჩნდება განსაკუთრებით დიდი დარტყმის ქვეშ. იქნება დიდი სიკვდილიანობა და ამაზე ყოველდღე ილაპარაკებენ“.*

***ლელა კაკულია 10 წლის წინანდელ წინასწარმეტყველებაშიც ამბობს, რომ ვირუსსა და ბაქტერიას, რომელსაც იგი ქიმიური ომის იარაღად განიხილავს, საქართველო ყველაზე უკეთ გაუმკლავდება:***

*„საქართველო ყველაზე უკეთესად გადაიტანს ამ შემოტევას! კავკასიონის მწვერვალები იცავს საქართველოს. რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, საქართველოს ტერიტორია ქიმიური ომისთვის მიუწვდომელია და ამიტომ ბაქტერიების გამრავლებას არ ვხედავთ“.*

დღეს ხომ მთელი საქართველო ემადლიერება და ტაშს უკრავს ქართველ ექიმებს, მაღალი დონის ეპიდემიოლოგებსა და იმუნოლოგებს — **თენგიზ ცერცვაძეს, ამირან გამყრელიძეს, პაატა იმნაძეს, მარინა ეზუგბაიას, მარინა ენდელაძესა** და სხვებს, რომლებიც კორონავირუსთან ომის წინა ხაზზე თავდადებულად და წარმატებულად იბრძვიან, ლელა კაკულიას 2009 წლის 5 ნოემბრის წინასწარმეტყველება კი ასე მთავრდება:

*„დიდი ცვლილებები მოხდება ქართულ მედიცინაში და ეს ნამდვილი ცვლილებებია. პროფესიონალები იმარჯვებენ. ამინ“.*

***და კიდევ: ინტერნეტში ერთობ რეზონანსულია ვიდეოფრაგმენტი ტელეკომპანია „კავკასიის ეთერში“ 2013 წელს გასული გადაცემიდან, რომელშიც ლელა კაკულია ამბობს:***

*„ახალი დაავადება ვიწინასწარმეტყველე — ნახევარზე მეტს პლანეტაზე გაწყვიტავს-მეთქი. არის ეს დაავადება,* ***კორონა თუ რაღაც*** *ჰქვია. ამერიკელებმა მკითხეს და ვუპასუხე, რომ წამალს ჯერ ვერ აკეთებენ ვერაფრით“.*

***როგორც ხედავთ, ლელა კაკულიამ, ჯერ კიდევ 7 წლის წინათ, იმ დაავადების სახელიც კი ზუსტად თქვა, რომელიც დღეს მართლაც ნახევარ პლანეტას გაწყვეტას უქადის, მსოფლიო მედიცინას კი მისი დასამარცხებელი პრეპარატი თუ ვაქცინა ჯერაც ვერ შეუქმნია.***

***ქართველი წინასწარმეტყველი ლელა კაკულია დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია და ქართველ ხალხს „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან მიმართავს:***

— ჯერ კიდევ 1993 წლიდან მოყოლებული, რამდენჯერმე ვიწინასწარმეტყველე, რომ უცნობი ვირუსი პლანეტის მოსახლეობის ნახევარზე მეტს გაწყვეტდა. ეს ვირუსი მრავალჯერად მუტაციას განიცდის და ძალიან საშიშია, რადგან ექიმებსაც ვერ გაუაზრებიათ, რასთან აქვთ საქმე. წამალი არ არსებობს.

ასევე 1993 წელს ვიწინასწარმეტყველე და ხალხი გავაფრთხილე: **ადამიანებო, ბუნება არ გაპატიებთ მისდამი ასეთ უდიერ მოპყრობას, გაუფრთხილდით მის უდიდებულესობა ბუნებას, თორემ, ვხედავ ტაიფუნებს, მიწისძვრებს, ნგრევას, ვულკანების ამოფრქვევას იქ, სადაც არავინ ელის და ა.შ.**

**— მიგაჩნიათ, რომ კორონავირუსის პანდემია, რომელმაც მთელი მსოფლიოს ყოფა შეცვლა, ბუნებისადმი ადამიანების უდიერი დამოკიდებულების შედეგია?**

— ფაქტია, რომ დღეს დედამიწამ ტაიმ-აუტი აიღო და ჩერდება. როგორც ადრინდელ წინასწარმეტყველებაში მიწერია, კაცობრიობა უფლის საცერით იცრება, ჭუჭყი და ნეგატივი გაედინება, სისუფთავე და პოზიტივი კი დარჩება. აქ ადამიანის ყოველი ქმედება უძლურია, რადგან მოსახდენი უნდა მოხდეს და აუცილებლად მოხდება კიდეც.

**— ძველ წინასწარმეტყველებებში ამბობთ, რომ დიდ განსაცდელს, რომელიც მთელ მსოფლიოს დაატყდება თავს, საქართველო ყველაზე უკეთესად გადაიტანს. დღეს სწორედ ეს დრო და მომენტი გვიდგას?**

— დიახ, ნაწინასწარმეტყველები მაქვს: როცა მსოფლიოში ყველაფერი აირევა, საქართველო ყველაზე რთული ვითარებიდან გამოძვრება და ქართველები გადავრჩებით! დიახ, საქართველო გა-დარ-ჩე-ბა!

**— გადარჩენა ერთია, მაგრამ კორონავირუსთან ბრძოლაში გვექნება თუ არა მძიმე დანაკარგები?**

— მძიმე დანაკარგები ნამდვილად არ გვექნება, პირიქით, წინ წავალთ. საქართველოს ვხედავ, როგორც ძლიერ, დემოკრატიულ, ნამდვილ ევროპულ ქვეყანას, რომელიც ნატო-შიც შევა. ვხედავ, შავ ზღვაზე ქართული დროშა ფრიალებს, ნატოს ხომალდებს ვხედავ და საქართველო იქნება ძალიან დაცული ქვეყანა.

**ასე რომ, ქართველებო, იყავით მედგარნი, ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ერი და სახელმწიფო ვიქნებით! ეს იმედიანი სიტყვები არ არის, ეს არის წინასწარმეტყველება, რომელიც აუცილებლად ასრულდება!**

**— ე.ი. ფიქრობთ, რომ ახალი კორონავირუსი, რომელიც დედამიწას თავს დაატყდა, სწორედ ის განსაცდელია, რომელიც თქვენ წლების წინათ იწინასწარმეტყველეთ?**

— დიახ, ჩემი ყველა წინასწარმეტყველება სრულდება და, მათ შორის, ესეც! მე ვიწინასწარმეტყველე რუსეთ-უკრაინის ომიც, იაპონიაში ატომური გაჟონვებიც და სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებაც... ეს ყველაფერი ზედმიწევნით ახდა, ახლა კი ვწინასწარმეტყველებ: **კორონავირუსის გამო რუსეთს ძალიან გაუჭირდება და მძიმე დღეში აღმოჩნდება. რუსეთი, ამერიკა, ჩინეთი, ირანი და ევროპა ერთმანეთს დაერევიან, მაგრამ საქართველოს არაფერი ემუქრება, ჩვენს ქვეყანას ყველა უბედურება გვერდს აუვლის.**

ახალი სიტყვა — ეს არის კოსმოსიდან წამოღებული დიდი ენერგია და მე დამეკისრა მისია, რომ ვამცნო ხალხს ეს ყოველივე.

**— და მაინც, როდის დამთავრდება კორონავირუსის პანდემია — ერთ თვეში, ერთ წელიწადში, უფრო ადრე თუ უფრო გვიან?**

— კონკრეტულ დროს თუ მეკითხებით, კოსმიურ ველში დრო არ არსებობს და ეს არც არის მთავარი, რადგან საქართველოსთვის ყველაფერი დადებითად დამთავრდება. ვხედავ, ვირუსი უკან იხევს! მშვიდდება ჩვენი ქვეყანა! ყველაზე კარგად და სწრაფად საქართველო მოერევა ამ ვირუსს! **შემიძლია, გითხრათ, რომ საქართველო უკვე გადარჩა!**

რასაც ვხედავ და ვამბობ, ყოველთვის ყველაფერი მილიარდი პროცენტით სრულდება. ერთადერთი ადამიანი დავრჩი მსოფლიოში, ვინც იცის, რა მოხდება და ყველა კითხვაზე პასუხი მაქვს.

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

---

ლელა კაკულია 2010

## 2009 წელი, 5 ნოემბერი, ხუთშაბათი, თბილისი.

ვხედავთ, მსოფლიო ძალიან აფორიაქდება იმ ქიმიური მოწამვლებით, რასაც არქმევენ ღორის გრიპს, ქათმის გრიპს და ასე შემდეგ! ვხედავთ, ეს არის ბაქტერიული — ქიმიური ომი! დიახ, ეს ასეა. მალე ყველა ამაზე კი არ ალაპარაკდება, არამედ აყვირდება, იმიტომ, რომ ეს ვირუსები ყველგან ვრცელდება, ყველგან შეაღწევს და ამას ვერავინ შეაჩერებს. გასულ საუკუნეებში ადამიანებს „შავი ჭირისა" ეშინოდათ და ბევრიც დაიღუპა. ახლაც იგივე მეორდება, ოღონდ სხვა სახით გვევლინება ეს შავი ჭირი, რომელსაც თვითონ ადამიანები ქმნიან ლაბორატორიებში! ჰოდა, საკუთარი ხელით შექმნილ ჭირს კოსმოსი საკუთარ სახლსა და ქვეყანაში შეუბრუნებს შემქმნელებს. ეს ასეა ასი პროცენტით. საქართველოს ამ ქიმიური ნივთიერებებით ვერ გაწყვეტს მტერი. პირიქით, ჩემი საქართველო გადარჩება. კოსმოსი ნიღაბს ჩამოხსნის იმ ქვეყანას, რომელიც აწარმოებს ქიმიურ ომს. ვხედავთ, აქ რუსეთისა და ირანის სახელმწიფო დასახელდება მომავალში.

ჩინეთი აღმოჩნდება განსაკუთრებით დიდი დარტყმის ქვეშ. იქნება დიდი სიკვდილიანობა და ამაზე ყოველდღე ილაპარაკებენ. ასევე მოულოდნელი აფეთქება იქნება ვირუსებისა მოსკოვში. მათ არც საზღვრების ჩაკეტვა უშველით და არც სხვა არაფერი. დიახ, ეს ქიმიური მომწამლავი ნივთიერებები იმაზე მეტად სერიოზულ დარტყმას წარმოადგენს მსოფლიოში, ვიდრე წარმოგიდგენიათ.

წინასწარმეტყველება სრულდება. მე ადრე აღვნიშნე, რომ რუსეთი ბაქტერიოლოგიურ-ქიმიურ ომს გამოგვიცხადებდა, მაგრამ ვხედავდით და ახლაც ვხედავთ, რომ არაფერიც არ გამოუვათ. საქართველო ყველაზე უკეთესად გადაიტანს ამ შემოტევას! კავკასიონის მწვერვალები იცავს საქართველოს. რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, საქართველოს ტერიტორია ქიმიური ომისთვის მიუწვდომელია და ამიტომ ბაქტერიების გამრავლებას არ ვხედავთ! წარმოუდგენელია, მაგრამ ბაქტერიები გაშლილ სივრცეში, ტრამალებში უფრო ვრცელდება, ვიდრე მთიან ადგილებში. და საერთოდ, საქართველოს არ აწერია ამოწყვეტა და გადაშენება. ამას ყველა იხილავთ!!!

---

## კვირგვინოსნები

**კელი დეგნანი**
*ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში*



ამერიკის საელჩოში განსაკუთრებით მადლიერები ვართ საქართველოს მთავრობის, მათ შორის, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის, მათი პროაქტიური ძალისხმევისთვის. **პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი, თითქმის ყველა სამინისტრო, პარლამენტი და მუნიციპალიტეტები ძალისხმევას არ იშურებენ, რომ შეაკავონ COVID-19 ვირუსის გავრცელება და მინიმუმამდე დაიყვანონ მის მიერ გამოწვეული ზიანი.**

„ინტერპრესნიუსი“

**თომას დე ვაალი**
*კარნეგის ფონდის ანალიტიკოსი*



**ყოჩაღ, საქართველო, სწორი მიდგომისთვის. ალბათ, ეს განპირობებულია სამედიცინო მუშაკების შესანიშნავი გუნდითა და სიმტკიცის კარგი ჩვევით, როდესაც ასეთ რთულ დროს დასავლეთს ეს ჩვევები და უნარები დავიწყებული აქვს.**

„ტვიტერი“

**ამირან სალუქვაძე**
*ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში*



**ჩვეულებრივი გრიპის დროსაც საჭიროა ელემენტარული მოთხოვნების შესრულება, რასაც ახლა დისტანციასა და პირადი ჰიგიენის დაცვას ეძახიან.**

„ახალი თაობა“



# პანდორას ყუთიდან პანდემიის ყუთამდე

პანდორას ყუთიდან ყოველნაირი უბედურება ამოფრინდა და მოედო სამყაროს. ერთადერთი, რაც შიგ დარჩა, იმედი იყო.

**ნეტავი, პანდემიის ყუთში თუ არის დარჩენილი იმედი?**

ალბათ, არის, თორემ, ეს ბერიკაცი ასე კრიალოსანივით აცმულს რატომ მიათრევს? რაში სჭირდება, თუ შიგ იმედიც აღარ არის? სად მიაქვს, თუ ხვალის რწმენა არ შერჩენია და არ სჯერა, რომ ეს ყუთები კვლავაც აივსება იმით, რითიც ყოველთვის არის ხოლმე სავსე კარგ დროს, უკორონობის და უპანდემიობის დროს? ანუ კვლავ აივსება ცხოვრებით.

**იმედი ცხოვრებაშიც, პანდორას ყუთშიც და პანდემიის ყუთშიც სულ ბოლოს კვდება, ოღონდ კორონავირუსით არა.**

ჰო, კორონავირუსი ვერ მოკლავს იმედს და ვერც ამ ბერიკაცს მოკლავს, რომელიც ახლა ყველაზე მძიმე სიცარიელეს მიეზიდება!

***ჯაბა ხუბუა***

***ეს ფოტო ამა წლის 27 მარტს ლაშა ნადარეიშვილმა თბილისში გადაიღო. ლოკაცია — დეზერტირების ბაზარი. კორონავირუსის დროით 17 საათი და 30 წუთი.***

ფოტოს მთავარი პერსონაჟი — სიცარიელე. სიცარიელის ფოტო — სავსე ემოციით. მახსენდება **ტარიელ ჭანტურიას** სტრიქონი — **„მიაქვს ბერიკაცს კვახების აცმა და ყრმობის სევდა ათასი ფუთი“.**

აქ კი მიაქვს ბერიკაცს ყუთების აცმა და, ალბათ, ყრმობის სევდაც **ათასი ფუთი.** თუ ყრმობის არა, ახლანდელობის სევდა მაინც, ოღონდ იგივე მოცულობით — **ათასი ფუთი.**

ამ ყუთებში სხვა დროს, კარგ დროს, უკორონობის და უპანდემიობის დროს, მაშინ, როცა დეზერტირების ბაზარში ცხოვრება დუღს და გადმოდუღს, ათასი საჭირო რამ ალაგია — კიტრი, პამიდორი, კარტოფილი, ხახვი, ვაშლი... უკეთ რომ ვთქვათ, ცხოვრება ალაგია ხოლმე ამ ყუთებში — ის, რასაც ადამიანი თავისი ცხოვრებით ქმნის და რითიც ცხოვრების საზრდოს შოულობს. **ახლა კი ცარიელია ცხოვრების ყუთი, რომელიც იქცა პანდემიის ყუთად. პანდორას ყუთი ხომ ვიცით და ახლა უკვე პანდემიის ყუთიც ვიცით.**

## კვირგვინოსნები

**ბესიკ ხარანაული**
*პოეტი*



**საერთო ჭირმა გააერთიანა, გონზე მოიყვანა სახელმწიფოები. წინ წამოვიდა ღმერთის მოგონილი ადამიანური ფასეულობები და ღირებულებები. ეს ხომ აქამდე არ ჩანდა? ევროპას რაც კარგად გამოსდის, ზურგის შექცევაა-მეთქი, ლექსში მიწერია. ჩვენც ასე მოგვექცნენ და სხვებსაც. ქართულად რომ ვთქვათ, კორონამ ჭკუა ასწავლა ყველას.**

„კვირის პალიტრა“

**ვახტანგ ხარჩილავა**
*„საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი*



**კორონავირუსმა მძიმე დარტყმა მიაყენა ამ თვითმარქვია პროდასავლურ ოპოზიციას** — ახლა ძველებურად ვერ ირბენენ საზღვარგარეთ საკუთარი ქვეყნის დასასმენად და ჩასაშვებად. ძველებურად ვერ მოქრთამავენ ვიღაცვიღაცებს და დემაგოგიურ ტექსტებს ვერ დააწერინებენ. თუ გარისკავენ და მაინც წავლენ, უკან მობრუნებულებს ორკვირიანი კარანტინი ელოდებათ.

„საერთო გაზეთი“

**ჰამლეტ ჭიპაშვილი**
*პოლიტოლოგი*



ასეთ მძიმე ფონზე გაოცებს საქართველოს პრეზიდენტის სახელზე ევროპარლამენტართა გამოგზავნილი კოლექტიური წერილი უგულავას შეწყალების თაობაზე. **ნუთუ კორუმპირებული უგულავა მეტად ფასობს, ვიდრე ერთად აღებული იტალია, რომელსაც არათუ დახმარება, თანაგრძნობის წერილიც კი არ გაუგზავნეს?!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ზვიად ტომარაძე**
*„ერი და სახელმწიფოს“ დამფუძნებელი*



ისტორიის მანძილზე არცერთი დამპყრობლის შემოსევის დროს და არცერთი ჭირის გავრცელებისას ეკლესიას წირვა-ლოცვა არ შეუწყვეტია! ყოფილა შემთხვევები, როდესაც გარკვეულ ლოკაციაზე წირვა-ლოცვა შეუძლებელი გამხდარა, მაგრამ მისი შეჩერება-გაუქმება მთელი ქვეყნის მასშტაბით არ მომხდარა.

**როგორც წმინდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი ბრძანებს: „უმჯობესია ომი, ვიდრე მშვიდობა, რომელიც ღმერთს განგვაშორებს“.**

„ალია“

***პარლამენტის ყოფილი წევრი, უკრაინის ექსპრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს ყოფილი მრჩეველი, „საქართველოს განვითარების ლაბორატორიის“ ხელმძღვანელი, ანალიტიკოსი ირაკლი გოგავა მიიჩნევს, რომ კორონავირუსის პანდემია მსოფლიო პოლიტიკის ჩრდილოვანი მამების მიერ არის ინსპირირებული და მის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი ხელოვნურია:***










# როკფელერის ფონდის დაფინანსებით ჯერ კიდევ 10 წლის წინათ გამოქვეყნებული მოხსენება ზუსტად აღწერს იმ სცენარს, რომელიც დღეს კორონავირუსის გამო მსოფლიოში და საქართველოში ვითარდება!

— ცნობილი ნიდერლანდელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი **იან ტინბერგენი,** რომელმაც „ოპტიმალური წყობილების თეორია“ შექმნა, თავის ნაშრომებში წერს, რომ მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბებას რამდენიმე ფაქტორი დააჩქარებს: პლანეტარული მასშტაბის პანდემია, პლანეტის ეკოლოგიური კატასტროფა, დედამიწისაკენ მომავალი ასტეროიდი ან სხვა კოსმოსური საფრთხე.

**— ახალი კორონავირუსი ხომ სწორედ პლანეტარული მასშტაბის პანდემიად იქცა?**

— დიახ, მსოფლიო მედიას თუ მოვუსმენთ, სწორედ პანდემიასთან გვაქვს საქმე, თუმცა, სანამ ახალი კორონავირუსი გამოჩნდებოდა, გლობალური პროპაგანდა მუდმივად აპელირებდა ოზონის ხვრელის გაფართოებაზე, პლანეტაზე მოსალოდნელ ეკოლოგიურ კატასტროფასა თუ სხვა საფრთხეებზე, რომლებიც თითქოს კაცობრიობას ემუქრება. შესაძლოა, ცოტა ხანში ისიც გამოგვიცხადონ, რომ კოსმოსიდან დედამიწისაკენ დიდი ზომის ასტეროიდი მოფრინავს და პლანეტის მოსახლეობა ამ საფრთხის წინაშე უნდა გაერთიანდეს.

მოკლედ, ყველაფერი იქითკენ მიჰყავთ, რომ დაგვარწმუნონ — თქვენი უფლებები უნდა დათმოთ და მსოფლიოს ერთიანი მმართველობის ცენტრს, ანუ მსოფლიო მთავრობას გადასცეთ, რათა მან თქვენი უსაფრთხოება და გადარჩენა უზრუნველყოს.

**— იმის თქმა გინდათ, რომ მსოფლიო პოლიტიკის ჩრდილოვანი მამები კაცობრიობას შეგნებულად ზაფრავენ, რათა შეშინებული ადამიანები ადვილად მართონ?**

— დიახ, გლობალისტური პროპაგანდა სწორედ ამაზე მუშაობს და მთელ მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოშიც, ამიტომ ხდება განათლების მასშტაბური დეგრადაცია, ტრადიციული კულტურისა და ხელოვნების ჩანაცვლება მარტივი ბიოლოგიური ინსტინქტების მაამებელი კვაზიკულტურითა და კვაზიხელოვნებით, ტრადიციულ რელიგიებთან ბრძოლა და ახალი კვაზირელიგიების დამკვიდრება... ერთი სიტყვით, გლობალისტები კაცობრიობის სულიერი და მორალური დეგრადაციისათვის იბრძვიან, რადგან ასეთი კაცობრიობის მართვა მსოფლიო მთავრობისათვის გაცილებით მარტივი იქნება.

**დღევანდელ მსოფლიოში მთელი სიმდიდრეების 70 პროცენტი დედამიწის მოსახლეობის 10 პროცენტის ხელშია და ეს 10 პროცენტი დანარჩენ 90 პროცენტს მუდმივად რაღაცებით აშინებს, რათა მასზე აბსოლუტური კონტროლი მოიპოვოს.**

**— მიგაჩნიათ, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელებაც ამ გლობალური პოლიტიკის ნაწილია?**

— მეცნიერებისაგან ვიცით, რომ კორონავირუსის ახალი შტამი ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში გაჩნდა, მაგრამ ჩინეთმა უხანში მისი გავრცელების შესახებ მხოლოდ 2019 წლის დეკემბერში გამოაცხადა, ანუ ახალი ვირუსის არსებობას მთელი ორი თვის განმავლობაში მალავდა.

მეცნიერებისავე აზრით, ახალი კორონავირუსი ხელოვნურად შექმნილი არ არის, თუმცა, ეს სულაც არ გამორიცხავს, რომ ვირუსი ხელოვნურად იქნა გავრცელებული. გავიხსენოთ, როგორ მოედო მსოფლიოს ინფორმაცია ახალი კორონავირუსის შესახებ: **მედია აჩვენებდა კადრებს, როგორ ზადაადგილდებოდნენ უხანში სკაფანდრიანი ადამიანების კორდონები, როგორ ეყარა ქუჩაში გვამები, როგორ ხდებოდა ქალაქების ბლოკირება...** მოკლედ, ვითარების დრამატიზებას ხელოვნურად ახდენდნენ და აპოკალიფსურ სურათს ხატავდნენ.

დღესაც რომ შეხვიდეთ „იუთუბზე“, რომელიც ტრანსნაციონალურ კორპორაცია „ალფაბეტს“ ეკუთვნის და საძიებო ველში „კორონავირუსი“ ჩაწეროთ, ამოგიყრით ვიდეოებს, რომლებშიც ლაზარეთისა და ქუჩაში დაყრილი გვამების საზარელი კადრები ჩანს, ოღონდ, მხოლოდ მანამდე, სანამ ვიდეოს ჩართავთ, ჩართვის შემდეგ კი აღმოაჩენთ, რომ მსგავსი კადრები ვიდეოში საერთოდ არ არის. აშკარაა, რომ საქმე გვაქვს ხალხის დაშინების გლობალურ მედიატექნოლოგიასთან, რომელიც კარგად არის ორგანიზებული და მიზანსაც აღწევს.

**— ე.ი. კორონავირუსი არც ისეთი საშიშია, როგორც ამას წარმოგვიდგენენ?**

— საშიშროებას, მითუმეტეს, ასაკოვანი და ქრონიკული დაავადებების მატარებელი ადამიანებისათვის, ნებისმიერი ვირუსი წარმოადგენს, თუმცა, ამის გამო ქვეყნებს არავინ კეტავს და მსოფლიო ეკონომიკას არავინ აჩერებს. საერთოდ, ვირუსებსაც რომ თავი დავანებოთ, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ჰაერის დაბინძურების გამო ყოველწლიურად 7 მილიონი ადამიანი იღუპება, მაგრამ ქარხნებს არავინ ხურავს და ავტოტრანსპორტს არავინ აჩერებს; სიგარეტისაგან ყოველწლიურად 8 მილიონი მწეველი და 1,2 მილიონი პასიური მწეველი კვდება, ალკოჰოლის მოხმარებით კი ყოველწლიურად 3 მილიონი ადამიანი იღუპება, მაგრამ თამბაქოსა და სპირტის ქარხნების აკრძალვას არავინ ითხოვს და მეტიც, მედია მათ რეკლამირებაში დიდ ფულს იღებს.

**— ფაქტია, რომ კორონავირუსის გამო მთელი მსოფლიოს ეკონომიკა დაპაუზდა და, ფაქტობრივად, ყველაფერი გაჩერდა, მილიონობით ადამიანი კი სახლში გამოიკეტა და ეკონომიკურ ცხოვრებას მოსწყდა, მათ შორის, საქართველოშიც.**

— ვინც „პანდემიის“ სცენარი დაგეგმა, ისიც კარგად გათვალა, რომ ნებისმიერ მთავრობას, ვირუსის ფართოდ გავრცელების შესაკავებლად, საკუთარი ქვეყნის ბლოკირების გარდა, სხვა გზა არ დარჩებოდა, ხოლო, თუ ამას არ გააკეთებდა, ხალხისა და ოპოზიციის რისხვას მოიმკიდა. ამერიკის პრეზიდენტი ტრამპი თავიდან შეეცადა, რადიკალური ზომები არ მიეღო, მაგრამ „პანდემიის“ სცენარის ალგორითმმა მსოფლიო ზესახელმწიფოს ლიდერსაც კი არ დაუტოვა სხვაგვარად მოქმედების საშუალება.

**— მაშ, გამოდის, რომ კორონავირუსის მთავარი სამიზნე მსოფლიოს ეკონომიკაა?**

— ჯერ კიდევ 2010 წელს, როკფელერის ფონდის დაფინანსებით, მკვლევარმა **პიტერ შვარცმა** გამოაქვეყნა მოხსენება სახელწოდებით — **„სცენარები ახალი ტექნოლოგიებისათვის და საერთაშორისო განვითარება“,** რომელშიც მსოფლიოს განვითარების ოთხ შესაძლო სცენარს აღწერს და მათაგან ერთი არის ბლოკირების სცენარი, რომელიც საზღვრების




## კვირგვინოსნები

**გოჩა ალექსიძე**
*სოციალური ქსელის მომხმარებელი*



საქართველოს მთავრობის კიდევ ერთი უმაგრესი ნაბიჯი — არ ვიცოდით უმეტესობამ — თურმე, საქართველოში მომავალი უცხოური ტრაილერები, რომლებსაც პირველადი მოხმარების საგნები და პროდუქტი შემოაქვთ, შეჰყავთ საბაჟოზე კარანტინის ტერიტორიაზე, უკეთებენ დეზინფექციას, შემდეგ ხსნიან, საქონელს უკეთებენ დეზინფექციას, მერე მოჰყავთ ჩვენი, ქართული ტრაილერები, მათაც უკეთებენ დეზინფექციას, დეზინფიცირებულ საქონელს ტვირთავენ დეზინფიცირებულ ტრანსპორტში და ისე უშვებენ საქართველოს ტერიტორიაზე.

**ყოჩაღ „ოცნების“ ხელისუფლებას!**

„მარშალპრესი“

**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



საქართველოს მთავრობა ტაშს იმსახურებს. უცხოელები მეკითხებიან **გახარიაზე.** მე ვეუბნები, რომ გახარია წლების განმავლობაში უცხოეთში მუშაობისას იყო კომპანია „ლუფტჰანზას“ ერთ-ერთი ქვედანაყოფის მთავარი მენეჯერი, რომელიც ფარავდა პოსტსაბჭოურ სივრცეს და აღმოსავლეთ ევროპას. **როცა გახარია პრემიერად დაინიშნა, გერმანული გაზეთები სწორედ ამას აღნიშნავდნენ, თანაც სიამაყით, რომ „ლუფტჰანზას“ ერთ-ერთი მენეჯერი პრემიერი გახდა.**

„ახალი თაობა“

**რამაზ საყვარელიძე**
*ექსპერტი*



**ოპოზიციას შეეშინდა ეპიდემიასთან ბრძოლაში ხელისუფლების მზარდი პოპულარობის.**

„რეზონანსი“

**გიორგი გრიგოლია**
*მიუნხენის ერთ-ერთი კლინიკის უფროსი ქირურგი, პროფესორი*



**საქართველოს მთავრობის მიერ ორი კვირის წინათ გადადგმულ ნაბიჯებს დღეს ზესახელმწიფოები იმეორებენ.**

„ტვ იმედი“




ჩაკეტვას, საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკის შენელებას, ადამიანის უფლებების შეზღუდვის ხარჯზე მთავრობების მიერ მეტი ძალაუფლების აღებას გულისხმობს...

მოკლედ, როკფელერის ფონდის დაფინანსებით ჯერ კიდევ 10 წლის წინათ გამოქვეყნებული მოხსენება ზუსტად აღწერს იმ სცენარს, რომელიც დღეს კორონავირუსის გამო მსოფლიოში და საქართველოში ვითარდება!

**ვირუსი ბანბებ გაავრცელეს თუ თავისით გავრცელდა, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ გლობალისტებმა სასურველ შედეგს მიაღწიეს: მოსახლეობაში შიში და პანიკა დათესეს და მსოფლიოს ეკონომიკა სერიოზულად დაამუხრუჭეს, რასაც აუცილებლად მოჰყვება ყველა ქვეყანაში ხალხის ცხოვრების დონის გაუარესება.**

## „ყველაფერი იქითკენ მიჰყავთ, რომ დაგვარწმუნონ – თქვენი უფლებები უნდა დათმოთ და მსოფლიოს ერთიანი მმართველობის ცენტრს, ანუ მსოფლიო მთავრობას გადასცეთ, რათა მან თქვენი უსაფრთხოება და გადარჩენა უზრუნველყოსო!“

**— ჩვენნაირ ღარიბ ქვეყანას, ალბათ, განსაკუთრებით გაუჭირდება.**

— ის ქვეყნები, რომლებსაც ფინანსური რესურსი, ძლიერი მრეწველობა, სურსათის წარმოება ან მყარი ფულის საბეჭდი დაზგა აქვთ, სიტუაციის გამოსწორებას მეტ-ნაკლებად შეძლებენ, ჩვენნაირ ღარიბ ქვეყნებს კი ახალი ვალების აღება მოუწევთ კაბალური პირობებით. თუმცა, „პანდემიის“ მთავარი სამიზნე მაინც ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებია, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბერში უნდა გაიმართოს.

**— თუ შეიძლება, უფრო დააკონკრეტეთ.**

— აშშ-ში მიმდინარეობს უკომპრომისო ბრძოლა გლობალისტებსა და ტრამპის გუნდს შორის. პრეზიდენტ ტრამპის მთავარი მიღწევები იყო ამერიკის ეკონომიკის არნახული ზრდა, უმუშევრობის რეკორდულად დაბალი მაჩვენებელი, ჩინეთთან და სხვა ქვეყნებთან ახალი, ამერიკისთვის უფრო ხელსაყრელი სავაჭრო შეთანხმებები, არალეგალური მიგრაციის შეჩერება, ეროვნული სახელმწიფოს შენარჩუნება და გაძლიერება... ამ ყველაფრით ტრამპის გამარჯვება და მეორე ვადით გაპრეზიდენტება გარდაუვალი ხდებოდა, თუმცა, დღეს ეს უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგან კორონავირუსთან დაკავშირებით ხელოვნურად შექმნილ აჟიოტაჟს ამერიკის ეკონომიკაზე სერიოზული უარყოფითი ეფექტი ექნება და ტრამპის მიღწევები გარკვეულწილად დაიჩრდილება.

ერთი სიტყვით, გლობალისტები ვა-ბანკზე წავიდნენ. დღეს ისინი მასმედიას მსოფლიო მასშტაბით აკონტროლებენ და პლანეტის საინფორმაციო ველზე, მათ შორის, საქართველოშიც, დღის წესრიგს ქმნიან. ახლა ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად მალე მოხერხდება ამ ხელოვნური აჟიოტაჟის შეჩერება და ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება.

**— როგორ ფიქრობთ, ჩვენს ქვეყანას თუ აქვს რესურსი, რომ კორონავირუსის პანდემიის გამო შექმნილ ეკონომიკურ პრობლემებს გაუმკლავდეს და ფეხზე დადგეს?**

— მიმდინარე პროცესებმა დაგვანახეს, რომ საქართველოს ხელისუფლება სულაც არ ყოფილა უნიათო და სერიოზულ პრობლემასთან ეფექტიანად გამკლავება შესძლებია, თუმცა, პოსტკრიზისული აღორძინების სცენარის შემუშავება გაცილებით დიდ ძალისხმევას მოითხოვს და იმედი მაქვს, ჩვენს ხელისუფლებას ამის უნარიც აღმოაჩნდება.

**— მაინც რა უნდა მოიმოქმედოს ხელისუფლებამ, რომ საქართველო ეკონომიკურ კოლაფსში არ აღმოჩნდეს და მოსახლეობას შიმშილი არ დაემუქროს?**

— პირველი რიგის ამოცანა საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. დღეს ჩვენ საკუთარი პროდუქტით მხოლოდ მილიონი ადამიანის გამოკვება შეგვიძლია, ამიტომ მნიშვნელოვანია, სოფლის მეურნეობის პროდუქცია ადგილზე შევქმნათ და გადავამუშაოთ, ცოცხალი საქონლის ექსპორტი კი, გარდა ცხვრისა, უნდა აიკრძალოს. თუ დღეს საქართველოში 207 ათასი ჰექტარი მიწა იხვნება და ითესება, ეს მოცულობა 800 ათას ჰექტარამდე უნდა გაიზარდოს. აუცილებელია, ბანკებმა შეღავათიანი კრედიტები გასცენ სასათბურე მეურნეობებზე, სათბურების მიერ მოხმარებულ გაზზე კი შეღავათიანი ტარიფი დაწესდეს. საერთოდ, ბიზნესისათვის კომუნალურმა ტარიფებმა უნდა დაიწიოს, თორემ სხვაგვარად ეკონომიკა ვერ განვითარდება.

**ბოლო 30 წლის განმავლობაში ხალხი და ქვეყანა ბანკების სამსახურში ვიყავით, ახლა კი დროა, ბანკებმა კეთილი ინებონ და ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ჩადგნენ!**

*ესაუბრა*

***ჯაბა ხუბუა***



***ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ცუცქირიძე მიიჩნევს, რომ შექმნილ სიტუაციაში, როცა კორონავირუსმა მთელი პლანეტის ეკონომიკა გააჩერა, საქართველომ ორიენტაცია მაღალი ტექნოლოგიების განვითარებაზე უნდა აიღოს:***




# მსგავსი მასშტაბის შოკი,

## რომელიც მსოფლიო ეკონომიკამ კორონავირუსის შემოტევის გამო განიცადა, კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს!

— მსგავსი მასშტაბის შოკი, რომელიც მსოფლიო ეკონომიკამ კორონავირუსის შემოტევის გამო განიცადა, კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. ამერიკის შეერთებული შტატები თავისი ეკონომიკის გადასარჩენად უპრეცედენტო თანხას — 2 ტრილიონ დოლარს ხარჯავს, ხოლო, ზოგადად, მსოფლიო ეკონომიკის სტიმულირებისთვის „დიდი რვიანის“ წევრი სახელმწიფოები 5 ტრილიონი დოლარის გამოყოფაზე შეთანხმდნენ. ცნობისათვის, 2 ტრილიონი დოლარი ამერიკის მთლიანი შიდა პროდუქტის 10 პროცენტია!

**— რა ეშველება ამ სიტუაციაში საქართველოს ეკონომიკას, ბინები და, საერთოდ, უძრავი ქონება გაიაფდება თუ გაძვირდება?**

— საქართველოს ხელისუფლებამ უკვე გამოაცხადა, რომ ბიზნესს 1 მილიარდით შეეხიდება. გარდა ამისა, იქმნება ფონდი, რომელიც იმ ადამიანებს დაეხმარება, რომლებმაც სამსახური დაკარგეს... რაც შეეხება იმას, გაიაფდება თუ გაძვირდება ცხოვრება, დარწმუნებით შემიძლია, გითხრათ, რომ ბინებსა და უძრავ ქონებაზე ფასი აუცილებლად დაიწევს, გაიაფდება სასტუმროების მომსახურებაც... თუ აქამდე ბათუმსა და გუდაურში ქართველებს დასვენება უჭირდათ, ახლა საგარეო ვიზიტორების მოსაწვევად და ვითარების დასასტაბილურებლად სასტუმროების მეპატრონეებს მოუწევთ ფასების სერიოზული გადახედვა. იგივე შეეხება სარესტორნე ბიზნესს და სამშენებლო მასალებით ვაჭრობას. რაკი მშენებლობა გაიაფდება და მოგების მარჟა შემცირდება, ე.ი. სამშენებლო მასალებზე ფასები დაიწევს.

**— რა ეშველება ლარს, რომელიც ძალიან გაუფასურდა და რა არის მისი რეალური კურსი დოლართან მიმართებაში?**

— ლარი ისევე, როგორც რუსული რუბლი, უკანასკნელი 20 დღის განმავლობაში გაუფასურდა, რადგან რუსეთის ეკონომიკა თავიდან ბოლომდე მიბმულია ენერგომატარებლების ფასზე. იქიდან გამომდინარე, რომ მსოფლიოში ნავთობზე ფასი კატასტროფულად დაეცა, ამან რუსეთს შემოსავლები შეუმცირა და, შესაბამისად, რუსული რუბლიც გაუფასურდა. რაც შეეხება ქართულ ლარს, საქართველო, ფაქტობრივად, არაფერს აწარმოებს და როცა ყველაფერი გარედან შემოგაქვს, იმპორტიორები სავალუტო რისკის დაზღვევის მიზნით წინასწარ იწყებენ სავალუტო რეზერვების შექმნას. სწორედ ამან გამოიწვია ლარის არაბუნებრივი გაუფასურება. დღეისათვის ლარის კურსი უკვე 20 პუნქტით დასტაბილურდა და კიდევ დაიწევს... ისე კი, ეროვნულ ბანკს თადარიგი დროულად რომ დაეჭირა, შესაძლოა, 100 მილიონი დოლარის გაყიდვა არც დასჭირვებოდა.

**— მაინც რა დრო დასჭირდება საქართველოს ეკონომიკის გამოცოცხლებას?**

— ცხადია, მსოფლიო დიდ გადაფასებებს მოახდენს და კაცობრიობა უფრო დისტანციურ და მაღალტექნოლოგიურ სერვისებზე აიღებს ორიენტაციას. რაც შეეხება საქართველოს, თუ აქამდე ჩვენი ეკონომიკის მოდელი ორიენტირებული იყო მომსახურების სერვისებზე, რომლის ლოკომოტივიც იყო ტურიზმი, ამიერიდან აუცილებლად უნდა გადავერთოთ ადგილობრივი წარმოების სტიმულირებაზე, მათ შორის, მაღალი ტექნოლოგიების შექმნაზე, ხოლო ტურიზმი ეკონომიკის დამხმარე დარგად ვაქციოთ!

***ესაუბრა***

***დიტო ჩუბინიძე***

# „ბინები და უძრავი ქონება აუცილებლად გაიაფდება!“

## ქვირგვინოსნები



**თემურ ბასილია**

*ამერიკაში მცხოვრები ეკონომიკის ექსპერტი*

**ამირან გამყრელიძემ, პაატა იმნაძემ და თენგიზ ცერცვაძემ** კრიტიკულ სიტუაციაში სწორად რეაგირების განსაკუთრებული უნარ-ჩვევები გამოამჟღავნეს!

**ამ ადამიანებმა დაადასტურეს, რომ მნიშვნელობა არა აქვს ასაკს, ანუ, თუ პროფესიონალი ხარ, გნებავთ, 30 წლის იყავი, გნებავთ, 60-ის და 70-ის.**

ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო — სააკაშვილმა მთელი თაობა „ჩამოწერა“ და ხაზი გადაუსვა, მაგრამ ამ კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა, რომ **სწორედ ამ ე.წ. ჩამოწერილების პროფესიონალიზმმა და გამოცდილებამ მოგვიტანა რეალური შედეგი.** თამამად გამოიყენეთ პროფესიონალები, რომლებიც საქმეს მაღალ დონეზე გააკეთებენ!

„ვერსია“



**ირაკლი ჩიქოვანი**

*პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში*

**პოლიტიკური ძალების სპეკულირება იმ დონემდე მივიდა, რომ ეპიდემიოლოგებისა და მედიკოსების კომპეტენციაში ერევიან.**

„პირველი არხი“



**ნინო სურგულაძე**

*მეცო-სოპრანო*

**მადლობას იმსახურებს ჩვენი მთავრობა, ჩვენი პრემიერ-მინისტრი და ჯანდაცვის მინისტრი, რომლებიც კოორდინირებულად ყოველდღიურად მგონი, მართლა შეუძლებელს აკეთებენ და მაქსიმალურად გვიცავენ. მე ბევრ ქვეყანაში მყავს მეგობარი, ეს პრობლემა ყველას ერთნაირად გვაწუხებს, მაგრამ ყველა მეუბნება, რომ საქართველო ძალიან კარგად უმკლავდება ამ გამოწვევას, ქართველი ექიმების შრომითა და მიღწევებით აღფრთოვანებულები არიან.**

„პრაიმტაიმი“



**ქეთი დუმბაძე**

*ნოდარ დუმბაძის ქალიშვილი*

**ნიუ-იორკში მცხოვრებმა ჩემმა მეგობარმა მიამბო:** აფთიაქში შესულს ფარმაცევტმა ჩემი აქცენტის გამო ეროვნება მკითხა და როდესაც გეორგია გაიგო, დადო ყველაფერი და ტაში დასცხო, ყველა აჰყვა, ვინც რიგში იდგა და 5 წუთი ასე გაოგნებული ვიდექიო... **დაგვიბრუნა ამ კორონამ ქართველებს საკუთარი თავის რწმენა და ეროვნული სიამაყის განცდა! ყველაფერი კარგად იქნება და ეს პერიოდი ბევრ რამეს და ვინმეს თავის სახელს საბოლოოდ დაარქმევს!**

„რეზონანსი“



# კახა კუკავა:

# თუ დღეს საქართველოს მთავრობა სოლიდურად და სიმპათიურად გამოიყურება, ამაში გახარიას წვლილი გადამწყვეტია!

***26 მარტს ზუგდიდში ნაციონალური მოძრაობის მიერ მოწყობილმა პოლიტიკურმა ცირკმა, რომელსაც სააკაშვილის სახელით მოსახლეობისათვის პირბადეების დარიგების სახე ჰქონდა, სრულიად ქართველი საზოგადოება აღაშფოთა, რადგან თავყრილობაზე ანტიკორონავირუსული უსაფრთხოების ყველა ზომა უხეშად იქნა დარღვეული. მოკლედ, ნაცებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მზად არიან, ვიწროპარტიული ინტერესების გამო მთელი ერის ჯანმრთელობა და სიცოცხლეც კი სასწორზე შეაგდონ. ამ და სხვა აქტუალურ თემებზე პარტია „თავისუფალი საქართველოს" ლიდერს კახა კუკავას ვესაუბრებით:***

— რაც ნაცებმა ზუგდიდში გააკეთეს, ისევე მიუღებელია, როგორც მათი პოპულისტური მოწოდებები, რომ მთავრობამ თითო ოჯახს ათას-ათასი ლარი გადაუხადოს, ეკონომიკის ასაღორძინებლად 100 მილიარდი ლარი გამოყოს და ა.შ. მართლაც კარგი იქნებოდა, ჩვენს ქვეყანას საამისო რესურსი ჰქონდეს, მაგრამ ნაცებმაც მშვენივრად იციან, რომ ამის საშუალება ობიექტურად არ არსებობს, მათი მოწოდებები კი მხოლოდ იმაზეა გათვლილი, რომ მერე გამოვიდნენ და იძახონ — აი, მთავრობამ ჩვენი რჩევები არ გაითვალისწინა, თორემ ხალხი უკეთესად იცხოვრებდაო.

საერთოდ, **ქვეყნისათვის ძალიან საზიანოა, რომ ისეთი მასშტაბური პრობლემაც კი, როგორიც კორონავირუსის პანდემიაა, ნაცებისა და ქოცების დაპირისპირების პრიზმაში გადადის.**

**— ისე, კორონავირუსთან ბრძოლაში გახარიას მთავრობის ძალისხმევას როგორ აფასებთ?**

— ჯერ ის ვთქვათ, რომ გახარიას მთავრობა არ არსებობს, რადგან გახარია ცალკეა და მთავრობა — ცალკე!

**— ეს როგორ?**

— მინისტრთა კაბინეტში გახარიას არცერთი საკუთარი კადრი არ ჰყავს. მთავრობა არის ბიძინა ივანიშვილის, გიორგი გახარია კი ფორმალური პრემიერია, როგორიც იყო ყველა სხვა პრემიერი „ოცნების" ხელისუფლებაში — ღარიბაშვილით დაწყებული და ბახტაძით დამთავრებული. უბრალოდ, გახარიას, თუნდაც იგივე ბახტაძისაგან განსხვავებით, საკუთარი უნარები და იმიჯი აქვს.

გასული წლის 20 ივნისის შემდეგ შექმნილი კრიზისის განმუხტვაშიც გახარიამ განსაკუთრებული როლი ითამაშა, თუმცა, როგორც კი კრიზისი განიმუხტა, იგი მაშინვე გვერდზე გასწიეს და სანამ ეს ვირუსი არ გავრცელდა, მთელი ექვსი თვის განმავლობაში, ტელევიზორშიც კი იშვიათად აჩენდნენ.

**— ანუ „ქართული ოცნება" გახარიას უნარებს მხოლოდ კრიზისის დროს იყენებს?**

— დიახ, როგორც კი ვირუსთან დაკავშირებული კრიზისი დაიწყო, ხელისუფლება მიხვდა, რომ წულუკიანებით და იმ სახეებით, რომლებსაც ოპოზიციის სალანძღავად ყოველდღე იყენებს, პრობლემას ვერ მოერეოდა. სწორედ ამიტომ, მართვის სადავეები გახარიას ჩააბარეს და თუ დღეს საქართველოს მთავრობა სოლიდურად და სიმპათიურად გამოიყურება, ამაში გახარიას წვლილი გადამწყვეტია.

თუმცა, დარწმუნებული ვარ, როგორც კი ეს კრიზისი გადაივლის, გახარიას ისევ უკანა პლანზე გადასწევენ, წინა პლანზე კი კვლავ ის ქოცები გამოვლენ, რომლებიც ხალხს ნერვებს უშლიან.

**— კი მაგრამ, ახლა, როცა საპარლამენტო არჩევნები ახლოვდება, გახარიასნაირი რეიტინგული ფიგურის გადამალვა „ქართულ ოცნებას" რაში აწყობს?**

— საერთოდ, ეს ტენდენცია წინა ხელისუფლებასაც ახასიათებდა და დღევანდელსაც ეს ზნე სჭირს. სააკაშვილმა ოქრუაშვილი სწორედ მაშინ მოიძულა, როცა ყველაზე რეიტინგული მინისტრი გახდა და გახარიაც „ქართული ოცნების" ვერტიკალში იმიტომ არ უყვართ, რომ ყველაზე რეიტინგულია.

**მოკლედ, ივანიშვილს არ სჭირდება პრემიერ-მინისტრი, რომელიც ლიდერი იქნება, მას სჭირდება პრემიერი პირადი მდივნისა თუ თანაშემწის ფუნქციით, გახარია კი ამ ამპლუაში ვერ ჯდება.**

**— რა უნდა გააკეთოს მთავრობამ გახარიასთან ერთად თუ მის გარეშე, რომ კორონავირუსის პანდემიის შემდეგ ქვეყანა ეკონომიკური კატასტროფისა და შიმშილის საფრთხის წინაშე არ დადგეს?**

— უკვე დღეიდანვე ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი სასურსათო უსაფრთხოება უნდა იყოს. მაგალითად, შეიძლება, მთავრობამ ინფრასტრუქტურული პროექტები გარკვეული ვადით შეაჩეროს და დიდძალი ფინანსური რესურსი იმისაკენ მიმართოს, რომ საქართველოში არცერთი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა დაუმუშავებელი არ დარჩეს. დიახ, ჩვენ საკუთარი სასურსათო მარაგები უნდა შევქმნათ, რადგან პოსტვირუსულ პერიოდში იმპორტირებულ პროდუქტებზე ფასები საგრძნობლად გაიზრდება და ჩვენი ხალხის ჯიბეს მძიმედ დაარტყამს.

გარდა ამისა, მთავრობა უნდა დაეხმაროს მცირე და საშუალო ბიზნესს, რათა მათ პროდუქციის ადგილზე გადამუშავება შეძლონ.

## ახლა, ამ კრიზისის პერიოდში, პირბადეების ადგილობრივი წარმოება ხომ დავიწყეთ? ე.ი. შეგვძლებია და მილიონი ასეთი ქინძი თურქეთიდან და ჩინეთიდან რატომ შემოგვაქვს?

და კიდევ: მთავრობამ უნდა შეამციროს მონოპოლიური ფასები მედიკამენტებზე, საწვავსა და კომუნალურ სერვისებზე.

**— ამ ყველაფერში მნიშვნელოვანი როლი საბანკო სექტორმა უნდა შეასრულოს და ადგილობრივი წარმოების განვითარებას შეღავათიანი კრედიტებით შეუწყოს ხელი, მაგრამ ქართულ ბანკებს, რომლებიც ხალხის უთოფოდ დაყაჩაღებაზე არიან ორიენტირებული, ამისათვის კეთილი ნება და სოციალური პასუხისმგებლობა ეყოფათ?**

— ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ საქართველოს მთელი ფინანსური სექტორი რამდენიმე კერძო ბანკის ხელშია, რაც ქვეყანას ღუპავს. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობენ სახელმწიფო ან ნახევრად სახელმწიფო ბანკები და ისინი აფინანსებენ კომერციულად მაღალი რისკის შემცველ პროექტებს, რომლებსაც კერძო ბანკები კრედიტს არასოდეს გამოუყოფენ.

მაგალითად, **„თიბისი ბანკს" ურჩევნია, კრედიტი მისცეს რომელიღაც უსაქმურს, რომელსაც თბილისის ცენტრში სამოთახიანი ბინა აქვს და როცა კრედიტს ვერ გადაიხდის, ბანკი იმ ბინას გაუყიდის, მაგრამ იგივე ბანკი კრედიტს არ მისცემს ფარცხანაყანებელ გლეხს, რომელსაც მწვანილის სათბურის გაკეთება უნდა.** დიახ, არ მისცემს, რადგან იგი სესხს იპოთეკური ქონებით ვერ უზრუნველყოფს.

აი, ეს არის ქართული კერძო ბანკების მძარცველური პოლიტიკა და ამ ბანკების საქმიანობა ანტისახელმწიფოებრივია, გამოსავალი კი იმაში მდგომარეობს, რომ შეიქმნას სახელმწიფო ბანკები, რომლებიც მცირე ბიზნესს და სოფლის მეურნეობას დააკრედიტებენ.

„ქართულ ოცნებას" ქვეყნის განვითარება რომ ნდომოდა, ამას აქამდე გააკეთებდა, მაგრამ იქნებ ახლა მაინც ისწავლონ ჭკუა და ხელი გაანძრიონ, რათა კორონავირუსს გადარჩენილი ხალხი სიღატაკემ და შიმშილმა არ მოკლას!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***



## „გასული წლის 20 ივნისის შემდეგ შექმნილი კრიზისის განმუხტვაშიც გახარიამ განსაკუთრებული როლი ითამაშა, თუმცა, როგორც კი კრიზისი განიმუხტა, იგი მაშინვე გვერდზე გასწიეს და სანამ ეს ვირუსი არ გავრცელდა, მთელი ექვსი თვის განმავლობაში, ტელევიზორშიც კი იშვიათად აჩენდნენ!"

## „როგორც კი ეს კრიზისი გადაივლის, გახარიას ისევ უკანა პლანზე გადასწევენ, წინა პლანზე კი კვლავ ის ქოცები გამოვლენ, რომლებიც ხალხს ნერვებს უშლიან!"

# კვირგვინოსნები

**ლადო სადღობელაშვილი**
*სამოქალაქო აქტივისტი*



დღეს ზოგი რისთვის უხდის მადლობას **ბიძინა ივანიშვილს** და ზოგი — რისთვის. ძირითადად იმისთვის, რომ სერიოზულ თანხებს მართავს. მე კი სულ სხვა რამის გამო ვარ კმაყოფილი. **რომ არა ამ კაცის ფრთხილი ხასიათი, თუნდაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, დღეს ჩვენთან ეს სიტუაცია არ იქნებოდა და ისევე იქნებოდა მიშვებული ვითარება, როგორც ესპანეთსა და იტალიაში.** სწორედ მისგან მიიღო გახარიამ ეს დავალებები. სწორედ ამ ადამიანმა გასცა საჭირო ადამიანებში საჭირო განკარგულება.

„ახალი თაობა"

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე*



ყველამ შევუწყოთ ხელი მთავრობას, გადადგას თამამი ნაბიჯები და ჰქონდეს იმედი, რომ არავინ ჩავარტყამთ ზურგში დანას. **დღეს სხვა გამოწვევის წინაშე ვართ და ვინც პოლიტიკური ქულების დაწერას შეეცდება, დაკარგავს ქულებსაც და თავსაც პოლიტიკაში.**

„ინტერპრესნიუსი"

**იური პაპასქუა**
*ეკონომისტი*



**კორონავირუსის მძვინვარება სასტიკი გაფრთხილებაა მათთვის, ვინც ერთ თარგზე გამოჭრილ პლანეტარული მსოფლმხედველობით განსაზღვრულ ცხოვრების მოდელს სთავაზობს ერთმანეთისაგან ისტორიული, რელიგიური, ეკონომიკური თავისებურებებით განსხვავებულ ქვეყნებს.**

„საერთო გაზეთი"

**თათა ვარდანაშვილი**
*დიზაინერი*



**მთელი ჩემი ახალგაზრდული ცნობიერების იდეოლოგი ექვთიმე თაყაიშვილია. ახლაც, როცა მიჭირს, ხშირად ავდივარ მთაწმინდაზე და დიდხანს ვზივარ ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას საფლავთან, ჩემს ისტორიულ ფესვებს ვუახლოვდები.**

„საერთო გაზეთი"

**_მაშინ, როდესაც თვალით უხილავ ვირუსს მთელი კაცობრიობა ებრძვის, სააკაშვილის რეჟიმის მიერ საქართველოდან გაძევებული ჟურნალისტი ბონდო ქურდაძე აცხადებს, რომ ქართველებს კორონასთან ერთად ნაცვირუსიც დასამარცხებელი გვყავს. როგორც გაზეთ „შანსის" რედაქტორი პარიზიდან იუწყება, ეს არანაკლებ რთული ამოცანაა, თუმცა, აუცილებლად გასაკეთებელი, რათა ქვეყანამ ხეირიანად ამოისუნთქოს და საბოლოოდ გაიწმინდოს ყველანაირი ვირუსისგან._**



„ასავალ-დასავალი", რომელიც დიდი ილიას ოთარაანთ ქვრივს მაგონებს, ხშირად აფრთხილებდა ხელისუფლებას, ვირუსის შემომტანი პათოლოგები „მატროსოვზე" კარანტინში მოეთავსებინა, რათა ბაქტერია არ გავრცელებულიყო, მაგრამ მოგისმინათ ვინმემ?!"

## „2012 წელს მთავარი ვირუსოლოგისა და საერთო ძალისხმევით მაოხრებელი ვირუსი დავამარცხეთ, თუმცა, მუტაცია განიცადა და ორი სახით – „კორონაცის" და „კოროევრონაცის" სახით დაგვიბრუნდა!"

# ბონდო ქურდაძე: ახლა ჩვენ, ქართველებს, სამი ვირუსი გვყავს დასამარცხებელი!

**— ბატონო ბონდო, პირველ რიგში, როგორ გიკითხოთ? პანდემიის ფონზე ჯანმრთელობა და მშვიდობა სანატრელი გაგვიხდა...**

— ჯანმრთელობით არა გვიშავს, თუმცა, როგორც ყველა, ამ კორონავირუსმა ჩვენც, პარიზში მცხოვრები ქართველები, სახლებში გამოგვკეტა. არ ვარ ჟურნალისტ-ვირუსოლოგი, მაგრამ გეტყვით, რომ მსოფლიო აუცილებლად დაამარცხებს საზიზღარ „კორონას".

არ ვიცი, დამთხვევაა თუ რა, მაგრამ კორონავირუსი ნაცვირუსივით 2003 წელს გამოჩნდა, შემდეგ დამარცხდა და გაუჩინარდა. მაშინდელი კორონასგან განსხვავებით, ნაცვირუსს საქართველოში მშვენიერი სასათბურე პირობები დახვდა და 9 წლის განმავლობაში მრავალი სიცოცხლე შეიწირა. 2012 წელს მთავარი ვირუსოლოგისა და საერთო ძალისხმევით მაოხრებელი ვირუსი დავამარცხეთ, თუმცა, მუტაცია განიცადა და ორი სახით — **„კორონაცის" და „კოროევრონაცის"** სახით დაგვიბრუნდა.

ჟურნალისტები, განსაკუთრებით თქვენი გაზეთი „ასავალ-დასავალი", რომელიც დიდი ილიას ოთარაანთ ქვრივს მაგონებს, ხშირად აფრთხილებდა ხელისუფლებას, ვირუსის შემომტანი პათოლოგები „მატროსოვზე" კარანტინში მოეთავსებინა, რათა ბაქტერია არ გავრცელებულიყო, მაგრამ მოგისმინათ ვინმემ?! მწარე, მართალი სიტყვა ბევრს არ მოსწონს, არადა, თუ დროულად შეისმენენ, ქვეყანას დიდად წაადგება!

ახლა ჩვენ, ქართველებს, სამი ვირუსი გვყავს დასამარცხებელი. დარწმუნებული ვარ, სამივეს კისერს მოვუგრეხთ!

**— მაინც როგორ წარმოგიდგენიათ მათი დამარცხება, განსაკუთრებით ნაცვირუსის? სავარაუდოდ, ახლა ნაციონალების შეტევა ხელისუფლებაზე ეკონომიკური კუთხით გაძლიერდება. ისედაც სუსტ ეკონომიკას კორონავირუსი სულ დაასუსტებს.**

— გერმანიამ ნაცისტური სახადი 75 წლის წინათ მოიცილა და ევროპის მოწინავე ქვეყნად იქცა. საფრანგეთმა საუკუნეები შეალია დემოკრატიისა და ადამიანის სოციალური უფლებებისთვის ბრძოლას და ამ ქვეყანაში ვერ ნახავთ სოციალურად დაუცველ ადამიანს. **ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ 8 წელია, ებრძვის მანქურთებს, რომლებმაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს თითოლარად გაასხვისეს სტრატეგიული ობიექტები და მილიარდობით თანხები მიითვისეს. მარტო ამერიკამ 2008 წელს 5 მილიარდამდე დოლარი გადმოურიცხა ქვეყანას. სად გაქრა ეს ფული?!**

ემანუელ მაკრონმა ახლახან გამოაცხადა, რომ ქვეყანა ბიზნესს 300 მილიარდით დაეხმარება, ფეხზე რომ დააყენონ ეკონომიკა. ამდენი ფული ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ გვაქვს ჟინი და დაუოკებელი შემართება. თუ კორონავირუსთან ბრძოლაში სხვებს ვაჯობეთ, ეკონომიკასაც გამოვაცოცხლებთ, მთავარია, საქმის მკეთებელი ხალხი გამოვარჩიოთ, უსაქმურები და ბიუჯეტის ვირთხები ავლაგმოთ.

კორონავირუსმა 9 აპრილის მსგავსად გააერთიანა ქართველი ხალხი, რაღაც შეუცნობელმა ძალამ ყველას ჩამოხსნა ნიღაბი... რატომღაც ვიქტორ ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" და მაღლა მონასტრის სახურავზე შემდგარი კვაზიმოდო მახსენდება, რომელიც თვალის დახამხამებაში მოისვრის გამზრდელ არქიდიაკვანს, ბოროტი სულის მღვდელმსახურს. ესმერალდა საქართველოს ჰგავს. კეთილი ბუნებითა და სილამაზით ის ყველას უყვარს. არ გამიკვირდება, მათი რიგებიდან თუ გამოჩნდება ვინმე კვაზიმოდო და თვითონ მოიფრიალებს ნაცებისა და ევრონაცების ბოროტ „არქიდიაკვნებს"!



**„მოულოდნელად ცირა ბებომ სადღეგრძელოს თქმა მოისურვა. ასწია სასმისი და გიორგი გახარიას სადღეგრძელო შესვა — ასეთი პრემიერი საქართველოს ჯერ არ ჰყოლიაო. ყბა ჩამომივარდა. ზვიად გამსახურდიას შემდეგ სუფრაზე მთავრობის სადღეგრძელო არ მომესმინა!"**

*ბონდო ქურდაძის მეუღლის ბებია, რომელმაც პარიზში გიორგი გახარიას სადღეგრძელო წარმოთქვა*

**— ვიდრე „ოცნების" ხელისუფლება „კორონაცებთან" შეტევაზე გადავიდოდეს, საინტერესოა, კორონავირუსთან მებრძოლი საქართველო როგორ გამოიყურება ევროპის შუაგულიდან?**

— ამასწინათ ჟურნალისტი **ნინო ცხოიძე** მსტუმრობდა. იცოდა, საქართველოში დაბრუნებისას კარანტინში მოუწევდა ყოფნა, მაგრამ ამ ამბავს შეგნებულად უდგებოდა. პარიზელმა ნაცებმა ჰორი ააგორეს — ივანიშვილი საზღვარგარეთიდან ჩამოსულებს კარანტინში ჯურღმულში კეტავს და აშიმშილებსო. ნინომ საწინააღმდეგო მომწერა ბათუმიდან — ხუთვარსკვლავიან სასტუმროში მომათავსეს სამჯერადი კვებით და ამ ყველაფერს „სისხლისმსმელი" ივანიშვილი იხდისო.

## ერთ მარტოხელა კაცს ვიცნობ – 3–4 ათასი ევრო აქვს შემოსავალი და მთავრობას აგინებს, დეიდაჩემს 200 ლარი აქვს პენსიაო. შე დალოცვილო, გაუგზავნე 100 ევრო და 500 ლარი ექნება!

**— სხვათაშორის, ზოგიერთი ნაცმიდრეკილი იმასაც ამბობს, რატომ არ ჩანს ბიძინა ივანიშვილი ამ ჟამიანობის დროს...**

— რა ქნას ბიძინა ივანიშვილმა — გამოჩნდება და არაფორმალურად მართავს ქვეყანასო, თუ არ გამოჩნდა, დაიმალაო... არა ბატონებო, ივანიშვილმა 3 მილიარდი დაახარჯა თავის ქვეყანას. მას სახლიდან მოაქვს, თქვენ კი სახლში ეზიდებით ხალხის ქონებას.

ამასწინათ, პარიზში 91 წელს გადაცილებული ცოლის ბებია, კავთისხეველი ძველი აზნაური **ცირა ცალქალამანიძე** გვესტუმრა. შეიკრიბნენ მეგობრები და პატარა სუფრა გავშალეთ. ვახსენე უფალი, შევსვი მშვიდობის, შემდეგ საქართველოსა და საფრანგეთის სადღეგრძელო, იმ ქვეყნების, ვინც ჩვენ გაგვზარდა და გამოქცეულები მიგვიღო. მოულოდნელად ცირა ბებომ სადღეგრძელოს თქმა მოისურვა. ასწია სასმისი და **გიორგი გახარიას** სადღეგრძელო შესვა — ასეთი პრემიერი საქართველოს ჯერ არ ჰყოლიაო. ყბა ჩამომივარდა. ზვიად გამსახურდიას შემდეგ სუფრაზე მთავრობის სადღეგრძელო არ მომესმინა. ბებია როლში შევიდა — თუ იცით, ივანიშვილს რატომ ვემდურიო — ღირსეული ოპოზიცია რომ არ შექმნა. ბოკერიებსა და სააკაშვილებს კი არ უნდა ედავოს ივანიშვილი, ღირსეულ ხალხს უნდა ეკამათოს ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე. როდესაც ის ტვინით დატენილ **თემურ შაშიაშვილთან** გამართავს დებატებს, ის და მისნაირი კაცები იქცევიან ოპოზიციად, რაც ერთიორად წაადგება ქვეყანასო. დასრულებული არ ჰქონდა სიტყვა, სტუმრებმა ტაში დასცხეს, ვიღაცამ კი ხმამაღლა ჩაილაპარაკა, ნეტა ეს მოასმენინა ბიძინასო...

ერთი ალიაქოთი რომ იყო ატეხილი გახარიას წინააღმდეგ, ჯერ კიდევ მაშინ მკითხეს — უნდა გადადგეს თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარიაო?

**— თქვენ რა უპასუხეთ?**

— **კი არ უნდა გადადგეს, პრემიერ-მინისტრი უნდა გახდეს-მეთქი!** დაუშრეტელი ენერგიის პატრონი, იმედითა და ოპტიმიზმით სავსე კაცია. ურთულეს სიტუაციაში უშეცდომოდ მოქმედებს. კლასიკური თვალის ჩაკვრა აქვს, ფანტასტიკური იუმორი. ნაცების ცოდვით ვიწვი, ის რომ პარლამენტში მასტერკლასს ატარებს... ერთადერთი, რაც დღეს მინდა ვუსურვო, ამ საშინელი პანდემიის შემდგომ ფეხზე დაეყენებინოს ეკონომიკა გაჭირვებული ხალხის საკეთილდღეოდ!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## „ბოკერიებსა და სააკაშვილებს კი არ უნდა ედავოს ივანიშვილი, ღირსეულ ხალხს უნდა ეკამათოს ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე. როდესაც ის ტვინით დატენილ თემურ შაშიაშვილთან გამართავს დებატებს, ის და მისნაირი კაცები იქცევიან ოპოზიციად, რაც ერთიორად წაადგება ქვეყანასო!"



## კვირგვინოსნები

**მიხეილ ჭუმბურიძე**
*ტენორი*



**თბილისში დაბრუნებულს შემომთავაზეს თვითიზოლაციაში დარჩენა, რადგან მაქვს პირობები — ბინა, სადაც მარტო ვიქნებოდი, უარი ვთქვი. არ ვარ განსაკუთრებული, რომ განსაკუთრებული პრივილეგიით ვისარგებლო. სადაც — ყველა, იქაც — მე. ეს ჩემი მოქალაქეობრივი ვალია. მოკლედ, ახლა ვიმყოფები კარანტინში, წყალტუბოში.**

„თბილისელები"

**ანზორ აბრალავა**
*ყოფილი პარლამენტარი*



ჩვენი მთავრობა დიდი ბრიტანეთის მთავრობაზე უფრო ორგანიზებული აღმოჩნდა. **ვინც ისევ სააკაშვილის მომხრეა და არჩევნებში ნაცმოძრაობას მისცემს ხმას, ის ადამიანები ნორმალურებად არ მიმაჩნია.** ისინი კორონავირუსზე უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენენ.

„ახალი თაობა"

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



**დღეს გახარია სწორ საქმეს აკეთებს და, შესაბამისად, პატივისცემას იმსახურებს.**

„ალია"

**კარლ ჰარცელი**
*ევროკავშირის ელჩი*



**საქართველო ის საუკეთესო ადგილია, სადაც შეიძლება ვყოფილიყავი ამ რთულ დროს.**

„ტვ იმედი"



ალი ბაბაევი:

# მარნეულში 10 ათასზე მეტი მართლმადიდებელი ქრისტიანი ცხოვრობს და ვის აქვს უფლება, მათ რელიგიური რიტუალების ჩატარება აუკრძალოს?!

***კორონავირუსის გამო კარანტინის ზონად გამოცხადებულ მარნეულის მუნიციპალიტეტში მართლმადიდებელი მღვდელმსახურების მიერ ქუჩების კურთხევამ ზოგიერთი ლიბერალური არასამთავრობო ორგანიზაცია ერთობ აღაშფოთა და „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის" ხელმძღვანელმა თამთა მიქელაძემ სოციალურ ქსელში ასეთი პოსტიც კი გამოაქვეყნა:***

*„მარნეულში მოსახლეობის 85 პროცენტი მუსლიმია. ადგილობრივი ეპარქია, რომელმაც მუსლიმურ სოფლებს მთებზე ჯვრები დაასვა, ასეულობით ათას ლარს ყოველწლიურად იღებს ბიუჯეტიდან და ადგილობრივ პოლიტიკაზეც დიდი გავლენები აქვს, ახლა, მერიის მანქანების გამოყენებით, ადგილებს ნაკურთხი წყლით „წმინდავს".*

*გარდა ამისა, **მიქელაძის ლიბერასტულმა „ენჯეომ"** სასამართლოში სარჩელიც შეიტანა და ითხოვს, რომ ბათილად იქნას ცნობილი მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ის პუნქტი, რომლითაც მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიას 400 ათასი ლარი გამოეყო.*

*მოკლედ, ასეთი ძნელბედობის ჟამსაც კი, როცა ქვეყანა კორონავირუსის პანდემიას ებრძვის, ღვთის გარეგანი ლიბერასტები არ ისვენებენ და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ილაშქრებენ, რასაც არამარტო ქართველები და მართლმადიდებლები, არამედ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მუსლიმებიც ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციად მიიჩნევენ. **სწორედ ამ თემაზე გვესაუბრება საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე ალი ბაბაევი:***

**– ვგმობ და კატეგორიულად ვემიჯნები ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციისა თუ კერძო პირის პროვაკაციულ განცხადებებს – მართლმადიდებელ სასულიერო პირებს მარნეულის ქუჩები არ უნდა ეკურთხებინათ, რადგან იქ**

## მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმიაო!

დიახ, ჩემთვის, როგორც აზერბაიჯანელისა და მუსლიმისათვის, რომელიც ყოველთვის ვამაყობ იმით, რომ საქართველოს შვილი ვარ, კატეგორიულად მიუღებელია მოსახლეობის დაყოფა იმის მიხედვით, რამდენი პროცენტია ქრისტიანი, რამდენი — მუსულმანი, ვინ აზერბაიჯანელია, ვინ — ქართველი და ა.შ. **პირდაპირ ვაცხადებ: ვინც ამას აკეთებს, პროვოკატორი და საქართველოს არაკეთილმოსურნეა.**

**— მარნეულის მუსლიმ მოსახლეობას ხომ არ გამოუხატავს უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა ქუჩები აკურთხეს?**

— ამის მიმართ მარნეულის მოსახლეობას პროტესტი არც ახლა და არც არასოდეს ჰქონია. ჩვენ საქართველოს შვილები ვართ და ამ ქვეყანაში რამდენიმე ტრადიციული რელიგია საუკუნეების განმავლობაში ჰარმონიულად თანაარსებობს, რითიც ყველანი ვამაყობთ. **მარნეულში 10 ათასზე მეტი მართლმადიდებელი ქრისტიანი ცხოვრობს და ვის აქვს უფლება, მათ რელიგიური რიტუალების ჩატარება აუკრძალოს?!** მარნეულშიც, ბოლნისშიც, გარდაბანშიც ქრისტიანი და მუსლიმი მოსახლეობა თავ-თავიანთ სალოცავებში ლოცულობს საქართველოს ძლიერებისათვის, იმიტომ, რომ ეს ჩვენი საერთო სამშობლოა.

ამ დღეებში პირადად ვესაუბრე სრულიად საქართველოს შეიხს **რამინ იდიგოვს,** ვესაუბრე მუსლიმ სასულიერო პირებს და ყველა მათგანი მეთანხმება, რომ მართლმადიდებელი სასულიერო პირების მიერ მარნეულის ქუჩების კურთხევაზე ატეხილი აჟიოტაჟი საქართველოს წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციაა.

**— და რა შეიძლება იყოს ამ პროვოკაციის მიზანი?**

— პროვოკატორების მიზანი, ალბათ, ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის შუღლის ჩამოგდებაა, აბა, მეტი რა უნდა იყოს? სოციალურ ქსელებში აზერბაიჯანელების ლანძღვა-გინების საშინელი კამპანიაც კი გააჩაღეს, მაგრამ „ფეისბუქის" მომხმარებელთა დიდ უმრავლესობას, რომლებიც ამას აკეთებენ, არც სახელი აქვთ, არც გვარი და არც თავიანთი ფოტოები უდევთ. **ესენი არიან ბინძური პროვოკატორები, რომლებიც საქართველოს განვითარებას უშლიან ხელს.**

კიდევ ერთხელ ვაცხადებ: ვამაყობ, რომ საქართველოს შვილი ვარ, ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა კი ბრძენი და ვაჟკაცია!

## ღირსეულმა ქართველებმა საკადრისი პასუხი გასცეს ყველა პროვოკატორს, ვინც სოციალურ ქსელში აზერბაიჯანელების ლანძღვით იყო დაკავებული და საქართველოდან მათ გასახლებასაც კი მოითხოვდა!

**— მარნეულისა და ბოლნისის რაიონების საკარანტინო ზონებად გამოცხადების შემდეგ ითქვა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას კორონავირუსთან დაკავშირებით საკმარისი ინფორმაცია არ ჰქონდა და არ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, რადგან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა ქართული ენა არ იციან. ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?**

— უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვა, რომ ჩვენმა მთავრობამ აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა მარნეული და ბოლნისი საკარანტინო ზონებად გამოაცხადა. ჩვენი პრემიერ-მინისტრი, ბატონი **გიორგი გახარია,** ჩვენი გმირი ექიმები თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გადასარჩენად ყველაფერს აკეთებენ და ჩვენც ვალდებული ვართ, გვერდით დავუდგეთ მათ.

ადგილობრივ მოსახლეობას რაც შეეხება, დიახ, სამწუხაროდ, ინფორმაციული ვაკუუმი ნამდვილად იყო, რადგან უმრავლესობამ ქართული ენა არ იცის, ქართულ ტელევიზიებს არ უყურებს და ინფორმაციას აზერბაიჯანული და თურქული არხებიდან იღებს.

**— ეს მართლაც სერიოზული პრობლემაა!**

— **30 წელია, გავყვირი, რომ ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში პრიორიტეტული უნდა იყოს.** დიახ, ქართულ ენას სათანადო პატივი უნდა ვცეთ და აზერბაიჯანულ, სომხურ თუ სხვა ეთნიკურ უმცირესობათა სკოლებში ქართული უმაღლეს დონეზე უნდა ისწავლებოდეს. მაღალკვალიფიციური პედაგოგები გვჭირდება და სკოლის დირექტორებიც ქართულენოვანნი უნდა იყვნენ. ზოგს სწყინს, ამას რომ ვამბობ, მაგრამ **სკამს გამოკერებული სკოლის დირექტორები, რომლებმაც საკვალიფიკაციო გამოცდებიც კი ვერ ჩააბარეს, ახალგაზრდა, განათლებული, ქართული ენის კარგად მცოდნე კადრებით უნდა ჩანაცვლდნენ.** აზერბაიჯანელ და სხვა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ახალგაზრდებს, რომლებიც ქართულ ენას შესანიშნავად ფლობენ, საჯარო და სახელმწიფო სტრუქტურებში დასასაქმებლად გზა უნდა გაეხსნათ.

**— ქართული ენა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა ზოგიერთმა დეპუტატმაც კი არ იცის!**

— დიახ, სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტში ასეთი დეპუტატებიც არიან. მაგალითად, ნაციონალური მოძრაობის წევრი **აზერ სულეიმანოვი** საქართველოს პარლამენტში დაბერდა, ოთხი მოწვევის დეპუტატია და ქართულს ახლა სწავლობს.

საერთოდ, როგორც „ქართული ოცნების" ერთ-ერთი დამფუძნებელი და რიგითი ჯარისკაცი, ვაცხადებ, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები თავიანთი დეპუტატებით ძალიან უკმაყოფილონი არიან. **ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც იქნებ 2020 წლის არჩევნებისათვის მაინც დააყენონ დეპუტატობის ისეთი კანდიდატები, რომლებსაც მოსახლეობაში ავტორიტეტი და მათთან კომუნიკაციის უნარი ექნებათ.**

დაბოლოს, საქართველოს აზერბაიჯანელებით დაწყებული, ყველას მოვუწოდებ: დავუდგეთ გვერდით ჩვენს მთავრობას, ბატონ **გიორგი გახარიას,** ჩვენს ექიმებს და ყველამ ერთად გადავიტანოთ ეს განსაცდელი, რასაც კორონავირუსი ჰქვია. ნუ ვათხოვებთ ყურს ათასი ჯურის პროვოკატორს, რომელიც ასეთ მძიმე დროსაც კი ქვეყნის სამტროდ არის მომართული!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***


Tamta Mikeladze
14 mins ·
მარნეულში მოსახლეობის 85 % მუსლიმია.
ადგილობრივი ეპარქია, რომელმაც მუსლიმურ სოფლებს მთებზე ჯვრები დაასვა, ასეულობით ათას ლარს ყოველწლიურად იღებს ბიუჯეტიდან და ადგილობრივ პოლიტიკაზეც ძლიერი გავლენები აქვს, ახლა მერიის მანქანების გამოყენებით ადგილებს ნაკურთხი წყლით "წმინდავს."

თამთა მიქელაძე და მისი ფეისბუქ-პოსტი





**„ნაციონალური მოძრაობის წევრი აზერ სულეიმანოვი საქართველოს პარლამენტში დაბერდა, ოთხი მოწვევის დეპუტატია და ქართულს ახლა სწავლობს!"**

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ მეგრელიშვილი**
*„გირჩის" წევრი*



**მარნეულისა და ბოლნისის საკონცენტრაციო ბანაკებად გადაქცევის მომხრეები ფაშისტები ხართ.**

„აიპრესი"

**გიორგი მარგველაშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*



**მარნეულში მომხდარმა ინციდენტებმა აჩვენა, რომ შეგვიძლია, მაჟორიტარული სისტემა წითლად შევღებოთ და გადავაგდოთ მტკვარში.**

„პალიტრანიუსი"

**ჯონდი ბაღათურია**
*„ქართული დასის" ლიდერი*



**პირველად ჩემს ცხოვრებაში ვეთანხმები მთავრობის მუშაობის სტილს, პირველად ცხოვრებაში მათ რეკომენდაციებს ვიზიარებ და ვასრულებ. ცოტა უჩვეულო განცდა მაქვს, მთავრობის მოსაზრებების გათვალისწინებას მიჩვეული არ ვარ.**

„ახალი თაობა"

**რომან კაკულია**
*პარლამენტარი*



მინდა, ყველას მკაცრად ვუთხრა, რომ არცერთი კომპანია თუ პირი, რომლებიც დაკავშირებული იქნება პროდუქტებზე ფასების არაგონივრულ ზრდასთან, არ დარჩება უცნობი საზოგადოებისათვის. **ყველას დავასახელებთ, თუ ვინმე ასე მოიქცევა. დანარჩენი ყველამ საკუთარ სინდისთან გაარკვიოს, როგორ აპირებს ამ იარლიყით ცხოვრებას.**

„კვირის პალიტრა"

**გია ყრუაშვილი**
*„თავისუფალი საქართველოს" წევრი*



**ოჯახის წევრებმა ერთმანეთთან არ იკონტაქტოთო. ამათ ჰგონიათ ივანიშვილისნაირი სახლი გვაქვს ხალხს!**

„ალია"

*მარნეულში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო, მარნეულისა და ხუჯაბის ეპარქიამ ქალაქის ქუჩები წმინდა წყლით აკურთხა, რის გამოც მას სოროსელი „ჭინკები“ სასამართლოში უჩივიან — აქ მოსახლეობის 85 პროცენტი აზერბაიჯანელი მუსლიმია და ეს მათ რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფსო! ამ სარჩელის ავტორი და სულისჩამდგმელი ვინმე თამთა მიქელაძეა, რომელიც ვახა მაჩალიკაშვილ-ტერლოევის „უფლებადამცველია“ და ამ ორიოდე თვის წინათ, პანკისელი ქისტების აბუნტებაშიც არის შემჩნეული! მოკლედ, ქართველი სამართალდამცავები სასწრაფოდ უნდა დაინტერესდნენ, ვისი ფულით ლობირებს ეს თამთა მიქელაძე ქვემო ქართლიდან ქართული ეკლესიის შევიწროებისა და გაძევების კამპანიას! გთავაზობთ ინტერვიუს მწერალთან, ჭარმაგ მევენახესთან და ქართული სოფლის ქომაგთან ანზორ ჯაფარიძესთან, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა მშობლიური, ოდესღაც 1600-კომლიანი ქართული სოფლის ტერიტორიების მიტაცება აზერბაიჯანული სოფლების მიერ:*

# ანზორ ჯაფარიძე: მე ქართულ მიწაზე მინდა, ჯვარს აღვმართავ, მინდა, ეკლესიას ავაშენებ და ამას არც აზერბაიჯანელს დავეკითხები, არც სპარსს და არც ოსმალოს!



— პირდაპირ გეტყვით: ვინც ქართულ ეკლესიას აზერბაიჯანელი მუსლიმების შეურაცხყოფას აბრალებს, საქართველოს მოღალატეა! მე ქართულ მიწაზე მინდა, ჯვარს აღვმართავ, მინდა, ეკლესიას ავაშენებ და ამას არც აზერბაიჯანელს დავეკითხები, არც სპარსს და არც ოსმალოს!

მეუხერხულება კიდეც საჯაროდ იმაზე ლაპარაკი, რომ ქართულ მიწას და მართლმადიდებელ რწმენას თვალისჩინივით უნდა მოვუფრთხილდეთ! ეს რას მოვესწარი, რომ ჩვენი ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოსაგან და ეგრეთ წოდებული არასამთავრობოებისაგან დასაცავი გვიხდება მამა-პაპათა სისხლით გაპოხილი ქართული მიწა და დედაეკლესია!

აგერ, ცოცხალი მაგალითი ვარ იმისა, თუ რა დაემართა თელავის რაიონში ჩემს ძირძველ ქართულ და ისტორიულ სოფელს **ახატელს:** ჩემს ბავშვობაში იქ 1600 კომლი ქართველი ცხოვრობდა და 6 ეკლესია იდგა, დღეს კი 100 კომლიღა შემოგვრჩა და სამი ეკლესიაღა გვაქვს! და ეს სამი ეკლესიაც დიდი ტანჯვა-ვაებით ძლივს აღვადგინეთ...

**ჩემი მშობლიური ახატელი ჩვენმა მეზობელმა აზერბაიჯანულმა სოფელმა გადასანსლა! და ამას არავის არ ვაბრალებ ჩვენი თავის გარდა!** დიახ, ქართველების ბრალია ის, რომ ჩვენი მიწები აზერბაიჯანელებმა დაიკანონეს, ის, რომ ჩვენი ტაძრები ბოსლებად აქციეს, ის, რომ იმათი მოლა თითოეულ თავის მრევლს სახელითა და სახით იცნობს, მე კი ათწლეულები ვითხოვდი საპატრიარქოსაგან ერთი მღვდლის მოვლენას! და მხოლოდ ახლახან გვეღირსა ეს ღვთისნიერი ღვთისმსახური **ზაქარია ჩიხლაძე,** რომელიც კახეთის ეპარქიიდან ამოდის და წირავს ხოლმე ახატელში!

**— სოროსელი ალქაჯები ბოლნისისა და ხუჯაბის ეპარქიას უჩივიან, ქალაქ ბოლნისის გარშემო მთებზე ჯვრები რატომ აღმართა, აქ ხომ ძირითადად მუსლიმი აზერბაიჯანელები ცხოვრობენ და ეს მათ შეურაცხყოფსო!**

— ვენაცვალე იმათ ხელებს, ვინც ბოლნისის გარშემო მთებზე ჯვრები აღმართა! ზუსტად ეგ გავაკეთე წლების წინათ, როდესაც ჩემი სოფლის საზღვარზე უზარმაზარი ჯვარი დავდგი, რომელიც ღამე ანათებს!



მალხაზ მაჩალიკაშვილის ადვოკატი თამთა მიქელაძე ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას მუსლიმების შევიწროებაში ადანაშაულებს

## აზერბაიჯანელმა მოლამ აღშფოთებულმა შემომითვალა – კი მაგრამ, რას გვერჩი, ამას რომ გვაყურებინებო?! მეც შევუთვალე, არავის არაფერს ვაყურებინებ, ეს ჩემი სოფელია, ჩემი წინაპრების სისხლით მორწყული მიწაა და მათი სულების პატივსაცემად ჯვრის აღმართვას არც არავის შევუთანხმებ-მეთქი!

ისე არიან დაბეჩავებული ქართველები, რომ ყიდიან ქართულ მიწებს! ზოგიერთმა ჩემმა თანასოფლელმა ანდერძში დაწერა, მე რომ მოვკვდები, ჩემი მიწა ამა და ამ აზერბაიჯანელს დარჩესო!

**— რატომ ანდერძში?**

— იმიტომ, რომ სანამ ცოცხალია, რცხვენია მამულის გაყიდვა და სიცოცხლეშივე აქვს ასეთი გარიგება დადებული!

**საქართველოს საპატრიარქოს ვთავაზობ ასეთ გადაუდებელ ინიციატივას:** საქართველოში აუცილებლად უნდა დაწესდეს საეკლესიო სოფლების სტატუსი, რათა მათი მიწები ხელშეუხებელი იყოს და გადაურჩეს უცხოტომელთა ხელში ჩავარდნას!

## „ვინც ქართულ ეკლესიას აზერბაიჯანელი მუსლიმების შეურაცხყოფას აბრალებს, საქართველოს მოღალატეა!“



ქუჩების კურთხევა მარნეულში

## კორონავირუსის პანდემიამ ნათლად დაგვანახვა: თუ საქართველოს გადარჩენა გვინდა, საქართველოში სოფლის მეურნეობის სამინისტრო თავდაცვის სამინისტროზე მეტი თუ არა, არც ნაკლები მნიშვნელობისა უნდა იყოს!

საქართველოს უპირველესი დევიზი უნდა გახდეს: ქართული სოფელი და სოფლის მეურნეობა გადაარჩენს საქართველოს! **იცით, რომ ყოველწლიურად 6 მილიონი დოლარის ტარხუნა შემოგვაქვს სომხეთიდან?! რა, ქართველ ფერმერს ტარხუნის მოყვანა არ შეუძლია?!**

რატომ შემოგვაქვს თურქული პომიდორი და კიტრი, როცა დიღმის კიტრისა და ჭოპორტის პომიდვრის მსგავსი მსოფლიოში არ არსებობს!

**რატომ შემოგვაქვს მილიონობით დოლარის ყვავილები ჰოლანდიიდან, როდესაც აგერ, თბილისის შემოგარენში გვქონდა უნიკალური საყვავილე მეურნეობა!**

რატომ უნდა ვიყოთ უცხოურ ხორბალზე დამოკიდებული, როდესაც მსოფლიოში უნიკალური ხორბლის ჯიშები გვაქვს?! რომელი ერთი ჩამოვთვალო?!

## გადავარჩინოთ ქართული სოფელი და ქართული სოფელი გადაარჩენს საქართველოს! რადგან ქართველ გლეხს თუ დავკარგავთ, საქართველოსაც დავკარგავთ!

## „საქართველოში აუცილებლად უნდა დაწესდეს საეკლესიო სოფლების სტატუსი, რათა მათი მიწები ხელშეუხებელი იყოს და გადაურჩეს უცხოტომელთა ხელში ჩავარდნას!“

*ესაუბრა*
***გიორგი გიგაური***

## კვირგვინოსნები



**სოსო გოგაშვილი**
*„სუს“-ის უფროსის ყოფილი პირველი მოადგილე*

**ჩემი აზრით, აი, რა სიკეთეები მოაქვს ახალ კორონავირუსს:** ადამიანები დააბრუნა ოჯახებში, სადაც სითბოა და ყველას უყვარხარ, სადაც ყველა ერთმანეთზე ზრუნავს, სადაც ბოროტება არ არსებობს. გაგვახსენა, რომ ადამიანი უფლის რწმენის გარეშე არაფერს წარმოადგენს, ღმერთი ყოვლისშემძლეა და ყოვლისმომცველი.

**გამოჩნდა კარგად, რომ პირველი და ყველაზე მთავარი მიზანი, ნამდვილი, შემდგარი სახელმწიფოებისთვის ეროვნული უსაფრთხოება და ეროვნული ინტერესებია. ბოროტ ადამიანებს სიკვდილის შიშმა დაავიწყა თავისი სანუკვარი საქმე — ბოროტების კეთება, ცოტა ხნით მაინც. იქნებ ადამიანი ადამიანად ისევ იქცეს საბოლოოდ.** მადლობა უფალს ყველანაირი განსაცდელისთვის, რასაც გვივლენს ყოველდღე.

„ალია“



**ემზარ კვიციანი**
*„პატრიოტთა ალიანსის“ წევრი*

უფალმა კორონასთან ბრძოლით გაგვაძლიერა და უამრავი სიკეთე მოგვიტანა, ემიგრანტი დედები უბრუნდებიან შვილებს, სოფლად მიტოვებულ სახლებში 80 პროცენტი დაბრუნდა, გლობალიზაციამ უსაზღვრო ლიბერალიზმი შეაჩერა. ქართველებს დაუბრუნდათ ქართველებისადმი პატივისცემა. **მე პირადად აწი რომც შემეყაროს კორონა, მაინც სამადლობელს ვიტყვი კორონას მიმართ. მადლობა, ჩემო მტერო კორონა, საკმარისად სიკეთე გვიყავ, აწი წადი მშვიდობით სხვაგან, დანარჩენ მსოფლიოში დაამყარე წესრიგი, ჩვენ გამოვსწორდით!** დიდება და მადლობა უფალს ყველაფრისათვის!

„ალია“



**მურმან დუმბაძე**
*ოპოზიციის წევრი*

**ბიძინა ივანიშვილი უნდა გამოჩნდეს ტელეეკრანზე, მას საქართველოს მოქალაქეების წინაშე მორალური ვალდებულებები აქვს აღებული.**

„ახალი თაობა“



**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*

**გაგვიმართლა, გახარია საკმაოდ ნორმალური მენეჯერი აღმოჩნდა.**

„ახალი თაობა“

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „ასავალ-დასავალის“, ერთი-ორი გამოცემისა და ტელევიზიის გარდა, უკლებლივ ყველა მედიასაშუალება გაყიდულია!

***„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე საქართველოს ხელისუფლებას განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენას ურჩევს და აცხადებს, რომ დავითგარეჯის ოკუპაციით წახალისებული აზერბაიჯანი თავისი აგენტურის საშუალებით ქვემო ქართლში აზერბაიჯანული ავტონომიის შექმნას ცდილობს. იგი იმ კონკრეტულ პირებს ასახელებს, რომლებიც ქვემო ქართლში რელიგიურ შუღლს აღვივებენ და საქართველოს ინტერესებს ძირს უთხრიან:***



**„ისტორიულ ჰერეთში ჩვენი ეკლესია-მონასტრები ტუალეტებად აქვთ გადაკეთებული და ხმას ვერ ვიღებთ... ჩვენ ვერც იმაზე ვიღებთ ხმას, საქართველოში 70 მეჩეთი უკანონოდ რომ არის აშენებული!“**

— საქართველოს მოსახლეობამ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ დირექტორის **თამთა მიქელაძის** შავბნელი საქმიანობის შესახებ კარგად იცის. მოგეხსენებათ, ეს პირწავარდნილი სოროსელი, რომელსაც უცხოეთიდან უზარმაზარი თანხით აფინანსებენ, დიდი ხანია, რაც ეკლესიასა და მართლმადიდებლობას აგრესიულად ებრძვის. ამ დღეებში, როცა მთელი მსოფლიო კორონავირუსის დასამარცხებლად გაერთიანდა, მიქელაძემ მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის სასულიერო პირების მიერ ბოლნისისა და მარნეულის ქუჩების წყლით კურთხევა ეთნიკური აზერბაიჯანელების რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციად შერაცხა და მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიას უჩივლა — მარნეულში მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმია და ცენტრალური ბიუჯეტიდან მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქია რომ ფინანსდება, ეს დაუშვებელიაო! ამ საქმეში მას გვერდში ამოუდგნენ ქვემო ქართლში მოქმედი აზერბაიჯანული არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებსაც მიქელაძე დიდი ხანია, „ატრენინგებს“ და საქართველოს მტრებს აკვალიანებს, თუ საიდან და როგორ უნდა შეუტიონ ჩვენს ქვეყანას.

**— თამთა მიქელაძის გარდა, შეგიძლიათ, ის კონკრეტული პიროვნებები დაასახელოთ, რომლებიც ქვემო ქართლში საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და ერთიანობას ძირს უთხრიან?**

— ერთ-ერთი ასეთი „დატრენინგებული“ გახლავთ „საქართველოში აზერბაიჯანელ იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი **ალი ბადიროვი,** რომელმაც თამთა მიქელაძეს მადლობა გადაუხადა და გაიმეორა — მარნეულსა და ბოლნისში აზერბაიჯანელების დისკრიმინაცია ხდებაო! იმავეს აცხადებს ე.წ. სამოქალაქო აქტივისტი **სამირა ბაირამოვა,** რომელმაც 2016 წელს ქართველი ჯარისკაცების მიერ მარნეულის შესასვლელში ჯვრის აღმართვის ამსახველი ფოტოსურათი ახლა გაავრცელა და პროვოკაციულად დაწერა — „მთელი სამხედრო ამისთვის ჩამოვიდა მარნეულში? დღეს ხალხი რა დღეშია და აქ რა ხდება?“ მოკლედ, ამ სეპარატისტებს ჩვენი დედაეკლესია და საპატრიარქო რომელიღაც „სიპი“ და „ენჯეო“ ჰგონიათ... ეს უწიგნური და ბნელი **სამირა ბაირამოვა** იქამდეც კი მივიდა, რომ უდიდესი მართლმადიდებელი წმინდანი შეურაცხყო და დაწერა — „აბა, რომ ამბობთ წმინდა ბარბარე ბავშვების მფარველია, მაშინ რატომ გუშინ ბარბარემ ვერ დაიცვა ლუკა და ის გარდაიცვალა?“ საუბარია ლუკა სირაძის გარდაცვალების შესახებ... ამის გამო ცხადია, ქართველებიც აღშფოთდნენ და ამ სეპარატისტებს იმავე სოციალურ ქსელში პასუხი გასცეს... **სამირა ბაირამოვამ და მოღალატე თამთა მიქელაძის მიერ „დატრენინგებულმა“ სხვა სეპარატისტებმა ეს ფაქტიც ქართველების საწინააღმდეგოდ გამოიყენეს და ფეისბუქში საგანგებო გვერდი შექმნეს — „იცნობდეთ ფაშისტს!“** ერთი სიტყვით, ეს სეპარატისტები ქართველებისკენ ხელს იშვერენ და ფაშისტებად გვნათლავენ, რაც რადიო „თავისუფლებამ“ და პროსახელისუფლებო სააგენტოებმაც აიტაცეს და აზერბაიჯანის მიერ დავითგარეჯის ოკუპაციაზე რომ ხმას არ იღებენ, სამირა ბაირამოვასა და მისთანების მიერ შექმნილი ფეისბუქგვერდი წაღმა-უკუღმა ატრიალეს, აქაოდა, ქართველები ფაშისტები ყოფილანო! ეს ფაქტიც მიუთითებს, რომ ქართული მედია საქართველოს ინტერესების სადარაჯოზე არ დგას. დავითგარეჯის ოკუპაციით წახალისებული აზერბაიჯანი თავისი აგენტურის საშუალებით ქვემო ქართლში აზერბაიჯანული ავტონომიის შექმნას ცდილობს. პირდაპირ ვაცხადებ: „ასავალ-დასავალისა“ და ერთი-ორი გამოცემისა და ტელევიზიის გარდა, უკლებლივ ყველა მედიასაშუალება გაყიდულია!

**— კი მაგრამ, ეს სამირა ბაირამოვა აზერბაიჯანის მიერ დავითგარეჯის ოკუპაციის ფაქტზე არაფერს ამბობს?**

— ამის შესახებ ბაირამოვას სოციალურ ქსელში მივწერე და სწორედ ეს შეკითხვა დავუსვი. იცით, რა მომწერა? ეს თემა არ ვიცი, შესაბამისი კვალიფიკაცია არ მაქვსო! **ეს ქალი ეკლესიას შეურაცხყოფს, წმინდანებს შეურაცხყოფს, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას აპროტესტებს და იმის კომპეტენცია არ ჰყოფნის, რომ აზერბაიჯანის მიერ დავითგარეჯის ოკუპაცია გააპროტესტოს?** ცხადია, ეს ყველაფერი არის სპექტაკლი და სეპარატისტები თავიანთ ბინძურ საქმეს აკეთებენ. სოროსელი თამთა მიქელაძე ჟურნალისტებსაც „ატრენინგებს“... მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი „დატრენინგებულია“ **ჯეიჰუნ მუჰამედ ალი,** რომელიც ბოლნისსა და მარნეულში „მთავარი არხისთვის“ „მოღვაწეობს“ და ეთნიკური შუღლის გასაღვივებლად უკან არაფერზე იხევს. **ყოველივე ზემოთქმულის ფონზე ქართულ სპეცსამსახურებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. „სუს“-ის დირექტორის, ბატონი გრიგოლ ლილუაშვილის განათლებასა და კომპეტენციაში, რა თქმა უნდა, ეჭვს ვერ შევიტან, მაგრამ, ვფიქრობ, სეპარატისტებმა და მათმა დამქაშებმა საქართველოს ხელისუფლებაშიც შეაღწიეს.** ამიტომ ასი თვალი და ასი ყური საქართველოს ინტერესების დასაცავად და „ჩანერგილების“ გამოსავლენად!!! მაგალითად, **ინგა ბერიკაშვილმა,** რომელიც ერთი შეხედვით „ქართული ოცნების“ გულმხურვალე მხარდამჭერია და ამ ხელისუფლებამ „საქაერონავიგაციაში“ დაასაქმა, ეკლესიისა და წმინდანების მაგინებელ სამირა ბაირამოვას მხარი დაუჭირა და ჩემი დასჯა მოითხოვა.

## ხალხო, გამაგებინეთ, თქვენ ქართველები ხართ თუ აზერბაიჯანის აგენტები?!

**— როგორც ვიცი, ამ ორომტრიალში მალხაზ მაჩალიკაშვილმაც გამოიდო თავი!**

— დიახ, მაჩალიკაშვილმა პირდაპირ დაწერა — **„მინდა, მოგმართოთ დღევანდელი ქვეყნის დამაქცევრებს — წულუკიანებს, ვოლსკებს, კალაძე-თალაკვაძეებს, კობახიძე-ივანიშვილებს და სხვა დანარჩენ სისხლისმღვრელებს, რატომ მარნეული და ბოლნისი?“** გონებაშეზღუდულმა და „დაბოლილმა“ გირჩელმა **ვახტანგ მეგრელიშვილმა** კი პირდაპირ განაცხადა — **„მარნეულისა და ბოლნისის საკონცენტრაციო ბანაკებად გადაქცევის მომხრეები ხართ ფაშისტები!“**

მოკლედ, დავითგარეჯის ოკუპაციით წახალისებული აზერბაიჯანი თავისი აგენტურის საშუალებით ქვემო ქართლში აზერბაიჯანული ავტონომიის შექმნას ცდილობს. ამ საქმეში ჩართული არიან ნაცსექტის წარმომადგენლები, ხელისუფლებაში მოკალათებული აზერბაიჯანის სპეცსამსახურების ფარული აგენტები და თამთა მიქელაძის მიერ „დატრენინგებული“ სეპარატისტები! **აბა, გაბედონ ქართველებმა კახში და თქვან — რელიგიური ნიშნით ჩვენი დისკრიმინაცია ხდებაო! ისტორიულ ჰერეთში ჩვენი ეკლესია-მონასტრები ტუალეტებად აქვთ გადაკეთებული და ხმას ვერ ვიღებთ... ჩვენ ვერც იმაზე ვიღებთ ხმას, საქართველოში 70 მეჩეთი უკანონოდ რომ არის აშენებული!** საკმარისია, ეკლესიის მშენებლობა უკანონოდ ჩაითვალოს, მაშინვე დაანგრევენ, მაგრამ მეჩეთის შემთხვევაში ყველა გაჩუმებულია.

**— რა ეშველება ამ საქმეს?**

— ამ საქმეს უშველის ეროვნული ხელისუფლება და ქვეყნის წამყვან პოსტებზე არა ლიბერასტებისა და სოდომისტების, არამედ პატრიოტების დანიშვნა.

## ხუდია ბორჩალოელი იმიტომ იყო საქართველოს პატრიოტი, რომ ქვეყანას მეფე ერეკლე მართავდა. თამთა მიქელაძის, გონება-შეზღუდული ვახტანგ მეგრელიშვილისა და მისთანების პარაპაშის დროს კი საქართველოში რომელი ხუდია ბორჩალოელი უნდა გაიზარდოს?

ასეთ დროს, როგორც წესი, სამირა ბაირამოვები და ალი ბადიროვები მრავლდებიან, რომელთა გვერდით ხუდია ბორჩალოელის ადგილი არ არის!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



Samira Bayramova
1 სთ ·

მთელი სამხედრო ამისთვის ჩამოვიდა მარნეულში, დღეს ხალხი რა დღეშია და აქ რა ხდება?
მარნეულის შესასვლელში იყო პატარა ჯვარი და ახლა ორმაგენ, ამაზე პრეტენზია არ მაქვს
მაგრამ ეცალეს ამ მწიმე დღეში ამისათვის?
მარნეულის ჰუჯაბმა გავრცელა დეზინფორმაცია და რა დემოკრატიული ქვეყანა ვართ კაციშვილი ამაზე პასუხს არ სთხოვს
სურათი და ინფო უგმადის,შეიხს გვერდიდან



Tamta Mikeladze
14 mins ·

მარნეულში მოსახლეობის 85 % მუსლიმია.

ადგილობრივი ეპარქია, რომელმაც მუსლიმურ სოფლებს მთებზე ჯვრები დაასვა, ასეულობით ათას ლარს ყოველწლიურად იღებს ბიუჯეტიდან და ადგილობრივ პოლიტიკაზეც ძლიერი გავლენები აქვს, ახლა მერიის მანქანების გამოყენებით ადგილებს ნაკურთი წყლით "წმინდავს."



Ali Badirov
23 мар. в 20:15 ·

Tamta Mikeladze ve agili bashinda olan herke
Marneuli meri Zaur Dargallinin ve onun emekdashlarinin bu addimini menfi qiymetlendirib tenqid edirler. Zaur Dargalli ne tez unutdu Marneuli Munitsipalitetinin ehalisinin 85 faizinin muselman oldugunu. Niye kilse suyunu sepeledir kuchelerimize goresen?
მადლობა თამთა მიქელაძეს და ყველა იმ ადამიანს, ვინც მარნეულის მერიის ასეთ ქმედებებს უარყოფითად აფასებს.



Malkhaz Machalikashvili Vaakh Terloev
1 ч. ·

კითხვა მაქვს ასეთი მშვიდობას და ჯანმრთელობას ყველას გისურვებთ. მინდა მოგმართოთ დღევანდელი ქვეყნის დამქცევებს წულუკიანებს ვოლსკებს კალაძე თალაკვაძებს კობახიძე ივანაშვილებს და სხვა დანარჩენ სისხლის მღვრელებს რატომ მ ა რ ნ ე უ ლ ი და ბ ო ლ ნ ი ს ი ? ხვალ რომელი საინტერესუა იქნებ არის ისეთ რაც ჩვენ არ ვიცით

ვახტანგ მეგრელიშვილი: „მარნეულის და ბოლნისის საკონცეტრაციო ბანაკებად გადაქცევის მომხრეები ხართ ფაშისტები“

**„ამ საქმეში ჩართული არიან ნაცსექტის წარმომადგენლები, ხელისუფლებაში მოკალათებული აზერბაიჯანის სპეცსამსახურების ფარული აგენტები და თამთა მიქელაძის მიერ დატრენინგებული“ სეპარატისტები!“**



# კობა კუპრაშვილი: პირდაპირ ვაცხადებ, რომ კორონავირუსი არის ბლეფი, მსოფლიო მასშტაბის აფერა!






**„მოსახლეობა მასიურად დაიხოცა ე.წ. კორონავირუსით მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც 5G ინტერნეტის დაფარვის ზონაა!“**

***გერმანიაში მოღვაწე ქართველი პოლიტოლოგი და სოციოლოგი კობა კუპრაშვილი კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილ ისტერიას მედიაპროპაგანდის შედეგად შექმნილ პანიკას უწოდებს და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით მეტად საინტერესო დასკვნებს აკეთებს.***

**— ბატონო კობა, როგორ შეფასებას მისცემთ დღეს მსოფლიოში შექმნილ აჟიოტაჟს ახალი კორონავირუსის გარშემო?**

— უპირველეს ყოვლისა, ძალიან დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ მეძლევა საშუალება, ჩემი აბსოლუტურად განსხვავებული მოსაზრება თქვენი გაზეთის მკითხველს გავაცნო! „ასავალ-დასავალს“ უდიდეს პატივს ვცემ, როგორც დამოუკიდებელ და პრინციპულ მედიასაშუალებას. აღსანიშნავია ისიც, რომ, ვინაიდან ხალხში დათესილია შიში და პანიკა, დღევანდელი ჩემი განცხადებები, შესაძლოა, არაპოპულარული და მიუღებელიც კი აღმოჩნდეს საზოგადოებისათვის! **პირდაპირ ვაცხადებ, რომ კორონავირუსი არის ბლეფი, მსოფლიო მასშტაბის აფერა! პრინციპი ბაყაყი და იბატონე მშვენივრად აამუშავეს დღევანდელ მსოფლიოში, უბრალოდ, სახელი შეუცვალეს და „სოციალური დისტანცია“ და „თვითიზოლაცია“ დაარქვეს. ხალხმაც ჩაყლაპა ეს ანკესი!**

**— ძალიან მკვეთრ და სკანდალურ განცხადებებს აკეთებთ მაშინ, როცა მსოფლიო Covid19-ად წოდებულ უხილავ მტერს ებრძვის! რა გაძლევთ ამის თქმის საშუალებას?**

— სოციოლოგი გახლავართ, შესაბამისად, დასკვნებს ვაკეთებ ციფრების, სტატისტიკის და არა მედიაში აგორებული პიარკამპანიის საფუძველზე. სტატისტიკა, რომელიც დღეს ჩვენს ხელთაა, ადასტურებს, რომ **კორონავირუსი არის გამოგონილი მტერი,** რომლის გამოჩენით ადამიანებში გამოწვეულ შიშს და პარანოიას მავანნი საკუთარი მიზნების განსახორციელებლად იყენებენ!

თქვენ კარგად ხედავთ, რომ საქართველოში ჯერჯერობით კორონავირუსით არცერთი ადამიანი არ დაღუპულა. რობერტ კოხის ინსტიტუტის მონაცემებით კი, 82-მილიონიან გერმანიაში ეს რიცხვი იმდენად უმნიშვნელოა, მას ყოველდღიური სიკვდილიანობის სტატისტიკა მეასედი პროცენტითაც კი არ შეუცვლია.

მაინცის უნივერსიტეტის პროფესორმა, დიდი რეპუტაციის მქონე იმუნოლოგმა და მიკრობიოლოგმა **სუჩარიტ ბაქდიმ** თავის სკანდალურად გახმაურებულ ინტერვიუში კარგად ახსნა, რომ sars-cov-2 ვირუსი არანაირ კორელაციაში არაა სიკვდილიანობის მომატებასთან. ამის შემდეგ ის მედიაში იბლოკება და ცალკეული ვაი-ჟურნალისტების ბულინგის მსხვერპლიც გახდა.

დღეის მონაცემებით, გერმანიაში ინფიცირების 42 288 შემთხვევა გვაქვს, აქედან გარდაცვლილია 253 ადამიანი. აქვე უნდა ითქვას, რომ დიდი რაოდენობით ინფიცირებულებში დაავადება აბსოლუტურად უსიმპტომოდ მიმდინარეობს, შესაბამისად, მათ ტესტირებას საერთოდ არ უკეთებენ და ეს ადამიანები არ არიან დათვლილი სტატისტიკაში. **უსიმპტომო, ანუ გამოუვლენელი ინფიცირებულების რიცხვი რადიკალურად შეცვლიდა სიკვდილიანობის პროცენტს და მას კიდევ უფრო შეამცირებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ გარდაცვლილთა საშუალო ასაკი 82 წელი იყო და მათ სხვადასხვა ქრონიკული დაავადებები აწუხებდათ.**

**— რით არის გამოწვეული სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი, მაგალითად, იტალიაში?**

— იტალიელებში სიკვდილიანობა 26-ჯერ მეტია, ვიდრე გერმანიაში. ეპიდემიოლოგები ამ კოლოსალურ განსხვავებას ვერაფრით ხსნიან! მე კი მაქვს პასუხი, რომელიც საკმაოდ მკაფიო და ნათელია. გადავხედოთ იმ ქვეყნებს, სადაც სიკვდილიანობა განსაკუთრებით მაღალია: იტალია, ჩინეთი, ირანი, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი... რა აქვთ საერთო ამ ქვეყნებს? **ამ ქვეყნებში ამუშავებულია 5G ტექნოლოგია: მაღალი ინტენსივობის მობილური ინტერნეტი შესაბამისი ანძებით, რომლებიც 50-ჯერ მძლავრ დასხივებას უშვებენ, ვიდრე ჩვეულებრივი 3 ან 4G და პირდაპირ ანადგურებენ ადამიანის იმუნურ სისტემას.** 5 G-ს პრობლემატიკამ ჩემი ყურადღება ჯერ კიდევ 2019 წელს მიიქცია, როცა ტელეკომპანია „არტე“-ზე გავიდა ფილმი სახელწოდებით — **„5G-ქსელი: ჩვენ — საცდელი კურდღლები“,** სადაც ექსპერტები გვაფრთხილებდნენ იმ რისკებზე, რომლებმაც დღეისათვის იჩინა თავი, მაგრამ მაშინ ფულის მოგების სურვილმა საღი აზრი გადაფარა და შედეგიც სახეზე გვაქვს!

**— თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია კეთილსაიმედოა ქართველი ხალხისთვის...**

— მაქვს ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჩემი ხალხისთვის, ქართველი ერისთვის! ნურაფრის გეშინიათ! გერმანიაში დღეის მონაცემებით, კორონავირუსის ეპიდემია არ არსებობს. აქ ყოველდღიურად სტანდარტული სტატისტიკური მონაცემებით, საშუალოდ 2600 ადამიანი იღუპება და ეს ციფრი კორონავირუსის პანდემიის გამოცხადების შემდეგ, როგორც ეს მედიამ გააშუქა, არც შეცვლილა. გერმანიაში საავადმყოფოები და ინფიცირებულთათვის გამზადებული საწოლები არის ცარიელი და პაციენტები მოჰყავთ იტალიიდან, ესპანეთიდან და ა.შ. **იყო თუ არა კორონავირუსის პანდემია, ამის დადგენა მოხდება მეცნიერებისა და ისტორიკოსების მიერ მას შემდეგ, რაც ეს ყველაფერი ჩაივლის და დაითვლიან ინფიცირებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობას მსოფლიო მასშტაბით.** მოგონილი, ფსევდოეპიდემიის გამო, ჩვენ შეგვიზღუდეს უფლებები და თავისუფლება! აი, ეს არის პრობლემა! აი, ეს უნდოდათ გლობალისტებს. არცერთი ვირუსი ისე საშიში არაა, როგორც ნეგატიური და პანიკური საინფორმაციო ფონი, რომელიც მის ირგვლივ იქმნება.

**შიში და პანიკა დამანგრევლად მოქმედებს კოლექტიურ არაცნობიერზე და ასუსტებს ყველა იმ ადამიანის იმუნურ სისტემას, ვინც ექცევა შიშის ნეგატიურ ველში, რაც ათასი პროცენტით ზრდის დაავადების რისკს.**

**— როგორ მოვიქცეთ, როდესაც ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული და მედიასაშუალებები მხოლოდ კორონავირუსით აპელირებენ?**

— **მოსცილდით ინტერნეტს და ტელევიზორს, გარეთ გადით, ცას ახედეთ, თქვენი საქმიანობა გააგრძელეთ და ილოცეთ!** დაფიქრდით, რას მალავენ და რისი გადაფარვა უნდათ კორონავირუსის მსოფლიო ისტერიით. **რასაც ახლა ვსაუბრობ, შესაძლოა, ამით საფრთხე შევუქმნა საკუთარ თავს, ოჯახს და დავასამარო ჩემი რეპუტაცია, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მსოფლიო მმართველების, გლობალისტების გეგმა ამუშავებულია და თუკი ქართველი ხალხი არ უკუაგდებს შიშს, გაცილებით მეტი და მეტი ადამიანი დაიხოცება მომდევნო თვეებში პანიკისა და ისტერიის გამო!**

შექმნილი პანიკა ემყარება ირაციონალურ შიშს დაავადების გავრცელების თაობაზე, რომელიც მხოლოდ მედიის მიერ იქნა გაპიარებული და არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ კორონავირუსი თუნდაც სეზონურ გრიპზე საშიშია, არ არსებობს!

**— შიშის გავრცელება თავისთავად გასაგებია, რადგან ადამიანებს შთაუნერგეს, რომ ამ ვირუსს საკმაოდ მაღალი სიკვდილიანობა ახასიათებს...**

— საქმე იმაშია, რომ ამ შიშის ფონზე მიღებული ირაციონალური გადაწყვეტილებები პირდაპირ ურტყამენ ისეთი სუსტი ქვეყნების ეკონომიკებს, როგორიც საქართველოა. **შედეგად მალე მივიღებთ გაცილებით მეტ შიმშილით დახოცილ ბავშვს, ვიდრე კორონავირუსით დახოცილ მოხუცებს!**

**— დაბოლოს, ვისი მიზანი იყო და რა მოტივით განხორციელდა მსოფლიოში შიშისა და პანიკის დათესვა?**

— ამ თემაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს. საკითხი შეიძლება, განვიხილოთ როგორც რელიგიურ, ასევე ეკონომიკურ ჭრილში, თუმცა, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ დღეებში ბრიტანეთის 74-ე პრემიერ-მინისტრმა **გორდონ ბრაუნმა** გაახმოვანა იდეა, **„დროებითი“ მსოფლიო მთავრობის** შექმნის შესახებ, ამით კი ყველაფერია ნათქვამი. თუკი კორონავირუსის საინფორმაციო ტერორის ფონზე ამ იდეის განხორციელება მოხდება, მაშინ დაივიწყეთ „უკან დაბრუნება“ კრიზისის გადავლის შემდეგაც, რადგან ერთხელ ხელში ჩაგდებულ ძალაუფლებას ნებაყოფლობით უკან აღარავინ დაგვიბრუნებს! **შედეგად მივიღებთ ტოტალიტარულ მსოფლიო წესრიგს, დედამიწაზე გლობალისტთა გაბატონებას, რომელიც „ანტიუტოპიის“ ცნობილ ავტორებს ჯორჯ ორუელს, ოლდოს ჰაქსლის თუ რეი ბრედბერის ყველაზე საშინელ სიზმარშიც კი ვერ დაესიზმრებოდათ!**

*ესაუბრა*
***მეგი საჯაია***

**„მალე ჩვენ მივიღებთ გაცილებით მეტ შიმშილით დახოცილ ბავშვს, ვიდრე COVID 19-ით დახოცილ მოხუცებს!“**

## კვირგვინოსნები

**ტედროს ადჰანომ გებრეიესუსი**
*მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის გენერალური დირექტორი*



**ვიწყებთ კორონავირუსის საწინააღმდეგო პრეპარატების მოხალისეებზე გამოცდას.**

„ახალი თაობა“

**თამარ გაბუნია**
*ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე*



**კორონავირუსის პიკი ჩვენ შეიძლება, არც არასდროს მივიღოთ.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დავით ზალკალიანი**
*საგარეო საქმეთა მინისტრი*



**საქართველოს მთავრობა და საგარეო საქმეთა სამინისტრო, პრემიერ-მინისტრის დავალებით, ინტენსიურად მუშაობს უცხოეთის ქვეყნებიდან ჩვენი მოქალაქეების სამშობლოში დასაბრუნებლად.**

„გურია ნიუსი“

**ბიძინა კულუმბეგოვი**
*ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი*



ჩვენ ინფიცირების კი არ გვეშინია, შეგვხვდება და გადავიტანთ — **ჩვენ გვეშინია ერთდროული დაინფიცირების.** შეიძლება, ვირუსი იყოს მსუბუქი ფორმის და შეიძლება, იყოს რთული, მაგრამ — რომ არ იყოს საკმარისი ექიმი, სანიტარი, მართლა მოკვდება ადამიანი, ოღონდ ვირუსისგან კი არა, არასწორი დახმარების ან უპატრონობისაგან.

„ალია“

**ზვიად კუპრავა**
*ეკონომიკის ექსპერტი*



ამ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ისედაც მცირე ბიუჯეტის რაციონალური ხარჯვა. ამ ეტაპზე არცერთმა საჯარო მოხელემ, არცერთმა ჩინოვნიკმა არ უნდა აიღოს პრემია ან დანამატი! **ერთადერთი ჯგუფი, ვისაც დღეს პრემია ეკუთვნის, ჩვენი გმირი სამედიცინო პერსონალია!**

„ალია“

**ვალერი კვარაცხელია:** — გამარჯობა, ძვირფასო ტელემკითხველო!

„ასავალ-დასავალის“ ეთერშია გადაცემა „ოქროს კვეთა“, რომელსაც, როგორც ყოველთვის, გავუძღვები მე — ვალერი კვარაცხელია.

**დღევანდელ გადაცემაში იხილავთ:**

1. კორონავირუსი;
2. საყოველთაო უბედურებით გამდიდრების მოსურნე ქართული ბანკები;
3. ევროკავშირის აგონია;
4. სიძულვილი და დეზინფორმაცია ქართულ ჟურნალისტიკაში;
5. ვირუსი ვირუსის წინააღმდეგ.

2019 წლის დეკემბერში ჩინეთის ერთ-ერთ ქალაქ უხანში გამოვლინდა კორონავირუსის (COVID-19) პირველი შემთხვევა. 2019 წლის 31 დეკემბერს ჩინეთის ხელისუფლებამ მომხდართან დაკავშირებით აცნობა ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციას. 2020 წლის 30 იანვარს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ სიტუაცია შეაფასა როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის საგანგებო მდგომარეობა, ხოლო, 11 მარტს გამოაცხადა პანდემიად.

**მსოფლიო პანიკამ მოიცვა. რით შეიძლება დამთავრდეს ეს ყველაფერი?**

# ოქროს

## ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო

LENTA.RU

*Lenta.ru: — ავსტრალიის ეროვნული უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოაქვეყნეს კორონავირუსის გავრცელების ყველაზე უარესი სცენარი. მათი მტკიცებით, სიტუაციის ამ სცენარით განვითარების შემთხვევაში, პანდემიის აფეთქებიდან ერთ წელიწადში დაღუპულთა რაოდენობა 68 მილიონ ადამიანს მიაღწევს, მსოფლიო ეკონომიკა კი შემცირდება 9,2 ტრილიონი დოლარით.*

**ვალერი კვარაცხელია: — წინა გადაცემაში სიტუაცია შევაფასე როგორც მიმდინარე მესამე მსოფლიო ომი, თუმცა, ამგვარი კატასტროფის მაუწყებელი მეცნიერული პროგნოზი მაშინ ხელთ არ მქონდა. ცხადია, რომ საქმე უმძიმეს ვითარებასთან გვაქვს, მაგრამ მწამს, რომ მოვლენები ავსტრალიელი მეცნიერების მიერ პროგნოზირებული ამ ყველაზე უარესი სცენარით არ წარიმართება. ამ რწმენას მიმყარებს თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერი, ბიოფიზიკოსი მაიკლ ლევიტი, რომელმაც შეისწავლა 78 ქვეყნის მონაცემები.**



**მაიკლ ლევიტი,** ***ნობელის პრემიის ლაურეატი:*** *— ახალი შემთხვევების რაოდენობის მრუდმა დაწევა დაიწყო. იგივე მოხდა გარდაცვალების მაჩვენებელშიც. მონაცემები ჯერ კიდევ „ხმაურიანია“, მაგრამ ზრდის მაჩვენებლების შენელება ნათელია («Los Angeles Times»).*

**ვალერი კვარაცხელია: — ღმერთმა ინებოს, რომ ეს ავტორიტეტული მეცნიერი არ ცდებოდეს, მაგრამ ყველაზე კარგი გამოსავლის შემთხვევაშიც, როგორც ჩანს, დანაკარგი უაღრესად შთამბეჭდავი იქნება მსხვერპლის, დანგრეული ეკონომიკისა და ცხოვრების საერთო დონის ვარდნის თვალსაზრისით.**

საქართველოში, ჯერჯერობით, ვითარება, თუკი მას საერთო ვითარებას შევადარებთ, საგანგაშო არ არის, ვინაიდან კონტროლს ექვემდებარება და ციფრებითაც არ გვთრგუნავს.

დიახ, **კორონავირუსის გავრცელების თვალსაზრისით საქართველოში მდგომარეობა საგანგაშო არ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა ბევრი რამე ხდება ისეთი, რაც საგანგაშოც არის და სამარცხვინოც.** იტალიაში მცხოვრები ორი ქართველი ემიგრანტისგან ასეთი ინფორმაცია მივიღე. **ფულადი გზავნილების ადრე მოქმედი სისტემების შეზღუდვასთან დაკავშირებით, ისინი იძულებული გახდნენ, საკუთარი ოჯახებისთვის გარკვეული თანხა საბანკო გადარიცხვის საშუალებით მოეწოდებინათ** (მათ ვინაობას არ ვასახელებ, ვინაიდან მათგან თანხმობა არ მაქვს მიღებული).

**პირველი ემიგრანტი:** *— საქართველოში დარჩენილი მცირეწლოვანი შვილებისთვის 350 ევროს გადარიცხვა მოვახერხე. იტალიის ბანკმა ამ ოპერაციაში საკომისიო* ***5 ევრო*** *გადამახდევინა, თბილისში კი* ***„საქართველოს ბანკმა“ 32 ევრო*** *აიღო.*

**მეორე ემიგრანტი:** *— საბანკო გადარიცხვის გზით, ოჯახს* ***400 ევროთი*** *დავეხმარე.* ***„თიბისი ბანკმა“*** *ამ ოპერაციაში ჩემს შვილებს* ***65 ევრო*** *წაჰგლიჯა.*

**ვალერი კვარაცხელია: — ამ საცოდავი თანხებისგან „საქართველოს ბანკმა“ თითქმის 10 პროცენტი ჩაიჯიბა, „თიბისი ბანკმა“ კი — 15 პროცენტზე მეტი.** პატივცემულო ბანკირებო, ნება მომეცით, გკითხოთ, სამშობლოსა და საკუთარ ოჯახებს მოწყვეტილ იმ ადამიანებს, მოთარეშე სიკვდილის ეპიცენტრში უმძიმესი შრომით მცირეოდენ თანხებს რომ გამოიმუშავებენ, **წილში რა სინდისით უჯდებით? დამშეული ბავშვებისთვის წაგლეჯილი თანხებით თქვენს მაძღარსა და განებივრებულ შვილებს, რომლებსაც „მაიბახებით“ თამაში უკვე მობეზრდათ, „ლამბორჯინები“ და „ფერარები“ უნდა შეუძინოთ?** გეკითხებით, ეს ნებადართული ყაჩაღობა არ არის?!

ახლა, ამ ბინძურ ეპოქაში, მართალია, ფულია ყველაფერი, სხვა ყველა ღირებულება დაკარგულია, მაგრამ თუნდაც ამ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა არ გაჩვენათ, რომ, თურმე, შესაძლებელია, ადამიანს ფული, ქონება, სიმდიდრე ოხრად დარჩეს? ნუთუ ამ **საყოველთაო უბედურებამ მაინც არ გაგრძნობინათ, რომ მაგ ფულის გარდა არსებობს სული, რომელმაც მოგება-წაგებისგან განსხვავებული რაღაცა უნდა გიკარნახოს, რომ არსებობს სინდისი, რომელმაც წესით უნდა შეგაწუხოს, ბოლოს და ბოლოს, არსებობს შიში, რომ სადღაც — ან ამქვეყნად, ან იმქვეყნად, მოგეკითხება. როგორ შეიძლება, რომ ადამიანი მხოლოდ ცხიმი იყო, ცხიმით სუნთქავდე, ცხიმით აზროვნებდე, ცხიმით ლოცულობდე და ცხიმზე ლოცულობდე?!**

კორონავირუსმა ბევრი რამ შეცვალა უკვე. მთელმა ქვეყნიერებამ დაინახა, რომ მსოფლიო წესრიგი, გეოპოლიტიკური სისტემები, საერთაშორისო ურთიერთობები აღარ მუშაობს. აი, ერთი ნათელი მაგალითი ამისა. **26 მარტს დიდ ოცეულში შემავალი ქვეყნების მეთაურთა „ონლაინ თათბირი“ გაიმართა, სადაც უაღრესად მნიშვნელოვან შეთანხმებას მიაღწიეს.**

СТРАНА.ua

СТРАНА.ua.: — *დიდი ოცეულის სახელმწიფოები გვპირდებიან, რომ მიიღებენ კოლექტიურ ზომებს მსოფლიო ეკონომიკის მხარდასაჭერად და კორონავირუსთან ბრძოლის საქმეში ხუთ ტრილიონ დოლარს ჩადებენ.*

**ვალერი კვარაცხელია: გადაწყვეტილებაც შთამბეჭდავია და დასახელებული თანხაც, მაგრამ მეორე დღესვე, 27 მარტს, მოხდა სრულიად გაუგებარი ფაქტი.**

PLANETA RTR

**Planeta RTR:** — *დიდი ოცეულის სახელმწიფოებმა მოილაპარაკეს, რომ კორონავირუსთან საბრძოლველად გამოყონ ხუთი ტრილიონი დოლარი, მაგრამ ევროკავშირმა თავის დონეზე შეთანხმებას ვერ მიაღწია. ვიდეოკონფერენციაზე ექვსსაათიანი მოლაპარაკების შემდეგ გერმანიამ, ავსტრიამ და ნიდერლანდებმა დაბლოკეს იტალიისა და ესპანეთის ეკონომიკური წინადადებები.*

**ვალერი კვარაცხელია: იმდენად გულსატკენი მოვლენები ხდება ევროპაში, რომ არც გინდა, დაიჯერო, მაგრამ, მოდი და ნუ დაიჯერებ.**

RUBALTIC·RU
АНАЛИТИЧЕСКИЙ ПОРТАЛ О БАЛТИЙСКОМ РЕГИОНЕ

**RuBaltik.ru:** — *ჩინეთის ხელისუფლება იტალიას ნიღბებისა და რესპირატორების ახალ პარტიას უგზავნის, ვინაიდან წინა პარტია ჩეხეთმა მიითვისა და საკუთარ სამედიცინო დაწესებულებებს დაურიგა.*

**ვალერი კვარაცხელია: — როგორ მოგწონთ?! ტრაგიკულ მდგომარეობაში აღმოჩენილი იტალიელი ხალხისთვის ჩინეთიდან გამოგზავნილი ჰუმანიტარული ტვირთი გზად ჩეხებმა მიიტაცეს. რუსეთიდან იტალიაში დასახმარებლად მიმავალი თვითმფრინავების ქარავანს კი პოლონეთმა საჰაერო სივრცე დაუკეტა. ეს რა არის? გამართლებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ამას ახსნა აქვს?**



**ალექსეი პუშკოვი,** ***რუსეთის ფედერაციის საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარე:*** *— ეს უნამუსობაა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე, მითუმეტეს, რომ დახმარება მიდიოდა პოლონეთის მოკავშირე სახელმწიფოში ევროკავშირისა და ნატო-ს თვალსაზრისით.*

**ვალერი კვარაცხელია: — უნამუსობაა, აბა რა არის, მაგრამ ეს ზნეობრივი შეფასებაა, ჩვენ კი ამჟამად ფაქტობრივი მდგომარეობა უფრო გვაინტერესებს. რა ხდება ევროკავშირში? ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირი იშლება, რადგან ამ გაერთიანების იმედი ევროპის არცერთ სახელმწიფოს აღარა აქვს. საფრანგეთის ქალაქ კალეს მერის მოადგილე ფილიპ მინიონე საკუთარი უფლებამოსილების ზღვარს სცდება და რუსეთს მიმართავს.**

**ფილიპ მინიონე,** ***ქალაქ კალეს მერის მოადგილე:*** *— როდესაც ვხედავ, რომ ზოგიერთი სახელმწიფო თქვენგან იღებს დახმარებას, შეკითხვა მიჩნდება: არ შეიძლება, რომ თქვენმა დიდმა სახელმწიფომ დახმარება გაგვიწიოს, მთელ საფრანგეთს თუ არა, ქალაქ კალეს მაინც? ჩვენ გვაქვს პატარა აეროპორტი, სადაც პირდაპირ შევძლებთ დახმარების მიღებას. თქვენთან ყველაფერი მშვიდობიანად ვითარდება. იყავით ფრთხილად და იყავით ჯანმრთელად!*

**ვალერი კვარაცხელია: — განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ევროკავშირი კი არა, ევროპის სახელმწიფოთა ცალკეული რეგიონებიც კი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იწყებენ გადარჩენაზე ფიქრს? ევროკავშირის აღსასრულზე მე კი არ ვლაპარაკობ, ევროპელი ლიდერები ლაპარაკობენ და თანაც ძალიან კატეგორიულად.**



**ემანუელ მაკრონი,** ***საფრანგეთის პრეზიდენტი:*** *— სასწორზე დევს გაერთიანებული ევროპის ბედი. პრობლემა, რომელსაც ჩვენ*




# ქართველებო, ორი უზინძურესი

## კვირგვინოსნები



**ასლან ბჟანია**
*აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტი*

**აფხაზეთი და საქართველო, ჟენევის მოლაპარაკებების გარდა, საჭიროებენ ორმხრივი მოლაპარაკების მაგიდას, სადაც ისინი ტრანსსასაზღვრო საკითხებზე საუბარს შეძლებენ.**

„რეზონანსი“



**პაატა ზაქარეიშვილი**
*შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის ყოფილი მინისტრი*

**პირდაპირი მოლაპარაკებები აუცილებელია. დღევანდელ ხელისუფლებას აფხაზურ მხარესთან საუბარი მისი აღიარება ჰგონია, რადგან არა აქვს გამოცდილება კონფლიქტებში.**

„რეზონანსი“



**ბექა ნაცვლიშვილი**
*პარლამენტარი*

**თუ მთავრობას ამის სახსრები არ გააჩნია, ვალი უნდა აიღოს და მის საფუძველზე უზრუნველყოს ადამიანები საარსებოდ აუცილებელი თანხით მაინც.**

„რეზონანსი“



**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*

**ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან იმის თქმა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური პრობლემები შეიქმნება და ამით ოპოზიცია რაღაცას მოიგებს, მავნებლური განცხადებაა.**

„პირველი არხი“



**ლადო პაპავა**
*აკადემიკოსი*

**ხალხო, რა გიხარიათ? ლარს თუ ცუდი რამე დაემართება, ქვეყანა ჩამოგვენგრევა.**

„პალიტრანიუსი“



**დავით თარხან-მოურავი**
*„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი*

**ჩასაფრებისა და ხელისუფლების კრიტიკის დრო არ არის, პირიქით, შეძლებისდაგვარად უნდა დავეხმაროთ ჩვენს სახელმწიფოსა და ხალხს.**

„პირველი არხი“

# კვეთა




## პროგრამის საცდელი საგაზეთო ვერსია

*...ვაწყდებით, ესაა* ***შენგენის ზონის დასასრული.***

**ვალერი კვარაცხელია: — პრობლემა დანახულია და დაშლის გარდუვალობაც გაცნობიერებულია. მეტი რა შეიძლება ითქვას? თუმცა, როგორც ჩანს, მეტის თქმაც შეიძლება.**



**ჯორჯა მელონი,** ***იტალიის პარლამენტის დეპუტატი:*** *— ბატონებო, ვწუხვარ, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას. ევროპა კარგა ხანია, რაც აღარაა დედაევროპა. ევროპამ მიგვატოვა. ევროპაში არიან ქვეყნები, სადაც ფიქრობენ, რომ იტალია მხოლოდ და მხოლოდ ევროპაზეა დამოკიდებული. ევროპა იქცა ერთ დიდ ეგოიზმად. ევროპა ელოდება ერთ დიდ მიწისძვრას ჩვენთან, მაგრამ იგი თვითონ იქცა მიწისძვრად იტალიისთვის. ევროპა ჩასაფრებულია, როდის მოგვიღებს ბოლოს ვირუსი, რომ შემოვიდეს, გადათხაროს აქაურობა და, რასაც აღმოაჩენს, ოქრო იქნება თუ ვერცხლი, მიითვისოს. მაგრამ, როდესაც ეს უბედურება გადაივლის, ჩვენ რასაც მოვიმოქმედებთ, ეს ევროპის შეცვლა იქნება.*

**ვალერი კვარაცხელია: — ეს უკვე სერიოზული ამბავია. ჯორჯა მელონი მჩხავანა ოპოზიცია კი არ არის, ყოფილი მინისტრი და პერსპექტიული პოლიტიკური ფიგურაა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამ განწყობებს ისეთი მძიმეწონიანი პოლიტიკოსიც იზიარებს, როგორიცაა იტალიის ყოფილი ვიცე-პრემიერი და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი მატეო სალვინი, რომელმაც, მას შემდეგ, რაც იტალიის წინადადებები დაიბლოკა, ევროკავშირი კი არ გააკრიტიკა, შეიძლება ითქვას, რომ მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.**



**მატეო სალვინი,** ***იტალიის პოლიტიკური პარტია „ლიგას“ ლიდერი:*** *— ზიზღი და სიძულვილი ამ ევროპას. ევროკავშირმა თხუთმეტი დღე მოითხოვა იმის გადასაწყვეტად, თუ ვის და როგორ დაეხმაროს. ეს მაშინ, როდესაც ადამიანები იხოცებიან. გენიოსები! ეს კავშირი კი არ არის, გველებისა და აფთრების ბუდეა. ჯერ ვირუსს დავამარცხებთ, მერე ევროპაზეც ვიფიქრებთ... ისე დაგემშვიდობებით, რომ მადლობასაც არ გეტყვით. წადით, თქვენი...*

**ვალერი კვარაცხელია: — კორონავირუსმა უამისოდაც არეული მსოფლიო ისე არია, რომ თავსა და ბოლოს ვერავინ გაუგებს. ევროკავშირის მიერ მიტოვებულსა და, როგორც იტყვიან, ღვთის ანაბარა მიგდებულ იტალიას დახმარების ხელი ჩინეთმა, კუბამ და რუსეთმა გაუწოდეს.**

ტაბულა

**ტაბულა:** *— ვლადიმერ პუტინსა და იტალიის პრემიერ-მინისტრ ჯუზეპე კონტეს შორის გამართული სატელეფონო საუბრის შემდეგ რუსეთიდან იტალიაში ჰუმანიტარული ტვირთით სავსე 9 თვითმფრინავი ჩაფრინდა. იტალიაში ასევე ჩავიდა ეპიდემიასთან ბრძოლის გამოცდილების მქონე ასზე მეტი რუსი სამხედრო სპეციალისტი. ჩაიტანეს დეზინფექციის მობილური სადგურები და ლაბორატორიები.*

**ვალერი კვარაცხელია: — ეს ინფორმაცია მსოფლიო მედიის ყველა წამყვან საშუალებას აქვს გავრცელებული. მე კი იგი მაინცდამაინც „ტაბულადან“ მოვიხმე. იმიტომ კი არა, რომ იგი ავტორიტეტულ საიტად მიმაჩნია, პირიქით, იმიტომ, რომ ჭორიკანათა და ცილისმწამებელთა ბუდეა. შეხედეთ, როგორ ამთავრებენ ისინი ჩემ მიერ ზემოთ ციტირებულ მათსავე ინფორმაციას.**

**ტაბულა:** *— იტალიური გამოცემის ინფორმაციით, იტალიაში ჩასული სამხედრო სპეციალისტების უმრავლესობა არა მედიკოსი, არამედ მაღალი ჩინის სამხედრო პირია. რაც შეეხება აღჭურვილობასა და ჰუმანიტარულ ტვირთს, ამბობენ, რომ 80 პროცენტი Covid-19-თან ბრძოლაში სრულიად უსარგებლო აღმოჩნდა.*

**ვალერი კვარაცხელია: — კი ბატონო, იტალიაში გამოდის რომელიღაცა პროვოკატორი გაზეთი** (საუბარია „ლა სტამპაზე“), **რომელიც თავისი დამფინანსებლის ინტერესების შესაბამისად, დეზინფორმაციას ავრცელებს. თქვენ, „ტაბულას“ ჟურნალისტებმა, „ლა სტამპას“ ეს პროვოკაციული განცხადება ბაჯაღლო ჭეშმარიტებად რატომ მიიჩნიეთ და ქართველ მკითხველებს შუბლზე რა მიზნით ააფარეთ? თქვენ თუ პატიოსანი ჟურნალისტები ხართ, ის რატომ დაუმალეთ მკითხველს, თუ რა პასუხი გასცა ლომბარდიის მეთაურმა ატილიო ფონტანამ იტალიური დეზინფორმატორის ამ მავნებლურ გამოხდომას.**



**ატილიო ფონტანა,** ***ლომბარდიის პრეზიდენტი:*** *— მე მათ დანტესავით ვუპასუხებ: „ისინი სიტყვის თქმად არ ღირან, შეხედე და გაიარე!“ მე მათთან პოლიტიკურ პოლემიკაში არ შევალ. მე მადლობას ვუხდი რუს ხალხს, რომელმაც უდიდესი დახმარება აღმოგვიჩინა!*

**ვალერი კვარაცხელია: — თქვენც „ლა სტამპას“ ჟურნალისტებივით მსოფლიოს უბოროტეს ძალებს მიყიდულები რომ არ იყოთ, მაშინ თქვენს მკითხველს არც ლომბარდიის პრეზიდენტის ნათქვამს დაუმალავდით და არც იმ საოცრად ემოციურ კადრებს წაუყრუებდით, სადაც უდიდესი ეროვნული უბედურების ჟამს ევროკავშირის მიერ ხელნაკრავი და მიტოვებული იტალიელი ხალხის გადასარჩენად ჩასულ რუს სპეციალისტებს მთელი ქვეყანა რუსეთის ჰიმნით რომ ეგებებოდა.**

**თქვენ არამარტო დეზინფორმატორები ხართ,** არამედ — სულელებიც, რადგან იმის დამალვას ცდილობთ, რასაც მსოფლიოს მოსახლეობა საკუთარი თვალებით ხედავს და საკუთარი ყურებით ისმენს.

**თქვენ არამარტო დეზინფორმატორები და სულელები ხართ,** არამედ თავხედებიც, რადგან არც შინ და არც გარეთ არავის შეურაცხყოფას და ცილისწამებას არ ერიდებით!

**თქვენ არამარტო დეზინფორმატორები, სულელები და თავხედები ხართ,** არამედ ბოროტებიც, რადგან, იტალიელი ხალხისთვის ამ ტრაგიკულ ჟამს მისაშველებლად ჩასულ სამხედრო-სამედიცინო მისიას ჩირქსა სცხებთ და თქვენი პასკვილით ცდილობთ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი და კეთილშობილი ფაქტის გაუფერულებას. **თქვენ ამას რუსეთის სიძულვილით კი არ აკეთებთ, დახმარების, თანადგომის, სიყვარულისა და ალტრუიზმის სიძულვილით აკეთებთ. დიახ, თქვენ სიყვარული გძულთ, რადგან ადამიანიც გძულთ და ღმერთიც გძულთ.**

თქვენ ვირუსის ბუნება გაქვთ და საქართველოში გავრცელებული **იმ ვირუსის ნაწილი ხართ,** რომელმაც უაღრესად დააბინძურა ქვეყანა. იმ მეტისმეტად საშიში ინფექციის გამწეოება ხართ, რომელიც ერთნაირად აზიანებს ქართულ ეროვნულ ცნობიერებასა და ყოფიერებას, ეროვნულ სხეულსა და ეროვნულ სულს. **თქვენ საქართველოში შემოგზავნილი იმ ხელოვნური ვირუსის ნაწილი ხართ,** რომელსაც სძულს ყველაფერი ქართული — დაწყებული ისტორიით და დამთავრებული ცხოვრების წესით. თქვენ პოლიტიკასა და ჟურნალისტიკაში ჩაბუდებული ის ბაცილა ხართ, რომლისგან განთავისუფლების გარეშე საქართველოს ნგრევის შეჩერება შეუძლებელია.

კორონავირუსს ერთი დადებითი მომენტი ახლავს: ეპიდემიამ მცირე დროში ხალხს გარედან დაანახა საკუთარი თავი, ანუ ფილოსოფიურად გააცნობიერებინა მდგომარეობა. **კორონავირუსს გაუძლებს მსოფლიო და მას საქართველოც გადაურჩება. ერთადერთი, ვისაც კორონავირუსი ბოლომდე შეიწირავს, თქვენ იქნებით, ოღონდ, არა — ფიზიკურად** (ღმერთმა დაგიფაროთ), **არამედ ვირუსულად და პარაზიტოლოგიურად. კორონავირუსის შემდეგ თქვენ ვეღარ ივირუსებთ და ვეღარ იპარაზიტებთ საქართველოში. კორონავირუსის გამოჩენამ თქვენს ვირუს ბელადებს — სააკაშვილსა და ბოკერიას ძალა გამოაცალა და მათ თანამგზავრ თქვენნაირ მუტანტებს სადეზინფექციო ხსნარი შეასხურა. კორონავირუსი და თქვენი ვირუსი ერთად მოისპობა.**

ქართველებო, **ორი უბინძურესი ვირუსი** გყავთ დასამარცხებელი!

ასეთი იყო დღეს „ოქროს კვეთა“. მომავალ შეხვედრამდე უვირუსო საქართველოში!

## P.S.

გადაცემა უკვე ჩაწერილი და რედაქციაში გაგზავნილი მქონდა, როდესაც ტელეეთერში ლუგარის ცენტრის ხელმძღვანელი, ბატონი **პაატა იმნაძე** გამოჩნდა.

პირველად ვნახე ასე აღელვებული.

**— ნუ მრევენ პოლიტიკაში, თავი დამანებონ, ბევრი რამ ვიცი და ვიტყვი ყველაფერს... ხელი რომ ვერ მახლეს, ხომ ახსოვთ, იმიტომ, რომ ენდი ვებერი ჩემი ძმაკაცი იყო — ამერიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე... ბევრი რამ ვიცი.**

არ ვიცი, კონკრეტულად, რაზეა საუბარი, მაგრამ იმას ყველა ვხვდებით, თუ რა წარმოუდგენელი სიბინძურე ტრიალებდა საქართველოში ნაციონალური ვირუსის ეპიდემიის დროს.

**ახლოვდება დრო, როდესაც ბატონ პაატა იმნაძესთან ერთად ყველა ის ადამიანი ალაპარაკდება, ვინც ჯერ კიდევ მეხსიერებაში ინახავს ბოროტებათა და დანაშაულთა იმ საშინელ ნუსხას, რომელიც შეძრავს საქართველოს.**




# ვირუსი გყავთ დასამარცხებელი!

### კვირგვინოსნები

**ნინო ბურჯანაძე**
*„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი*



**დღეს გადაუხდელობის გამო დენის და გაზის გამორთვა დანაშაულია.**

„ინტერპრესნიუსი“

**დიმიტრი ხუნდაძე**
*ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე*



**ეზოებში მოქალაქეების სიმჭიდროვე შეინიშნება, ასევე ე.წ. სოფლის ბირჟებზე... ყველას მოვუწოდებ — რეკომენდაციების შეუსრულებლობით ცეცხლს ვეთამაშებით!**

„ინტერპრესნიუსი“

**მიხეილ ყაველაშვილი**
*პარლამენტარი*



**რატომ ფიქრობენ ამ ტელევიზიების ხელმძღვანელები და მათი პოლიტიკური პატრონები, რომ ამ გაჭირვების ჟამს ჩვენი მოსახლეობის კუთვნილი ბიუჯეტის სახსრებით უნდა მოხდეს მათი პარტიული ტელევიზიების დაფინანსება?!**

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი კეკელიძე**
*მწერალი*



**მსოფლიო ისეთი ვეღარ იქნება კორონავირუსის შემდეგ, როგორიც მანამდე იყო. იზოლაციაში კარგად დავინახეთ, როგორ გვჭირდება ერთმანეთი.**

„კვირის პალიტრა“

**თემურ ქეცბაია**
*საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი*



**საქართველოს მთავრობა და საგარეო ომები მინახავს, მაგრამ 21-ე საუკუნეში ასეთს არაფერს ველოდი.**

„ახალი თაობა“

**ლელა ლეჩაშვილი**
*იტალიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი*



**14 ათასამდე ემიგრანტი მყავს ჯგუფში და ვერ ვიპოვე ადამიანი, ვისი დამსაქმებელი ან ამ დამსაქმებლის ახლობელი მაინც გარდაიცვალა კორონავირუსით.**

„ალია“

***ჩემს ტელეფონზე მოულოდნელად ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივნის, საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ დამაარსებლისა და ხელმძღვანელის ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲝᲜᲘᲐᲜᲘᲡ ზარი გაისმა — საბაასოდ ოჯახში მიწვევდა. ეშმაკსა და კორონავირუსს სამჯერ მივაფურთხე და დიღმის მასივისკენ ავიღე გეზი. ბატონი გრიშა კარში „ასავალ-დასავალის“ ფრიალით შემომეგება —*** *ჩემო ზაზა, ამ არეულ დროში არ მეგონა, თუ რამე გამიკვირდებოდა, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, ეროვნული მოძრაობის უხუცესი წევრი* ***ავთანდილ რცხილაძე*** *სიბერეში თუ სტალინელი გახდებოდა და ამის შესახებ ინტერვიუს მოგცემდაო —* ***აღფრთოვანებით მითხრა მხცოვანმა სტალინელმა და თვალის უპესთან ცრემლი მოიწმინდა...***


ავთანდილ რცხილაძე:
სტალინელი გავხდი,
რადგან დავრწმუნდი, ის ყოფილა ჩვენი ეროვნული ცნობიერების გადამრჩენელი!
გასული საუკუნის 70-იან წლებში განახლებული ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერები სტალინის პიროვნების მიმართ კრიტიკულად იყვნენ განწყობილები. ანალოგიურად ფიქრობდა „ჰელსინკის ჯგუფის“ წევრი, მომავალში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელის მომწერი ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ, რომელსაც ამ ნიადაგზე მამასთანაც კი ჰქონია დაპირისპირება. თურმე, არაფორმალურ ახალგაზრდობაში მშობელმა უწინასწარმეტყველა, რომ, თუ სამშობლო გულწრფელად უყვარდა, პოზიციას აუცილებლად გადასინჯავდა... ახლახან ჩემს ტელეფონზე ავთო რცხილაძის ზარი გაისმა — ზაზა, საჯაროდ პირველად შენ გეუბნები — ამ სიბერეში სტალინელი გავხდი! — ამ სიტყვებით დაიწყო ჩემთან საუბარი ქართული ეროვნული მოძრაობის უხუცესმა წარმომადგენელმა:
ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა!
Ი.Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ
„ა-დ“. 2020 წლის №12


ᲒᲠᲘᲨᲐ ᲝᲜᲘᲐᲜᲘ:

ᲒᲠᲘᲨᲐ ᲝᲜᲘᲐᲜᲘ: რაც დრო გავა, სტალინის სახელი მით უფრო გაბრწყინდება. მან უფლის 10 მცნება და ამ მცნებებში გამოხატული ზნეობრივი ნორმები არამხოლოდ შეინარჩუნა, არამედ კონსტიტუციით განამტკიცა. სწორედ სტალინმა გადაავადა სიბილწის ის ნიაღვარი, რომელიც პლანეტის მოსახლეობას წალეკვით და უზნეობაში ჩაძირვით ემუქრება. **ამჟამად კაცობრიობამ მორალის ჯებირები გაარღვია, უზნეობას — თავისუფლება უწოდა და თვითლიკვიდაციისკენ ისწრაფვის. კაცობრიობა მორალის გარეშე წააგავს სახლს, რომელსაც ბინადრებმა საკუთარი სურვილით გადახადეს სახურავი, რომელიც მათ წვიმისგან და თოვლისგან იცავდა. თავისუფლების ცნება გაყალბდა!**

სტალინის ფენომენის მოწინააღმდეგეებს უმწეო არგუმენტები აქვთ. 20 წლის ყმაწვილი ვიყავი, როდესაც 1956 წლის მარტში სტალინის სახელის დასაცავად თანატოლებთან ერთად თავს ვწირავდი. **ახლა 85 წლის გახლავართ და უამრავი მსოფლიო დონის მოღვაწის სინანულის შესახებ მსმენია, ვინც სტალინის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა. უამრავმა ცნობილმა ადამიანმა აღიარა სტალინის სახელის სიდიადე.**

●

თავის დროზე ანტისტალინელმა **ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲝᲒᲣᲐᲫᲔᲛ** გაზეთ „თბილისში“ წერილი გამოაქვეყნა ჩემ წინააღმდეგ, რადგან არჩევნებში პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინის“ ეგიდით ვიღებდი მონაწილეობას. ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს მიმართავდა — **თქვენს ბაბუას გარეთ ნუ გამოუშვებთ, მას გაფანტული სკლეროზი ჭირს და იქნებ სახლში არც დაგიბრუნდეთო.** რა თქმა უნდა, მეც საკმარისად მკვახე საგაზეთო წერილით ვუპასუხე.

**გავიდა ხანი. ვახტანგ გოგუაძე პარლამენტის სპიკერად აირჩიეს. იგრძნო რა, ქვეყნის მართვის უმძიმესი ტვირთი და პასუხისმგებლობა, ლენინგრადის გაზეთ „ლენინგრადს“ ინტერვიუ მისცა, რომელშიც სტალინს განადიდებდა, ხოლო შემდეგ დაწერა წიგნი „ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝ“,** რომლის სასიგნალო ეგზემპლარი მეც გამომიგზავნა ასეთი წარწერით:

*„ბატონ გრიგოლ ონიანს! დიდად დაფასებული კაცი ხართ. ისტორია არ დაივიწყებს თქვენს ალღოს, ნებისყოფას, სიკეთის სიყვარულს, დიადის სიყვარულის ძალას.* ***მე ცხოვრებაში ორ კაცს მოვუხადე ბოდიში: ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ ᲓᲐ ᲒᲠᲘᲨᲐ ᲝᲜᲘᲐᲜᲡ.*** *ჩვენ ისევ სტალინი თუ მოგვხედავს. მისი სახელი, მოძღვრება უდიადესი იხსნის ჩვენს ხალხს. რომელმა ერმა მისცა კაცობრიობას მსგავსი ფენომენი — ღმერთზე ნაკლები და კაცზე მეტი. ქრისტესმიერი, სტალინისმიერი სიყვარულით, ვახტანგ გოგუაძე, 25.02.2007.*

●

ბატონი **ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔᲪ** მართალი და დიდი ადამიანია, რადგან მან, ეროვნული მოძრაობის უხუცესმა წარმომადგენელმა, სიჭარმაგეში მაინც აღიარა ჭეშმარიტება და საჯარო აღსარებით ამცნო ქართველ საზოგადოებას, რომ იოსებ სტალინს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ბოროტი ძალებისგან არამხოლოდ ჩვენი სამშობლო — საქართველოს, არამედ სრულიად მსოფლიოს გადარჩენაში!

მინდა, ვისარგებლო მომენტით და ბატონ ავთოს, სწორედ იმ „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან, რომელზეც სიმართლე აღიარა, ასევე „ასავალ-დასავალის“ მთავარ რედაქტორს, ცნობილ პოეტ **ᲚᲐᲨᲐ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲡ** და „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტ **ᲖᲐᲖᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐᲡ,** რომელმაც ავთო რცხილაძის აღიარება საზოგადოებამდე მიიტანა — ღია წერილით მივმართო:

# ასეა, ჩემო ძმაო ავთო – დიდი გაჭირვება დიდ ღმერთთან მიგვიყვანს!

## ღია წერილი ავთანდილ რცხილაძეს, ჟურნალისტ ზაზა დავითაიას, პოეტ ლაშა ნადარეიშვილს

— ჰო, ბატონო ავთანდილ, ჩემო ავთო, ჩემო ლამაზო კაცო და მეგობარო, მე ერთი დაუმთავრებელი მოთხრობა მაქვს, რომელშიც მამა შვილს ასე მიმართავს: — **„შვილო, დიდი ჭირი დიდ ღმერთთან მიგიყვანს“** (ხოშა ღეერბეთ — დიდი ღმერთი). ვინ შეძლო და ვინ დაწერა უფრო ლამაზად, ღრმა შინაარსიანად და გულის მომკვლელად მომავლისადმი უიმედობა, ვიდრე ბატონმა **ᲚᲐᲨᲐ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ:**



***ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲖᲘᲜᲝᲕᲘᲔᲕᲘ, აკადემიკოსი, სოვეტოლოგი, მწერალი, პოლიტიკური ექსპერტი:***

მე ანტისტალინელად გავიზარდე. ვმონაწილეობდი სტალინის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადებაში, რის გამოც ემიგრაციაში აღმოვჩნდი. 20 წელი ამერიკაში ვიმუშავე, გამოვეცი 40 სქელტანიანი წიგნი სოციალიზმისა და სტალინის წინააღმდეგ. 20 წლის შემდეგ, 1960 წელს, საცხოვრებლად მიუნხენში გადმოვედი, სადაც გავაგრძელე ჩემი სამწერლო მოღვაწეობა და 20 წიგნი დავწერე ჩემი ამერიკაში დაწერილი წიგნების საწინააღმდეგოდ. კაპიტალიზმის მოტრფიალეს საოცნებოდ გამიხდა სოციალისტური სისტემა. ანტისტალინისტი სტალინისტი გავხდი!

***ᲐᲛᲝᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲡ 75 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲖᲔ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ***

*ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲠᲐᲓᲘᲜᲡᲙᲘ, მწერალი:*
**მე მწერალი ვარ და არა მკვლევარი, ჩემი დღემდე დაწერილი წიგნები მხატვრული ნაწარმოებებია. მას შემდეგ მე, რაც საარქივო მასალებს გავეცანი სტალინზე, აზრი მკვეთრად შემეცვალა!**



## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲮᲛᲐᲚᲐᲫᲔ**
*კონსტიტუციონალისტი*



თუ საგანგებო მდგომარეობა 21 აპრილს არ დასრულდება და გაგრძელდება თვეების განმავლობაში, მაშინ საგანგებო მდგომარეობა მიაღწევს არჩევნების ჩატარების დრომდე, **კონსტიტუცია კი პირდაპირ ამბობს, რომ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის დროს არჩევნები არ ტარდება.**

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

**ᲖᲐᲖᲐ ᲮᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*ადვოკატი*



გამორიცხულია, რომ მოსამართლეები წავიდნენ და პირდაპირ საპატიმროებში ჩაატარონ პროცესები. არის ვადები, რომელთა დარღვევა არ შეიძლება. თუ დაარღვიე, მაშინ უნდა გაუშვა ადამიანები და ხომ არ შეიძლება, 20 კაცის მკვლელი გარეთ გამოუშვა?! აღმკვეთი ღონისძიების ვადა როცა გადის, თუ მოსამართლემ არ მიუსაჯა, მაშინ ის ადამიანი უნდა გათავისუფლდეს.

**ამნისტიის თაობაზე ჯერჯერობით არაფერი თქმულა, არც პანიკაა, რადგან ციხეებში არავინაა დაავადებული.**

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

**ᲒᲔᲚᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*უფლებადამცველი*



დანაშაულმა საგრძნობლად იკლო. უმრავლესობა სახლში ზის. როგორც ჩანს, დამნაშავეებსაც საკმაოდ ეშინიათ კორონავირუსის.

**რაც შეეხება უგულავას, გეტყვით, რომ, თუ თავმოყვარეობა აქვს საქართველოს პრეზიდენტს, მაშინ მან არ უნდა მიიღოს უგულავას შეწყალების გადაწყვეტილება.**

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

**ᲚᲘᲐ ᲛᲣᲮᲐᲨᲐᲕᲠᲘᲐ**
*იურისტი*



**სახელმწიფოს ჩამოყალიბების ამ ეტაპზე ჩვენ დაახლოებით ისეთი კრიზისი გვაქვს, როგორიც სამყაროს კორონავირუსის გამო, და თუ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე შეძლებს, იმ საშინელი ვირუსისგან გაწმინდოს მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც მას სასამართლო კლანის სახით ჰყავს, ეს იქნება ამ სისტემის გადარჩენის ერთადერთი შესაძლებლობა.**

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“

## გამოხმაურება

**„თუმცა, გეგონა,
უკვდავების
წყაროს წყალი სვი,
შემოიპარა,
როგორც ქურდი
აპოკალიფსი...“**

მამაშენის ნათელი ანდერძის აღსრულება დიდ ღმერთთან შენი მიახლების დადასტურებაა. ქართველი მეტად უმადურია. აკი, მოღალატე ქართველმა მოკლა ვახტანგ გორგასალი; ქართველმა ფეოდალებმა აიძულეს დიდ დავითს საქართველოში 40 ათასი უცხოტომელის, ყივჩაღის ჩამოსახლება; ორჯერ ტახტის დატოვებაზე მიდგა საქმე ოქროს ხანის დედოფლის მეფობის დროს; ოჯახამოწყვეტილი და თავად კუნძზე თავმოკვეთილი წავიდა ამქვეყნიდან გიორგი სააკაძე; მას მიჰყვა ნაღალატევი ერეკლე მეფე; შუბლში ტყვია ვესროლეთ ერის მამას და თავლაში დავმარხეთ პირველი პრეზიდენტი!

**მიუხედავად იმისა, რომ შენ, ჩემო ავთო, ერთ-ერთი აქტიური და მებრძოლი ბიჭი იყავი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, არასოდეს წარსულისათვის არ მიგიფურთხებია, განსხვავებით შენი მეგობრებისგან... მე ძალიან კარგად მახსოვს შენი დამოკიდებულება და ის სიმპათიები, რომელიც ჩემ მიმართ და პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინის“ მიმართ გაგაჩნდა, მაგრამ ეს სრულიად არ უშლიდა ხელს შენს საქმიანობას იმხანად აზვირთებული ეროვნული მოძრაობის წარმატებით დასრულების საქმეში.**

მიუხედავად იმისა, რომ მე ფარატინა ქაღალდად მიმაჩნია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, ჯერჯერობით მაინც ხარ ამ უძვირფასეს დოკუმენტზე ხელის მომწერი, თუმცა, თავადაც კარგად იცი, თუ რა „დამოუკიდებლობაც“ მოვიპოვეთ და რა „ბედნიერებაშიც“ ვცხოვრობთ...

ხოლო, თუ შენ გგონია, რომ უკეთესად ვიქნებოდით თქვენი ხელისუფლების ხელში — ცდები. არსაკიძის დროინდელი საქართველო წყალმა წაიღო, „როგორც არაგვმა — ბაში-აჩუკის დამხრჩვალი ცხენი“.

შენ ხომ ყველაფერი ზომიერად გეხერხება — ბრძოლაც, შრომაც და გართობაც. შენი თავი თუ გახსენდება, როდესაც კითხულობ პოეტის სიტყვებს:

**„ახლოდან მოჩანს
ჯოჯოხეთის
ლაბირინთები,
შავ როიალზე
არეულად
დარბის თითები!“**

ნუთუ ამაზე ლამაზად შეიძლება ურვის და ტანჯვის გამოხატვა, როდესაც თითები აღარ გემორჩილება, მაგრამ მაინც გაძალებენ, რომ დაუკრა.

**კარიერზე 700 ტონა ქვიშა უნდა გარეცხო, ერთი გრამი ოქრო რომ მოიპოვო. ასე არიან ადამიანებიც. ათასი ჟურნალისტის ნაწერი უნდა წაიკითხო, რომ ერთი ჟურნალისტი აღმოაჩინო. დიდი მადლობა, ბატონო ზაზა, იმ დიდი ბედნიერებისათვის, რაც მე მომანიჭეთ – მადლობა, კიდევ ერთი ძმისა და მეგობრის შემომტკიცებისათვის. ეს ერთი და სხვა ათასი, ბატონო ზაზა!**

შენ, ჩემო ავთო, როდესაც სახლში მოგიწვევ, იმ შენს ნაჩუქარ **„კრემლიოვსკი დაროჟკაზე“** უნდა გაგატარო, რომელიც მე მაჩუქე, რადგან შენ მაშინ სტალინის ფეხის დანადგამი და ხელშენავლები არაფერი გინდოდა. **ასეა, ჩემო ძმაო, ავთო — დიდი გაჭირვება დიდ ღმერთთან მიგიყვანს. ერთად ვილოცოთ ჩვენი თავის და საქართველოს გადასარჩენად!**

შენი ძმა **გრიგოლ ონიანი.**

*მოამზადა*

***ზაზა დავითაია***

## ექვემიტანილია, რომ ერევნის განკარგულებით...

# პროფესორ აბდალაძეს კართან ქაქი დაუდეს!!!

***წყლის დონის დაწევისას მცხეთის შესასვლელთან მტკვრიდან აჩრდილივით წამოიმართება საქართველოს უძველესი ისტორიის უტყვი მოწმე — პომპეუსის ხიდი... ქრისტეს დაბადებამდე 65 წელს პომპეუსი იბერიაში შემოიჭრა, რომელსაც ქართლის მეფე არტაგმა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გაუმართა. რომაელი ისტორიკოსების თქმით, იბერიელები რომაელებს მხნედ დახვდნენ და მამაკაცებთან ერთად ქალებიც იბრძოდნენ... ამ ამბავმა რომშიც ჩააღწია და ძლევამოსილი იმპერიის დედაქალაქში ხმა გავარდა — გნეუს პომპეუსი იბერიაში ამორძალებს ებრძვისო!***



კამო




## ალექსანდრე აბდალაძე:

## რაც ჩემი ბინის კართან ბინძურმა და ამორალურმა ადამიანებმა ჩაიდინეს, მხოლოდ კამოს და მისთანებს თუ მოუვიდოდათ აზრად!

*ვიდრე რომაელები საქართველოში შემოიჭრებოდნენ, ძველი წელთაღრიცხვის 66 წელს პომპეუსმა სომხეთი დალაშქრა და* ***სომეხთა უდიდესი მეფე ტიგრან მეორე,*** *რომელსაც რომაელებისთვის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია, დაახოქა! ეს ისტორიული ფაქტი, პომპეუსის ხიდის მსგავსად, სომხეთის ისტორიასა და დღევანდელობას აჩრდილივით თან სდევს და დავიწყებას არა და არ ეძლევა.* ***ამ ისტორიული ფაქტის გახსენება ცნობილ ქართველ მეცნიერსა და არმენოლოგს, პროფესორ ალექსანდრე აბდალაძეს დიდ უსიამოვნებად დაუჯდა, რის გამოც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი „ასავალ-დასავალს“ დაუკავშირდა:***

— 15 მარტს ჟურნალისტმა **ნინო მიქიაშვილმა** მედიაკავშირ „ობიექტივში“ მიმიწვია. გადაცემის თემა ასეთი გახლდათ — **„რატომ გახდა „დიდი სომხეთი“ პატარა საქართველოს საპატრონო?“** მოგეხსენებათ, მე-11 საუკუნის შუა წლებიდან სომხები სომხეთიდან გარბოდნენ და საქართველო ყოველთვის ცდილობდა, მათთვის ეპატრონა. ასე იყო დავითის, თამარისა თუ გიორგი ბრწყინვალეს ეპოქაში და ასე იყო მერეც, მთელი საუკუნეების განმავლობაში. მე-20 საუკუნის გამოჩენილი სომეხი ისტორიკოსი **ხრაჩ ვარდიკიანი** წერდა — აშკარად ჩანს, რომ მე-10 საუკუნის შუახანებში სომხები მოხეტიალე, არამდგრად ხალხად მიაჩნდათო! სომეხი მემატიანე **მათეოს ურჰაეცი** პირდაპირ წერს — დავით აღმაშენებელმა ანისის საკათედრო ტაძარი მაჰმადიანთა მონობისგან გაათავისუფლაო!

1208 წლის აღდგომას, **თამარ მეფის** დროს, არდებილის სულთანმა ანისი ააოხრა. ამის გამო თამარ მეფემ არდებილის სულთანიც სასტიკად დასაჯა და 1210 წელს ირანიც დალაშქრა. არსებობს 1214 წლის სომხური წყარო — სახარების მინაწერი, რომელიც გვამცნობს — ეს სახარება დაიწერა **ლაშა-გიორგის** მეფობისას, რომელიც განაგებს თბილისს, ანისს და სხვა ალბანელ ხელისუფალთა ქალაქებსო! შეგახსენებთ, რომ ანისი სომხეთის ძველი დედაქალაქი იყო... მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, აი, ამ თემებზე ვსაუბრობდი მედიაკავშირ „ობიექტივში“ და იქვე გავიხსენე ისტორიული ფაქტი, რის შესახებაც უცხოური წყაროები ხშირად საუბრობენ — **სომხეთის მეფე ტიგრან მეორე დიდმა პომპეუსს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწია და დაუჩოქა!** ამის შესახებ წერენ რომაელი ავტორები, ამაზე წერს აკადემიკოსი **სიმონ ჯანაშია** და ამის თაობაზე მიამბობდა ჩემი უახლოესი ნათესავის მეუღლე, 1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე, რომელიც აცხადებდა — პომპეუსთან ომის დროს სომხეთის ყველაზე დიდმა მეფემ ტიგრან მეორე დიდმა ჩაისვარაო!

**— ბატონო ალექსანდრე, ეს ყველაფერი ტელევიზიით გამოსვლისას გაიხსენეთ?**

— დიახ, ცხადია... მეორე დღეს, დილით, ჩემი ბინის კარი გავაღე თუ არა, ელდა მეცა და გულს შემომეყარა! ჩემი ბინის კარი ფეკალიებით, ანუ სომხურად თუ ვიტყვით, ქაქით იყო მოთხვრილი... ასეთ რამეს კამო და მისთანები თუ ჩაიდენდნენ... მომხდარმა მე და ჩემი მეუღლე შოკში ჩაგვაგდო... ცხადია, ეს გააკეთეს ან ეთნიკურმა სომხებმა, ანდა მათ მიერ დაქირავებულმა ქართველმა ბედოვლათებმა, რომლებიც ფულით გადაიბირეს. მოგეხსენებათ, 1996 წელს სომხებმა ჩემი გადაბირებაც სცადეს და ფრიად მაცდური წინადადება შემომთავაზეს — თვეში 1000 ამერიკულ დოლარს გადაგიხდით და ჩვენზე ნურაფერს დაწერთო! ცხადია, ამ ბინძურ წინადადებას არ დავთანხმდი... **მე და ჩემმა მეუღლემ კარი სომხური ქაქისგან გავწმინდეთ და არავისთვის არაფერი გვითქვამს, მაგრამ აწი ასეთი უმსგავსობის მოთმენას არ ვაპირებთ!**

**— მომხდარი ფაქტის შესახებ არც პოლიციისთვის შეგიტყობინებიათ?**

— არა, არ შემიტყობინებია, მაგრამ, თუ ასეთი რამ კიდევ განმეორდება, პოლიციას აუცილებლად შევატყობინებ! აქვე ქართველებს ვაფრთხილებ — რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში არსებობს ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონის ყოფილი მეთაური ვინმე **გალუსტ ტრაპიზონიანი,** რომელმაც ძალიან ბევრი ქართველის სისხლი დალია. „ტრაპიზონიანი“ ხელოვნურად შექმნილი სომხური გვარია... ტრაპიზონში უხსოვარი დროიდან ქართველები — ლაზები ცხოვრობენ და სომხებს იქ არასოდეს არაფერი ესაქმებოდათ.

**ფხიზლად ვიყოთ და ჩვენს სამშობლოს გავუფრთხილდეთ, თორემ ისინი, რომლებმაც ჩემი ბინის კართან სომხური ქაქი დადეს, „ტრაპიზონიანის“ მსგავსად ახალ გვარებსაც შექმნიან – „თბილისიანი“, „ბათუმიანი“, „ქობულეთიანი“ და ა.შ.**

მოკლედ, რაც ჩემი ბინის კართან ბინძურმა და ამორალურმა ადამიანებმა ჩაიდინეს, მხოლოდ კამოს და მისთანებს თუ მოუვიდოდათ აზრად, ამიტომ საქვეყნოდ ვაცხადებ — თანამედროვე კამოების არ მეშინია!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***ვლადიმერ კარპოვი, საბჭოთა კავშირის გმირი, მწერალი, ავტორი სტალინზე უპოპულარულესი წიგნისა „გენერალისიმუსი“:***



მე ანტისტალინისტი ვიყავი, ვმონაწილეობდი სტალინის წინააღმდეგ მოწყობილ ტერორისტულ აქტში, რისთვისაც მომისაჯეს სიკვდილი. შემიცვალეს 10 წლის პატიმრობით. 1942 წელს ციხიდან წერილი მივწერე სტალინს — გავეშვი საჯარიმო ბატალიონში. თხოვნა დამიკმაყოფილეს. 1943 წელს ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის დამაჯილდოვეს ოქროს ვარსკვლავით. ომის შემდეგ ვსწავლობ სტალინის ფენომენს.

## კვირგვინოსნები

**კახა კუკავა**
*„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი*



რომელ სოციალურ სოლიდარობაზეა საუბარი, ამ საყოველთაო გასაჭირის დროს ენერგოკომპანიები დენს უჭრიან მოსახლეობას, ბანკები ხალხის გამოსახლებაზე არიან გადასულები, ავიაკომპანიები, თუ მთავრობამ არ უთხრა, „დასტოპდიო“, მგზავრობას არ აიაფებენ. **ამ ბრძოლაშიც არ თმობს ბიზნესი თამაშის წესებს — მოგება ნახოს ყველა შემთხვევაში.**

„რეზონანსი“

**მიხეილ ცაგარელი**
*ასტროლოგი*



კიდევ ერთი ხიფათი, რომელსაც ჯერჯერობით ყურადღებას არ აქცევენ და რომელიც გვიახლოვდება, ესაა **კალიების შემოსევა** — აფრიკიდან დაახლოებით ასი მილიარდი კალია წამოვიდა, რომლებმაც არაბებს და თურქებს გადაუარეს და ჩვენთან მოდიან.

„რეზონანსი“

**გიორგი გუგავა**
*ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



**ერთ თვეში ბანკებმა ამ მანიპულაციებით მოიგეს 100 მილიონი. ვინ ითბობს ხელს ამ გაჭირვებაზე, ეპიდემიაზე?! ეს პირდაპირ გამოკვეთილია!**

„ახალი თაობა“

**ლაშა ტალახაძე**
*საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონი*



**სახლში ცოტა რთულია ვარჯიში და ამხელა სიმძიმეების აწევა. შესაძლოა, სიმძიმის დაგდებაზე იატაკი ჩაიმტვრეს. თუმცა, მაქვს ის პირობები, რომ გარკვეული ფორმა შევინარჩუნო.**

„ტვ იმედი“

# ოპერაცია «ჩეჩევიცა» ანუ

# ჩეჩნებისა და ინგუშების გასახლება

***საქართველოს გენერალიტეტის მემატიანე, დამსახურებული ჟურნალისტი და პუბლიცისტი, მწერალი ლევან დოლიძე იმ ტრაგიკული ისტორიის ავბედით ქრონიკას იხსენებს, რასაც მეორე მსოფლიო ომის დროს ჩრდილოეთ კავკასიის ავტოქტონი ხალხების — ჩეჩნებისა და ინგუშების შუა აზიაში გასახლება ჰქვია! მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეს საკითხი თავისი არსით ძალიან სათუთია და თუ პროცესებს იმ საფრთხის პრიზმიდან შევაფასებთ, რაც ფაშიზმის სახით რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოს ემუქრებოდა, მაშინ სტალინი და ბერია თავიანთ გადაწყვეტილებებში მართლები არიან:***

— საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დროს **ლავრენტი ბერიამ** და მისმა მოადგილეებმა, გენერალ-პოლკოვნიკებმა **გრიგოლ კარანაძემ, ვიქტორ აბაკუმოვმა, არკადი აპოლონოვმა, სერგეი კრუგლოვმა** (იაკოვლევი), **ვსევოლოდ მერკულოვმა, ბახჩო ქობულოვმა** და გენერალ-ლეიტენანტმა **სოლომონ მილშტეინმა** ჩრდილოეთ კავკასიაში ოპერაცია „ჩეჩევიცა“ ჩაატარეს. ამ ოპერაციის შედეგად კავკასიის აბორიგენი მოსახლეობა — ჩეჩნები და ინგუშები შუა აზიაში, ძირითადად, ყაზახეთში, ყირგიზეთსა და უზბეკეთში გადაასახლეს. როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიას ყველაზე ძვირი კავკასიის დაპყრობა დაუჯდა. დიდი კავკასიური ომი, რომელიც 1817 წელს დაიწყო, 47 წელი გაგრძელდა და 1864 წელს დასრულდა. ამ ომის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სისხლიანი მონაკვეთი გახლდათ ბრძოლა შამილის იმამატის წინააღმდეგ, რომელიც 1834 წლიდან 1859 წლის 26 აგვისტომდე არ შეწყვეტილა. აულ ღუნიბში 1859 წლის 26 აგვისტოს სწორედ ქართველ გრენადერთა პოლკი შეიჭრა პირველი და დაატყვევა შამილი, რომელმაც თავისი ხმალი კავკასიის მეფისნაცვალს **ბარიატინსკის** გადასცა. 1942 წლის 25 ივლისს, როგორც კი ჰიტლერის არმიამ გეზი კავკასიისკენ აიღო, რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ კავკასიელ ხალხებში, განსაკუთრებით კი ჩეჩნებსა და ინგუშებში, დიდი მოძრაობა გაჩაღდა...

**— ბატონო ლევან, ეს საკითხი, მოგეხსენებათ, მითოლოგიზირებულია... ზოგი ამბობს, ჩეჩნებმა ჰიტლერს ოქროსუნაგირიანი თეთრი ცხენი შეუკაზმეს და ფიურერის დასახვედრად ასე მოემზადნენო! ზოგი ამბობს, ეს ყველაფერი ტყუილიაო! თქვენ რას გვეტყვით?**

— ოქროს უნაგირის შესახებ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ფაქტია: როგორც კი ჰიტლერის არმია გროზნოს ნავთობის ხელში ჩასაგდებად დაიძრა, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის თითქმის ნახევარი დაიკავა და გროზნომდე დაახლოებით 100 კილომეტრიღა რჩებოდა, ჩეჩნებმა ჰიტლერს პატივისცემის ნიშნად თეთრი ბედაური შეუკაზმეს და მის მოსვლას სიხარულით დაელოდნენ! გერმანელ პარაშუტისტებს ჩეჩნები და ინგუშები უდიდესი პატივისცემით ხვდებოდნენ... **ერთი სიტყვით, კავკასიის ხალხებში რუსებისადმი გამჯდარი სიძულვილი ახალი ძალით გაცოცხლდა და ჩრდილოეთ კავკასიაში ჰიტლერის მხარდასაჭერად დიდი მოძრაობა დაიწყო.**

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა გროზნოს ნავთობის ხელში ჩაგდებას, რომლითაც მთელი საბჭოთა ტანკები, თვითმფრინავები და მანქანები მარაგდებოდა. გარდა ამისა, გროზნო ფრონტის ხაზთან გაცილებით ახლოს იყო და საკმარისი გახლდათ, ჰიტლერს ეს ქალაქი ან ბაქო აეღო, თურქეთი თავის 21 დივიზიით მაშინვე შემოიჭრებოდა კავკასიაში, რასაც ავტომატურად მოჰყვებოდა იაპონიის შტურმი შორეული აღმოსავლეთიდან და საბჭოთა კავშირის საქმე დამთავრებული იყო. სწორედ ამიტომ 1942 წლის 16-17 აგვისტოს სტალინმა სასწრაფოდ იხმო კრემლში **ლავრენტი ბერია, ვარლამ ქაქუჩაია** და განაცხადა — ლავრენტი, ომის ბედი კავკასიაში წყდება! დილის ხუთ საათზე ჩემი თვითმფრინავით საქართველოში უნდა გაემგზავრო და ყველაფერს პირადად უხელმძღვანელო! ეს ის პერიოდია, როცა ფაშისტებმა სოხუმი დაბომბეს და აფხაზეთში ათი დღის განმავლობაში სოფელი ფსხუ დაიკავეს... რომ არა ბერიას ზეადამიანური შესაძლებლობები და ლიდერის თვისებები, ყველაფერი დამთავრებული იქნებოდა!

**— ფაშისტებს თბილისისა და ქუთაისის დაბომბვის რესურსი არ ჰქონდათ?**

— ეს საკითხი ბურუსით არის მოცული. ჩემი აზრით, ამ უბედურებისგან საქართველო დაიცვა **ფაშისტმა გენერალმა შალვა მაღლაკელიძემ,** რომელიც ჰიტლერის არმიაში ერთადერთი უმაღლესი ოფიცერი იყო და ქართული ჩოხა-ახალუხით დადიოდა. მას ფაშისტებში დიდი გავლენა და ავტორიტეტი ჰქონდა, ამასთან, საქართველოს დიდი პატრიოტი გახლდათ და მოწადინებული იყო, ბოლშევიკებისთვის 1921 წლის 25 თებერვლის ოკუპაციის გამო სამაგიერო გადაეხადა. სამწუხაროდ, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო შალვა მაღლაკელიძე ბნელი და სისხლიანი ძალის — ფაშისტების სამსახურში აღმოჩნდა.

**— როგორც ცნობილია, ჩრდილოეთ კავკასიაში ბევრი ებრაელი ცხოვრობდა. ფაშისტები მათ არ ერჩოდნენ?**

— ჩემი დიდი მეგობარი, 1941 წლის 7 ნოემბრის ისტორიული სამხედრო აღლუმის მონაწილე **დავით კონსტანტინეს ძე იაკობაშვილი** მიყვებოდა — 1942 წლის მიწურულს მაიკოპში რომ შევედით, საშინელება ვნახე — სპეციალურ კაბინებში უამრავი ებრაელი ქალი, ბავშვი და მამაკაცი იყო გამომხრჩვალი, რომლებიც მანქანის საწვავის გამონაბოლქვით დახოცეს. მხოლოდ მაიკოპსა და მის შემოგარენში ფაშისტებმა რამდენიმე დღეში 5 ათასზე მეტი ებრაელი გაანადგურესო! 1943 წლის 9 ოქტომბერს, როცა კავკასიის დაცვა საბჭოთა კავშირმა ტრიუმფალური გამარჯვებით დაასრულა და დიდმა ქართველმა მხედართმთავარმა, გენერალ-პოლკოვნიკმა **კონსტანტინე ლესელიძემ** ნოვოროსიისკი გაათავისუფლა, ჰიტლერელებისა და მათი დამქაშების საქმე ჩრდილოეთ კავკასიაში უკუღმა წავიდა. კერძოდ, ლავრენტი ბერიას ბრძანებით, 1943 წლის ოქტომბრის მიწურულს ჩრდილოეთ კავკასიაში სასწრაფოდ მოავლინეს მისი ერთ-ერთი მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი **ბახჩო ქობულოვი,** რომელიც გამოცდილი ჩეკისტების ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ვითარების შესწავლა დაიწყო.

1943 წლის 9 ნოემბერს ბერიას მაგიდაზე უკვე იდო ქობულოვის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ვკითხულობთ — *„რესპუბლიკაში 2288 დასახლებული პუნქტია. მოსახლეობა ომის პერიოდში თითქმის 26 ათასი კაცით შემცირდა და ამჟამად 704 ათას 814 კაცს შეადგენს. რესპუბლიკაში ჩეჩნებისა და ინგუშების რაოდენობა სულ 450 ათასი კაცია. აქედან 387,8 ათასი კაცი ჩეჩენია, ხოლო დანარჩენი — ინგუში. რესპუბლიკაში ცხოვრობს 205,8 ათასი რუსი, ხოლო 57 ათასი სხვადასხვა ეროვნებისაა! ცნობისათვის, როცა ფაშისტები რესპუბლიკის საზღვრებს მოუახლოვდნენ, ჩეჩნეთ-ინგუშეთში სულ 731,7 ათასი კაცი ცხოვრობდა. 1942 წლის აგვისტო-სექტემბერში, როცა გერმანელები გროზნოს მოუახლოვდნენ, ჩეჩნებმა და ინგუშებმა მასობრივად მიატოვეს საბრძოლო პოზიციები. კერძოდ, რაიკომის მდივნებმა, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა და კომუნისტებმა იარაღი ან დაყარეს, ან ტყეებში გაიხიზნენ და საბჭოთა ხელისუფლებას ომი გამოუცხადეს. მათ აქტიური კავშირი დაამყარეს მტერთან... ისინი ფაშისტ პარაშუტისტებს აჭმევდნენ, ასმევდნენ, ყოველნაირად ეხმარებოდნენ. ამიტომ ჩეჩნეთში ძალიან ბევრი ფაშისტი დივერსანტი და პარაშუტისტი იყო. დანარჩენს პირადად მოგახსენებთ...“*

ბახჩო ქობულოვის მოხსენებითი ბარათი საკმაოდ ვრცელია. იგი ხაზგასმით მიუთითებს, რომ 1943 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით რესპუბლიკაში მოქმედებდა 35 კბილებამდე შეიარაღებული ბანდა, რომლებიც 245 კაცს აერთიანებდა. ისინი კლავდნენ საბჭოთა ჯარისკაცებს, „ენკავედეს“ მუშაკებს, მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეებს... ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამის შესახებ პირადად აქვს ჩემთვის ნათქვამი გენერალ-მაიორ **ვარლამ შადურს,** რომელიც ხევსური და თუში შუამავლებისა თუ ძმადნაფიცების საშუალებით ჩეჩნურ ბანდფორმირებებსა და მათ ლიდერებს ეკონტაქტებოდა. შადური, რომელიც 1938 წლიდან „ენკავედეში“ მუშაობდა, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამ მოლაპარაკებების დროს ჩეჩნები, როგორც წესი, სიტყვას არ ტეხდნენ!

**— როგორც ვიცი, ჩეჩნები და ინგუშები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ 1939 წელსაც აღდგნენ!**

— დიახ, ასე იყო! მაშინ ჩეჩნეთ-ინგუშეთში დიდი ოპერაცია ჩატარდა. ოპერაციის შედეგად ამოიღეს 5 ტყვიამფრქვევი, 21 ყუმბარა, 8175 თოფი და 3518 სხვადასხვა დასახელების იარაღი... ამ იარაღით ერთ პოლკს შეაიარაღებდი. იგივე სიტუაცია იყო 1940 წელსაც, რის შესახებაც ჩეჩნეთ-ინგუშეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა **რიაზანოვმა** ლავრენტი ბერიას მოხსენებითი ბარათით აცნობა. ომის დაწყებამდე ჩეჩნებმა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებზე ათამდე თავდასხმა მაინც განახორციელეს და „ენკავედეს“ არაერთი ოპერჯგუფი გაანადგურეს. მათ ასევე გაძარცვეს და გაანადგურეს ხენდიხაროისკოს საბჭოთა მეურნეობა. იგივე ბანდიტური ჯგუფი თავს დაესხა ქართულ კოლმეურნეობას და საქონელი გაიტაცა. ამ შეტაკების დროს ჩეჩნებმა 9 ქართველი მწყემსი მოკლეს და 16 ჯარისკაცი გაანადგურეს...

ამ ყველაფრის ფონზე, 1942 წლის 28 იანვარს, როცა საბჭოთა ხელისუფლებას განსაკუთრებით უჭირდა, ქალაქ ორჯონიკიძეში „კავკასიელ ძმათა განსაკუთრებული პარტიის“ საორგანიზაციო ბიუროს არალეგალური შეკრება გაიმართა, რომელმაც მთელი კავკასიის ხალხებს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლისა და ჰიტლერის დროშის ქვეშ რუსული უღლისგან გათავისუფლებისაკენ მოუწოდა. საორგანიზაციო ბიუროს მდივანი გახლდათ ეროვნებით ჩეჩენი **ჰასან ტერლოევი...** 1943 წლის 18 სექტემბერს გენერალ-პოლკოვნიკი **გრიგოლ კარანაძე,** რომელიც ლავრენტი ბერიამ ყირიმიდან ჩრდილოეთ ოსეთის შინსახკომის უფროსად გადმოიყვანა, ბერიას სწერდა: „კავკასიელ ძმათა განსაკუთრებულ პარტიას“ 5 ათასმა კაცმა ერთგულება შეჰფიცაო! ერთი სიტყვით, ვითარება მეტად კრიტიკული იყო...

**— მაინც რა იყო „კავკასიელ ძმათა განსაკუთრებული პარტიის“ მთავარი მიზანი?**

— ორგანიზაციის მთავარი მიზანი იყო ფედერაციის საფუძველზე და ფაშისტური გერმანიის მანდატით კავკასიის გაერთიანება და საბჭოთა კავშირის დეზორიენტაცია, რათა ჰიტლერს მტერზე გამარჯვება გაადვილებოდა! პარტია მიზნად ისახავდა კავკასიიდან რუსებისა და ებრაელების გასახლებას და იმ ერების დაბრუნებას, რომლებიც მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიამ გადაასახლა. არსებობს ამ პარტიის წესდება, დროშა და გერბი — ფაშისტური არწივი, რომელიც ბრჭყალებით სვასტიკაზეა ჩაფრენილი და ზემოთ რუსულად აწერია — „კავკასია თავისუფალი იქნება!“ ანალოგიური სიტუაცია იყო ყირიმშიც, სადაც 20 ათასი ყირიმელი თათარი გაიწვიეს ომში და სუყველა დეზერტირი და მოღალატე აღმოჩნდა — ან გამოიქცნენ, ანდა რუსების წინააღმდეგ შემოატრიალეს იარაღი! ყირიმში საქალაქო კომიტეტის მდივანმა **გულატოვმა** 1941 წლის 20 დეკემბერს პოლიტბიუროს ბა-






## კვირგვინოსნები

**მამა ანდრია (ჯაღმაიძე)**
*საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი*



დღეს ბევრი იხსენებს პატრიარქის არაერთ ნათქვამს, როდესაც მას აკრიტიკებდნენ: **ემიგრანტებო დაბრუნდით, მერე შეიძლება ჩემოდნებიც ვერ ჩამოიტანოთო; სოფელში მცირე მიწის ნაკვეთი შეინარჩუნეთ, დაგჭირდებათო; სოფლის მეურნეობის საქმე შეისწავლეთ, გამოგადგებათო; ხელი ხშირად დაიბანეთო; იფიქრეთ ისე, თითქოს მეორედ მოსვლამდე რამდენიმე დღე იყოს დარჩენილიო; ოჯახებისთვის მოიცალეთო; სცოდნია, თურმე, რასაც ამბობდა?**

**მივიღეთ განმარტება ეკლესიაში მრევლის დგომასთან დაკავშირებით და განგვიმარტეს, რომ დიდ და მცირე ზომის ტაძარში ადამიანებს შორის იყოს შესაბამისი დისტანცია, რასაც ჯანდაცვის სამინისტრო და დაავადებათა კონტროლის ცენტრი გვირჩევს.**

„აიპრესი“

**გიგა ბოკერია**
*„ევროპული საქართველოს“ ლიდერი*



**თუ მღვდელმსახურები უცხოეთში ემორჩილებიან წესებს და ამით არ ღალატობენ რწმენას, მაშინ მოწოდება, რომ აქ, ეს რწმენის ღალატი იქნება, რანაირად არის ლოგიკური?**

„ინტერპრესნიუსი“

**სულხან სალაძე**
*ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე*



**სამწუხაროდ, ხელისუფლების მხრიდან ეკლესიასთან ენის მოჩლექით საუბარს ვხედავთ.**

„ტვ ფორმულა“

**ლევან ვასაძე**
*ბიზნესმენი*



**თუ ვიტყვით, რომ ზიარებიდან ვირუსი არ გადამედება, ეს ღმერთის გამოცდაა. არ უნდა დაავალდებულო ღმერთი, რომ სასწაული მოახდინოს მაშინ, როცა შენ გინდა.**

„ახალი თაობა“

# ვინ იყო ჰასან ტერლოევი

## და რას წარმოადგენდა «კავკასიელ ძმათა განსაკუთრებული პარტია»?

რათი გაუგზავნა — ყირიმელი თათრები 51-ე არმიიდან მასობრივად გარბიან და ზომები მიიღეთო! 51-ე არმიას დიდებული პიროვნება და გულანთებული სტალინელი, არმიის გენერალი **ბატოვი** სარდლობდა, რომელსაც პირადად ვიცნობდი. არსებობს საშინელი დოკუმენტები რომლის თანახმადაც გერმანელები ეხვეწებიან ყირიმელ თათრებს — რუსები შეიბრალეთ, ასე ულვთოდ ნუ დახოცავთო! თვით „ესესელი“ კაციჭამიებიც კი გაოგნებული იყვნენ იმით, რასაც ყირიმელი თათრები დატყვევებულ რუს ჯარისკაცებსა და ოფიცრებს უკეთებდნენ. ეს სიძულვილი რუსებსა და ყირიმელ თათრებს შორის ისტორიულად გრძელდება და ამ სიძულვილს თავისი მიზეზები აქვს...

**— მივუბრუნდეთ ჩეჩნებისა და ინგუშების გადასახლებას!**

— 1922 წლის 30 ნოემბერს შეიქმნა ჩეჩნეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ხოლო 1924 წლის 7 ივლისს — ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკა. საბჭოთა ჩეჩნეთი და ინგუშეთი ცალ-ცალკე შევიდნენ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, ხოლო 1934 წლის 15 იანვარს ორივე რესპუბლიკა გაერთიანდა ერთ ავტონომიურ რესპუბლიკად — ჩეჩნეთ-ინგუშეთად. 1944-1957 წლამდე ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკა გაუქმებული იყო, რადგან ინგუშებიც და ჩეჩნებიც კავკასიიდან გაასახლეს და ვიდრე ხრუშჩოვმა უკან არ დააბრუნა, შუა აზიაში ცხოვრობდნენ. მოკლედ, როგორც კი **ბახჩო ქობულოვმა** ბერიას მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა, მან სტალინს ყველაფერი აცნობა და საიდუმლო თათბირიც ჩაატარა. გადაწყდა, ბერია პირადად ჩასულიყო კავკასიაში და 1944 წლის თებერვალში დაეწყოთ ოპერაცია **„ჩეჩევიცა“ (ოსპი),** რომლის მიზანიც ჩეჩნებისა და ინგუშების შუა აზიაში გადასახლება გახლდათ. კავკასიაში, კერძოდ, თბილისში ჩამოვიდნენ ბერია და მთელი მისი ჯგუფი — გენერალ-პოლკოვნიკები **ბრიგოლ კარანაძე, ვიქტორ აბაკუმოვი, არკადი აპოლონოვი, სერგეი კრუგლოვი** (იაკოვლევი), **ვსევოლოდ მერკულოვი და ბახჩო ქობულოვი.** ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან ხალხის რკინიგზით გაყვანა უშუალოდ დაევალა ბერიას ერთ-ერთ მოადგილეს, გენერალ-ლეიტენანტ **სოლომონ მილშტეინს.** თავიდან **სერგეი კრუგლოვის** ჯგუფმა საქმე ისე მოაწყო, თითქოს ხალხის აღწერას ატარებდნენ. ატყდა პანიკა, ჩეჩნები და ინგუშები მაშინვე ტყეში გაიქცნენ და იარაღი გადამალეს. არაფერი რომ არ მოხდა და ხალხი სახლებს დაუბრუნდა, „ჩეკისტებმა“ სწორედ მაშინ დაიწყეს ოპერაცია „ჩეჩევიცა“. პირადად მაქვს ნანახი დოკუმენტები, თუ როგორ სკრუპულოზურად მუშაობდა „ენკავედე“. კერძოდ, ბერიას აწვდიდნენ დეტალურ ინფორმაციას დასახლებული პუნქტების მდებარეობის, გზებისა და ბილიკების შესახებ. გზა სად რამდენი მეტრი სიგანისა იყო და სად რა სახის ორმო არსებობდა, ამის შესახებაც კი არსებობს მოხსენებითი ბარათები...

**— იმ გაგანია ომის დროს რა რესურსების გამოყენება დაუჯდა ქვეყანას ამდენი ხალხის ამოდენა მანძილზე გადასახლება და მერე მისი დაბინავება?**

— ბერიას ბრძანებით, ოპერაცია „ჩეჩევიცაში“ მონაწილეობდა მრისხანე საბჭოთა „ენკავედეს“ 17 ათას 698 ოპერმუშაკი და 85 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი. 1944 წლის 7 თებერვალს ლავრენტი ბერიამ ჩაატარა სექტორების უფროსებისა და მათი მოადგილეების თათბირი, სადაც ყველაფერი დეტალურად შეათანხმეს. სულ უნდა გაესახლებინათ 97 ათას 635 ოჯახი, ანუ 486 ათასი ჩეჩენი და ინგუში. ოპერაცია „ჩეჩევიცას“ დაწყების თარიღად დასახელდა 1944 წლის 22-23 თებერვლის ღამე — წითელი არმიის შექმნის დღე, ხალხი რვა დღის განმავლობაში უნდა გასახლებულიყო! ნახევარ მილიონ ადამიანს სამშობლოდან გასახლებას უპირებდნენ და ვერც ჩეჩნები და ვერც ინგუშები მოსალოდნელი საფრთხის შესახებ აზრზე ვერ მოვიდნენ!

**— ბერია ამ დროს გროზნოში იყო?**

— დანამდვილებით შემიძლია, გითხრათ, რომ ბერია ამ დროს ჩეჩნეთში იყო, მაგრამ კონკრეტულად სად, არავინ იცის. საერთოდ, ბერია ისევე, როგორც სტალინი, ხშირად იყენებდა გრიმს. მაგალითად, ლენინგრადის ბლოკადა რომ მორჩა, სტალინმა ჟდანოვს დაურეკა და უთხრა — ბერია ჩამოვა, გრიმით იქნება, რათა ყველაფერი თავისი თვალით ნახოსო! ერთი სიტყვით, ოპერაცია „ჩეჩევიცა“ დაიწყო... პარალელურად ბერია პირადად შეხვდა ჩეჩნეთ-ინგუშეთის პარტიულ ხელმძღვანელობას და განუცხადა — პანიკა არ ატეხოთ, უნდა გაგასახლოთ! სულ ბოლოს თქვენ გაგიყვანთ, კარგ ადგილებზე იმუშავებთ და ქალაქში იცხოვრებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯარი გამზადებულია და დანდობა არ იქნება, სისხლს ნუ დამაღვრევინებთო!

**— ყველა ეთნიკურ ჩეჩენსა და ინგუშს ასახლებდნენ?**

— ინსტრუქციაში ეწერა, რომ არ უნდა გასახლებულიყვნენ ის ჩეჩნები და ინგუშები, რომლებიც რუსებზე ან სხვა ეროვნების წარმომადგენლებზე იყვნენ გათხოვილი. ყველას მისცეს უფლება, თან წაეღოთ წვრილი სასოფლო-სამეურნეო იარაღი და ტვირთი — კაცზე 100 კილოგრამის ოდენობით. ლავრენტი ბერიამ ბოლო თათბირი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცეკას მდივან **მოლლაევთან** და მუსლიმ სასულიერო პირებთან ერთად ჩაატარა, რომლებსაც გარანტია მისცა — არცერთ თქვენგანს არ შევეხებით, ყველა კარგად იცხოვრებთო!

1944 წლის 22 თებერვალს ბერიამ სტალინს ჩეჩნეთიდან აცნობა — დღეს ღამის 2 საათზე ოპერაციას ვიწყებთო! ღამის 2 საათზე „ენკავედეს“ ჯარებმა მართლაც დაიწყეს კარზე ბრახუნი. თითოეული სახლი ალყაშემორტყმული იყო შეიარაღებული ხალხით, ხოლო „ენკავედეს“ მიერ საგანგებოდ შერჩეული ჩეჩენი და ინგუში აქტივისტები ადამიანებს მოუწოდებდნენ, არ გაეწიათ არავითარი წინააღმდეგობა და დამორჩილებოდნენ მთავრობის გადაწყვეტილებას მათი გასახლების შესახებ.

„ბერიას ბრძანებით, ოპერაცია „ჩეჩევიცაში“ მონაწილეობდა „ენკავედეს“ 17 ათას 698 ოპერმუშაკი და 85 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. სულ უნდა გაესახლებინათ 97 ათას 635 ოჯახი, ანუ 486 ათასი ჩეჩენი და ინგუში!“



**„ბერიამ სტალინს კრემლში დეპეშა №6051 გაუგზავნა — „დღეს, 23 თებერვალს, გამთენიისას, დაიწყო ჩეჩენთა და ინგუშთა გასახლება. გასახლება მიმდინარეობს ნორმალურად. სულ იყო დაუმორჩილებლობის ექვსი ფაქტი, რა დროსაც მოჯანყეთა ნაწილი დავაპატიმრეთ, ხოლო სხვა შემთხვევაში გამოვიყენეთ იარაღი!“**

იმავე ღამეს ბერიამ სტალინს კრემლში გაუგზავნა დეპეშა №6051 — *„დღეს, 23 თებერვალს, გამთენიისას, დაიწყო ჩეჩენთა და ინგუშთა გასახლება. გასახლება მიმდინარეობს ნორმალურად. სულ იყო დაუმორჩილებლობის ექვსი ფაქტი, რა დროსაც მოჯანყეთა ნაწილი დავაპატიმრეთ, ხოლო სხვა შემთხვევაში გამოვიყენეთ იარაღი!“*

**— სულ რამდენი კაცი დახვრიტეს?**

— ნახევარი მილიონი კაცი გაასახლეს და სულ შეხლა-შემოხლასა და წინააღმდეგობას 50 კაცის სიცოცხლე შეეწირა. საბჭოთა ხელისუფლებამ ხალხის გასასახლებლად გამოიყვანა 130 ეშელონი, ხოლო თითოეულ გადასახლებულ ადამიანზე ხელისუფლებამ გამოყო 6 მანეთი.

**— ეს მაშინ რა თანხა იყო?**

— მაშინ მაღაზიაში პური 5 მანეთი ღირდა. საბჭოთა კავშირს ჩეჩნებისა და ინგუშების გადასახლება სულ 150 მილიონი მანეთი დაუჯდა... იმ გაგანია ომის დროს ამ ფულით 700 საბჭოთა ტანკის „ტ-34“-ის შექმნა შეიძლებოდა. ბერიამ სიტყვა შეასრულა და ბოლო ვაგონით ჩეჩნეთ-ინგუშეთის რელიგიური და პარტიული ხელმძღვანელობა გაამგზავრა. ამ ვაგონის ბოლო სადგური იყო ალმა-ატა. ბოლო დეპეშა ბერიამ სტალინს 1944 წლის 29 თებერვალს გაუგზავნა და ამცნო — **„გასახლებული და რკინიგზის ეშელონებით გაგზავნილია 479 ათასი ადამიანი!“**

**— სად და რა პირობებში ჩაასახლეს ეს ხალხი?**

— გასახლებულები ჩაიყვანეს ყაზახეთში, უზბეკეთსა და ყირგიზეთში. ხელისუფლებამ გასახლებულთათვის გამოყო 6 ათასი ტონა პურის ფქვილი და 3 ათასი ტონა ბურღული. სასოფლო ბანკმა მიიღო დადგენილება, თითოეული გასახლებული ოჯახისთვის სახლის ასაშენებლად სესხად მიეცათ 5 ათასი მანეთი, რომელიც 7 წლის ვადაში უნდა დაეფარათ. გარდა ამისა, თითოეულ ოჯახს მისცეს ძროხა... ჩეჩნებმა და ინგუშებმა რამდენი პირუტყვიც დატოვეს სამშობლოში, იმდენივე დაახვედრეს შუა აზიაში. გასახლებულთათვის 75 ათასი ნაგებობა იყო გამოყოფილი... ხალხის ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობასაც შეუსახლეს, რომლებსაც 200 კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართი ჰქონდათ. ხელისუფლებამ ააშენა 11 ათასი აბანო და მობილიზება გაუკეთა 2 ათას მედმუშაკს. დამერწმუნეთ, რუსეთის დღევანდელმა ხელისუფლებამ ნახევარი მილიონი კაცის გადასახლება რომ მოინდომოს, ამ ყველაფრის ორგანიზებას დღევანდელი ტექნიკის პირობებშიც ვერ შეძლებს! 1944 წლის 20 მარტს ბოლო ეშელონი დანიშნულების ადგილზე ჩავიდა და ოპერაცია „ჩეჩევიცაც“ დასრულდა...

**— რატომ დააბრუნა ხრუშჩოვმა გასახლებული ჩეჩნები და ინგუშები?**

— ხრუშჩოვი როგორც ყველგან და ყველაფერში, ამ შემთხვევაშიც მოიქცა იმის საწინააღმდეგოდ, როგორც სტალინი და ბერია იქცეოდნენ. ამრიგად, გადასახლებული ჩეჩნები და ინგუშები 1956 წელს სამშობლოში დააბრუნეს, ხოლო 1957 წლის 19 იანვარს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკა აღადგინეს!

**— გარდა ჩეჩნებისა და ინგუშებისა, ომის დროს კიდევ ვინ გადაასახლეს?**

— ომის დროს ვოლგისპირეთიდან გაასახლეს 950 ათასი გერმანელი, ყირიმიდან — 191 ათასი თათარი, შუა აზიიდან — 171 ათასი კორეელი და 100 ათასი ყალმუხი, ხოლო საქართველოდან — 90 ათასი ე.წ. „თურქი-მესხი“, რომლებიც ჩვენს სამშობლოში თურქეთის 21 დივიზიის შემოსვლას პურითა და მარილით ელოდნენ. ქართველებმა, რომლებიც ინგუშების მიწაზე დაასახლეს, ინგუშების დაბრუნების შემდეგ იქაურობა დატოვეს და მოსულებს უჩხუბრად დაუტოვეს სახლ-კარი, პირუტყვი და ყველა საჭირო და საყოფაცხოვრებო ნივთი. ამ კეთილშობილურ და ვაჟკაცურ საქციელს ინგუშები ქართველებს დღემდე უმადლიან და ამბობენ, რომ ქართველებმა ინგუშებს კერა არ გაუციეს. სამაგიეროდ, ასე არ მოქცეულან ოსები, რომლებიც ქართველების მსგავსად ინგუშების მიწაზე ჩაასახლეს, ინგუშების დაბრუნების შემდეგ ოსებმა არც სხვისი სახლ-კარი დატოვეს და არც მიტაცებული ქონება დათმეს. ეს ფაქტი ინგუშებსა და ოსებს შორის სამუდამო მტრობის მიზეზი გახდა, რომელიც დღემდე გრძელდება!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

*გაგრძელება იქნება*

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ლორთქიფანიძე**
*დამოუკიდებელი ექსპერტი*



**რისი უნდა გვეშინოდეს უფალთან მისვლის? თუ უფალთან მისვლის გვეშინია, რისი იმედიღა უნდა გვქონდეს?!** ჩვენ არ გვაქვს უფლება, საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ქვეყნის გარეთ განსაცდელში იმყოფება, ხელი ვკრათ. წმიდათაწმიდა ვალდებულებაა, დავაბრუნოთ ქართველები. ჩვენი ქართველები ჩვენთან! — ეს არის ჩემი ლოზუნგი.

„საერთო გაზეთი“

**დეკანოზი შალვა კეკელია**
*ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი*



სულ რომ სიკვდილი მემუქრებოდეს, ვერასოდეს დავთმობ ეკლესიას. აღდგომა დღეს სახლში ვერ დავრჩები. აღდგომა არის ყველა ქრისტიანისთვის და **მირჩევნია, მოვკვდე ხორციელად, ვიდრე აღდგომა დღეს წირვაზე არ წამოვიდე**!

„ალია“

**თეოდორე გიგნაძე**
*დეკანოზი*



**მე მირჩევნია, მოვკვდე, ვიდრე არ ვწირო! მღვდლისათვის უწირველობა სულიერი სიკვდილია, სულიერ სიკვდილს ხორციელი სიკვდილი მირჩევნია!**

„ალია“

**ირაკლი ლეჟავა**
*ჟურნალისტი*



**მანახეთ ბავშვი, რომელიც ნათლობისას გაციებულიყოს და ამის შემდეგ ვისაუბროთ ზიარების აკრძალვაზე. ან — გწამს, ან — არა.**

„ალია“

**თეა დარჩია**
*მოცეკვავე, ქორეოგრაფი*



**ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ერთ წეს-კანონსაც არ შეცვლიდა, რომელიც პირველი საუკუნიდან მოგვდგამს. მადლობა ღმერთს, ამ გაუგებარ პროვოკაციას არავინ აჰყვა!**

„სარკე“

# სანამ ავტომობილს შეიძენდეთ, გახსოვდეთ ლეგენდარული ბერუკა ისაკაძე!

***თბილისში ლუქების საუკეთესო ოსტატს ქვეყანაში გავრცელებული ვირუსის გამო ტელეფონით ვესაუბრეთ და, რა თქმა უნდა, საუბრის მთავარი თემაც კვლავ ლუქები იყო. დაწვრილებით ამ საკითხზე თავად ბერუკა ისაკაძე საუბრობს:***

— აი, თქვენც დამირეკეთ, ახლა გვერდით ერთი ყაზილარი მიდგას, რომელმაც 140 კილომეტრ სიჩქარეზე მანქანის ლუქი გახსნა! წარმოიდგინეთ, რა შეიძლება, მოუვიდეს „კაბრიოლეტს“, ამავე სიჩქარეზე თუ ტენტს გადავხდით?! ზუსტად იგივე დაემართა ამ ლუქსაც. კიდევ კარგი, რომ საერთოდ არ დაიფშვნა ან გაფრინდა თავის მექანიზმიანად.

**— ბატონო ბერუკა, შესაძლებელია თუ არა მანქანიდან ლუქის გაუქმება?**

— ლუქის გაუქმება ისევე შეიძლება, როგორც უსარქველო ჭერის პანორამულ ჭერად გადაკეთება და, სხვათაშორის, ძალიან ბევრი მძღოლი მიმართავს ამ ხერხს, როცა ავტომობილს გასაყიდად ამზადებს.

**— როგორ?**

— ზოგადად, როდესაც ახალ მანქანას ყიდულობ ცენტრში, იქ შენით ირჩევ „ნავაროტს“. როდესაც ირჩევ მანქანას ლუქის ან პანორამული ჭერისა და ელექტროსარკეების გარეშე, მისი ფასი თითქმის მესამედით იკლებს. სწორედ ასეთი უსარქველო მანქანები ჩამოჰყავთ საქართველოში, შემდეგ ლუქს აქ ყიდულობენ, შესაბამის ზომაზე ამოჭრიან სახურავს, ამონტაჟებენ ან სრულიად შუშის ჭერს ან ლუქს და მანქანას ძვირად ყიდიან! **თუ ეს ყველაფერი ნორმალური ხელოსნის გაკეთებულია, ან თუ მყიდველი გამოცდილი და მცოდნე არაა, ისე შემოგასაღებენ კუსტარულად ამოჭრილ შუშისჭერიან ავტომობილს, აზრზეც ვერ მოხვალთ! ანალოგიური პროცედურაა მანქანაზე სარქვლის გაუქმებაც. ოღონდ, ამ შემთხვევაში, იხსნება ქარხნული ლუქი და ჭერზე დარჩენილი სიცარიელე ულუქო სახურავით იფარება.** თუმცა, არის მანქანის მოდელები, რომლებსაც მთლიან ჭერს უცვლიან ძალიან მარტივად. მაგალითად, „მერსედესის“ A და B კლასის ავტომობილებს ჭერი ფირფიტებით აქვს გაწყობილი. ამ შემთხვევაში კი საქმე შედარებით გამარტივებულია, იცვლება სახურავის ფირფიტა და უქმდება ლუქიც. ასევე მარტივად იცვლება სახურავი „მერსედესის“ ML-ის ჯიპებზეც.


„ჩემი ხელებისა და „ოპელ ომეგას“ სახელურების დახმარებით, პირველი კაცი ვიყავი, რომელსაც „მოსკვიჩზე“ ელექტროშუშები მეყენა!“

**ბერუკა ისაკაძე:**

**მანქანაზე ლუქის გაუქმება ისევე შეიძლება, როგორც უსარქველო ჭერის პანორამულ ჭერად გადაკეთება!**

**— გაიხსენეთ თქვენი „რენომოსკვიჩი“, რომელსაც თავად დაუმონტაჟეთ ელექტროშუშები...**

— ეს ცნობილი „მოსკვიჩი“ პირველად 1975-ში პარიზის ავტოსალონში „სიმკა-კრაისლერის“ სახელით გამოჩნდა და მალევე საბჭოთა ავტოინჟინრების ყურადღების ცენტრშიც მოექცა. ჩემი ხელებისა და „ოპელ ომეგას“ სახელურების დახმარებით, პირველი კაცი ვიყავი, რომელსაც „მოსკვიჩზე“ ელექტროშუშები მეყენა. ამ მანქანაზე ყველა შუშა პულტით იკეტებოდა, სალონიც ჩემ გემოზე შევაკერინე. ზოგადად, ეს მანქანები ორი კომპლექტაციით „ჟიგულისა“ და „მოსკვიჩის“ ძრავებით იწარმოებოდა. ჩემი „მოსკვიჩის“ ძრავით იყო. გადაცემათა კოლოფი საკუთარი ხელით მოვხსენი, გადავაკეთე, მაღალი კბილანები შევუთავსე და მოკლედ, იმ დროისათვის ყველაზე სწრაფ „ვაზ-21099“-საც კი ვჯობნიდი. ვაოცებდი ხალხს. ეს იყო მანქანა, რომელიც ადგილზე ბუქსაობდა.


ე.წ. „რენომოსკვიჩი“ („მოსკვიჩი 2141“)



**ალექსანდრე გაბაშვილი:**

# რიგ სიტუაციებში მძლავრ ძრავს თქვენი გადარჩენა შეუძლია!

***ალბათ, სოციალურ ქსელში მრავალი ვიდეო გინახავთ, მიმავალ მანქანას მოულოდნელად საბურავი რომ მოსძვრება და გზაზე შემხვედრს გადათელავს. ამ მიზეზით ბევრი დაღუპულა და ბევრი ავტომობილიც დამტვრეულა. საკუთარი ავტომობილიდან მოულოდნელად მომძვრალი საბურავის ისტორიას ალექსანდრე გაბაშვილი გვიამბობს:***

— ათი წლის წინათ „მერსედეს W210“ ამერიკიდან ფოთის პორტში ჩამომივიდა. ადგილზე აღმოვაჩინე, რომ გიტარა ყოფილა მოტეხილი. წინასწარ რომ მცოდნოდა, საჭირო ნაწილს თბილისიდან წავიღებდი და იქვე სახელოსნოში გამოვაცვლევინებდი. მაგრამ ვერ მოვისვენე, ვიფიქრე, ამდენი ხანი მანქანას ველოდე, ახლა თბილისში ისევ მატარებლით ხომ არ დავბრუნდები-მეთქი. იქვე, პორტთან არსებულ სახელოსნოში, გატეხილი გიტარა შევადუღებინე და წამოვედი. არადა, შედუღებით მისი შეკეთება ისეთივე წარმოუდგენელია, როგორც გარდაცვლილი ადამიანის გაცოცხლება!

**— თუ ეს ყველაფერი იცოდით, რატომ გარისკეთ?**

— ეს ყველაფერი იმ დღის შემდეგ გავიგე, თუმცა, ფოთელმა ხელოსანმა ე.წ. „სუხოი სვარკა“ რომ დააძრო, ეჭვი შემეპარა და ვკითხე — დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ეს დაიჭერს და გზაში არ დამღუპავს-მეთქი? რას მელაპარაკები, დღეში ორ-სამ მანქანას მაინც ვუტარებ ასეთ პროცედურას და პრეტენზიით მობრუნებული კაცი არ მინახავსო... აბა, იმასთან პრეტენზიით როგორღა მივიდოდნენ ის საცოდავები, უმრავლესობა, ალბათ, გზაში ისე დაიღუპა, სახლამდეც ვერ ჩააღწია. მეც გავჩუმდი, ვიფიქრე — ამდენი წელია, კაცი ამ საქმეს აკეთებს და ნეტავ, საერთოდ, არაფერი მეკითხა-მეთქი.

**— ბოლოს?**

— ჰოდა, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სადღაც ზესტაფონის მისადგომებთან „ტრაილერს“ დავუპირე გასწრება, გადმოვედი საწინააღმდეგო მხარეს, საკმაოდ დიდი სიჩქარე ავკრიფე და უცებ, ფეხში საშინელი დარტყმა ვიგრძენი! თურმე საბურავი არ მოტყდა?! წარმოიდგინეთ, ჩემ გვერდით უშველებელი „ტრაილერი“ მიდის, წინ კი გზა იყო გადაკეტილი და რაღაცას თხრიდნენ. რა თქმა უნდა, დაკარგა ჩემმა „მერსედესმა“ წონასწორობა და პირდაპირ სატვირთოს საბურავებისკენ გამაქანა. ჩემს ბედად, სატვირთოს მძღოლი ყველაფერს მიხვდა და მაშინვე მკვეთრი დამუხრუჭება დაიწყო. მე კი რაღა დამრჩენოდა, მუშებს ხომ არ დავხოცავდი, რასაც ჰქვია დავმარხე აქსელერატორი, ერთი დაიღმუვლა „ბრაბუსის“ 5.5-ლიტრიანმა ძრავამ და უსაბურავოდ მოვწყდი ადგილიდან.

**— როგორ ფიქრობთ, რამ გადაგარჩინათ?**

— ამის გახსენება ძალიან მიჭირს. არადა, ჩემს „მერსედესს“ განსაკუთრებული სიმძლავრის ძრავა რომ არ ჰქონოდა, დარწმუნებული ვარ, დღეს ამ ამბავს ვეღარ გავიხსენებდი. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ ავტომობილს უნდა ჰქონდეს საკმარისი სიმძლავრე, რათა ექსტრემალურ სიტუაციაში ავარიული სიტუაციიდან გამოძრომა მოასწროს. ჩემი მეგობრები ამ ამბავზე დღემდე ხუმრობენ ხოლმე — ალექსას „ბრაბუსმა“ მიქელ-გაბრიელსაც კი „დაუაბგონაო“! *(იცინის)*.

**— რა ბედი ეწია მანქანიდან მომძვრალ საბურავს?**

— კიდევ კარგი, გზაზე ვინმე არ გასრისა ან რომელიმე მანქანას არ გადაუარა. ჩემი თვალით დავინახე, როგორ გამისწრო და დიდი სისწრაფით ხევში გადაეშვა.

**— ზოგადად, რაში მდგომარეობს მანქანიდან მომძვრალი საბურავის საიდუმლო?**

— ჩემი აზრით, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო რამ, რაც შეიძლება, მძღოლს გზაზე გადახდეს. მანქანიდან მომძვრალი საბურავი უზარმაზარ სისწრაფეს კრეფს და პატარა კენჭიც რომ შეხვდეს, ქანაობას იწყებს და იქამდე არ ჩერდება, სანამ რამეს არ გადათელავს. მახსოვს, 2017 წელს საქართველოში პატარა გოგონამ მძიმე დაზიანებები სწორედ მანქანიდან მომძვრალი საბურავის მოხვედრის შედეგად მიიღო. ყოველწლიურად მრავალი უბედური შემთხვევა ხდება აშშ-ის ჩქაროსნულ ავტომაგისტრალებზე და ამის ამსახველი ვიდეოებით სავსეა სოციალური ქსელები.

**— როგორ ფიქრობთ, შეიძლება მსგავსი უბედური შემთხვევის თავიდან არიდება?**

— ამის თავიდან არიდება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.


ვიდეორეგისტრატორის მიერ დაფიქსირებული კადრი, თუ როგორ მოფრინავს საბურავი საქარე მინისკენ


მოწყვეტილი საბურავის მიერ გათელილი მანქანა

**„ჩემი მეგობრები ამ ამბავზე დღემდე ხუმრობენ ხოლმე – ალექსას „ბრაბუსმა“ მიქელ-გაბრიელსაც კი „დაუაბგონაო!“**

**თქვენი ავტომობილი ტექნიკურად უმაღლეს დონეზე გამართული რომც იყოს, არასოდეს ხართ დაზღვეული, რომ შემხვედრ მანქანას თვალი არ მოსძვრება. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ეს ყველაფერი იმდენად სწრაფად ხდება, რომ იმის აღქმასაც ვერ ასწრებ, შენკენ აწყვეტილი საბურავი მოფრინავს თუ რომელიმე ფრინველი.**



ალექსი აკოფაშვილი:

# თითქმის ყველა „ანტიკვარათი“ მიცნობს, ბევრს უკვე ნამდვილი სახელი დავიწყებულიც კი აქვს!

*აკუმულატორი, დინამო, სტარტერი და ე.წ. „ზამოკი“ — იმ დეტალების არასრული ჩამონათვალია, რომელთაც თითოეული ჩვენგანის ავტომობილისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მათ შესახებ თბილისში „ანტიკვარად“ ცნობილი ელექტრიკოსი ალექსი აკოფაშვილი ისაუბრებს.*

**— რამდენი წელია, რაც ამ საქმიანობას ეწევით და რატომ გეძახიან „ანტიკვარას“?**

— 1992 წლიდან მოყოლებული ელექტრიკოსი ვარ. დროთა განმავლობაში მხედველობა გამიფუჭდა და ახლა სტარტერებსა და დინამოებს ვაკეთებ. თითქმის ყველა „ანტიკვარათი“ მიცნობს, თანაც ისე, რომ ბევრს უკვე ნამდვილი სახელი დავიწყებულიც კი აქვს *(იცინის)*! ოთხმოცდაათიანებში არეულობების პერიოდი რომ იდგა, მანქანის ნაწილები ძნელად იშოვებოდა. სწორედ ამ პერიოდში „ჟიგულისა“ და სხვა საბჭოთა ავტომობილების სისტემებსა და ნაწილებს ვარგებდი თანამედროვე მოდელებს. როდესაც „პაჯეროები“ ახალი შემოსული იყო და მათი დინამო და სხვა ნაწილები ჭირდა, ჩემი ხელით გამომყავდა საჭირო კაბელები და მას „ჟიგულის“ რელესა თუ ჯაგრისებს ვარგებდი.

**— ესე იგი, თქვენ მეორე თაობის „პაჯეროზე“ ჟიგულის დინამოსა და ჯაგრისების მორგება შეგიძლიათ?**

— კი, შემიძლია, მაგრამ ახლა ამის გაკეთება მიზანშეწონილი არ არის, რადგან, ზოგადად, „ჟიგულის“ ჯაგრისები მაგარია და დროთა განმავლობაში ღერძს აზიანებს. ისე კი, ჩემი ხელით „გასავეცკებული პაჯეროს“ დინამოები უპრობლემოდ მუშაობდა და „ვეჩნიც“ იყო.

**— რა ხდება მაშინ, როცა ავტომობილის სტარტერი გაფუჭებას იწყებს?**

— სტარტერის დაზიანების ორი ვარიანტი არსებობს, როცა აკუმულატორი ჯდება, მაგრამ მძღოლი შეუპოვრად ცდილობს მანქანის დაქოქვას. ამ დროს შეიძლება, საერთოდ დაიწვას იგი. ასევე ვერ დაქოქავთ მანქანას, თუ სტარტერის ჯაგრისები დამჯდარია. ისეც ხდება, თუ ე.წ. „იაკორები“ დაჯდა ან ბენდექსი დაბუქსავდა, სტარტერი დაზიანებას უჩვეულო ხმით განიშნებთ. თუმცა, უფრო ხშირია შემთხვევა, როცა ჩააქრობთ ავტომობილს და სტარტერის პრობლემის გამო ველარ დაქოქავთ.

**— როგორ მოვიქცეთ, თუ მოწმენდილ ცაზე სტარტერი გაფუჭდა და მანქანას ველარ ვქოქავთ, მთაში ვართ და გარშემო სახელოსნოც არაა?**

— ახლა თქვენ მძღოლისათვის ყველაზე ცუდი ვარიანტი დახატეთ *(იცინის)*. ასეთ სიტუაციაში ჩავარდნას არავის ვურჩევ, მაგრამ ერთი გამოსავალი მაინც არსებობს. იდეალური ვარიანტი იქნება, თუ ასეთ დროს თქვენი მანქანის გადაცემათა კოლოფი მექანიკურია, დააგორებთ და დაქოქავთ. თუმცა, თუ ავტომატური გადაცემათა კოლოფი გაქვთ, მოგიწევთ, რამენაირად სტარტერს მიუდგეთ და ერთი გემრიელად მიუკაკუნოთ. როცა მასში მოთავსებული ჯაგრისები ჯდება, ასე სწორედ მაშინ ემართება. მასზე დარტყმა დაგეხმარებათ, მანქანა ერთჯერადად მაინც დაქოქოთ და გზაზე არ დარჩეთ. თუ ამას ვერ მოახერხებთ, აუცილებლად იქონიეთ თან ევაკუატორის ნომერი.

**— რაც შეეხება დინამოს...**

— აკუმულატორის ერთადერთი დანიშნულება ძრავის დაქოქვაა, შემდეგ უკვე საქმეში დინამო ერთვება, რომელზეც სრული ელექტრული დატვირთვა მიდის. ძრავა იქამდე იმუშავებს, სანამ აკუმულატორს ბოლომდე არ გამოაცლის ენერგიას. დაქოქვის შემდეგ მისი მოვალეობა დინამომ თუ არ გადაიბარა, მოძრავი მანქანაც კი ჩაგიქრებათ. ეს კი ნამდვილად სახიფათოა, რადგან აღარ იმუშავებს ჰიდრავლიკა და საჭე მოულოდნელად გაგიმაგრდებათ!

**— ვთქვათ, მანქანაში ჩავაყენეთ ახალთახალი აკუმულატორი, რომელიც 10-დღიანი დაუქოქავობის შემდეგ დამჯდარი დაგვიხვდა. რისი ნიშანია ეს?**

— ერთი მხრივ, ეს შეგვიძლია, თავად აკუმულატორსაც დავაბრალოთ, მაგრამ მანამდე აუცილებლად უნდა შემოწმდეს, რამდენად გამართულად მუშაობს დინამო და სრულიად მანქანის ელექტრული სისტემა. შესაძლებელია, მანქანა საიდანღაც დენს კარგავდეს — ან მაგნიტოფონში, ან დაზიანებული დინამოს დიოდებს მიაქვს მარაგი. თანამედროვე ავტომობილებში დენი შეიძლება, მანქანის ჩიპმაც კი წაგართვათ, ან თუ, ე.წ. „ზამოკში“ გასაღებს დატოვებთ.

**— რას ნიშნავს დენის დაკარგვა?**

— მარტივად რომ ვთქვათ, რაღაც მიზეზით აკუმულატორი დენს უაზროდ ხარჯავს იმაში, რაშიც ან საერთოდ არ უნდა დახარჯოს, ან მინიმალური დანაკლისი უნდა ჰქონდეს. თქვენ წარმოიდგინეთ, საბარგულში ანთებულმა პატარა ნათურამაც კი ისე შეიძლება დასვას აკუმულატორი, რომ ქუჩაში დარჩეთ! სპეციალური ტესტერების მეშვეობით ვადგენთ, რამდენ დენს კარგავს აკუმულატორი და კონკრეტულად საიდან.

**— და მაინც, როგორია თქვენი მისამართი? ხომ შეიძლება, ახალი კლიენტებიც შეგემატოთ?**

— თბილისში, ხოშარაულის 32-ში ვმუშაობ, აქ შორიახლოს ადრე თქვენი „ასავალ-დასავალიც“ იბეჭდებოდა!

*რუბრიკას უძღვება*
*საბა ჯაბუშანური*

---

„წონის დაკლების ყველაზე ჯანსაღი და სწორი გზაა საკვების ხშირი და რეგულარული მიღება მცირე ულუფებით!“



ნანა ყავლაშვილი:

# სამკურნალო შიმშილობის დროს ტვინში ენდორფინების გამოყოფა იზრდება, რის გამოც ამ პროცესისგან თავისებური სიამოვნების მიღებაც შეიძლება!

***სამკურნალო შიმშილობას დღეს მთელ მსოფლიოში იყენებენ. მისი ეფექტურობის შესახებ უძველეს დროშიც იცოდნენ — შიმშილობდნენ პითაგორა და პლატონი, ამ მეთოდით განკურნებას ურჩევდნენ პაციენტებს ჰიპოკრატე და ავიცენა. ჯანმრთელობისთვის ბრძოლაში შიმშილის გამოყენების შესახებ გვესაუბრება ექიმი ნუტრიციოლოგ-დიეტოლოგი ნანა ყავლაშვილი:***

— ადამიანი ხშირად საკვებს მხოლოდ მაშინ იღებს, როცა კუჭიდან ბრძანება მოდის. არადა, ამ დროს შეიძლება, სულაც არ შიოდეს, უბრალოდ, კუჭი მიჩვეულია, სავსე იყოს, ანუ სახეზეა ჭამის ჩვევა. **ჩატარებული კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ, ვინც რეგულარულად არ საუზმობს, უფრო მეტს იწონის, რადგანაც დღის განმავლობაში რომელიმე კვების გამოტოვების შემთხვევაში ორგანიზმი დანაკლისის კომპენსირებას აუცილებლად მოახდენს.**

**— მაშ, როგორ დავიკლოთ წონაში?**

— წონის დაკლების ყველაზე ჯანსაღი და სწორი გზაა საკვების ხშირი და რეგულარული მიღება (4-5-ჯერ) მცირე ულუფებით. რაციონი უნდა იყოს დაბალანსებული და ნაკლებად ცხიმიანი. გირჩევთ, მზის ამოსვლიდან 3-4 საათის შემდეგ ისაუზმოთ, რათა დღის განმავლობაში შიმშილმა ძალიან არ შეგაწუხოთ და ადვილად შეძლოთ მისი ჩახშობა მცირე ულუფებით.

**— ითვლება, რომ ვახშამზე უარის თქმა ხელს უწყობს წონის შენარჩუნებას. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?**

— საკმაოდ პოპულარული მოსაზრებაა, მაგრამ ჩვენი ბიორიტმები ისეა აწყობილი, რომ დღის პირველ ნახევარში უფრო ადვილად ვხარჯავთ ენერგიას, ხოლო მეორე ნახევარში ვაგროვებთ.

**საღამოს 6 საათის შემდეგ თუ არ შეჭამთ, შიმშილის გრძნობა გაგიმძაფრდებათ, ასე რომ, შეგიძლიათ, ივახშმოთ, ოღონდ ნაკლებად ცხიმიანი კერძები მიირთვით.**

**— რაც უფრო დიდია პაუზა ჭამიდან ჭამამდე, მით უფრო მეტია გახდომის შანსი?**

— ამ მოსაზრებაში ნამდვილად არის სიმართლის მარცვალი, მაგრამ, თუ ჭამიდან ჭამამდე პაუზა დიდია, თავის ტვინის კვების ცენტრი აღგზნებული რჩება, რაც მუდმივი შიმშილის გრძნობას აჩენს, ადამიანს უჭირს თავის გაკონტროლება და აუცილებელზე მეტ საკვებს მიირთმევს.

**— შიმშილით მკურნალობის შესახებ რა აზრის ხართ?**

— ეს მეთოდი ოფიციალურმა მედიცინამ აღიარა და 10-15 წლის წინათ სხვადასხვა დაავადებასთან ბრძოლის კარგ საშუალებად მიიჩნია, მაგრამ მისმა არასწორმა გამოყენებამ შესაძლოა, აციდოზი გამოიწვიოს.

**— რა არის აციდოზი?**

— საკვების მიღებისას გამომუშავებული შლაკები და ტოქსინები იწვევენ აციდოზს — ტუტე-მჟავური წონასწორობის დარღვევას ორგანიზმიდან ორგანული მჟავების არასრული გამოდევნისა და ჟანგვის შედეგად.

**— ამერიკელმა დიეტოლოგმა და ჯანსაღი ცხოვრების უდიდესმა პროპაგანდისტმა პოლ ბრეგმა განაცხადა — ჩემს სხეულს ასაკი არა აქვსო და, მართლაც, როცა ექიმებმა ის უკანასკნელად გამოიკვლიეს, აღიარეს, რომ 20 წლის ახალგაზრდის ორგანიზმი ჰქონდა.**

— პოლ ბრეგი შიმშილობას ბუნებრივ ინსტინქტად თვლიდა — როცა ცხოველი ავადდება, უარს ამბობს საკვების მიღებაზე. რაციონალური შიმშილი, ჯანმრთელი კვება, საკუთარ სხეულსა და სულზე მუშაობა გაახალგაზრდავების საშუალებაა, ამას პოლ ბრეგი თანამედროვეობის ყველაზე დიდ აღმოჩენად მიიჩნევდა.

**— პოლ ბრეგი დაბადებიდან ავადმყოფობდა და 12 წლის ასაკში მშობლებმა სუსტი ჯანმრთელობის გამო შვეიცარიაში ცნობილ ექიმ როლიესთან გაგზავნეს.**

— დიახ, სწორედ როლიეს ზედამხედველობის ქვეშ დაიწყო მან შიმშილი, ჯერ — 24-საათიანი, მერე კი 9 თვის განმავლობაში 7-14-21-დღიანი კურსი გაიარა. ექიმის რეკომენდაციით ის შიმშილობებს შორის პერიოდში ტუტოვან დიეტას იცავდა, ძირითადად, ცოცხალ ხილბოსტნეულსა და მოხარშულ ბოსტნეულს მიირთმევდა.

**— პოლ ბრეგმა მთელი მსოფლიო მოიარა და პლანეტის ყველაზე ასაკოვანი ადამიანების ცხოვრებას გაეცნო, რის მერეც თავის წიგნში „შიმშილობის სასწაული“ დაწერა: „ადამიანი ორგანიზმის ცალკეული უჯრედების ერთობლიობაა. თუ ნორმალურად იკვებებით, თუ ეს საკვები ზრდისა და ფუნქციონირების ძირითად მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, უჯრედებს უნარი აქვთ, 120 წელი და მეტიც იცოცხლონ“.**

— პოლ ბრეგი აპირებდა, 120 წელი ეცოცხლა, მაგრამ 1976 წელს 95 წლის ასაკში მოულოდნელად დაიღუპა — ცუდ ამინდში სერფინგის დროს უზარმაზარმა ტალღამ იმსხვერპლა. მისი სხეულის გაკვეთის შემდეგ ექიმებმა აღიარეს, რომ ყველა ორგანო ჯანმრთელი ჰქონდა და კიდევ დიდხანს იცოცხლებდა.

**— რა განსხვავებაა ნამდვილ და სამკურნალო შიმშილობას შორის?**

**– სამკურნალო შიმშილობას არანაირი კავშირი არა აქვს ნამდვილ შიმშილთან. 2–3 დღის შემდეგ, როცა ნაწლავები დაიცლება, შიმშილის გრძნობა ქრება.**

ორგანიზმი მთელი ძალით ცდილობს, კონცენტრირება ტოქსინების გამოდევნაზე მოახდინოს, რის გამოც ტვინში ენდორფინების, „სიამოვნების ჰორმონის“ გამოყოფა იზრდება, ასე რომ, სამკურნალო შიმშილობისგან თავისებური სიამოვნების მიღებაც შეიძლება.

**— როგორ ვიშიმშილოთ სახლის პირობებში?**

— ნებისმიერი შიმშილობა განტვირთვის დღით დაიწყეთ — მხოლოდ ხილი, ბრინჯი და უმი ბოსტნეული მიირთვით. თქვენ შეგიძლიათ, იშიმშილოთ პოლ ბრეგის მეთოდით, სვათ მხოლოდ გამოხდილი წყალი ან რომელიმე სხვა მეთოდი გამოიყენოთ, მაგალითად, უშაქრო წვენები და ბალახების ნაყენი მიიღოთ. შიმშილობის დამთავრების შემდეგ პირველ დღეს უნდა შეჭამოთ ორი ცალი ვაშლი, მეორე დღეს — მოშუშული ბოსტნეული, კანიანად მოხარშული კარტოფილი და ორცხობილა, მხოლოდ ამის მერე დაუბრუნდით ჩვეულ რაციონს.

**— კიდევ რა უნდა გავითვალისწინოთ სამკურნალო შიმშილობის დროს?**

— იმოძრავეთ, რათა ხელი შეუწყოთ ნივთიერებათა ცვლას — ივარჯიშეთ, იცურავეთ ან სუფთა ჰაერზე ისეირნეთ. დაუშვებელია ყავის სმა, სიგარეტის მოწევა და ალკოჰოლიანი სასმელი. ხშირად და დიდხანს მიიღეთ შხაპი, რადგანაც შიმშილობის დროს ტოქსინები კანის მეშვეობითაც გამოიყოფა. მთელი სხეული უხეში ჯაგრისით დაიმასაჟეთ. დილაობით ენა ჩაის კოვზით გაიწმინდეთ.

**— დასაწყისისთვის, ალბათ, ცუდი არ იქნება კვირაში ერთხელ 24-საათიანი შიმშილით ორგანიზმის გაწმენდა?**

— 24-საათიანი სრული შიმშილობა საუზმიდან — საუზმემდე, ან ვახშმიდან ვახშმამდე გრძელდება. ამ დროს მხოლოდ გამოხდილი წყალი უნდა სვათ. დასაშვებია ერთ ჭიქა გამოხდილ წყალში ერთი ჩაის კოვზი ნატურალური თაფლის ან ლიმონის წვენის ჩამატება, რაც შხამებისა და ლორწოს დაშლის პროცესს გააძლიერებს — ისინი თირკმლების ფილტრებში უფრო ადვილად გაივლიან.

**— საერთოდ, შიმშილობის დროს ყველაზე მნიშვნელოვან როლს თირკმლები ასრულებენ.**

— 24-საათიანი შიმშილობის შემდეგ უნდა შეჭამოთ ცოცხალი ბოსტნეულის სალათა, შეგიძლიათ, ლიმონის ან ფორთოხლის წვენი მოასხათ, მერე — მოხარშული ბოსტნეულის კერძი. გახსოვდეთ, პირდაპირ ხორციან საჭმელებზე გადასვლა არ შეიძლება. დაუშვებელია ასევე, რძის, ყველის, კარაქის, თევზეულის ან ნიგვზის მიღება. ცოცხალი ბოსტნეულის სალათა ნაწლავებისთვის ცოცხის როლს შეასრულებს და კუჭ-ნაწლავის ტრაქტს აამუშავებს. სალათისა და მოხარშული ბოსტნეულის მერე შეგიძლიათ, მოხარშული ხორციც მიირთვათ.




*ესაუბრა*
*ნინო გოძიაშვილი*




# 21 გაკვეთილი

## გაკვეთილი 2-3. ხელოვნური ინტელექტის

დასაწყისი იხ. „ა-დ“ №13



***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს პუბლიკაციათა ციკლს, რომლებითაც მოგითხრობთ ებრაელი სამხედრო ისტორიკოსის, თელ-ავივის უნივერსიტეტის პროფესორის იუვალ ნოე ჰარარის 2018 წელს გამოცემული ბესტსელერის შესახებ სახელწოდებით „21 გაკვეთილი 21-ე საუკუნისთვის“. ჰარარი თავს წინასწარმეტყველად არ მიიჩნევს, მას მხოლოდ დღის სინათლეზე გამოჰყავს ის ტენდენციები და ძალები, რომლებიც მართავენ კაცობრიობას — საერთაშორისო ტერორიზმითა და გლობალური შიმშილით დაწყებული, ვიდრე ტრამპის ფენომენით, ულტრათანამედროვე კოსმოსური ტექნოლოგიებითა და, რაც მთავარია, რელიგიისკენ საყოველთაო შემობრუნებით!***

**სურდა ყველას ყოველთვის მოტყუება და ამიტომაც მწარედ დამარცხდა!**

ამერიკის პრეზიდენტად ანტილიბერალი **ტრამპის** არჩევა — ეს იყო ხალხის მიერ ლიბერალიზმისადმი სილის გაწვნა! და ამ სილას იმხელა რეზონანსი ჰქონდა, რომ მისი ხმა დღემდე ისმის მთელ მსოფლიოში!

მაგალითად, **ტრამპის ეპოქამდე წარმოუდგენელი იყო, რომ შუაგულ ევროპაში მდებარე უნგრეთში მყარი ხელისუფლება ჰქონოდა ვინმე ვიქტორ ორბანს, რომელიც თავს „ლიბერალური დემოკრატიის“ ნაწილად მიიჩნევს, მაგრამ სახელმწიფო პოლიტიკის რან-**



## იუვალ ნოე ჰარარი:

## ტრამპის მიერ განცხადებული ამერიკული იზოლაციონიზმის პოლიტიკა და ბრიტანელების მიერ ევროკავშირის დატოვება გლობალური ანტიგლობალურობის ეპოქის დადგომას ნიშნავს!

როგორც პროფესორი ჰარარი ასკვნის, ლიბერალური იდეოლოგია პირველად არ განიცდის კრიზისს. ლიბერალიზმისა და გლობალიზაციის პირველი ეპოქა პირველი მსოფლიო ომის სისხლიან ჭაობში ჩაიძირა, როდესაც იმპერიულმა პოლიტიკამ შთანთქა მსოფლიო პროგრესის მარში!

სარაევოში სერბი ნაციონალისტის **გავრილა პრინციპის** მიერ ავსტრია-უნგრეთის იმპერიის **ერც-ჰერცოგ ფერდინანდის** მკვლელობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ზესახელმწიფოებს ლიბერალიზმზე მეტად იმპერიალიზმისა უფრო სჯერათ! და მათთვის უფრო მისაღები აღმოჩნდა არა თავისუფალი ვაჭრობა, არამედ სხვისი ტერიტორიების მარტივი, უხეში ძალით მიტაცება!

პირველი მსოფლიო ომის საშინელებათა შემდეგ, როდესაც ათობით მილიონი ადამიანი უბრალოდ გაქრა კაცობრიობის რიგებიდან, ლიბერალიზმი ახალი ძალით გაიმართა წელში და მან მსოფლიო დააჯერა, რომ ეს ომი შემდგომი ომების აღსაკვეთად გაღებული მსხვერპლი იყო!

თუმცა, სულ მალე ასპარეზზე გამოჩნდა **ჰიტლერი** — პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული და მოკავშირეთა მიერ სასტიკად დამცირებული გერმანიის რევანშისტული დროშით! 1940-იანი წლების დასაწყისამდე ჰიტლერის ფაშიზმი უძლეველი ჩანდა — ასეთ დროს ლიბერალიზმი უკვე სასაცილოც კი იყო! **თუმცა, სტალინის საბჭოთა სისტემამ ფაშიზმი გააცამტვერა და ლიბერალიზმმაც მზის სინათლე კვლავ იხილა — ასე დაიწყო ლიბერალიზმის მესამე ყველაზე წარმატებული ეპოქა!**

*„1950-70-იან წლებში იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ლიბერალიზმს მომავალი არა აქვს და ის კომუნიზმს ეკუთვნის, მაგრამ კომუნიზმმა მომდევნო რაღაც 20 წელიწადში კრახი განიცადა. აღმოჩნდა, რომ დასავლური სუპერმარკეტები გაცილებით ძლიერია, ვიდრე გულაგი. და, რაც მთავარია, ლიბერალური კონცეფცია გაცილებით მოქნილი და დინამიკური აღმოჩნდა, ვიდრე მისი კომუნისტური ალტერნატივა.*

*დიახ, ლიბერალიზმმა დაამარცხა იმპერიალიზმიც, ფაშიზმიც და კომუნიზმიც და მათგან ყველაფერი საუკეთესო შეითავსა, მაგალითად, კომუნიზმისაგან — თანასწორობის იდეა“.* — წერს ჰარარი.

მაგრამ, როდესაც ლიბერალიზმმა დაამარცხა კომუნიზმი და მსოფლიო ძალაუფლების ოლიმპოზე უკონკურენტოდ, მარტო დარჩა, მან დაიწყო მასების არნახული კონტროლისა და ტვინების გამორეცხვის შტურმი! ზუსტად ისე, როგორც ტოტალიტარულ სისტემებშია მიღებული — ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დისიდენტებს რეპრესიებს არ უწყობენ!

რა არის დემოკრატიის მთავარი პრინციპი? ის აბრაამ ლინკოლნმა ჩამოაყალიბა: **„შეიძლება, ზოგიერთები მოატყუო მუდამ, შეიძლება, გარკვეული დროის განმავლობაში მოატყუო ყველა, მაგრამ ყოველთვის ყველას მოტყუება შეუძლებელია!“**

ჰოდა, ლიბერალიზმმა გადაწყვიტა ლინკოლნის ამ ფუძემდებლური აქსიომის შეცვლა — **მას გზი ჰყავს აყვანილი სხვადასხვა უმცირესობების უფლებების დარღვევა!**

როდესაც ობამას სუპერლიბერალურ ეპოქაში შუაგულ ევროპაში, ავსტრიაში, გაიმარჯვა ნაციონალისტურ-მემარჯვენე „სახალხო პარტიამ“ და ქვეყნის პრემიერად მისი თავმჯდომარე **ჰაიდერი** აირჩიეს, ის სულ რამდენიმე კვირაში მთელი ლიბერალური მსოფლიოს წნეხის ქვეშ მოაქციეს და უბრალოდ, გააგდეს ხელისუფლებიდან! ესეც თქვენი „ლიბერალური დიქტატურა“!

**მაგრამ ახლა, ლიბერალიზმის კრახის ტრამპის ეპოქაში, ავტორის აზრით, დგება ახალი საყოველთაო ალტერნატიული ანტილიბერალური დოქტრინის შემუშავების აუცილებლობა:**

*„მე-20 საუკუნეში ნაციონალისტური მოძრაობები მსოფლიო ასპარეზზე განსაკუთრებულად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, მაგრამ მათ არ ჰქონდათ საყოველთაო იდეოლოგიური დოქტრინა. როდესაც ინდონეზიელი ნაციონალისტები ებრძოდნენ ჰოლანდიელ კოლონიზატორებს, ან ვიეტნამელები — ამერიკელებს, მსოფლიოში არ არსებობდა ვიეტნამური ან ინდონეზიური ნაციონალური დოქტრინის სა-*

# კორონავირუსი ახალი



მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა გამოცემამ, ბრიტანულმა **„ფაინენშლ ტაიმსმა“** კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით, აზრის გამოთქმა სთხოვა ცნობილ სამხედრო ისტორიკოსსა და მწერალს, იერუსალიმის უნივერსიტეტის პროფესორს **იუვალ ნოე ჰარარის.**

ჰარარის აზრით, ეს მსოფლიო კრიზისია და, თანაც, შეიძლება, ჩვენი თაობის ყველაზე დიდი კრიზისიც! მსოფლიოს ლიდერთა გადაწყვეტილებებმა მომდევნო რამდენიმე კვირის მანძილზე, შესაძლოა, განსაზღვროს ჩვენი პლანეტის მომავალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ეს გადაწყვეტილებები იმოქმედებს არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნების ჯანდაცვის სისტემების და ეკონომიკების მომავალზე, არამედ კულტურაზეც კი!

**ამ ეტაპზე საკითხავია არამხოლოდ ის, როდის დავამარცხებთ ამ ვირუსს, არამედ როგორი იქნება ჩვენი ცხოვრება პოსტვირუსულ მომავალში, რომელიც იმაზე ძალიან განსხვავებული იქნება, ვიდრე ოდესმე წარმოგვიდგენია!**

თუ ადრე რაღაც გამოწვევასთან გასამკლავებლად წლობით მუშაობდნენ, ახლა, საჭიროა უმოკლეს დროში მოქმედება და, შესაბამისად, ჯერ კიდევ უმი ტექნოლოგიების გამოყენებაც კი ვირუსის დასამარცხებლად! ეს კი ძალიან სარისკოა...

პროფესორი **ჰარარი** ამ მსოფლიო კრიზისისას წარმოჩენილ ორ მთავარ არჩევანზე ამახვილებს ყურადღებას: **პირველია არჩევანი ტოტალურ კონტროლსა და მოქალაქეთა ინფორმირებას შორის; მეორე არჩევანი კი არის ნაციონალურ იზოლაციასა და მსოფლიო სოლიდარობას შორის.**

*„ვირუსის დასამარცხებლად საჭიროა, რომ ხალხი დაემორჩილოს მთავრობის მითითებებს და მკაცრ თვალთვალს. თანამედროვე ტექნოლოგიები უკვე იძლევა ასეთი თვალთვალის საშუალებას. საუკეთესო მაგალითი **ჩინეთია,** რომელ-*

## კვირგვინოსნები

**მარიამ კუკუნაშვილი**
*სუროგაციის ცენტრის „ნიუ ლაიფის“ დამფუძნებელი*



მე ვაპროტესტებ თვითიზოლაციას და უდანაშაულობის პრეზუმფცია კი იმაში მდგომარეობს, რომ თავად უნდა დამიმტკიცოს სახელმწიფომ, რომ მე ვარ პოტენციურად ვირუსის გამავრცელებელი და თუ ამის დამტკიცების უნარი „გონივრული ეჭვის“ ფარგლებს ვერ გასცდება, წავიდნენ სასამართლოში და იქ მიტარონ ტესტები. **არა თვითიზოლაციას, არა პანიკას, არა ისტერიას და არა ხალხის სახლებში გამომწყვდევას!**

„ალია“

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას ვაჟი*



ვიღაც ურცხვ ვიგინდარებს ჩემს ტვიტერზე გაკეთებული განცხადებების სანდოობაში ეჭვი შეაქვთ. ცოტნეს დადებითი მდგომარეობა ნებისმიერს შემიძლია, საჯაროდ დავუდასტურო. **სანამ ჩემს უფროს ძმებს ახსენებთ და ჩემი ძმის მეუღლეს, გთხოვთ, პირები გამოირეცხეთ.**

„ალია“

**ნინო ჩხეიძე**
*მომღერალი*



**ასე როგორ გავაბრაზეთ დედამიწა, რომ მეგობართან მისვლაც აღარ შეგვიძლია.**

„სარკე“

**ნანა ცინცაძე**
*ექიმი-თერაპევტი, პოეტი*



**გაიღიმე, ვიღაცას შეიძლება, სულელი ეგონო, მაგრამ დრო რომ გავა, მიხვდები, ეს ღიმილი რამდენ რამეს ცვლის!**

„თბილისელები“

**ეკა ჩხეიძე**
*მსახიობი*



**ახლა მე რომ მეშინოდეს, სისულელე იქნება. ჩემი უფროსი გოგო მილანში ცხოვრობს და მუშაობს, იქ, სადაც კორონავირუსის ეპიცენტრია.** „თბილისელები“

# 21-ე საუკუნისთვის

## დიქტატურა და გლობალური ანტიგლობალიზმი




*ყოველთაო მოდელი. ასეთ ქვეყნებს ან კომუნისტური ბლოკის ქვეშევრდომობა უნდა ეკისრათ, ან დასავლურ ბლოკს, მიკედლებოდნენ. მაგრამ, რადგან დღეს კომუნიზმიც დისკრედიტებულია და ლიბერალიზმიც, იქნებ დგება დრო, რომ ამ ყბადაღებული გლობალიზმის ნაცვლად, ყველა ქვეყანამ თავისი განსაკუთრებული გზით იაროს?!*

*ტრამპის მიერ განცხადებული ამერიკული იზოლაციონიზმის პოლიტიკა და ბრიტანელების მიერ ევროკავშირის დატოვება სწორედ ამ გლობალური ანტიგლობალურობის ეპოქის დადგომას ნიშნავს! იგივე შეიძლება ითქვას ჩინეთზე, რომელიც საკუთარ ჰიბრიდულ კომუნისტურ-ლიბერალურ გზას მიჰყვება და რუსეთზე, სადაც პუტინი მეფის რუსეთისდროინდელი სიდიადის დაბრუნებას ჰპირდება ხალხს, მართლმადიდებელი ეკლესიის აქტიური თანადგომით“.*

**და ასე ხდება მთელ მსოფლიოში, ტრამპის ეფექტით თურქეთის, ინდოეთის თუ ევროპული პოლონეთის ხელისუფლებები ნაციონალურ თვითკუთვნილებას აღვივებენ თანამემამულეებში!**

ის კი არა, ახლო აღმოსავლეთში მუსლიმები ცდილობენ, მუჰამედის მიერ მექასა და მედინაში 1400 წლის წინათ შექმნილი სისტემის კოპირებას, ხოლო ისრაელში ორთოდოქსული ებრაელები მთლად 2500 წლის წინანდელი ეპოქის აღზევებაზე ოცნებობენ — ისრაელის მთავრობაში არიან საკმაოდ გავლენიანი ძალები, რომლებიც, უბრალოდ, ქვეყნის საზღვრების ქრისტემდელ მასშტაბებში გაფართოებაზე ღიად კი არ ლაპარაკობენ, არამედ — ბიბლიური კანონების აღორძინებაზე და იერუსალიმში ალ-აქსას მეჩეთის ადგილას იაჰვეს ტაძრის აღდგენაზეც!

**ლიბერალიზმმა გლობალიზაციით თითქოს შეარიგა ერთმანეთთან: პროლეტარიატი — ბურჟუაზიასთან, ევროპა — აზიასთან, მორწმუნეები — ათეისტებთან, როდესაც ყველას ტორტის საკმაოდ მსუყე ნაჭერს დაჰპირდა! მაგრამ გლობალიზაციის მუდმივად მზარდი ტორტის პირობებში ეს შეუძლებელი აღმოჩნდა! აი, ამიტომაც განიცადა კრახი დისკრედიტირებულმა ლიბერალიზმმა და მისმა გლობალიზმმა!**

ერთადერთი ლიბერალური კერძი, რომელზეც თითქმის ყველა ქვეყანა თანხმდება, ეს თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობაა — ეს ლიბერალიზმის მენიუში ნამდვილად შოკოლადის ტორტია! მაგრამ მას აქვს ერთი მთავარი ინგრედიენტიც, რომლისგანაც ბევრი სახელმწიფო, რბილად რომ ვთქვათ, ნამდვილად არ არის აღტაცებული — **ეს იმიგრაციაა!**

დემოკრატიისა და თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის თავგამოდებულ აპოლოგეტთა შორისაც უკვე ბევრია ისეთი, ვინც სიტყვა **„იმიგრაციის“** გაგონებაზეც კი ცუდად ხდება და, თავის მოკვლაზე უფრო დათანხმდება, ვიდრე მიგრანტთა ახალი ნაკადის მიღებაზე საკუთარ ქვეყანაში!

**მოკლედ, მომდევნო ათწლეულები კაცობრიობა სწორედ იმ მოდელის ძიებაში იქნება, რომელიც გააერთიანებს ანტიგლობალისტურ ნაციონალისტურ სახელმწიფო პოლიტიკასა და თავისუფალ ვაჭრობას! ერთგვარ მაგალითად გამოდგება ჩინეთი, რომელიც ქვეყნის შიგნით ერთპარტიულ ტოტალიტარიზმს მისდევს, ქვეყნის გარეთ კი ორივე ხელით უკრავს ტაშს თავისუფალ საერთაშორისო ვაჭრობას!**

ხელოვნური ინტელექტისა და ბიოტექნოლოგიების რევოლუცია მხოლოდ ახლა დაიწყო და ბირმინგემის, სტამბოლის, მუმბაის, ნიუ-იორკისა თუ მოსკოვის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ვერც კი წარმოუდგენია, რა მოჰყვება ამას და როგორ ზემოქმედებას მოახდენს ეს მათზე. თუმცა, ის კი ზუსტად ცნობილია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები მომდევნო ათწლეულების განმავლობაში წარმოუდგენელ გარღვევებს მიაღწევს!

*„ბიოტექნოლოგიების სწრაფ ზრდასთან ერთად კაცობრიობა მანამდე არნახული გამოცდის წინაშე დადგება და ადამიანებიც საყოველთაო იდეოლოგიის იმ მოდელს მიემხრობიან, რომელიც დააჯერებს, რომ მოუგვარებს ხელოვნური ინტელექტით გამოწვეულ პრობლემებს. თუ 2050 წლისთვის ლიბერალიზმი, ისლამი თუ სხვა ახალი პროექტი მოინდომებს სამყაროს შეცვლას, მან არამხოლოდ უნდა აღიაროს ხელოვნური ინტელექტის, ბიოტექნოლოგიური ალგორითმებისა და გენური ბიოინჟინერიის აუცილებლობა, არამედ შესაბამისად ჩააქსოვოს კიდეც ეს ყველაფერი თავის დოქტრინაში“,* — მიიჩნევს პროფესორი ჰარარი.

მარტივი მაგალითი, თუ რა ელის კაცობრიობას, მუმბაიდან ვიდრე ჯაკარტამდე და შპიცბერგენიდან — ანტარქტიდამდე: **თუ აქამდე, ბიოინჟინერიის გამოყენებით მთავრობებს აინტერესებდა, ინფორმაციის მისაღებად, რას ადებდით თითს თქვენს მობილურ ტელეფონზე,**

### სულ მალე ბიოტექნოლოგიების განვითარების პირობებში თქვენს მთავრობებს უკვე შეეძლებათ, დაინტერესდნენ იმით, თუ თქვენი თითის მობილური ტელეფონის ეკრანზე შეხებისას, როგორი იყო თქვენი ტემპერატურა, გულისცემის რიტმი და ემოციაც კი!

დიახ, აღშფოთება, კმაყოფილება, რისხვა თუ ინდიფერენტულობა, სასიყვარულო ჰორმონების მომძლავრებული ვნებაც კი, მეცნიერული პროგრესის გარდაუვალი წინსვლის პირობებში, სულ ადვილად გაიზომება **ტელეფონის ეკრანზე თქვენი თითის ერთი შეხებითაც კი!**

რამდენად იქნება მზად ამისთვის კაცობრიობა?! რას გადაიხდის ამის საფასურად?! აი, ეს სწორედ ის გაკვეთილია, რომელიც კაცობრიობამ ჯერ უნდა ისწავლოს და შემდეგ ჩააბაროს!

## მსოფლიო წესრიგის ტესტია!

*საც მილიონობით კამერის საშუალებით შეუძლია, თითოეულ მოქალაქეს უთვალთვალოს, ინფრაგამოსხივებიანი კონტროლით ამოწმოს მათი ტემპერატურა და თვალი მიადევნოს იმათაც, ვინც დავირუსებულ მოქალაქესთან კონტაქტში შევიდა. ის კი არა, სხვადასხვა მობილური სატელეფონო დანართებით, შეიძლება, მოახლოებული ვირუსის მატარებელი ავადმყოფის ამოცნობაც“,* — ამბობს იუვალ ნოე ჰარარი.

**და ეს მხოლოდ დასაწყისია! წარმოიდგინეთ მომავლის ჰიპოთეტური მთავრობა, რომელიც სავარაუდო პანდემიის პროფილაქტიკისთვის, მოქალაქეებს აიძულებს ბიომეტრიული სამაჯურების ტარებას, რითაც მას ექნება ამომწურავი ინფორმაცია თითოეულის გულისცემით დაწყებული და ემოციური მდგომარეობით დამთავრებული!**

ასეთი საყოველთაო კონტროლის სისტემა, ალბათ, ეფექტიანი იქნება ნებისმიერი პანდემიის სწრაფი ლოკალიზებისთვის, მაგრამ რის ფასად?! ამ ფასს პირადი თავისუფლების დაკარგვა ჰქვია და სწორედ ამისკენ მიექანება სამყარო!

მაგალითად, ჰარარის მოჰყავს ისრაელის გამოცდილება, როდესაც არაბულ სამყაროსთან 1948 წლის ომისას მთავრობამ გამოსცა ბრძანება, საჭიროების შემთხვევაში, არამხოლოდ მოქალაქეთათვის ქონებისა და მიწის ჩამორთმევის შესახებ, არამედ პუდინგის გამოცხობის განსაზღვრული წესის თაობაზეც!

რაც შეეხება მეორე არჩევანს — ნაციონალურ თვითიზოლაციასა და გლობალურ თამამშრომლობას შორის, **პროფესორი ჰარარი** ასეთ არგუმენტაციას იხმობს:

**პანდემიაც და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც გლობალური მასშტაბის პრობლემებია, ამიტომ მათი დაძლევა ცალ-ცალკე წარმოუდგენელია!**

კორონავირუსს ჩინეთში და კორონავირუსს ამერიკაში არ შეუძლიათ შეთანხმება, როგორ დააინფიცირონ ადამიანები ამერიკასა და ჩინეთში. სამაგიეროდ, ჩინეთსა და ამერიკას შეუძლიათ, გაცვალონ გამოცდილება და ცოდნა ვირუსის ერთად დასამარცხებლად! **მდიდარი ქვეყნები მზად უნდა იყვნენ, მიახმარონ თავიანთი ძვირფასი სამედიცინო მოწყობილობა იმ ქვეყნებს, რომლებსაც მსგავსი ფუფუნება არ გააჩნიათ!**

და კიდევ: უნდა მოხდეს საერთაშორისო შეთანხმება, როგორ გაგრძელდება ეკონომიკური თანამშრომლობა და ადამიანთა გადაადგილება პოსტპანდემიურ პერიოდში. ასეთი შეთანხმების კონტურები კი, ჯერჯერობით, არც ჩანს.

**თუ კაცობრიობა დიდ სოლიდარობას არ გამოიჩენს, ვირუსთან ბრძოლა უფრო ხანგრძლივი იქნება!** — ასკვნის პროფესორი **ჰარარი.**

მოამზადა
**გიორგი გიგაურმა**

**გაგრძელება იქნება**

მალხაზ კოხრეიძე და „ბესტი ჯგუფი“ გთავაზობთ


არნახულად გამძლე და უცვეთი იატაკი ყველა ტიპის მშენებლობაში!


+995 32 242 44 11
595 18 09 09
ბევრი არ იფიქრო! დროზე გადაწყვიტე!

**„როცა პანიკა, სტრესი და შიში დროში გრძელდება და იწელება, ორგანიზმის იმუნური სისტემა ითრგუნება და ვირუსულ ინფექციებს გზა ეხსნებათ, ადვილად დაიმორჩილონ და დაიპყრონ ადამიანის სხეული!“**



**„კორონავირუსით მამაკაცები უფრო ადვილად და ხშირად ავადდებიან, ვიდრე ქალები!“**

# კახა საბახტარიშვილი:

# კორონავირუსს განსაკუთრებით ის ადამიანები უნდა უფრთხილდნენ, რომლებსაც ე.წ. გლანდები და აპენდიქსი, ანუ ჭია ნაწლავი ამოჭრილი აქვთ!

***ქართველი მეცნიერი და ცნობილი ჰომეოპათიური პრეპარატების „გულის ელექსირისა“ და „იმუნო-ჰერბის“ ავტორი, ექიმი კახა საბახტარიშვილი აცხადებს, რომ დღევანდელ საზოგადოებაში არსებული მძიმე სტრესული, ისტერიული და პანიკური ფონი ორგანიზმის იმუნიტეტს ანგრევს და ვირუსული ინფექციების გასავრცელებლად იდეალურ პირობებს ქმნის! საბახტარიშვილი მზად არის, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ოფიციალურად რეგისტრირებული „იმუნო-ჰერბი“, შესაბამისი კომუნიკაციის შემთხვევაში, კარანტინში მყოფ ადამიანებს უსასყიდლოდ გადასცეს, რათა ვირუსის განვითარება დაიბლოკოს:***

— კორონავირუსის პანდემიის გამო, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა, კაცობრიობა საშინელ სტრესსა და პანიკაში იმყოფება. ეს კიდევ უფრო უწყობს ხელს ამ საშიში სენის გავრცელებას, რადგან მეცნიერულად დამტკიცებული ფაქტია, რომ პანიკა და შიში ადამიანის იმუნურ სისტემას ანგრევს!

**— ბატონო კახა, რა მეცნიერული ახსნა აქვს იმას, რომ პანიკა და შიში ადამიანის იმუნიტეტს მართლაც აქვეითებს და თრგუნავს?**

— ათასგზის გამოცდილი და დადასტურებულია, რომ **ომის დასრულების შემდეგ გამარჯვებული სახელმწიფოს ჯარისკაცი ბაცილებით უფრო ადრე და ეფექტურად გამოჯანმრთელდება, ვიდრე დამარცხებული ქვეყნის მებრძოლი, რომელმაც ბრძოლაში აბსოლუტურად იდენტური დაზიანებები და ჭრილობები მიიღო.** შიშის, პანიკისა და ძლიერი სტრესის დროს ადამიანის ორგანიზმში აქტიურდება თირკმელზედა ჯირკვლის ქერქი, რომელიც ამ დროს გამოყოფს ორ ჰორმონს — **ადრენალინსა და კორტიზოლს,** რომელსაც სხვანაირად „შიშის ჰორმონსაც“ უწოდებენ. მაგალითად, როცა ადამიანი თვითმფრინავიდან ან ვერტმფრენიდან პარაშუტით პირველად ხტება, მისი თირკმელზედა ჯირკვლის ქერქი ერთდროულად ადრენალინსაც გამოყოფს და კორტიზოლსაც, რათა ადამიანი ადვილად გაუმკლავდეს სტრესს. მაგრამ, როცა ადამიანი პარაშუტით გადმოხტომას მიეჩვევა, მორიგი საჰაერო ტრიუკის დროს ორგანიზმში მხოლოდ ადრენალინი გამოიყოფა. ეს იმის ნიშანია, რომ ადამიანმა უკვე შიში დასძლია და სწორედ ამიტომ **კორტიზოლი** ამ კონკრეტულ შემთხვევაში აღარ გამომუშავდება. **ადრენალინის** გამოყოფას, როგორც წესი, თან ახლავს წნევის მომატება, გულის შეკუმშვადობის რიცხვის ზრდა და ნერვული სისტემის სტიმულაცია. ეს პროცესი, როგორც წესი, გრძელდება ხუთი წუთის განმავლობაში...

**— რა ხდება და რა ემართება ადამიანის იმუნიტეტს მაშინ, როცა სტრესი და პანიკა დროში იწელება?**

— **კორტიზოლი,** რომელიც შიშის დროს გამოიყოფა, ორგანიზმისთვის აუცილებელია, რადგან ის სისხლში შაქრის დონეს არეგულირებს და ამავდროულად იმუნური სისტემის მდგრადობას უზრუნველყოფს, მაგრამ, როცა ჰორმონი **კორტიზოლი** ორგანიზმში ჭარბად გამოიყოფა, ანუ, როცა პანიკა, სტრესი და შიში დროში გრძელდება და იწელება, ორგანიზმის იმუნური სისტემა ითრგუნება და ვირუსულ ინფექციებს გზა ეხსნებათ, ადვილად დაიმორჩილონ და დაიპყრონ ადამიანის სხეული!

**— მაინც რას იწვევს ორგანიზმში ჰორმონ კორტიზოლის სიჭარბე?**

— კორტიზოლის სიჭარბე იწვევს ძილიანობას, ტკბილი და მაღალკალორიული პროდუქტებისკენ ლტოლვას, მეხსიერებისა და ყურადღების დაქვეითებას, ნაადრევ დაბერებას, ესტროგენების გამომუშავების დათრგუნვას და დეპრესიას. კორტიზოლის ჭარბად გამომუშავება ასევე თრგუნავს ბედნიერების ჰორმონების — **სეროტონინისა და დოფამინის** გამოყოფას, რომლებიც ორგანიზმის იმუნური სისტემის მდგრადობას უზრუნველყოფენ. რაკი ეს ჰორმონები ითრგუნებიან, შესაბამისად, იმუნური სისტემაც ითრგუნება, ქვეითდება და ინგრევა, რაც ვირუსული ინფექციების გავრცელებისთვის შესანიშნავ გარემოს ქმნის. **პანიკა, შიში და სტრესი, ანუ ზედმეტი კორტიზოლის გამოყოფა ხელს უწყობს წნევის მატებას, ჰიპოგლიკემიას, მუცლის არეში ცხიმების დაგროვებას, ძვლების დასუსტებასა და ინფარქტისა და ინსულტის განვითარებას!**

**— საინტერესოა, სტრესს, პანიკასა და შიშს ვინ უფრო ადვილად ეგუება?**

— ამაზე ცდა თაგვებზე ჩაატარეს... მდედრი და მამრი თაგვები, რომლებსაც მუდმივი სტრესის ქვეშ აცხოვრებდნენ, ცალ-ცალკე დააჯგუფეს. აღმოჩნდა, რომ მდედრი თაგვების ორგანიზმი გამუდმებულ სტრესსა და შიშს უფრო მობილიზებული შეხვდა, ვიდრე — მამრი თაგვების. კვლევამ ანალოგიური შედეგები აჩვენა ადამიანებშიც. აქედან დასკვნა — **სტრესსა და პანიკას ქალები უფრო ადვილად ეგუებიან, ვიდრე მამაკაცები!**

**— რატომ?**

— ამისი ერთადერთი ახსნა ის არის, რომ ქალი, ზოგადად, მდედრი, სიცოცხლის საწყისია, რომელსაც შთამომავლობის კვლავწარმოების, ანუ რეპროდუქციის უმნიშვნელოვანესი მისია აკისრია. აქედან გამომდინარე, ქალის ორგანიზმი ამ ფუნქციის შესანარჩუნებლად და გასახანგრძლივებლად გასაოცარ გამძლეობას ამჟღავნებს. სწორედ ამიტომაა, რომ კორონავირუსით მამაკაცები უფრო ადვილად და ხშირად ავადდებიან, ვიდრე ქალები!

მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ქრონიკული პანიკისა და სტრესის დროს იმუნიტეტი განსაკუთრებით უქვეითდებათ პესიმისტებს, ხოლო ოპტიმისტები პირიქით, სხვადასხვა ინფექციებისა და ავადმყოფობების მიმართ გასაოცარ მედეგობას ამჟღავნებენ. ისიც დადგენილი ფაქტია, რომ **დროში გაწელილი პანიკისა და ქრონიკული სტრესის დროს სისხლში გადადის უმწიფარი იმუნური უჯრედები, რომლებიც თავიანთ ფუნქციას სრულყოფილად ვერ ასრულებენ.** ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კორონავირუსის მიმართ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ ექიმები. **უძილობა, სტრესი და მუშაობის არანორმალური გრაფიკი, რაც დღეს საქართველოში ექიმების ყოველდღიურ საქმიანობას თან სდევს, აუცილებლად იმოქმედებს და აისახება მათ იმუნიტეტზე, რაც კორონავირუსის გასავრცელებლად იდეალურ გარემოს შექმნის.** ამიტომ ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ხაზგასმით ვაცხადებ — **ვინც დღეს საზოგადოებაში პანიკის დათესვას ცდილობს, ის არამარტო პოლიტიკური ნაძირალაა, არამედ ისედაც დასტრესილი ხალხის იმუნიტეტს კიდევ უფრო დაბლა წევს და ამით კორონავირუსის გავრცელებას ხელს უწყობს!**

კორონავირუსს განსაკუთრებით ის ადამიანები უნდა უფრთხილდნენ, რომლებსაც ნუშურა ჯირკვლები, ანუ ე.წ. გლანდები და აპენდიქსი, ანუ ჭია ნაწლავი ამოჭრილი აქვთ! მოგეხსენებათ, ადამიანის იმუნური სისტემის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს **ძვლის წითელი ტვინი, ელენთა და თიმუსი,** ხოლო პერიფერიულს — **ლიმფური კვანძები და ლიმფოიდური ქსოვილები** სხვადასხვა ორგანოებში, მაგალითად, გლანდებსა და აპენდიქსში.

**— რამდენად მართალია ის, რომ „ცე“ ვიტამინი ვირუსულ ინფექციებს, ამ შემთხვევაში კორონავირუსს, აქტიურად ებრძვის?**

— ზოგადად, ეს მართალია, რადგან „ცე“ ვიტამინი ანტიოქსიდანტია, მაგრამ იმისათვის, რომ მან კორონავირუსის მავნე ზემოქმედება აღკვეთოს და უჯრედის მემბრანის გარშემო ე.წ. დამცავი ქოლგა შექმნას, ადამიანმა ერთ ჯერზე სულ მცირე 8 გრამი, ანუ დაახლოებით 15-16 აბი „ცე“ ვიტამინი მაინც უნდა მიიღოს. ეს კი დიდი ოდენობით ასკორბინის მჟავაა, რომელიც კუჭის ლორწოვან გარსს აუცილებლად დააზიანებს. ამდენად, „ცე“ ვიტამინით კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლა არაეფექტურია, რასაც ვერ ვიტყვით **აკონიტზე,** რომელიც საუკეთესოა როგორც სტრესისა და პანიკის მოსახსნელად, ისე ვირუსის გავრცელების დასაბლოკად.

ჰომეოპათიური წესით აკონიტი ჰომეოპათიის ფუძემდებელმა **სამუელ ჰანემანმა** ჯერ კიდევ 1805 წელს მიიღო. 1918-1921 წელს ესპანური გრიპის, ანუ „ისპანკას“ პანდემიის დროს, სწორედ აკონიტით შეაჩერეს ვირუსის გავრცელება შვეიცარიაში. ჰომეოპათიური აკონიტი ჩვენ მიერ დამზადებული იმუნომოდულატორული და ანტივირუსული პრეპარატის **„იმუნო-ჰერბის“** ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. მზად ვართ, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ოფიციალურად რეგისტრირებული „იმუნო-ჰერბი“, შესაბამისი კომუნიკაციის შემთხვევაში, კარანტინში მყოფ ადამიანებს უსასყიდლოდ გადავცეთ, რათა ვირუსის განვითარება დავბლოკოთ!

**— ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გასულ ოთხშაბათს გამართულ ბრიფინგზე კორონავირუსის საწინააღმდეგო ძალიან დამაიმედებელ პრეპარატად ქლოროქინი დაასახელა. თქვენ ერთ-ერთი პირველი იყავით, რომელმაც ამ განცხადებამდე ჩვენთან ინტერვიუში სწორედ ქინაქინას სინთეზური ანალოგი ქლოროქინი მიიჩნიეთ კორონავირუსის საწინააღმდეგო ყველაზე ეფექტურ საშუალებად. რას გვეტყოდით ამის შესახებ ?**

— ჩემი მოსაზრებაა, **აშშ-ის პრეზიდენტს დონალდ ტრამპს,** რომლის მიმართაც დიდი პატივისცემითა და სიმპათიით ვარ განწყობილი, მთელი მსოფლიოს გასაგონად არ უნდა დაესახელებინა პრეპარატის სახელწოდება. მთელ მსოფლიოში, და მათ შორის საქართველოშიც, ბევრმა ჩათვალა, რომ **ქლოროქინის,** ანუ იგივე **პლაქვენილის, დელაგილის** და ა.შ. გამოყენება შესაძლებელია კორონავირუსის საპროფილაქტიკოდ და ექიმის დანიშნულების გარეშეც, რაც უდიდესი შეცდომაა და საფრთხის შემცველიც, რაზედაც საგანგებოდ გააფრთხილა საქართველოს მოსახლეობა ქართული მედიცინის და არა მარტო ქართული მედიცინის, **მსოფლიო მასშტაბის აღიარებულმა მეცნიერებმა: თენგიზ ცერცვაძემ და პაატა იმნაძემ.** ქლოროქინის, პლაქვენილის, დელაგილის გამოყენება კორონავირუსის წინააღმდეგ უნდა მოხდეს **ექიმ-ინფექციონისტების მიერ მკაცრად განსაზღვრული დოზირებებით და პროტოკოლით.** მსოფლიოში უკვე აღინიშნება ქლოროქინის არასწორი გამოყენების შედეგად **ლეტალური** შემთხვევები, რადგანაც **ქლოროქინის ზედმეტმა დოზამ შეიძლება, სუნთქვის უკმარისობა და სიკვდილიც კი გამოიწვიოს!** შემდგომ ინტერვიუში ვრცლად ვისაუბრებ ამ თემაზე.

რაც შეეხება **ანტივირუსულ და იმუნომოდულატორულ ბუნებრივ პრეპარატ „იმუნო-ჰერბს“,** რომელიც ყველა საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ჯანდაცვის სამინისტროს ბრძანება №02-159/ო 1 აგვისტო, 2017 წ. მიერ **არის დამტკიცებული როგორც სამკურნალო, ასევე პროფილაქტიკის მიზნით, ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის, ხანდაზმულს შეუძლია მიიღოს 5-7 წვეთი დღეში 4-ჯერ, რათა გაიძლიეროთ ორგანიზმის ბუნებრივი იმუნიტეტი, რომელიც კორონავირუსისაგან თავდაცვის ყველაზე ეფექტური გზაა.**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***



**„როცა ადამიანი თვითმფრინავიდან ან ვერტმფრენიდან პარაშუტით პირველად ხტება, მისი თირკმელზედა ჯირკვლის ქერქი ერთდროულად ადრენალინსაც გამოყოფს და კორტიზოლსაც, რათა ადამიანი ადვილად გაუმკლავდეს სტრესს. მაგრამ, როცა ადამიანი პარაშუტით გადმოხტომას მიეჩვევა, მორიგი საჰაერო ტრიუკის დროს ორგანიზმში მხოლოდ ადრენალინი გამოიყოფა!“**





რამდენიმე წლის წინათ მსოფლიო საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს **სენსაციური ინფორმაცია: ქართველმა აკადემიკოსმა კახა საბახტარიშვილმა** „ღორის გრიპის“ საწინააღმდეგო პრეპარატი შექმნა!“ შეიძლება თუ არა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ლიცენზირებული **ანტივირუსული** და **იმუნიტეტის გამაძლიერებელი** ბუნებრივი პრეპარატი **„იმუნო-ჰერბი“** ეფექტური აღმოჩნდეს ახალი **ჩინური კორონავირუსისაგან თავდასაცავად? „იმუნო-ჰერბს“** გააჩნია ფართო სპექტრის **ანტივირუსული** მოქმედება. ის არ ასხვავებს, რა სახის გრიპის და ფილტვის პნევმონიის გამომწვევ რომელ ვირუსებთან გვაქვს საქმე. **„იმუნო-ჰერბი“** მაღლა წევს ორგანიზმის **იმუნიტეტს** და აძლიერებს ორგანიზმის უნარს, შეებრძოლოს ნებისმიერი სახის ვირუსს. **ჩინური კორონავირუსი** კი ძალზე სახიფათოა მათთვის, ვისაც იმუნური სისტემა დაქვეითებული აქვთ. **„იმუნო-ჰერბი“** რეგისტრირებულია როგორც III ჯგუფის სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატი, ანუ ყოველგვარი გვერდითი მოვლენების გარეშე! შეიძლება, გამოიყენონ ორსულებმა და მეძუძურმა დედებმაც.

**„იმუნო-ჰერბი“ და „გულის ელექსირი“ უკვე ყველა სააფთიაქო ქსელშია. მისამართი: ბახტრიონის ქ. №10ბ, „ლაზიკა-ფარმა“.**
**დირექტორი: კახა საბახტარიშვილი**
**593-31-70-34**

***იანვარში ლიბერასტების ბრბომ სარკასტულად იქილიკა საქართველოს პატრიარქზე, რომელმაც ქადაგებისას თქვა, რომ შესაძლოა, მეორედ მოსვლამდე რამდენიმე დღეღა დარჩა. და მაინც, დაიწყო თუ არა მეორედ მოსვლის, ანუ აპოკალიფსის პროცესი დედამიწაზე? ელოდება თუ არა გამეფებას ანტიქრისტე, რომელმაც, წინასწარმეტყველების მიხედვით, ყველა ზნეობრივ და მართლმორწმუნე ადამიანს დაუნდობელი ომი უნდა გამოუცხადოს? ვესაუბრებით ვაშლიჯვრის მაცხოვრის ნათლისღების სახელობის ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ დავით ქვლივიძეს:***



## მამა დავითი (ქვლივიძე):

# მეორედ მოსვლის წინ დედამიწაზე გაჩნდება კაცობრიობისთვის სრულიად უცნობი დაავადებები!

— ბოლო ჟამის შესახებ ჯერ კიდევ იოანე ნათლისმცემელი ქადაგებდა და იმდროინდელ საზოგადოებას სინანულისკენ მოუწოდებდა. თუ ცოდვებში ჩავეფლობით, ანტიქრისტიანული წესებით ვიცხოვრებთ და გარყვნილებას მივეძალებით, ბოლო ჟამის დადგომა მართლაც დაჩქარდება. ხოლო, თუ ჩადენილი ცოდვების გამო სინანულს მივეცემით, ღმერთი გადადებს ბოლო ჟამის მოვლენებს, როგორც ეს მოხდა ქალაქ ნინევიის სასჯელთან დაკავშირებით. *წმინდა წერილში მოთხრობილია, რომ ღმერთმა გადაწყვიტა, ცოდვებში ჩაძირვის გამო დაესაჯა ნინეველები, ზუსტად იმგვარად, როგორც გარყვნილების გამო დასაჯა სოდომისა და გომორის მოსახლეობა. მაგრამ ნინეველებმა ისმინეს იონა წინასწარმეტყველის შეგონება, რომელიც ქადაგებდა, რომ განაჩენი უფლის მიერ უკვე გამოტანილი იყო ზეცაში. გაიაზრეს განსაცდელი, შეინანეს თავიანთი ცოდვები, მეფემ და მთელმა ქალაქმა იწყეს მარხვა და ლოცვა, საქონელიც კი ამარხულეს... გლოვით ევედრებოდნენ უფალს პატიებას და გამოსწორდნენ... ამის გამო მათ ეპატიათ, რის შედეგადაც, ნინევიამ ამის მერე კიდევ 20 საუკუნე იარსება და ჩვენი წელთაღრიცხვის შუა საუკუნეებამდე მოაღწია!*

**— ანუ „ბოლო ჟამის" ცნება არ არის კონკრეტული? დრო ფარდობითია?**

— ბოლო ჟამი გახლავთ კაცობრიობის სულიერად დაავადების, ანუ ჰიპოსტასიის პერიოდი. მოგეხსენებათ, ყველა ავადმყოფობას თავისი სტადიები აქვს. ადამიანის ორგანიზმი კი ინდივიდუალურია და შესაძლოა, რომელიმე სტადია გაგრძელდეს, ან, პირიქით — სწრაფად ჩაიაროს. კაცობრიობაც უფლის წინაშე ერთიან ორგანიზმად აღიქმება. თუ სწორად მოიქცევა, უფლის დადგენილ წესებსა და ნორმებს დაემორჩილება, მისი სენი დამუხრუჭდება და დროში გადაიწევს, ხოლო უფლისა და ზნეობრივი ნორმების მიმართ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სავალალო შედეგი განსაზღვრულ დროზე ადრე დადგება!

**— როდესაც პატრიარქმა განაცხადა — შესაძლოა, მეორედ მოსვლამდე რამდენიმე დღე რჩებაო — ეს მოვლენები იგულისხმა, რაც ჩვენს პლანეტაზე მოულოდნელად განვითარდა?**

— პატრიარქმა იანვარში მხოლოდ ის გაიმეორა, რასაც ქრისტე და მისი მოციქულები იძახდნენ, თუმცა, მისი წინასწარმეტყველება ძალიან მალე ახდა. ჩვენი პატრიარქი გახლავთ ერთ-ერთი გამორჩეული სხვა პატრიარქებს შორის და შესაძლოა, უფალმა მართლაც წინასწარ ათქმევინა ყოველივე. იმ პერიოდში კორონავირუსს ჯერ არავინ აღიქვამდა გლობალურ საფრთხედ.

**პატრიარქის ქადაგება ურწმუნოებმა გააქილიკეს, მაგრამ ორიოდე თვეში ისინი პანიკამ მოიცვა, ვინაიდან გლობალურმა განსაცდელმა დედამიწა შეძრა, საფრთხე განურჩევლად ყველას შეეხო.**

შესაძლოა, ამ ურწმუნოთა დიდი ნაწილი ჯერაც ვერ აცნობიერებს, რომ განსაცდელი მათი ცოდვების შედეგია, მაგრამ იმას კი ხვდებიან, რომ სასაცილოდ აღარ აქვთ საქმე. აფორიაქებულები ცდილობენ გადარჩენას, იმარაგებენ პროდუქტებს და განუსაზღვრელი რაოდენობით იძენენ პირველადი მოხმარების საგნებს, თუმცა, ვერ ხვდებიან, რომ ღვთის სასჯელის არიდება შეუძლებელია.

**— გარყვნილ და ურწმუნო ცხოვრებას კვლავ აგრძელებენ და მიამიტურად სჯერათ, რომ ყველაფერი მარტივად გადაივლის...**

— სინამდვილეში, ყველაფერი კიდევ უფრო გართულდება. **მოციქულ იოანეს წინასწარმეტყველებაში დაწერილია, რომ მეორედ მოსვლის წინ დედამიწაზე გაჩნდება მანამდე კაცობრიობისთვის სრულიად უცნობი ისეთი დაავადებები,** რომ სნეულები სიკვდილს ინატრებენ, მაგრამ სიკვდილი გაექცევა მათ. რაც შეეხება კალიებისა და ფაროსნების შემოსევას — თვით წმინდა წერილი მოგვითხრობს, რომ მსგავსი მოვლენა არაერთხელ მომხდარა და უზნეობაში ჩავარდნილი საზოგადოება ღმერთს შიმშილის განსაცდელით შემოუბრუნებია თავისკენ. ქრისტე ამბობს, რომ ბოლო ჟამს აღდგება ერი ერის წინააღმდეგ, იქნება ომები და უამრავი გაჭირვება, თუმცა, ეს ყველაფერი მშობიარობის ტკივილების დასაწყისია. თვითონ მშობიარობა კი შეუდარებლად გაუსაძლისი იქნება. თუ სიცოცხლის სიყვარულმა ადამიანები საცხოვრებელ ბინებში გამოკეტა, რათა სენი არ გადაედოთ, ეს დალოცვილები რატომ ვერ ხვდებიან, რომ განსაცდელი არ დაუდგებათ, თუ ზნეობრივად და უფლის ცნებების დაცვით იცხოვრებენ?! დიახ, თუ ცოდვებს მოინანიებენ, აღსარებებს ჩაბარებენ და ეზიარებიან, განსაცდელი მართლაც შორეულ მოგონებაში გადაიწევს!

**— ვირუსი ჩინეთის იმ პროვინციიდან გავრცელდა, სადაც ადამიანები ყველა სულიერს — გველებს, ძაღლებს, კატებს, ვირთხებს, ღამურებსაც კი ჭამენ... იქნებ, განსაცდელი არასწორმა კვებამ გამოიწვია? უფალი არ კრძალავს ასეთ საკვებს?**

— ძველ აღთქმაში ებრაელებს, მაგალითად, ღორის ხორცის მირთმევა ეკრძალებოდათ. ქრისტეს მოვლინების შემდეგ, არცერთი საკვები ცოდვად აღარ ითვლება, მაგრამ არსებობს ეთიკური ნორმები, რომელიც ადამიანს განურჩევლად ყველაფრის, მაგალითად, ვირთხის ჭამისგან თავის შეკავებას აიძულებს. საკვების ბრალია თუ სხვა მიზეზის, ერთი რამ ფაქტია — **ღმერთმა დაუშვა, რომ კორონავირუსი გავრცელებულიყო. ისიც ფაქტია, რომ კაცობრიობის დიდი ნაწილი ღმერთს აუჯანყდა. ნახეთ, რა დღეშია ღმერთთან მებრძოლი დედამიწა!**

ღმერთი ამბობს, რომ გარყვნილება და მამათმავლობა წარღვნის, სოდომისა და გომორის გადაწვის მიზეზია და, დიდი ალბათობით, მეორედ მოსვლის მოახლოების მიზეზიც ეს იქნება, მაგრამ კაცობრიობა ამ გარყვნილებას არ ებრძვის, პირიქით, მფარველობს ცისარტყელასდროშებიან მამათმავლებს! მოგეხსენებათ, გარყვნილების გამო ღმერთმა დედამიწის მკვიდრნი წარღვნით დასაჯა, შემდეგ სინანულში მყოფი გადარჩენილები შეიწყალა და წარღვნის დასრულების ნიშნად, ცისარტყელა გამოაჩინა, ანუ ცისარტყელა არის მონანულ კაცობრიობასთან ღმერთის შერიგების სიმბოლო, თუმცა, თანამედროვე მამათმავლებმა ეს სიმბოლო საკუთარ დროშად აქციეს, გარყვნილების მორევში ჩაფლულები აფრიალებენ და შეურაცხყოფენ ღმერთს და ყველა მორწმუნეს, იმის მაგივრად, შეინანონ, რათა მეორედ მოსვლა გადავადდეს.

**— გადავადებას იქნებ ჯობს, მოვიდეს მაცხოვარი და, ბოლოს და ბოლოს, თავისი წესრიგი დაამყაროს?**

— **აპოკალიფსში დასასრული ასეა აღწერილი** — მზე და მთვარე ჩაქრება, ვარსკვლავები ჩამოცვივდებიან, მთელი დედამიწა გადაიბუგება და იქნება ახალი ცა და ახალი მიწა! გადარჩებიან მხოლოდ ისინი, ვინც ღვთის ერთგულება დაამტკიცა და ანგელოზების გვერდით დაიკავებენ ადგილს ზეციდან გადმოყრილი განდგომილი ანგელოზების სანაცვლოდ. ყველაფერს ქრისტეს მეორედ მოსვლა დააგვირგვინებს, მაგრამ მანამდე დედამიწაზე იქნება ანტიქრისტეს მმართველობის საზარელი 7 წელი. პირველ ნახევარში ის ძალაუფლებას მოიძლიერებს, ხოლო ბოლო სამწელიწადნახევარში დედამიწას ერთ დიდ სახელმწიფოდ გააერთიანებს, თავს მესიად გამოაცხადებს და გახდება მთელი მსოფლიოს პოლიტიკური და სულიერი ლიდერი. მიზნად ექნება, რომ, რაც ზეცაში აჯანყებულმა ანგელოზმა ვერ შეძლო, ის გააკეთოს მიწაზე და კაცობრიობამ ღმერთად აღიაროს. ამას მართლაც მიაღწევს — კაცობრიობის უდიდესი ნაწილი მას დაემონება და თაყვანს სცემს, როგორც მესიასა და მხსნელს, მაგრამ სწორედ ასეთი ქმედებით სინამდვილეში ჭეშმარიტ ღმერთს განუდგება!

**— თუ ყველაფერი გადაიბუგება, რჩეული ადამიანები როგორღა გადარჩებიან?**

— პავლე მოციქული პირდაპირ წერს, რომ მკვდრები გაცოცხლდებიან. ადამიანი გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს, უფლის გადაწყვეტილებით, ქრისტეს მეორედ მოსვლამდე მიდის ან ჯოჯოხეთში, ან სასუფეველში. მეორედ მოსვლის დროს ყველა მიცვალებული მეყსეულად ხორციელად აღდგება, ოღონდ ჯოჯოხეთში მყოფები ეშმაკს დაემსგავსებიან, სამოთხის ბინადრები — ქრისტეს. თანაც, არა ისეთი, ხრწნადი ხორცით აღდგებიან, როგორიც ჩვენ გაგვაჩნია... არამედ, ისეთით, როგორითაც ქრისტე აღდგა. ქრისტეს კი აღდგომის შემდეგ დახურულ კარში შესვლა შეეძლო. ადამიანი ხომ იმისთვის შეიქმნა, რომ ზეციდან გამოძევებული ღვთის ურჩი ანგელოზების ადგილი შეევსო. მეორედ მოსვლის შემდეგ ისინი, ვინც ეშმაკის საქმეს აკეთებდნენ — წავლენ სამუდამო სატანჯველში; ხოლო, ვინც ღვთის დადგენილი ზნეობით ცხოვრობდა — საუკუნო ნეტარებაში დამკვიდრდებიან. ასე დასრულდება დედამიწის არსებობა. როცა ადამიანი ავადაა, მას ექიმი წამლის დოზას უნიშნავს. თუ არ შველის, შემდეგ დოზას უმატებს. უფალი ადამიანების მკურნალია, ხოლო წამალი განსაცდელია. **უნდა გვახსოვდეს, რომ, თუ განსაცდელის გარკვეული დოზით ადამიანები გონს არ მოვეგებით, სინანული არ დაგვეუფლება და ღვთისამითან ცხოვრებას არ დავიწყებთ, „დოზა", ანუ განსაცდელთა რაოდენობა და სიმძაფრე, თანდათან იზრდება!**

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

## საეკლესიო კალენდარი

✝ **30 მარტი. ორშაბათი.** ღირსმოწამისა გაბრიელ მცირისა, ლეკთაგან წამებულისა; ღირსისა ალექსი ღმრთისკაცისა; მოწამისა მამისა მარინოსი; ღირსისა თეოქტირისტე აღმსარებელისა.

✝ **31 მარტი. სამშაბათი. კირილე იერუსალიმელი მთავარეპისკოპოსისა;** მოწამეთა: ტროფიმესი და ევკარპისი და მათთანათა; ღირსისა ანინე მონაზონისა.

✝ **1 აპრილი. ოთხშაბათი.** მოწამეთა ქრისანთესი და დარიასი და მათთანა მოწამეთა: კლავდი ტრიბუნისა, მეუღლისა მისისა ილარიისი, და ძეთა მათთა იასონისა და მავრისა, დიოდორე ხუცისა და მარიანე დიაკონისა; მოწამისა პანქრატისა.

✝ **2 აპრილი. ხუთშაბათი.** ღირსთა: იოანესი, სერგისა, პატრიკისა და სხვათა, წმიდა საბას ლავრაში მოწყვეტილთა; მოწამეთა: ალექსანდრასი, კლავდიასი, ევფრასიასი, მატრონასი, იულიანასი, ეფემიასი და თეოდოსიასი; ნიკიტა აღმსარებელისა, აპოლონიადელი მთავარეპისკოპოსისა; იოანე ურჰაელ კათალიკოსისა.



**4 აპრილი — ღვთისმშობლის დაუჯდომლის შაბათი**



**5 აპრილი — ხსენება ღირსისა მარიამ მეგვიპტელისა**

✝ **3 აპრილი. პარასკევი. ღირსისა იაკობ აღმსარებლისა, ეპისკოპოსისა;** კირილესი, კატანიელ ეპისკოპოსისა; თომასი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.

✝ **4. აპრილი. შაბათი. ღვთისმშობლის დაუჯდომლის შაბათი.** მღვდელმოწამისა ბასილისა, ანკვირელი ხუცისა; მოწამისა დროსიდისი, ტრაიანე მეფის ასულისა; ღირსისა ისააკ დალმატელისა.

✝ **5 აპრილი. კვირა. დიდმარხვის მე-5 კვირა. ღირსისა მარიამ მეგვიპტელისა;** ღირსმოწამისა ნიკონ ეპისკოპოსისა და ასთოხმეოცდაცხრამეტთა მოწამეთა მისთა; მოწამეთა: ფილიტოსა და ლიდიასი — მეუღლისა მისისა, მაკედონისა და თეოპრეპისი — ძეთა მათთა, კრონიდისი და ამფილოქისი; მართლისა ბასილი მანგაზეისკელისა.

ლიბერასტული ქინთეები

# მართლაც სირცხვილია!

***ლგბტ დებმა დავით და ლევან ბერძენიშვილებმა უნდა თქვან, ვაჟკაცს მოვესწარითო! ზუკაკო დავიდოვნამ კორონავირუსის გამო ტრანსგენდერთა დასახმარებლად ფონდი შექმნა და ანგარიშებიც გამოაქვეყნა!***




**დავით და ლევან ბერძენიშვილების მემკვიდრე ზუკა ბერძენიშვილმა გაგანია კორონავირუსის ჟამს ტრანსგენდერების დახმარების ფონდი შექმნა!**

ეს ინფორმაცია რომ გავრცელდა, უკბილო ხუმრობა მეგონა, თუმცა, არა! საგანგებოდ გადავამოწმე და სიმართლე აღმოჩნდა!

**აი, 20 მარტს ზუკა ბერძენიშვილის ფეისბუქ-გვერდზე გამოქვეყნებული პოსტიც:**

*„სალამი გამარჯობა მეგობრებო, რატომ და „რამე ხო არ ხდება“ აღარ აგიხსნით, პირდაპირ შეგატყობინებთ, რომ შეიქმნა და საკმაოდ გამართულადაც მუშაობს ტრანსგენდერთა სოლიდარობის ფეისბუქჯგუფი.*

*ისედაც დაბადებიდან იზოლირებულ ადამიანებს ასეთ დროს, სამწუხაროდ და ცხადია, იმდენად უმძიმთ, რომ სულ ყველანაირი დახმარება სასიცოცხლო მნიშვნელობის ხდება.*

*ჯერჯერობით მგონი უყურადღებოდ არავინ რჩება, მაგრამ ამ ვითარების შესანარჩუნებლად, რა თქმა უნდა, სახსრები ყოველდღიურადაა საჭირო. ჰოდა, თითო ლარსაც რამხელა ძალა აქვს, მაგაზეც არ დაგაკარგვინებთ დროს.*

*მოკლედ, თუ ბრძანდებით უკიდურესად მადლიან მიმართულებაში ინვესტიციით დაინტერესებული პიროვნება, ინებეთ ანგარიშები.“*

**ანუ როდესაც საქართველოში ექიმებს, პოლიციას თუ ჩვეულებრივ რიგით ადამიანებს, მართლაც დღე და ღამე აქვთ გასწორებული კორონავირუსთან ბრძოლასა და მოყვასზე ზრუნვაში, ზუკა ბერძენიშვილმა ეს მოყვასი ტრანსგენდერებში, ანუ კაბიან კაცებში, უფრო მარტივად, პედერასტებში აღმოაჩინა!“**

შესაძლოა, ვინმე ვერ მიხვდეს, კი მაგრამ, რა დახმარება და ფულის შეგროვება პედერასტებს სჭირდებათო?! და ეს ლოგიკურიცაა, მაინცდამაინც კაბით და პომადიანები უნდა გამოვიდნენ ეს „ვაჟკაცები“ სურსათის მაღაზიაში თუ აფთიაქში?

**მარტივად აგიხსნით: ეს ტრანსგენდერები, ძირითადად, ცირკთან იდგნენ და მეძავობდნენ. ჰოდა, კორონავირუსის გამო, „წვრილი ინდივიდუალური ბიზნესი“ დაეხურათ! ჰოდა, ზუკა ლგბტ-ოვიჩიც დაფაცურდა „ინდმეწარმეების“ დასახმარებლად!**

**თან, როგორც ჩანს, იფიქრა, შემოწირულობებით ფულსაც ვიშოვიო!**

აბა, **„სირცხვილიას“** აქციების ბიზნესი გაუჩერდა და რამით ხომ უნდა ირჩინოს თავი?!

თან, თვითონაც ახალი კოლგოტები და კაბაც ხომ სჭირდება!.. ახალგაზრდაა, სიხარული და გართობა უნდა!

და რატომ არის, რომ ეს ისედაც არაადეკვატურები კრიზისული ვითარებისას მთლად დასაბმელი გიჟები ხდებიან?!

მაგალითად, გაგანია აგვისტოს ომისას სააკაშვილის დედიკომ **გიული ალასანიამ** პრეზიდენტი შვილის გულუხვი ჟესტით მრავალმილიონდოლარიანი „გეპეის“ კორპუსები ჩაიჯიბა!

**ამ გაგანია კორონავირუსის დროს კი დები ბერძენიშვილების ღირსეულმა შთამომავალმა აგერ ტრანსგენდერთა დახმარების ფონდი გააიმასქნა და შემოწირულობების ბიზნესი მოქოქა!**

და აი, ამას და მისთანებს უწოდებდნენ ტვინმოღრეცილი ნაცობოზიციონერები „საქართველოს მომავალს“? მართლაც ფუი, ასეთებს!

***გიორგი გიგაური***



საქართველოს ტრანსგენდერები

საუბრები ასტროლოგთან

***კორონავირუსის სახით რა ბიოლოგიურ პროცესთან გვაქვს საქმე? რას მიგვანიშნებენ ვარსკვლავები ცის კაბადონზე და როგორ უნდა მოიქცეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რომ კორონავირუსის დამარცხების შემდეგ ხალხის ბუნტი არ მიიღოს? — ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი არსებულ ვითარებას ბიოლოგიურ, ეზოთერიკულ, ასტროლოგიურ ჭრილში განიხილავს და ამჯერადაც საინტერესო პოლიტიკურ პროგნოზს აკეთებს:***



**„20 მილიონერი მარტო პარლამენტში ზის, დააყრევინონ ფულები და ხალხს დაურიგონ!“**

# *მიხეილ ცაგარელი:* კორონავირუსი თავის მოღვაწეობას ივნისის ბოლოს დაასრულებს!

— ის, რაც დღეს ხდება, არის ეპოქალური მოვლენა — გონების, ინტელექტისა და სულის აპოკალიფსი!

**— ეს როგორ გავიგოთ, ბატონო მიხეილ?**

— **როგორც ბიოლოგი, გეტყვით, რომ უხანში, ჩინელების ბიოლოგიურ სამხედრო ლაბორატორიაში, კორონავირუსის სახით ისეთი კომბინაცია შეიქმნა, რაც აქამდე არავის გაუკეთებია.** კორონავირუსი 50 შტამისგან შედგება. ჩათვალეთ, რომ 50 სახეობის გრიპია მასში გაერთიანებული. იმისთვის, რომ ვაქცინა შეიქმნას, საჭიროა, თითოეულ გრიპზე ცალ-ცალკე ვიპოვოთ ანტიდოტი. ამას კი დრო სჭირდება.

ჩინელები უხანის ლაბორატორიაში ძირითადად ცხოველებზე ატარებენ ცდებს. აღმოაჩინეს, რომ კორონავირუსით ყველა ცხოველი იღუპებოდა, გარდა ღამურასი. ძნელი სათქმელია და, ალბათ, კაცობრიობასაც გაუჭირდება ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის მიღება — რა მოხდა რეალურად, თუმცა, ფაქტია, რომ ლაბორატორიიდან ღამურა გაფრინდა და კორონავირუსი მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

**— ამას რაზე დაყრდნობით ამბობთ?**

— ამ ინფორმაციამ ლაბორატორიიდან გამოჟონა და ჩემამდეც მოაღწია. მოგეხსენებათ, პროფესიით ბიოლოგი ვარ, მიმუშავია სხვადასხვა ვირუსებზე და ურთიერთობა მაქვს ლაბორატორიებთან.

რაც შეეხება ასტროლოგიას, **კორონავირუსის შექმნა მოხდა 25 დეკემბრიდან 10 იანვრამდე — მზისა და მთვარის დაბნელებებს შორის.** მსგავსი შემთხვევა არ მახსენდება, უიშვიათესი მოვლენაა, რაც იმთავითვე მეტყველებდა იმაზე, რომ რაღაც მნიშვნელოვანი მოხდებოდა. ახალი წლის პერიოდში ხაზგასმით, მაგრამ დიდი სიფრთხილით ვამბობდი, რომ ეს წელიწადი ერთ-ერთი უმძიმესი იქნებოდა, მოიმატებდა სიკვდილიანობა...

**— ფაქტია, მსოფლიო დღემდე ებრძვის კორონავირუსს და არავინ იცის, როდის დასრულდება ომი თვალით უხილავ ვირუსსა და კაცობრიობას შორის. თქვენი, როგორც ასტროლოგის, პროგნოზი როგორია?**

— კლასიკური ასტროლოგია გვასწავლის, როდესაც დაბნელებებს შორის რაღაც პროცესი იწყება, ის შემდგომ დაბნელებებზე დასრულდება. მზისა და მთვარის შემდგომი დაბნელებები კი ივნისის თვეშია. საბოლოოდ, კორონავირუსი თავის მოღვაწეობას ივნისის ბოლოს დაასრულებს. აპრილის ბოლოდან შესუსტებას დაიწყებს. **კორონავირუსის პიკი ახლა არის 23 მარტიდან 25 აპრილამდე. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მზე და შავი მთვარე ერთად იმყოფებიან ვერძის აგრესიულ ნიშანში, რაც უფრო აგრესიულს გახდის კორონავირუსს, თუმცა, რადგანაც ჩვენმა მედიკოსებმა და მთავრობამ დროულად გაატარეს პრევენციული ზომები, ევროპისგან განსხვავებით, შედარებით ადვილად გავივლით ამ პერიოდს.**

საინტერესოა, კიდევ ერთი დეტალი: კორონავირუსი სწორედ მაშინ გავრცელდა, როდესაც შავი მთვარე, ე.წ. მაცდუნებელი ძალა, თევზების ზოდიაქოს ნიშანს გადიოდა.

**— ეს რას ნიშნავს?**

— თევზები და მისი მმართველი პლანეტა ნეპტუნი არის ეპიდემიისა და ინფექციური დაავადებების მთავარი მმართველი. გარდა ამისა, პლანეტა პლუტონი, რომელიც ასევე მმართავს ინფექციებსა და ეპიდემიებს, ვირუსის გავრცელების პერიოდში მთავარი დამსჯელი პლანეტის სატურნის გვერდით თხის რქის ზოდიაქოში იმყოფებოდა. **როდესაც ასტროლოგიურად დაიხაზა ორი მძიმე ბოროტი პლანეტის — სატურნისა და პლუტონის შეერთება, აღმოჩნდა, რომ მსოფლიო რუკაზე მათი ცენტრი სწორედ ჩინეთის ქალაქი უხანი იყო.**

**სამწუხაროდ, ჩინელებმა დაარღვიეს ის**

**„კორონავირუსის მეშვეობით იმ ადამიანების წმენდა ხდება, რომლებიც ვერ შეძლებენ გონების მეოთხე განზომილებაში გადასვლას!“**

კვირგვინოსნები

**ია სუხიტაშვილი**
*მსახიობი*



თუკი რომელიმე თქვენგანს კიდევ ეპარება ეჭვი იმაში, თუ როგორი დონის უსაფრთხოების ზომებია დაცული ჩვენს ქვეყანაში, იქნებ პოსტი ბოლომდე ჩაიკითხოთ და აზრი შეიცვალოთ:

**მინდა, უსაზღვროდ დიდი მადლიერება გამოვხატო თითოეული (ლარსის) მესაზღვრის** მიმართ მათი დაუღალავი შრომისთვის, სასწაული მობილიზაციაა, სათანადოდ მოწმდება ყველა, რათა რისკი გამოირიცხოს და დამოკიდებულება მგზავრების მიმართ ეს კიდევ ცალკე მოსაყოლი ამბავია; **მადლობა თითოეულ იმ მძღოლს,** რომლებიც ჩვენთვის ამ საგანგებო სიტუაციაში თავდაუზოგავად მუშაობენ და მგზავრების უსაფრთხო ტრანსპორტირებაზე ზრუნავენ; **მადლობა ნუკრი ექიმს,** რომელიც ალბათ მეასედ, მაგრამ დაუღალავად უხსნის ყველას, თითოეულ შემოსულ მგზავრს, თუ რატომაა საჭირო დეტალური სამედიცინო შემოწმება და იზოლაციაში ყოფნა; მ**ადლობა სასტუმროს პერსონალს** საოცარი მომსახურებისთვის და სიყვარულისთვის, ჩვენი განწყობის ამაღლებისთვის და მორთმეული უგემრიელესი მარწყვისთვის. საუკეთესოები ხართ. **დაუღალავი მადლობა საქართველოს მედპერსონალს, და მადლობა ყველა ქართველ მოქალაქეს, რომლის თვითშეგნება, დარჩეს თვითიზოლაციაში, მოწოდების სიმაღლეზეა.**

„ფეისბუქი“

**ლევან რატიანი**
*პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი*



**პოლიტიკოსები და არაპოლიტიკოსები უნდა გავერთიანდეთ და არა ერთმანეთს ჭკუა ვასწავლოთ. მე ამ მიმართულებით არ ვარ დაინტერესებული. ყველას მოვუწოდებ, რომ თუ ვინმეს ახალი რამის გამოგონება შეუძლია და არა ველოსიპედის, მაშინ ჯობია, ერთად დავსხდეთ და შევიმუშავოთ სტრატეგია, როგორ გადავრჩეთ.**

„პია“

**მარინა სალუქვაძე**
*ყოფილი ტელეჟურნალისტი*



**საჭირო რომ გახდა, მე და ჩემმა შვილმაც გავიკეთეთ წინსაფრები და მიმტანებად ვმუშაობდით. მიუხედავად იმისა, რომ საოცარი მზარეულები გვყავს, მეც მომიმზადებია კერძი. შავ მუშად დავხმარებივარ მზარეულებს, ჭურჭელიც გამირეცხავს.**

„სარკე“

# „ბევრს აშინებს სიტყვა აპოკალიფსი – ნგრევა ჰგონიათ. კიდევ ერთხელ ვამბობ, აპოკალიფსი არის ტრანსფორმაცია, ცვლილების პროცესის დასაწყისი სამყაროში!“

# ,,მივმართავ პრემიერს –

## დააყრევინეთ ბიზნესმენებს ფულები, ეს ერთადერთი გამოსავალია, რომ მშიერი ხალხის ბუნტი არ მიიღოთ!“

**კანონები, რასაც მათი წინაპრები დიდ პატივს სცემდნენ. როდესაც ვირთხის წელიწადი მოდიოდა და ახალი 12-წლიანი ციკლი იწყებოდა, ვირთხის მონათესავე ჯგუფისთვის ხელი არ უნდა ეხლოთ. ჩინელებმა კი ახალ წლამდე ცოტა ხნით ადრე დაიწყეს მათზე ცდების ჩატარება.**

და მაინც, თუ გვინდა, ამ პროცესებს ბოლომდე ჩავწვდეთ, გავიგოთ, რა და რატომ ხდება, უნდა გავიხსენოთ ის ფაქტები, რაზეც დიდი ხნის წინათ ვამბობდი. **ჯერ კიდევ 2002 წელს, როდესაც „ასავალ-დასავალთან“ დავიწყე თანამშრომლობა, აღვნიშნე, რომ სამყაროში ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი იწყებოდა — ე.წ. იისფერი რასის — ინდიგო ბავშვების შემოსვლა ჩვენს მატერიალურ სამყაროში.**

**— ანუ?**

— იისფერი რასა, ანუ ინდიგო ბავშვები არიან იგივე ჩვენი შვილები, შვილიშვილები, მაგრამ სხვა თანავარსკვლავედის წარმომადგენლები. ისინი 90-იანი წლების ბოლოსკენ შემოვიდნენ, 2002 წლიდან კი მასობრივად გამოჩნდნენ. ამ ბავშვებს ჩვენზე უფრო განვითარებული, სხარტი და მახვილი გონება აქვს. მათ შეუძლიათ გაცილებით მალე, კარგად და სწორად აღიქვან კოსმიური კანონები, დაუახლოვდნენ უფალს. მათი ტვინი ახლებურ ტექნოლოგიებზეა გათვლილი. თქვენც კარგად ხედავთ, როგორ უპრობლემოდ ითვისებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს.

**ინდიგო ბავშვების შემოსვლა შემთხვევით არ მომხდარა. ეს იყო პირველი ნიშანი იმისა, რომ სამყაროში სერიოზული ცვლილებების ეპოქა დაიწყო. ჩვენი სამყარო თევზებიდან მერწყულის ეპოქაში გადავიდა, რომელიც 2160 წლამდე გასტანს.**

გახსოვთ, ალბათ, 2012 წელს პანიკა ატყდა — მეხუთე მზე ჩაესვენა და 2012 წლის 21 დეკემბერს სამყარო დამთავრდებაო. ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი წინა დღით ბუნკერშიც კი ჩავიდა. მაშინ არაერთხელ, მათ შორის, ტელევიზიითაც განვაცხადე, 21-ში ჩაიზე გეპატიჟებით, მსგავსი არაფერი მოხდება, უბრალოდ, ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის მომსწრენი ვართ-მეთქი.

**— კერძოდ?**

— დედამიწა პოლუსების ენერგოველს იცვლის. როდესაც ახალი ეპოქა იწყება, ამ შემთხვევაში მერწყულის, ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსები თავიანთ ადგილებს ცვლიან. დაახლოებით იგივე პროცესია, რაც კომპიუტერის გადატვირთვისას ხდება. ასეთი რამ 2000 წელში ერთხელ მოსდის დედამიწას და ტრადიციულად იწვევს ამინდის ცვლილებას. არანაირი გლობალური დათბობა არ არის, რაზეც ერთი ამბავი ატყდა. **კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს არის კანონზომიერი მოვლენა, რომელიც ნელ-ნელა გადაივლის და პოლუსებიც თანდათან დაუბრუნდებიან თავიანთ ლერძებს.** ესეც მეორე ნიშანი იმისა, რომ სამყაროში სერიოზული ცვლილებების ეპოქაა.

რაც შეეხება მესამე მნიშვნელოვან სიგნალს, ეს არის ის, რაც ახლა ხდება — **კოსმიური წმენდის პროცესი.** კორონავირუსის მეშვეობით იმ ადამიანების წმენდა ხდება, რომლებიც ვერ შეძლებენ გონების მეოთხე განზომილებაში გადასვლას. დღეს ჩვენი ცნობიერებით, ხედვით თუ გონებრივი აზროვნებით მესამე განზომილებაში ვართ. ეგვიპტური პირამიდების ქვეშ ცალკე ქალაქია, რომელსაც ახლა, უბრალოდ, ვერ ვხედავთ. შემთხვევითი არ არის ინდიგო ბავშვების მოსვლა დედამიწაზე და არც ის, რომ კოსმიური წმენდა ხდება.

**დააკვირდით, კორონავირუსით ძირითადად ხანში შესული ადამიანები კვდებიან. ჩინელი მეცნიერები დგანან ამის უკან თუ ამერიკელები, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, სამყარომ მოინდომა ეს!**

**— მსოფლიო ომის დროსაც მასობრივად იღუპებოდნენ ადამიანები...**

— ომების დროს ახალგაზრდები, საუკეთესო გენოფონდი იღუპება. ამ შემთხვევაში ძირითადად მოხუცები ტოვებენ დედამიწას, ისინი, ვინც მეოთხე განზომილებაში გადასვლის პროცესს დაამუხრუჭებენ. **ეკლესია ამ პროცესს მეორედ მოსვლას უწოდებს, ასტროლოგიურად და ეზოთერულად კი ეს არის გონების, ინტელექტის, სულის აპოკალიფსი.** ბევრს აშინებს სიტყვა აპოკალიფსი — ნგრევა ჰგონიათ. კიდევ ერთხელ ვამბობ, აპოკალიფსი არის ტრანსფორმაცია, ცვლილების პროცესის დასაწყისი სამყაროში!

ამიერიდან ძველებურად ვეღარ ვიცხოვრებთ, ძალიან ბევრი რამ შეიცვლება ჩვენს ცნობიერებაში. ბევრი რამ გადავა ონლაინ რეჟიმში. თითოეული წუთის ფასი სხვანაირი გახდება. ნახავთ, როგორ განვითარდება ტექნოლოგიები. გაძლიერდება ინტუიცია, ძალიან ბევრს გაუჩნდება ნათელხილვის უნარი. შეიცვლება დამოკიდებულება ერთმანეთისადმი, სამყაროსადმი, უფლისადმი. **ერთი სიტყვით, ცხოვრება ძველებურად აღარ გაგრძელდება, ახალი ცხოვრებისადმი ფეხის აწყობაში კი სწორედ ინდიგო ბავშვები დაგვეხმარებიან. მათ ზუსტად ეს როლი აქვთ დღევანდელ სამყაროში.**

**— როგორც ვარაუდობენ, კორონავირუსის გადავლის შემდეგ სულ სხვა პოლიტიკურ სამყაროში ვიცხოვრებთო. ამაზე რას იტყვით?**

— სხვათაშორის, ეს პროცესები ულტრალიბერალურმა პოლიტიკამაც დააჩქარა, რადგან ადამიანმა ყველაზე მთავარი — ღმერთი დაივიწყა, დაკარგა ოჯახის ინსტიტუტი და შინაგანი სისუფთავე.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად გაძლიერდება გლობალიზაციის პროცესი, თუმცა, ამავდროულად, წინ წამოიწევა ეროვნული ელემენტებიც. თითქმის ყოველდღიურად მიწევს სტუდენტებთან ურთიერთობა და ვხედავ, როგორ აღიქვამენ, აფასებენ მოვლენებს. მათთვის არ არსებობს დოგმები, მაგრამ არც ტრადიციულ ელემენტებს უგულებელყოფენ, მთავარია, კარგად გაიაზრონ ის, რასაც აკეთებენ.

აი, როგორ გაუმკლავდება მსოფლიო ეკონომიკურ პრობლემებს, ეს უკვე ძალიან რთული საკითხია. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ ვამბობდი, სოციუმის მმართველი პლანეტა ურანი საბანკო ფინანსურ ზონაში — კუროს ზოდიაქოში შევიდა, რაც სერიოზულ საბანკო ცვლილებებს გამოიწვევს-მეთქი. კორონავირუსის გავრცელების შემდეგ, ფაქტობრივად, მთელ მსოფლიოში გაიყინა ეკონომიკა. განსაკუთრებით მძიმედ ეს საქართველოზე აისახება.

ხალხს უფლებას არ აძლევენ, გარეთ გავიდნენ. რითი გადაიხადონ კომუნალურები? რა ჭამონ? რა უნდა ქნან მანამდე, ვიდრე ეკონომიკა ამუშავდება? რა მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის კორონათი მოკვდება თუ შიმშილით? ძალიან დიდი ალბათობაა იმისა, რომ მშიერი ხალხის ბუნტი მივიღოთ!

**— მეორე მხრივ, ვერ გაამტყუნებ მთავრობას. რა ქნას, ჩვენი სიცოცხლე ჩააგდოს საფრთხეში?**

— **20 მილიონერი მარტო პარლამენტში ზის, დააყრევინონ ფულები და ხალხს დაურიგონ!** მხოლოდ „ქართუ ბანკისა“ და რამდენიმე ორგანიზაციის ინიციატივა არ არის საკმარისი, ლაქუცისა და სუფრაზე ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელოების სმის დრო დამთავრდა. ტრამპმა 1000-1000 დოლარი რომ დაურიგა ხალხს, ფრანგებმა კი მთლიანად გაათავისუფლა კომუნალური გადასახადებისგან, გიჟები კი არ არიან!




ახლა სჭირდება ხალხს დახმარება, ოჯახებს გადარჩენა. სწორედ დღეს უნდა გადადგას მთავრობამ კონკრეტული და სწორი ნაბიჯები, რომ რამდენიმე თვეში მშიერი ხალხის ბუნტი არ მიიღოს.

ვამაყობ იმით, რასაც ჩვენი მედპერსონალი, განსაკუთრებით ძველი გვარდია აკეთებს, ამ მძიმე სიტუაციაში კარგად იმუშავა **გახარიამაც**, მაგრამ

**ხელისუფლებას მხოლოდ მას შემდეგ დავუკრავ ტაშს, თუ მილიონერებს ფულებს დააყრევინებს და ამით ჩვენს მრავალსაუკუნოვან ერს გადაარჩენს!**

**ბატონო გიორგი,** მაქსიმალურად ამოიღეთ ბიზნესმენებისგან ფულები. შექმნილი რეალობიდან ეს ერთადერთი გამოსავალია, რომ ქვეყანა — შემდგომი ექვსთვიანი ეკონომიკური კოლაფსისგან, ოჯახები კი შიმშილისგან იხსნათ!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**ზურა ყიფშიძე**
*მსახიობი*



გრიპიც წარღვნაა და ბომბიც... დედამიწა გაგიჟდა, ისეთ რამეებს ვაკეთებთ ადამიანები. რამაზ ჩხიკვაძისა არ იყოს, ვეღარ ვიტან სიტყვებს **„პოლიტიკა“ და „დემოკრატია“.**

„ალია“

**ცირა კოხიაშვილი**
*მომღერალი*



**ვაპირებ, რომ თურქეთის მსგავსად, ფეხსაცმლით არავინ შემოვუშვა სახლში. თუ ვინმეს არ მოეწონება, შეუძლია, არ მოვიდნენ ჩემთან.**

„თბილისელები“

**შალვა ნათელაშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*



**ერთხელ მაინც ვკვდებით ყველა, რა მნიშვნელობა აქვს დიაგნოზს, რა გვჭირს.**

„პრაიმტაიმი“

**მანანა კოზაკოვა**
*მსახიობი*



**სოციალურ ქსელებს რომ ვაკვირდები — ამდენი „რა ლამაზი ხარ“, „ჩემო სიცოცხლე“, „შენზე ლამაზი არავინაა“ და მსგავსი რამ, სწორედაც რომ, სიყალბეა.**

**არ მიყვარს ასეთი სიყალბე და არც ზედმეტი ქება. ყველა ლამაზი როგორ არის?! სიტყვა ლამაზმა აზრი დაკარგა.**

„თბილისელები“

**ბორის ბედია**
*მომღერალი*



**ერთ ქმრიან უკრაინელ ქალს ვხვდებოდი, ასაკოვანი ქმარი ჰყავდა. ერთხელ ეს კაცი მოულოდნელად დაბრუნდა შინ. ვიფიქრე, არ მომკლასმეთქი და მესამე სართულიდან გადავხტი თოვლში, ყინვაში. პალტო იქ დამრჩა. იმ კაცმა მე რომ ვერ დამიჭირა, სიმწრისგან ჩემი პალტო დაგლიჯა. ისე გამოვიქეცი იმ ქალაქიდან, აღარასდროს მივბრუნებულვარ.**

„კვირის პალიტრა“



# მიხეილ ცაგარელი: აპრილში შიშსა და პანიკას არ უნდა ავყვეთ! გავიაზროთ ჩვენი შეცდომები!

*— დღეს რა არის ჩვენი მთავარი მიზანი და საზრუნავი? აპრილის პირველი კვირა რას შეუწყობს ხელს? როდიდან არის მოსალოდნელი გაუარესება? ვის და რატომ მართებთ განსაკუთრებული სიფრთხილისა და ყურადღების გამოვლენა? რისი გათვალისწინება გვმართებს? რა და რა თვისებებს გაამახვილებს მზის გადანაცვლება კუროს ზოდიაქოში? როდიდან აღმოჩნდება დედამიწა ჰარმონიული კოსმოსური ენერგიების ზონაში? რატომ არის აუცილებელი ამ პერიოდში ჩვენი შეცდომების გააზრება? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*



**— ორიოდე დღეში განახლებებითა და ვნებებით აღსავსე „ლურჯი" აპრილიც კარს შემოაღებს, მაგრამ რა გითხრათ, რით გაგახაროთ?! დღეს ყველას საერთო სადარდებელი გაგვჩენია. ჩვენს პლანეტაზე ელვის სისწრაფით ვრცელდება ვერაგი უჩინარი მტერი — ახალი კორონავირუსი. რას გვაუწყებს უფალი და რაზე მიგვანიშნებს ამით კოსმოსი — დაფიქრება ღირს! ასტროლოგიური თვალთახედვით, როგორი იქნება აპრილის თვე, რას უნდა ველოდოთ?**

— გაზაფხული, მოგეხსენებათ, ცვლილებებისა და განახლებების დროა, მაგრამ წლევანდელი გაზაფხული ჩვენი ქვეყნისთვის და მთელი მსოფლიოსთვის საკმაოდ მძიმედ დაიწყო. კორონავირუსმა მძლავრად შემოუტია მთელ მსოფლიოს, ადამიანთა სიცოცხლე შეიწირა, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები დაამუხრუჭა, თითოეული ადამიანის ცხოვრებასა და ყოფაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა, ამიტომ **ჩვენი მიზანია, შიშსა და პანიკას არ ავყვეთ, სიტუაცია სწრაფად გავაანალიზოთ და არსებული გარემოებები რაციონალურად გამოვიყენოთ. ცხოვრების ნიუნსები ახლებურად დავინახოთ, რათა მომავალი გავაუმჯობესოთ და გავალამაზოთ, სწრაფად აღვადგინოთ დანაკარგები, ძველი შეცდომები გავიაზროთ და მომავალში მსგავსი სირთულეებისაგან თავი დავიცვათ. აპრილის პროგნოზს რაც შეეხება, თვის პირველი დღეები 6 რიცხვამდე საკმაოდ ჰარმონიული პერიოდი იქნება,** რომელიც ხელს შეუწყობს ახალი საქმის დაწყებას, მნიშვნელოვანი შეხვედრების ჩატარებას, პერსპექტიულ საქმიან და შემოქმედებით ურთიერთობებს.

**6-11 აპრილის შუალედში კი ვითარება გაუარესდება, განსაკუთრებით კომუნიკაციური და კარიერული საკითხების თვალსაზრით, რაც არაერთი ადამიანის ცხოვრებაზეც აისახება.**

**11 აპრილის შემდეგ კი უთანხმოებები გახშირდება, კონფლიქტები გამწვავდება, რასაც, შესაძლოა, სერიოზული გართულებები და დაკავშირების გაწყვეტა მოჰყვეს. ამასთან, არამხოლოდ პირად და საქმიან, არამედ საერთაშორისო ურთიერთობებშიც.**

ეს საკმაოდ რთული პერიოდი იქნება საოჯახო, სოციალური, საზოგადოებრივი სფეროებისთვის. ცვლილებები, ძველის ტრანსფორმირებისა და რევოლუციური განახლების ტენდენციები შესამჩნევი იქნება არამარტო ცალკეულ პარტიებს ან ორგანიზაციებს შორის, არამედ სახელმწიფოთა ლიდერების ურთიერთობებშიც. **გადაუჭრელმა სოციალურმა და ეკონომიკურმა პრობლემებმა, კონფლიქტურმა სიტუაციებმა აპრილის მეორე ნახევარში, შესაძლოა, გამოიწვიოს დიდი საპროტესტო აქციები, სხვადასხვა პარტიებსა და ორგანიზაციებს შორის დაპირისპირებები, რასაც, შესაძლოა, მოჰყვეს ძალადობრივი აქტები, ექსტრემიზმი, ტერორი.** უსაფრთხოების წესების იგნორირება, ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა და მომუშავე პერსონალის შეცდომები კი შეიძლება მასშტაბური ტექნოგენური ავარიების, კატასტროფების, ხანძრების მიზეზი გახდეს. ამიტომ,

## 15–21 აპრილის შუალედში ტექნიკასთან, გადაზიდვებთან, ტრანსპორტთან და დანადგარებთან დაკავშირებით მომუშავე ადამიანებს განსაკუთრებული მობილიზება, სიფრთხილე, ყურადღება მართებთ. გარისკვა დაუშვებელია.

**— რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებში მზის გადანაცვლება ზოდიაქოს მეორე ნიშანში — კუროში?**

— **მზე 19 აპრილს გადაინაცვლებს კუროს ზოდიაქოში და ადამიანებში გააძლიერებს ორგანიზებულობას, შეუპოვრობას, ნებისყოფას, პრაქტიკულობას, ყაირათიანობას, ერთგულებას, სილამაზისკენ მიდრეკილებას, ტრადიციების პატივისცემას, შემოქმედებითობას და ასევე სიჯიუტეს, სიზარმაცესაც. 21 აპრილიდან სიტუაცია გაუმჯობესებას დაიწყებს. დედამიწის ბიოსფერო უფრო ჰარმონიულ კოსმოსურ ენერგიების ზონაში აღმოჩნდება, რაც მაისამდე გასტანს.** წინა პერიოდის კონფლიქტები, გაუგებრობები, უთანხმოებანი ნელნელა აღმოიფხვრება; ეკონომიკა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებაც თავის ჩვეულ ნორმალურ რიტმს დაუბრუნდება. **ეს პერიოდი სასიკეთო იქნება ნებისმიერი ახალი საქმიანობის დასაწყებად, გადაადგილებებისა და შეხვედრებისათვის, ხელშეკრულებების დასადებად, კონფლიქტური სიტუაციებისა და რთული საკითხების გადასაწყვეტად.** ცხადია, გასული რთული პერიოდი უკვალოდ არ ჩაივლის და შესაძლოა, თავისი კვალი დატოვოს როგორც ცალკეული ადამიანების ფსიქოემოციური მდგომარეობის, ისე ქვეყნებისა და საზოგადოების ცხოვრების წესისა და ურთიერთობების თვალსაზრისით. **თუ მიღებული გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული, შესაძლოა, ახლო მომავალში განმეორდეს ძველი პრობლემებიც, კონფლიქტებიც და შეცდომებიც. ამ პერიოდში პოლიტიკოსების, საზოგადო მოღვაწეების, მაღალი დონის სპეციალისტებისა და სხვა გამოცდილ ადამიანთა შეხვედრების შედეგად ან მიღწეული იქნება შეთანხმება და წლის მეორე ნახევრისთვის დაიგეგმება მომავალი სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნები და რეფორმები, ანდა ვერ მოხერხდება შეთანხმების მიღწევა, რაც ახალ პრობლემებსა და დაპირისპირებებს გამოიწვევს წლის მეორე ნახევარში.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინე მერკვილაძე***

### 30 მარტი – 5 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ხელსაყრელი პერიოდია ახალი წამოწყებებისათვის, ხელმძღვანელთან და პარტნიორებთან მოსალაპარაკებლად, ბიზნესის გასაფართოებლად. თქვენი პოპულარობა იმატებს, შეხვედრების რაოდენობაც გაიზრდება. თავს ენერგიულად იგრძნობთ. ეს პერიოდი დიდწლად თქვენს ფინანსურ წარმატებას განსაზღვრავს, არადა, გადაწყვეტილებების მიღებისას ეცადეთ, არ იჩქაროთ, საბუთები გულმოდგინედ შეისწავლეთ და დინჯად იმოქმედეთ.

**კურო** (21.04-20.05)
დაბალი სასიცოცხლო ტონუსის მიუხედავად, არაერთ პრობლემას მოაგვარებთ. თუმცა, აუცილებელია ხშირ-ხშირად დასვენება. ფუჭ საქმეებზე დროს ნუ დახარჯავთ. ეს კვირა არ არის ხელსაყრელი ახალი კონტაქტების დასამყარებლად, მოგზაურობისთვის, სწავლისთვის. ნამდვილი გრძნობა და სასიყვარულო ურთიერთობა კი განწყობას გამოგისწორებთ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
გონებამახვილობითა და ცოდნით არაერთ ადამიანს გააოცებთ, ენერგიულობისა და მხიარული განწყობით კი ბევრ თაყვანისმცემელს შეიძენთ. ბევრ დროს ითხოვს ბავშვების აღზრდის საკითხი. ნათესავებთან მჭიდრო კავშირი თქვენს ურთიერთობას განამტკიცებს. საოჯახო და სასიყვარულო ურთიერთობის წყალობით თავს უფრო თავდაჯერებულად იგრძნობთ. შესაძლებელია სხვადასხვა შენაძენით ყოფის გალამაზება, შორეული მოგზაურობა კი, სავარაუდოდ, გადაიდება.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ენერგიის მოზღვავების, კარგი განწყობისა და მოქმედების სურვილის მიუხედავად, ჯობს, გრანდიოზული გეგმების განხორციელებისაგან თავი შეიკავოთ. ამით როგორც საკუთარ თავს, ისე სხვებსაც დაიცავთ დამატებითი პრობლემებისაგან. ოჯახის წევრებსა და ბავშვებს მეტი დრო დაუთმეთ. სიყვარულის ჰარმონია დაისადგურებს ოჯახსა თუ სასიყვარულო ურთიერთობაში. შორეულ მოგზაურობას კი დრო ხელს არ უწყობს.

**ლომი** (23.07-23.08)
ენერგიული იქნებით, ამიტომ მეტი თავდაჯერება და ოპტიმიზმი გმართებთ, რათა ყველა სასიკეთო შესაძლებლობა გამოიყენოთ. საქმის რეალიზების დროს, ჯობს, გამოცდილი, ჩვეული მეთოდებით იხელმძღვანელოთ. ახლობლებსა და გარშემომყოფებზე ნუ განაწყენდებით და ნუ დაძაბავთ არსებულ ურთიერთობებს, ამან, შესაძლოა, თქვენს ჯანმრთელობას ზიანი მიაყენოს.

**ქალწული** (24.08-23.09)
ენერგიული და საქმიანი კვირაა, თუმცა, სამუშაოც ბევრი გექნებათ. გეგმაზომიერად იმოქმედეთ. კარგი იქნება, თუ უცნობებთან ნაკლებად იკონტაქტებთ და საზოგადოებრივ ადგილებს მოერიდებით. ოჯახსა და სახლის კეთილმოწყობას მეტი დრო დაუთმეთ. ეცადეთ, შვილებთან კავშირი არ დაკარგოთ, რადგან, შესაძლოა, მათ საიდუმლოებები ჰქონდეთ.

**სასწორი** (24.09-22.10)
მშვიდი და სასიამოვნო პერიოდია, რომელსაც სახლში, ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან გაატარებთ. ფინანსები მოაწესრიგეთ და ფული ტყუილუბრალოდ არ გაფლანგოთ. საყვარელ ადამიანთან უფრო ტაქტიანი იყავით, მშობლებთან ურთიერთობა მეტ თავდაჯერებასა და ენერგიას შეგმატებთ. მეტს იფიქრებთ საკუთარ ცხოვრებასა და ურთიერთობებზე, თუმცა, პირად ცხოვრებაში ჯერ ბევრს ვერაფერს შეცვლით. შორეული მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.

**მორიელი** (23.10-22.11)
შემოქმედებითად მუშაობა თქვენი უმთავრესი საფიქრალი იქნება. ფსიქოემოციური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ, მაგრამ ფარულ საქმიანობას როგორც საქმეში, ისე პირად საკითხებშიც უნდა მოერიდოთ, სამუშაო მოიმატებს, ამიტომ პერიოდულად უნდა დაისვენოთ და ავადმყოფობისაგან თავი დაიცავით. შესაძლოა, მარტოობის სურვილი დაგეუფლოთ, რაც შეყვარებულის უკმაყოფილებას გამოიწვევს. მოგზაურობა არ არის რეკომენდებული.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
თქვენი ენერიულობა, აქტიურობა და ხალისი მოიმატებს. ჯანმრთელობაც გაგიუმჯობესდებათ. ამჯერად საქმეებს უფრო შემოქმედებითად მიუდგებით და ადვილად დაასრულებთ. მომთმენი და მოწესრიგებული იქნებით, რისი მეშვეობითაც სერიოზული, ხანგრძლივი კავშირის დამყარება გაგიადვილდებათ. ცდუნებები და ეჭვიანობა წარსულს ჩაბარდება.

**თხის რქა** (22.12-19.01)
ყურადღების ცენტრში ფინანსური საქმეები აღმოჩნდება. ფულის მოგროვებისა და ხელმომჭირნედ ხარჯვის სურვილი გაგიჩნდებათ, თუმცა, ცდუნებების მაღალი ალბათობა იქნება. სამსახურში არსებობს დაწინაურების ანდა პოპულარობის ზრდის შანსი. პირად ცხოვრებაში დიდი ცვლილებები არ არის მოსალოდნელი, მყარი ფიზიკური მდგომარეობა თვითდაჯერებასა და სტიმულს შეგმატებთ, ამიტომ ზომიერად ივარჯიშეთ და კვების რაციონი სწორად შეარჩიეთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
საკმაოდ დინჯად და გააზრებულად იმოქმედეთ. საქმის არსს ჩასწვდებით და სწრაფად გადადგამთ კონკრეტულ ნაბიჯებს. დამატებითი სამუშაოს შესრულება თქვენს ავტორიტეტს აამაღლებს. ახალ ადამიანებთან ურთიერთობა სამომავლო პერსპექტივებს დაგანახვებთ. ურთიერთობაში არსებული კონფლიქტები სწრაფად დასრულდება. ხალისის შესანარჩუნებლად ეცადეთ, ხშირად დაისვენოთ და ცოტაოდენი დრო პირად ურთიერთობებსაც დაუთმოთ.

**თევზები** (19.02-20.03)
თქვენს გონებამახვილობასა და კეთილგანწყობაზე იქნება დამოკიდებული სამომავლო პროექტების წარმატება — ინტუიციურად ადვილად დაამყარებთ კავშირს ნებისმიერ ადამიანთან. კომპრომისის დაშვების უნარი კი სოციალურ სფეროში არსებულ რთულ სიტუაციაში დაგეხმარებათ. რაიმე უჩვეულო საქმის კეთებას მოისურვებთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება დაუთმეთ და ნუ გადაიტვირთებით.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 1, 2 და 5 აპრილი

## 8 აპრილი – სავსემთვარეობა; 23 აპრილი – ახალმთვარეობა.

### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ლუმბაგო; 6. ბუნები; 9. ბედია; 10. მაკრამე; 11. რეკეტი; 12. რანგი; 13. ავოკადო; 14. ლირი; 15. ნიუტონი; 16. ამირანი; 20. ნალი; 21. კიკინი; 24. მუსტანგი; 25. თია; 27. კია; 28. ჯერმი; 31. გულაბი; 34. სპა; 36. ჯილი; 37. ჯავშანი; 38. გეო; 39. რემბო; 40. კოფო; 41. ლანთანი; 42. ნოე; 43. ლისტი; 44. ლიკინა; 45. ამიმია.

შვეულად: 1. ლამბადა; 2. მაკრონი; 3. ანაბანა; 4. ობერონი; 5. იდენტური; 6. ბარიტონი; 7. ნიკულინი; 8. ბატერფლაი; 17. მიუსე; 18. რატომ; 19. ნინო; 21. კიპუ; 22. კოკა; 23. ნეკი; 25. თასი; 26. არაი; 28. ჯეჯილი; 29. რევანში; 30. იმამატი; 31. გვირილა; 32. ლაკმუსი; 33. ბეგონია; 35. პლაფონი; 36. ჯოკერი.

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 30 მარტი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.47 საათზე, ჩადის 18.27 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 09.03 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 09.33 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.11 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს პლანეტა **მარსი** გადაინაცვლებს **მერწყულის** ზოდიაქოში (13 მაისამდე), რაც განაპირობებს არასტანდარტულ ქმედებებს, კომუნიკაბელურობას, ორიგინალურობას, კომპიუტერული ტექნიკის იოლად ათვისებასა და გამოყენებას და ასევე სიჯიუტეს, სიზარმაცეს, სულსწრაფობას. დღეს ყური დაუგდეთ უფროსი კოლეგის ან ნათესავის რჩევას. კარგია შუამავლის გამოყენება საქმესა თუ ურთიერთობებში. კარგი დღეა კონტაქტებისთვის, მათ შორის, ახლობლებთან და ბავშვებთან. **ჯანმრთელობა.** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, სარდიონი, ნეფრიტი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 31 მარტი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.45 საათზე, ჩადის 18.26 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (15.44) კირჩხიბის ზოდიაქოში, ამოდის 09.46 საათზე, ჩადის 00.19 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 10.07 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 15.44 საათამდე. **ტენდენციები:** ინტუიციას დაეყრდენით. ნუ იჩქარებთ და ნუ იჭორავებთ. ტყუილუბრალოდ დაპირებას ნუ გასცემთ. ბავშვებს მეტი დრო დაუთმეთ. გარეგნობა მოიწესრიგეთ. შესაძლებელია იმიჯის შეცვლა. არ არის სასურველი კრიტიკა, ურთიერთობის გარჩევა. კარგი დღეა რაიმეს შესაძენად, ინვესტიციის ჩასადებად, კულინარიული საქმიანობისთვის, ტრადიციებისა და საოჯახო კავშირების განსამტკიცებლად, გაწყვეტილი ურთიერთობის აღსადგენად. **ჯანმრთელობა.** დასუსტებულია ბრონქები, ხელები, მკერდი, კუჭი. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ზურმუხტი, აქატი, გიაცინტი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 1 აპრილი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.44 საათზე, ჩადის 18.27 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 10.36 საათზე, ჩადის 2 აპრილს 01.18 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 10.54 საათზე. მე-2 ფაზა იწყება 14.22 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს გაუფრთხილდით თქვენდამი სხვათა ნდობას — ხუმრობას ყველა ადეკვატურად ვერ მიიღებს. ინტუიციას დაეყრდენით, პასუხისმგებლობა გამოიჩინეთ. კარგი დღეა ინტერიერის შესაცვლელად, ვაჭრობისთვის, ავეჯისა და ხალხური რეწვის ნივთების შესაძენად, ბავშვის ჩასახვისათვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ტრადიციების გასამყარებლად, სასამართლოს პროცესის დასაწყებად. არ არის სასურველი. სიმძიმეების აწევა, ქორწინება, სახლის მშენებლობის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება, თავის დაბანა. საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. მაღალია ფინანსური შეცდომის ალბათობა. **ჯანმრთელობა.** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ნაღვლის ბუშტი, ღვიძლი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, რაუხტოპაზი, ოპალი, ლაბრადორიტი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 2 აპრილი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.42 საათზე, ჩადის 18.28 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (22.27) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 11.35 საათზე, ჩადის 3 აპრილს 02.12 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 11.55 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 20.52 საათიდან 22.27 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს საკუთარ გამოცდილებას დაეყრდენით და არა სხვების აზრს ანდა რჩევას. თუ ხელშეკრულება გაკმაყოფილებთ, საბუთს ხელი მოაწერეთ (ცხადია, მანამდე შეამოწმეთ). კარგი დღეა საყოფაცხოვრებო ნივთების, ხალხური რეწვის ნიმუშების შესაძენად, სასამართლო პროცესის დასაწყებად, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ტრადიციების გასამყარებლად. გახსოვდეთ, დღეს დაშვებული არასწორი ქმედება უკან დაგიბრუნდებათ. ორგანიზმი თვითგაწმენდას ახდენს, ამიტომ კუჭს ზედმეტი საკვებით ნუ გადატვირთავთ. არ არის რეკომენდებული ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება, სახლის მშენებლობის დაწყება. **ჯანმრთელობა.** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, გული. **ქვები:** ზურმუხტი, მწვანე იასპი, მარგალიტი, აქატი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის.

## 3 აპრილი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.40 საათზე, ჩადის 18.29 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 12.42 საათზე, ჩადის 4 აპრილს 03.02 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 13.11 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.30 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს პლანეტა **ვენერა** გადაინაცვლებს **ტყუპის** ზოდიაქოში (7 აგვისტომდე), რაც განაპირობებს პირად ურთიერთობაში ზედაპირულობას, ფლირტისკენ მიდრეკილებას, ტყუილს, კომუნიკაბელურობას, არასტაბილურობას, მერყეობას, უპასუხისმგებლობას. დღეს იმატებს კანონით და სხვისი აზრით მანიპულირების მოყვარულთა რაოდენობა. კარგი დღეა თანამდებობის დასაკავებლად, საორგანიზაციო საქმეების მოსაწესრიგებლად, სიყვარულის გამოსახატავად, საჩუქრებისა და ლატარიის ბილეთების შესაძენად. არ არის სასურველი სიმძიმის აწევა, პრეტენზიების გამოხატვა, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება, ბინის შეცვლა. **ჯანმრთელობა.** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის.

## 4 აპრილი, შაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.39 საათზე, ჩადის 18.30 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 13.54 საათზე, ჩადის 5 აპრილს 03.43 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 14.46 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 01.20 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს შემოქმედებას და სახლის გალამაზებას მეტი დრო დაუთმეთ. ამავდროულად, მჭრელ საგნებთან მიმართებით სიფრთხილე გამოიჩინეთ. კარგი დღეა იურიდიული საქმეებისთვის, თანამდებობის დასაკავებლად, მეგობრული კონტაქტებისთვის, ძვირფასი ნივთების და საჩუქრების შესაძენად. მშენებლობის დასაწყებად, თმის მოვლისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ნიშნობა, პრეტენზიის გამოხატვა, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება, ბინის შეცვლა. **ჯანმრთელობა.** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის.

## 5 აპრილი, კვირა

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.37 საათზე, ჩადის 18.31 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (01.20) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 15.10 საათზე, ჩადის 6 აპრილს 04.23 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 16.07 საათზე, მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები.** დღეს სასიკეთოა დალაგება-დასუფთავება. პლანეტების — **იუპიტერისა და პლუტონის** ენერგიების შეერთება **თხის რქას** 25 გრადუსში გაამახვილებს ენერგიულობას, გამარჯვებისკენ ლტოლვას, არაფორმალურ ლიდერთა გავლენას. ამავე დროს, დღეს სიყვარულისა და ურთიერთგაგების დღეა. თავი შეიკავეთ წვრილმანთა ჩაძიებისგან, კრიტიკისაგან, გამოიჩინეთ მეტი სითბო და ყურადღება. იკრძალება აგრესიის, ბრაზის და სხვა უარყოფითი ემოციების გამოხატვა, კონფლიქტურობა. კარგი დღეა საქმიანი მიმოწერისთვის, ვაჭრობისთვის, დიეტის დასაწყებად. არ არის სასურველი უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. **ჯანმრთელობა.** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, ჰელიოტროპი, მალაქიტი, აქატი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.






# ინა მესტიაშვილი:

# 84 წლის ვარ და კორონავირუსის არ მეშინია!

## თუნდაც დავინფიცირდე, ძლიერი იმუნიტეტის დახმარებით მსუბუქად გადავიტან!

***რა კავშირია ძლიერ იმუნიტეტს, სისხლში მჟავა-ტუტოვანი ბალანსის შენარჩუნებასა და სწორ კვებას შორის? როგორ მოვახერხოთ იმუნიტეტის გაძლიერება მსოფლიო პანდემიის პერიოდში ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ საბრძოლველად? ამ მნიშვნელოვან საკითხზე ჰემატოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ინა მესტიაშვილი გვესაუბრება:***

— კორონავირუსის დასამარცხებლად უაღრესად მნიშვნელოვანია სწორი კვება, რომელიც ხელს უწყობს იმუნიტეტის გაძლიერებას. მოგეხსენებათ, სხვადასხვა ადამიანის ორგანიზმში მოხვედრილმა ერთმა და იმავე ინფექციამ თუ ვირუსმა აბსოლუტურად განსხვავებული კლინიკური მიმდინარეობა შეიძლება მიიღოს, რაც კონკრეტული ადამიანის იმუნურ სტატუსზე არის დამოკიდებული. ჩვენს იმუნიტეტს განაგებენ სისხლში მოცირკულარე ლიმფოციტები, T ლიმფოციტები ახორციელებენ იმუნიტეტს უჯრედულ დონეზე, ანუ ამოიცნობენ მტერს და კლავენ მას. B ლიმფოციტების მოვალეობას კი მტრის წინააღმდეგ ანტისხეულების გამომუშავება წარმოადგენს. ლიმფოციტების ნორმალური მოქმედებისათვის საჭიროა მათთვის მისაღები გარემო, რომელსაც განაპირობებს **სისხლის მჟავა-ტუტოვანი რეაქციის შენარჩუნება ტუტე რეაქციისაკენ გადახრილ დონეზე.** იმისათვის, რომ სწორად და მყისიერად მოახდინონ ლიმფოციტებმა რეაგირება ორგანიზმში შემოჭრილ ბაქტერიებსა და ვირუსებზე, საჭიროა, სისხლში მუდმივად იყოს ტუტოვანი დონის ბუნებრივი ზღვარი.

**— როგორ შევინარჩუნოთ სისხლის იმგვარი მჟავა-ტუტოვანი ბალანსი, რომ ჩვენმა იმუნიტეტმა, ანუ მთავარმა მცველმა T და B ლიმფოციტებმა იდეალურად შეძლონ თავიანთი მოვალეობის შესრულება?**

— განსაკუთრებით კორონავირუსის ეპიდემიის პერიოდში ჩვენი მთავარი ამოცანა გახლავთ სწორი კვება და წყლის სმის რეჟიმის დაცვა. შესაბამისად, აუცილებელია, მივიღოთ იმგვარი საკვები, რომელიც სისხლში მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის შენარჩუნებაში დაგვეხმარება. უფრო კონკრეტულად კი, ხელს შეუწყობს სისხლში ტუტე რეაქციებს, რაც, თავის მხრივ, ჩვენი იმუნიტეტის სიძლიერეს უზრუნველყოფს. გარდა სამეცნიერო ლიტერატურაში მოძიებული ინფორმაციისა, პირადი გამოცდილებით და 20-წლიანი კვლევით მაქვს დადგენილი იმ საკვების სრული ჩამონათვალი, რომელიც ახალგაზრდობისა და ძლიერი იმუნიტეტის გასაღებს წარმოადგენს.

**— მკითხველისათვის უსათუოდ საინტერესო იქნება ეს ჩამონათვალი...**

— ცოცხალი ხილი და ბოსტნეული, თხილეული, მწვანილეული და ა.შ. ამ პროდუქტების ჯადოსნური ძალა პირადად მაქვს გამოცდილი. მკურნალი ექსტრასენსის, ჩვენი ოჯახის მეგობრის **ნინა ალექსეევას** დახმარებით 20 წლის მანძილზე ვატარებდი ექსპერიმენტს საკუთარ თავზე. სხვათაშორის, ამ ქალბატონის ფოტო და ინფორმაცია მის შესაძლებლობებზე დაახლოებით 2 წლის წინათ დაიბეჭდა თქვენს გაზეთში. ექსპერიმენტი მდგომარეობდა შემდეგში: წლების მანძილზე სეზონის გათვალისწინებით ვიკვებებოდი მხოლოდ თერმულად დაუმუშავებელი საკვებით: ხილით, კენკრით, კერკით, ჩირებით, ბოსტნეულით, ციტრუსებით და თხილეულით. თვეში მაქსიმუმ სამჯერ ვიღებდი სოდით გამომცხვარ პურს და ვსვამდი სხვადასხვა ბალახის ნაყენს. ჩემს სისხლში მოხდა საოცარი ცვლილებები. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ხშირი იყო ვირუსული ინფექციების აფეთქება და ჩემ გარშემო ყველა ავად ხდებოდა, მე ვირუსები არ მეკარებოდა. დიეტის დაწყებამდე მქონდა დიაბეტი ძალიან მძიმე ფორმაში, გამიფუჭდა მეხსიერება. ყველაფერი მავიწყდებოდა, ამიტომ ფურცელზე ვიწერდი, რა უნდა გამეკეთებინა და ბოლოს იმისი წაკითხვაც კი მავიწყდებოდა. **დიეტით დავამარცხე შაქრიანი დიაბეტი, აღვიდგინე მეხსიერება და დღემდე ძლიერ იმუნიტეტს ვინარჩუნებ.** ამგვარი კვების რეჟიმით და ჩემი რჩევების გათვალისწინებით ბევრმა ადამიანმა მოახერხა იმუნიტეტის გაძლიერება და ჯანმრთელობის აღდგენა!

**— რამდენი წლის ბრძანდებით? როგორ გგონიათ, თქვენი ორგანიზმი დღეისათვის შეძლებს ახალი კორონავირუსის დამარცხებას?**

— 84 წლის ვარ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კორონავირუსის არ მეშინია! თუნდაც დავინფიცირდე, ძლიერი იმუნიტეტის დახმარებით მსუბუქად გადავიტან! სისხლის მჟავა-ტუტოვანი რეაქციის ტუტე დონეზე შენარჩუნება არამარტო ჩვენი იმუნიტეტის სიძლიერეს, არამედ ჩვენს დღეგრძელობას უზრუნველყოფს. ამას ადასტურებს არაერთი სამეცნიერო კვლევა. აღნიშნულის შესახებ წერს ინგლისელი მეცნიერი უოლკერიც. მის წიგნში გარკვევით წერია — ყველა ის საკვები, რასაც დიეტის პერიოდში მუდმივად ვიღებდი, მათ შორის ლიმონი, სისხლში ტუტე რეაქციას განაპირობებს.

**— საინტერესოა, რა ტიპის საკვები იწვევს ჩვენს სისხლში მჟავე რეაქციებს და, შესაბამისად, იმუნიტეტის დაქვეითებას?**

— სისხლის მჟავა-ტუტოვანი ბალანსის რღვევას და, განსაკუთრებით, მჟავე რეაქციისკენ გადახრას შემწვარი და ცხიმიანი საკვები განაპირობებს. სამაგიეროდ, თერმულად დაუმუშავებელი საკვები, ხილი, ბოსტნეული, თხილეული, მწვანილეული — ტუტე რეაქციებს იწვევს ჩვენს სისხლში. იმუნიტეტის გასაძლიერებლად უმჯობესია, საკვები მხოლოდ უმი, მოხარშული ან ჩაშუშული სახით მიიღოთ. **სისხლში ტუტე რეაქციისას ვირუსები ტოვებენ ორგანიზმს, ვინაიდან მათთვის ტუტე გარემო დამღუპველია.**

**— როგორც ცნობილია, ახალი კორონავირუსი განსაკუთრებით საშიშია ხანდაზმული და სხვადასხვა ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანებისათვის...**

— ეს იმიტომ, რომ მათი იმუნური სტატუსი სუსტია და ვერ მოახერხებს ვირუსთან გამკლავებას. არ არის აუცილებელი, ადამიანი ხანდაზმული იყოს. დანგრეული ჯანმრთელობისა და იმუნიტეტის ფონზე, კორონავირუსით ინფიცირება ნებისმიერი პაციენტისათვის შესაძლოა, ფატალური შედეგით დასრულდეს. ამიტომ იმუნიტეტის გაძლიერება ამ პერიოდში ყველაზე სწორი გადაწყვეტილებაა. ზოგადად, ჯანსაღი კვებით ადამიანს შეუძლია როგორც დაავადებების პრევენცია, ასევე ნებისმიერი დაავადების შეჩერება და დამარცხება! ამავდროულად, მინდა, თქვენს მკითხველს იმუნიტეტის გასაძლიერებლად რამდენიმე ძალიან სასარგებლო ნაყენი ვურჩიო, რომელთა დახმარებითაც მოახდენენ არამარტო ორგანიზმის სითხით შევსებას, არამედ საჭირო ვიტამინებისა და მინერალების მიღებას. ესენია: **პიტნის, ანისულის, თავშავას, ქონდრის, გვირილის, ცაცხვისა და სელის თესლის ნაყენები.** ძლიერი იმუნიტეტის საიდუმლო ხომ სწორი კვების დახმარებით სისხლში მჟავა-ტუტოვანი ბალანსის შენარჩუნებაში მდგომარეობს!

*ესაუბრა*
***მეგი საჯაია***

# ჭან-ჭანის და ტია-ტიას შპრიც-შოუ

**აჰა, ისევ „ლაივში“ ვარ,
როგორც ემზარ კვიციანი,
უკორონო, უვირუსო,
მორგუნოვის შპრიციანი!**

პირველია თუ ბოლო ნაცია,
ყველას მოუღებს ბოლოს ნაცია!

**შპრიცით უნდა გაგიკეთოთ
ნაცებს ანტიაზვერინი,
ყველა ჩათლახს გიმახსოვრებთ,
ყველა მყავხართ დაზვერილი!**

პირველია თუ ბოლო ნაცია,
ყველას მოუღებს ბოლოს ნაცია!



**ეს პუშოუ თვით სანდრაზეც
ნაგავია გაცილებით,
მოვიშოროთ კორონა და
საკოვის ბაცილები!**

პირველია თუ ბოლო ნაცია,
ყველას მოუღებს ბოლოს ნაცია!

**ახლა მაინც, როცა არის
ვითარება საგანგებო,
მიშისტობას ნუ იკადრებთ,
ზუგდიდელო მარგალებო!**

პირველია თუ ბოლო ნაცია,
ყველას მოუღებს ბოლოს ნაცია!

**კორონასთან მებრძოლ გმირებს,
ვინც პირიდან ენას უყოფს,
იმათ პირში მიშას ოხერს
ეძეხვოს და ენაზუქოს!**

პირველია თუ ბოლო ნაცია,
ყველას მოუღებს ბოლოს ნაცია!

**თუ აქამდე არ ეშველათ,
რა უშველის ამათ აწი...
ნაცებს ჰყავდათ დაჭერილი
თვით იმნაძე პაატაც კი!**

პირველია თუ ბოლო ნაცია,
ყველას მოუღებს ბოლოს ნაცია!

**სანამ არის გაზაფხული
და ყვავილობს სანამ ია,
ჭუტას ტელებორდელიდან
გვეჯღანება სანაია!**

პირველია თუ ბოლო ნაცია,
ყველას მოუღებს ბოლოს ნაცია!

**დედას ვუმკობ გვარამიას,
ასარსალებს როს ენას ის,
ნაცთა ყველა ტელებორდელს,
ჯობს ბორდელი როენასი!**

პირველია თუ ბოლო ნაცია,
ყველას მოუღებს ბოლოს ნაცია!

**ექიმები ამოხსნიან
ამ კორონის ავან-ჩავანს,
მე და შენ კი, ჩემო ტია,
მთაწმინდაზე ავალ-ჩავალთ!**

**პირველია თუ
ბოლო ნაცია,
ყველას მოუღებს
ბოლოს ნაცია!
ღრანჭში
მოხვდებათ
ბოლოს ცაცია,
არ ეღირსებათ
კორონაცია!**



თარაზულად: **1. წელის ტკივილი კუნთების დაავადების შედეგად, წელკავი; 6. განივი ჯებირები, რომლებიც ნაპირიდან მდინარის კალაპოტშია შეჭრილი; 9. ქართველი მომღერალი ქალი; 10. ტანსაცმელზე დაკერებული დაწნული ზონარი; 11. ფულის გამოძალვა; 12. ხარისხი, თანრიგი, სპეციალური წოდებულება; 13. სუბტროპიკული ხე მსხლის მოყვანილობის ნაყოფით; 14. უილიამ შექსპირი — „მეფე...“; 15. ინგლისელი მეცნიერი, მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმომჩენი; 16. კინოთეატრი თბილისში; 20. მუშა საქონლის ჩლიქზე დასაკრავი რკინის ფირფიტა; 21. თხის ხმიანობა; 24. გაველურებული შინაური ცხენი ჩრდილოეთ ამერიკის პრერიებში; 25. ცხიმოვანა; 27. კორეული ავტომობილი; 28. იტალიელი კინორეჟისორი; 31. მსხლის ჯიში; 34. ჯარი, ლაშქარი; 36. იტალიელი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 37. მეომრების ლითონის სამოსელი (ძვ.); 38. მიწასთან დაკავშირებული სიტყვის ნაწილი; 39. ფრანგი პოეტი; 40. მეეტლის ადგილი ეტლში; 41. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 42. ბიბლიური პერსონაჟი; 43. უნგრელი კომპოზიტორი; 44. თონეში გამომცხვარი მჭადი; 45. მიმიკის მოშლა.**

შვეულად: **1. ბრაზილიური ცეკვა; 2. საფრანგეთის პრეზიდენტი; 3. იგივეა, რაც ანბანი; 4. პლანეტა ურანოსის თანამგზავრი; 5. მსგავსი, ერთნაირი; 6. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 7. რუსი მსახიობი, კლოუნი; 8. სპორტული ცურვის ხერხი; 17. ფრანგი პოეტი; 18. რისთვის? 19. ქართველთა განმანათლებელი კაბადოკიელი წმინდანი; 21. ინკების კვანძოვანი დამწერლობა; 22. ქულა ძიუდოში; 23. პატარა თითი; 25. „სპორტული“ ჭურჭელი; 26. კორეული ფირმა; 28. პურეულის აღმონაცენი; 29. დამარცხებულის მიერ სამაგიეროს გადახდა; 30. იმამის ხელისუფლება; 31. „სამკითხაო“ ყვავილი; 32. ქიმიური ინდიკატორი; 33. ტროპიკული, დეკორატიული მცენარე; 35. მოხატული ან რელიეფით შემკული ჭერი; 36. ბანქოს ერთგვარი თამაში.**

*კროსვორდის პასუხები იხ. 30-ე გვერდზე*

## *ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...*




- სასიამოვნო, სასიკეთო დღე.
- პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.
- მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.
- ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.
- მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.
- მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.
- მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.
- მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.
- რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.
- ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.
- შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.
- რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.
- შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.
- კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.
- მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.
- წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.
- სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.
- ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.
- შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.
- შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.
- გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.
- იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.




დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2020 წლის 30 მარტი – 5 აპრილი №14 (1322)
გამოდის ორშაბათობით
ISSN 2233-3800

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.ge** ან **www. asdas.ge**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.ge** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www. facebook.com/Asavali.ge** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

